

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
ენათმეცნიერების ინსტიტუტი

ტ. გუდავა

ბ ა გ ვ ა ლ უ რ ი ე ნ ა

გრამატიკული ანალიზი და ტექსტები



გამომცემლობა „მეცნიერება“
თბილისი
1971

ნაშრომი წარმოადგენს დაღესტნის ერთ-ერთი უმწერ-
ლობო ენის—ბაგვალურის—გრამატიკული ანალიზის პირ-
ველ ცდას. დაწერილებითაა განხილული ფონეტიკისა და
მორფოლოგიის საკითხები (ყველა კილოკაეის ჩვენებათა
გათვალისწინებით). ნაშრომს ერთეის ტექსტები.

უ ე ს ა ვ ა ლ ი

ბავკალური ენა დალესტნის მთიანეთის ერთ-ერთი პატარა უმწერლობო ენაა. ის ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ენათა ანდიურ ქვეჯგუფში შედის. ამ ენაზე მეტყველთა ძირითადი აულებია: კვანადა, თლონდოდა, ხუშტადა, ჰემერსო, თლისი, თლიბიშო¹. პირველი ოთხი წუმადის რაიონშია, ხოლო ორი უკანასკნელი—მეზობელ ახვანის რაიონში. ბავკალელთა საერთო რიცხვი 4 ათასს აღემატება:

სამწერლო ენად ბავკალეები ხუნძურს ხმარობენ. დალესტნის მცირერიცხოვან ერთა დაახლოების პროცესში ბავკალეები სხვა ანდიურ-დიდოურ ტომებთან ერთად ერწყმიან ხუნძებს, რომლებიც მათთან ახლოს დგანან ენითაც და კულტურითაც. ეროვნებით ბავკალეები ხუნძებად აღირიცხებიან. ხუნძური ენის ცოდნა ბავკალეებში ძალიან გავრცელებულია (თუმცა ქალებში შედარებით ნაკლებად), მაგრამ ხშირად ეს ცოდნა სასაუბრო მეტყველების ფარგლებს არ სცილდება. ბოლო ხანებში სწრაფად იზრდება რუსული ენის ცოდნა (რაც საერთოდ დაძაბვისათვის მრავალენოვანი დალესტნისათვის). ბავკალელთა ერთმა ნაწილმა (ხუშტადელებმა, თლონდოდელებმა) იცის ტინდიური ენაც. ტინდიელები ბავკალეების მეზობლები არიან (სამხრეთით) და ენობრივად მათთან ძალიან ახლოს დგანან.

ბავკალური ენისა და ხალხის აღსანიშნავად სხვადასხვა ტერმინს ხმარობენ. თვითონ ბავკალეებში „ბავკალეების“ აღსანიშნავად ზოგადი ტერმინი არა ჩანს (წარმომავლობას ასახელებენ ფუძე აულის მიხედვით). ახლო მეზობელ ტომებთან ურთიერთობის დროს თავიანთ თავს ხუნძურად ბავკალეებს ეძახიან, სხვა ხალხებთან ურთიერთობის დროს კი, როგორც აღენიშნეთ, თავიანთ თავს ხუნძებს მიაკუთვნებენ. ხუნძურად (და აქედან რუსულადაც) ბავკალეებს ბავკალალ-ს ან ბავკალალ-ს ეძახიან. ბოლო -ალ წარმომადგენს ხუნძურ მრავლობითი რიცხვის ნიშანს (მხ. რ.

¹ ამ აულების ოფიციალური სახელწოდება ხუნძური ენიდან მომდინარეობს. რუსულად: Кванда, Тлоидода, Хуштада, Гемерсо, Тлисси, Тлибишо; ხუნძურად: კვანადა, ლ'ონდოდა, ხუშტადა, ჰემერსო, ლ'ისი, ლ'იბიშო. ამავე აულთა ადგილობრივი (ბავკალური) სახელებია: კვანკ, ჰინდუკ, ჰენსაჰ (|| ჰენსაჰა), ჰემესი, ლ'ისი (|| ჰესი), ჰიბიში (|| სიბილ').

ბაგვალ-ავ I კლ., ბაგვალ-აჲ II კლ., მრ. რ. ბაგვალ-ალ). ამ -ალ სუფიქსის მოკვეცისა ან შენარჩუნების კვალობაზე ასეთი ვარიანტები ჩნდება: *баввалъ-аы, бавулаъ-аы, баввалии-аы* (ქართულად: ბაგვალალები, ბაგულალები, ბაგვალელები). ზოგჯერ ბაგვალური ენის აღსანიშნავად ხმარობენ „კვანადურ ენას“ (*кванадннскнн язык*)—ბაგვალელთა ერთ-ერთი უმთავრესი აულის მიხედვით².

ადგილობრივად (წუშადის რაიონში, მეზობელ ხუნძურ მოსახლეობაში) ტერმინს „ბაგვალური“ უფრო ფართო მნიშვნელობა აქვს: ასე აღნიშნავენ საკუთრივ ბაგვალებსაცა და ტინდილებსაც ერთად აღებული, ე. ი. მდ. ანდიის ყოისუს მარჯვენა ნაპირის მცხოვრებლებს საერთოდ. ამ გაგებით „ბაგვალური“ უპირისპირდება „ჭამალურს“, რომელიც ამავე მდინარის მარცხენა ნაპირზე მცხოვრებ ხალხს აღნიშნავს³.

ანდიური ენები ერთმანეთისაგან დიდად დაშორებულნი არ არიან. სხვაობის უკიდურესი წერტილებია ანდიური და ახვანური. მათ შორის (ერთმანეთისაგან მეტ-ნაკლები დაშორებით) ლაგდება ანდიური ქვეჯგუფის დანარჩენი ენები⁴.

ბაგვალური ენა ძალიან ახლოს დგას მეზობელ ენებთან—ჭამალურთან და განსაკუთრებით ტინდიურთან⁵. ეს სამი ენა ანდიურ ენათა ქვეჯგუფში უმის გარკვეულ წრეს, რომელიც ლოდობერიულის მეშვეობით ბოთლიხურსა და ანდიურს უკავშირდება. არ არის გამორიცხული შესაძლებლობა, რომ ტინდიური და ბაგვალური ერთმანეთის მიმართ მივიჩინოთ დიალექტებად, რომლებიც ერთმანეთისაგან უფრო შორს, რა თქმა უნდა, არ არიან, ვიდრე, მაგალითად, ხუნძური ენის ხუნძანური და ანწუხური დიალექტები. მაინც აღწერის თვალსაზრისით უფრო მარჯვე ჩანს მათი ცალ-ცალკე შესწავლა.

ყოველ ბაგვალურ აულს ახასიათებს გარკვეული ენობრივი თავისებურება, თუმცა მეტწილად ეს სხვაობა დიდი არ არის. შეიძლება გამოიყოს სამი კილოკავი: კვანადურ-ჰემერსოული (კვანადური და ჰემერსოული თქმებით), თლონდოდურ-ხუშტადური (თლონდოდური და ხუშტადური. თქმებით), თლისურ-თლიბიშოური (თლისური და თლიბიშოური თქმებით). ამ სამ კილოკავთაგან პირველი ორი ერთმანეთთან საკმაოდ ახლოსაა, ხოლო თლისურ-თლიბიშოური შედარებით ცალკე დგას.

² ხუნძურ-ანდიურ-დიდორ ენათა სახელების მეტი წილი სწორედ ასეა ნაწარმოები (—უმთავრესი აულის სახელწოდებიდან). რაც ზოგჯერ უხერხულობას იწვევს.

³ საპირობის შემთხვევაში მარჯვე ჩანს „ბაგვალურის“ გამოყენება ამ უკანასკნელი (ფართო) მნიშვნელობით „საკუთრივ ბაგვალურისათვის“ კი შეიძლება „კვანადური“ ვიხმაროთ.

⁴ ამას ეყარება ანდიურ ენათა ჩვენ მიერ მიღებული დალაგება: ანდიური, ბოთლიხური, ლოდობერიული, ჭამალური, ტინდიური, ბაგვალური, კარატული. ახვანური.

⁵ იხ. ჩენი: ტინდიური ენის ფონეტიკური მიმოხილვა, იკვ, V, 1953, გვ. 328.

ბაგვალური ენა სუსტადაა შესწავლილი. ამ ენის ცოტად თუ ბევრად სრული აღწერა დღემდე არ მოიპოვება.

ბაგვალური ენის შესახებ პირველი ცნობები მოცემულია რ. ერკერტის წიგნში⁶. ანდიური ენები აქ წარმოდგენილია ორი ჯგუფის სახით: ანდიური დიალექტები (საკუთრივ ანდიური, ბოთლიხური, ჰიპათლური [ე. ი. ჰამალური] და ტინდიური) და კარატული დიალექტები (კარატული, ლოდობერიული და კვანადური ანუ ბაგვალური)⁷. ლოდობერიული და კვანადური ფრაზები ერთადაა წარმოდგენილი. კვანადური მასალა, რომელიც სახელდობრ აულ კვანადის მეტყველებას ასახავს⁸, შეიცავს 40-მდე მოკლე შესიტყვებას⁹. ამასთან უმარტივეს შესიტყვებათა მნიშვნელოვანი ნაწილი ზმნის პარადიგმის გამოვლინებას ემსახურება და ფაქტობრივ არაფერს იძლევა, რადგან პირის კატეგორია, რის გარკვევაც ამ შესიტყვებათა მიხედვით უნდა მომხდარიყო, ბაგვალურს არ გააჩნია. წარმოდგენილი მასალა საშუალებას არ იძლევა გავითვალისწინოთ ბაგვალურის მორფოლოგიის უმთავრესი საკითხები.

⁶ R. Erckert. Die Sprachen des kaukasischen Stammes, ვენა, 1895, გვ. 195—196. სხვათა შორის, ბაგვალურს (და ჰამალურს) შეეხება ცნობილი დეკაბრისტი მწერლის ა. ზესტუევი-მარლინსკის (1797—1837) ნაწარმოების („ამალათ-ზეგი“) ერთი ადგილი, სადაც აღწერილია მოგზაურობა დაღესტნის მთიანეთში. ავტორის ცნობები (ეთნოგრაფიული ხასიათისა) „ბოგუჩემონჯის“ შესახებ ზოგ საინტერესო დაკვირვებასთან ერთად მოკლებული არაა ეგზოტრიკით განსართებს. ავტორისეული ГОРЬМЕОИИ და მახინჯებული გადმოცემა ამჟამად იშვიათად ხმარებული ხენძური ბაგვა-ჰამალისა (ბაგვა-ჰამალურ ენე „ბაგვალ-ჰამალურში წასვლა“).

⁷ ანდიური ქვეჯგუფის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წევრი—ახვანური—რ. ერკერტს გამორჩა (ეს სწორედ შენიშნა ჯერ კიდევ ა. დირმა თავის „Материалы“-ს წინასიტყვაობაში). ტერმინით „ახვანური“ რ. ერკერტი აღნიშნავს ხუნძური ენის ერთ-ერთ აღმოსავლურ დიალექტს (!). აქ შეცდომის მიზეზი უნდა იყოს ის, რომ „ახვანი“ არა მარტო ეთნიკური სახელია, არამედ გეოგრაფიულიც (ტერიტორიული) და ამ ტერიტორიაზე საკუთრივ ახვანელებს გარდა ხუნძებიც ცხოვრობენ (ყოფ. ყაიბის რაიონში), ერკერტისეული კლასიფიკაცია ანდიური ენებისა მცდარია. მცდარადაა ჩაწერილი მასალის დიდი ნაწილი და, ცხადია, მასზე დამყარებული დასკვნებიც არ არის ზუსტი, მაგრამ შიგადაშოგ ეხვდებით რიგ საინტერესო მოსაზრებას. მაგ. ხუნძურ-ანდიური დიდილური ქვეჯგუფის წევრთა ურთიერთმიმართების შესახებ (ხუნძურთან სიახლოვის თვალსაზრისით). ხმოვანთშესატყვისობის შესახებ ანდიურ ენათა შიგნით (ა: ო) და სხვ. დაწერილებით სხვაგან.

⁸ ამას აღსატყობებს თუნდაც შემდეგი ზმნა ეკვა „არის“, რაც მხოლოდ აულ კვანადის მეტყველებას ასახავს.

⁹ მაგ., „ბაღის ლობე“, „მე კარგად ვარ“, „ის ღარიბია“, „მე ცხენი მყავს“ „შენ ძროხა გყავს“, „მას ვირი ჰყავს“... ერკერტის წიგნის პირველ ნაწილში, სადაც სათანადო ენათა ლექსიკაა განხილული, ბაგვალური მასალა არ მოიპოვება (მოყვანილია მხოლოდ ანდიური და კარატული ლექსიკა, რამდენადაც წიგნში წარმოდგენილი კლასიფიკაციის მიხედვით ანდიური ენები დიალექტთა, ამ ორი ჯგუფისაგან შედგება).

ერკერტისეული ჩანაწერების ნაკლოვანებები საკმაოდ ცნობილია. მეტად დაბალ დონეზე დგას ბაგვალური მასალის ჩაწერის ფონეტიკური მხარეც, მაგ., ერთმანეთისაგან გარჩეული არაა მკვეთრები და შესაბამისი ფშვინვიერები (კ და ქ, ტ და თ, ჭ და ჩ), არაა გარჩეული ძლიერი და სუსტი თანხმოვნები (შხ და შ, სხ და ს), არეულია ხ და ჰ, არეულია ლატერალური თანხმოვნები და სხვ... აღნიშნული არაა თანხმოვანთა პალატალიზაცია, ხმოვანთა სიგრძე... არის რიგი სხვა შეცდომაც.

შედარებით მეტი და უფრო სანდო მასალა ბაგვალური ენის შესახებ მოცემულია ა. დირის ნაშრომში „Материалы“¹⁰. დირის მასალა, ისევე როგორც ერკერტისა, აულ კვანადის მეტყველებას ასახავს. წარმოდგენილია მოკლე გრამატიკული ცნობები (ბრუნებისა და უღვლილებების შესახებ, გვ. 42—48) და 65 მოკლე ფრაზა (გვ. 48—52). უზუსტობანი ა. დირის ჩანაწერებშიაც არის, მაგ., გარჩეული არაა ცხ და წხ, შ და შხ... აღნიშნული არაა პალატალიზაცია, ხმოვნის სიგრძე... ზოგჯერ პალატალიზებული კ (და ქ) წარმოდგენილია როგორც ჯ... არასწორადაა ჩაწერილი ზოგი ფორმა. მართალია, ა. დირის მასალების მიხედვით შეუძლებელია ბაგვალური ენის აღნაგობის წარმოდგენა ზოგად ხაზებშიაც კი, მაგრამ რ. ერკერტის მასალებთან შედარებით ეს მაინც წინ გადადგმული ნაბიჯია.

ამ რამდენიმე წლის წინათ გამოქვეყნდა ზ. მაჰომედბეკოვას წერილი ბაგვალური ენის შესახებ (წინასწარი ხასიათისა)¹¹. აქ წარმოდგენილია მოკლე ცნობები ბაგვალურ ენის ბგერითი შედგენილობისა, ზოგი ფონეტიკური პროცესისა, ბრუნებისა და უღვლილების უმთავრესი საკითხების შესახებ. გამოცვლევას ასახავს აულ თლონდოდის მეტყველებას.

წინამდებარე ნაშრომი ემყარება ჩვენ მიერ დალესტანში შეკრებილ მასალებს და ითვალისწინებს ბაგვალურ ენაზე მეტყველი ყველა აულის ჩვენებას. ბაგვალური ენის შესწავლა დაიწყო 1952 წელს. თავდაპირველად აულ თლონდოდის მეტყველებას გავეცანით, შემდეგ კი—სხვა აულელების (კვანადა, ხუშტადა, ჰემერსო, თლისი...). ხუნძურ-ანდიურ ენათა ისტორიიდან ზოგიერთი საკითხის განხილვასთან დაკავშირებით ბაგვალური ენის შესახებ რიგი დაკვირვება მოცემულია ცალკეულ წერილებში (მაგ. ვიწრო უმახვილო ხმოვანთა კვეცა აუსლაუტში, ძლიერ აფრიკატთა სპირანტიზაცია, ლატერალთა და ფარინგალურ თანხმოვანთა რეფლექსები, დ-ს ცვლილებები და სხვ.)¹².

¹⁰ А. Дирр, Материалы для изучения языков и наречий андо-дндоидской группы, Тбилиси, 1909, гв. 42—52.

¹¹ З. М. Магомедбекова. Багвалинский язык (предварительное сообщение). Сб. Вопросы изучения иберийско-кавказских языков, Москва, 1961.

¹² იხ. ჩვენი: ტინდიური ენის ფონეტიკური მიმოხილვა, ი კ ე, 1953, ერთი რიგის თანხმოვანთა ცვლილებისათვის ხუნძურ-ანდიურ ენებში, ს მ ა მ, ტ. 22, 1959, აფ-

ფ ო ნ ე ტ ი კ ა

ბგერითი სისტემა

ხმოვნები

§ 1. ბაგვალურის ხმოვანთა სისტემაში გამოიყოფა პირისმიერი უბრალო (მოკლე) და გრძელი ხმოვნები, აგრეთვე მათი ნაზალიზებული სახეობები. ამრიგად, ხმოვანთა ოთხი ჯგუფი გვაქვს: მარტივი მოკლე, მარტივი გრძელი, ნაზალიზებული მოკლე, ნაზალიზებული გრძელი.

ხმოვანთა სიგრძე არაა მკაფიოდ გამოკვეთილი თვისება. ნაზალიზებული ხმოვნებიც პირისმიერებთან შედარებით ნაკლებად გვხვდება. ცხადია, კიდევ უფრო იშვიათია გრძელი ნაზალიზებული ხმოვანი. დაპირისპირებას მოკლე ხმოვანი—გრძელი ხმოვანი მეტად მცირე ფუნქციური დატვირთვა აქვს.

მარტივი მოკლე ხმოვანია ა, ე, ი, ო, უ. ო იშვიათად გვხვდება. ყოველი მათგანი დასაშვებია ყოველს პოზიციაში, ოღონდ გასათვალისწინებელია, რომ:

1. ბაგვალური გაურბის ორი ხმოვნის ერთმანეთის მოყოლებით წარმოთქმას (მათ შუა ხმოვანთგასაყარი ჩნდება, ან ადგილი აქვს ხმოვანთა ასიმილაცია-შერწყმას).

2. აბსოლუტურ ბოლოში უმახვილო ვიწრო ხმოვნები (ი, უ) იკვეცება ხოლმე.

3. ანლაუტში ხმოვანი მუდამ მაგარი შემართვით წარმოითქმის.

§ 2. ნაზალიზებული ხმოვნები. ნაზალიზებული ხმოვნები საკმაოდ ხშირია. განსაკუთრებით სისტემატურობით, გამოირჩევა ნ თემის ნიშნაზ ზმნათა ფორმები, (მაგ., ნამყო), რომელთაც დაბოლოებად ნაზალიზებული ხმოვანი მოუღლით (აფ, იფ, უფ). ჩვეულებრივია ა, ი და უ ხმოვანთა ნა-

რიკატები ანდიურ ენებში. ი კ ე, XI, 1959. Сравнительный анализ глагольных основ в аварском и андийских языках. Махачкала. 1959, ფარინგალური თანხმოვნები ხუნძურ-ანდიურ ენებში, ი კ ე IX—X. 1958. Консонантизм андийских языков, Тбилиси, 1964; სპეციალურად: Багваллинский язык. კრებ. Языки народов СССР, т. IV, Москва, 1967.

ზალიზებული სახეობები, რაც შეეხება საშუალო აწეულობის ო-სა და ე-ს, ისინი საერთოდ არაა გავრცელებული (განსაკუთრებით ო), ამიტომ მათი ნაზალიზებული სახეობების დადასტურება ძნელია.

ნაზალიზებული ხმოვანი შეიძლება იყოს გრძელიც, მაგრამ გრძელი ხმოვანი შედარებით იშვიათია, გრძელი ნაზალიზებული ხმოვანი კი კიდევ უფრო იშვიათი.

ზოგ კილოკავს (მაგ. თლისურს) ახასიათებს ინტერვოკალური მ-ს დასუსტება, რაც მეზობელი ხმოვნის განაზალურებას იწვევს. მაგრამ ეს მხოლოდ სწრაფ დაუდევარ მეტყველებაში დასტურდება, ჩვეულებრივი ტემპით მეტყველების დროს კი მ არ იკარგება (მაგ., კამუდუ > || კა-უდუ „გადახტება“)¹².

აჲ: „ბიშაჲ „გაიმარჯვა“ (თლის.), ბისაჲ „იპოვა“ (თლის.). ჰაჲ „ჰა!“ (თლის.), ჰაჲჲ „ნახა“ (თლის.), აჲ ო „გაიგონა“ (თლის.), ტჲაჲჲ „დაიძინა“ (თლის.), ჰეჲჲაჲ „დიდი“ (თლის.), ხჲჲაჲჲ „სუნი“ (თლის.), სჲაჲჲაჲ „დაილალა“ (თლის.), აჲჲაჲ „გაიგონა“ (კვან.), შაჲაჲ „თევზი“ (კვან.), ბუჲკჲაჲ „გადაყლაპა“ (ხუმტ.), ჰაჲშთჲ „ასეთი“ (ხუმტ.), ჰეჲაჲ „სუნი“ (თლონდ.), ბისაჲ „ნახა“ (თლონდ.), ბასაჲ „უამბო“ (თლონდ.).

იჲ: ჰეჲჲაჲ „თჲჲა“ (თლის.), ჰეჲრაჲაჲ „მოქსოვა“ (თლის.), მიჲლჲ „მზე“ (თლის.), იჲ „ალაო“ (თლის.). უიჲაჲ „შეძლო“ (თლის.), ჰეჲაჲ „კვარა“ (კვან.), ბაჲჲაჲ „ჰკითხა“ (თლონდ.), სიჲ „დათვი“ || სიჲ (თლონდ.),

უჲ: რუჲშაჲ „ჩაქრა“ (თლის.), წაჲჲაჲ „არწივი“ (თლის.), ვუჲჲაჲ „ეყო“ (თლის.), რაჲჲჲ „გაალო“ (თლის.), რეჲკჲაჲ „შეჯდა“ (თლის.), ბეჲრჲჲ „გარეცხა“ (თლის.), კუჲჲ „კვამლი“ (კვან., თლონდ.), ჰეჲჲაჲ „თათლი“ (კვან.), ჰეჲაჲ „თესლი“ (თლონდ.), ბეჲლაჲ „გაატყავა“ (თლონდ.).

ეჲ: ლაჲჲაჲ „წყალი“ (კვან.), ლაჲჲაჲ „წყალი“ (თლის.), მეჲ „შენ“ (თლონდ.), დეჲ „მე“ (თლონდ.).

ჲაჲ: ჰაჲ „ნახა“ (კვან., შდრ. თლის. ჰაჲჲაჲ), ბაჲჲაჲ „შეკითხვა“ (კვან.), ბეჲჲაჲ „ჩაქრობა“ (კვან.).

კვანადურის ინფინიტივის ფორმაში, რომელიც გრძელი ა ხმოვნით ბოლოვდება, ა თემიან ზმნებს მუდამ აჲ მოუდის.

იჲ: სიჲ „დათვი“ (თლის.).

ამრიგად, ნაზალიზებულ ხმოვანთაგან გეხვდება:

აჲ	იჲ	უჲ	ეჲ
აჲ	იჲ		

¹² შდრ. ანალოგიური მდგომარეობა ხუნძური ენის ხუნძახურ კილოში. იხ. ჩვენი: „КОНСОНАНТИЗМ“, გვ. 36 და შმდ.

არის შემთხვევები, როცა ერთ კილოკავს ნაზალიზებული ხმოვანი აქვს, ხოლო მეორეს (იმავე სიტყვაში)—არანაზალიზებული ხუმტ. ჰიკაბ—თლის. ჰერკაფე—კვან. ჰიკაბ „დიდი“.

ნაზალიზებული ხმოვანი (თავის მხრივ მეორეული) ასეთ შემთხვევებში გამარტივებულია.

თლის. დე „მე“ ერგატივში იწნება დენდ. ამოსავალია დენ ფუქე სახელობითისათვის, რომელსაც ერგატივში დ სუფიქსი დაერთო. სქემატურად:

სახ. დენ > დე > დე, ერგ. დენ-დ.

სრულებით ასევე მე „შენ“: ერგატ. მენდ. (სახ. მე < მე < მენ). ამოსავალი ფორმები დენ, მენ დაცულია ანდიურ ენათა უმეტესობაში (შდრ. ხუნძ. დენ „მე“, მენ „შენ“). თლის. შაჟ, კვან. შაი „რძე“ < შაჟე, შაინე, შდრ. ბოთლ. შაილე, ანდ. შაიმე „რძე“. თლის. ესა, კვან. ისა „ყველი“ < ესა, ისა, შდრ. ბოთლ. ისა, ტრნდ. ინსა, ხუნძ. ნისო „ყველი“. კვან. ჰაკიტა „ყური“ < ჰაყიტა, შდრ. რიგ ანდიურ ენათა ჰანკიტა „ყური“.

კვან. ჰიკაბ „დიდი“ < ჰიყაბ, შდრ. თლის. ჰერკაფე.

§ 3. გრძელი ხმოვნები. გრძელი ხმოვნები გამოთქმაში არც თუ იშვიათია, მაგრამ ისინი დაუდევრობით გამოირჩევიან: ერთსა და იმავე სიტყვაში ხან გვხვდება გრძელი ხმოვანი და ხან არა, მნიშვნელობას ეს არა ცვლის. ასეთი სიგრძე ფაკულტატური სასაუბრო ინტონაციური გარძელების შთაბეჭდილებას ტოვებს. მაგრამ არის შემთხვევა, სადაც გრძელი ხმოვანი არ არის ფაკულტატური, მისი შეცვლა სათანადო მოკლე ხმოვნით არ ხდება. ასეთ პირობებში შეიძლება ვილაპარაკოთ ხმოვნის სიგრძის ფონემატურობის შესახებ¹⁴. გრძელი ხმოვნები მორფემებში იშვიათია, მაგრამ საკმაოდ ხშირია მორფემათა საზღვარზე. აღსანიშნავია ისიც, რომ შემთხვევათა დიდი უმეტესობა ზმნებზე მოდის.

თლისური:

ჰ: ვაშან „ვაჟები“, ზინან „ძროხები“, რომაგუ „ხეზე“, იმაგუ „მამისაკენ“, წარან „დაალევიან“ (კაუზატივებში მუდამ ჰ გვაქვს), ხინკე „ხინკლები“ (შდრ. ხინკა „ხინკალი“), ჰეჟლა „რისთვის“.

ნ: შან „რძე“ (|| შაინი), სინე „დათვი“, ხვანნე „ცხენები“, ააშან „ქალიშვილები“, ბნრობ „იცის“.

მ: ბუხანდი „გათია რა (ლამე)“, რეკვედი „შეჯდა რა“.

თლონდოლური:

ჰ: ეჰუნან „შესაძლებელია“ (ხუმტ.), წან „დაალევინა“ (ხუმტ.).

¹⁴ გრძელი ხმოვანი მეორეულია, კომბინატორული ბგერათცვლილების შედეგი. იხ. ქვემოთ.

ჰამო „ნახა რა“ (ხუმტ.), ბჲ „მოვიდა“ (თლონდ.), ჰანი „აჩვენა“ (თლონდ.).

ჲ: ჴეჲ „დაწერა“, ჰე „უკან“ (ხუმტ.), ტელო „ჩაარქო რა“ (ხუმტ.), ბეჲჲ „უცოდინარი“ (ხუმტ.), ბე „ისწავლა, იცოდა“ (ხუმტ.), გენა „წევა“ (თლონდ.), წეჲ „დალია“ (თლონდ.).

ჴ: ვოჲ „ეყო“ (ხუმტ.), ჰოჲ „კარგი“ (მდრ. ჰოჲ „საფლავი“ (ხუმტ.), ოჩა „ქათამი“ (თლონდ.), ბოწირა „ოთხჯერ“ (თლონდ.).

ჲ: ჲე „იქ“ (მდრ. ჲე „თავი“) (ხუმტ.), ბჲრა „ოთხი“ (თლონდ.).

კვანაღური:

ჲ: ხაბი „ქვაბები“ (მხ. ხაჲ), გალა „კეთება“, ჴეჲ „ხელთ“, ვეჲო „მოვიდა რა“, ჴეჲო „დაწერა რა“, ხეჲემ „თეუხი“, თჲ „კვიცი“, წალა „ცეცხლს“ (მიც. ბრ.), წაბი „ცეცხლები“ (მრ., მდრ. მხ. წაჲ „ცეცხლი“)16. ჰჲ „ნახა“, ვჲ „მოვიდა“ კეჲ „მოკლა“, ვასაჲ „ბიძაშვილი (მამაკაცი)“, ბელაჲ „წერილი“ (მრ. ადამ.), ჴალაჲ „თეთრი“, ჴაბა „უკან“.

კვანაღურში ინფინიტივს გრძელი ჰ ხმოვანი აწარმოებს: ჴეჲრა „წერა“, წეჲრა „სმა“... ის ჰმნები, რომლებიც ნამყოს წარმოების მიხედვით „ა რიგს“ განეკუთვნება, ნამყოსა და ინფინიტივის ფორმას ერთმანეთისაგან ა ხმოვნის სიგრძე (ინფინიტი.)—სიმოკლით (ნამყო) განარჩევენ:

ინფინიტი.

ნამყო

ბეჲჲჲჲ „ჩაქრობა“

ბეჲჲჲჲ „ჩაქრა“

ბასაჲ „თხრობა“

ბასაჲ „უთხრა“

ჲ: ჰე „უკან“, ხეჲ „წინ“, მესეღალა „ოქროსიც“, გენო „ქნა რა“, გენი „გააკეთაო“, ო: ბნრა „იცის“. ო: ჰოჲ „კარგი“, ოჩა „ქათამი“, ოჲჲ „მას“, ბეჲჲჲჲბი „საქიროაო“, ჴამოლა ჴიჲი „ვირის ზევით“.

ამროგად, გრძელ ხმოვანთაგან დასტურდება ჰ (ყველაზე ხშირად), ჲ, ო (შეღარებით იშვიათად). რამდენსამე შემთხვევაში ჩანს ო და ჲ.

გრძელ ნახალიზებულ ხმოვანთაგან ჩვეულებრივია ჰჲ, სხვა ხმოვნები იშვიათია.

ერთი და იმავე სიტყვის პარადიგმებში შეიძლება ხან გრძელი ხმოვანი გამოვლინდეს, ხანაც მოკლე: ტელა < ტე-ილა „შერქობა“, ტელილა < ტე-ალ-ილა „შერქობინება“ (ხუმტ.).

§ 4. მახვილის შესახებ. მახვილი სუსტი დინამიკურია, დისტინქციური ფუნქციის მქონე. მეტწილად მახვილის ადგილი განსაზღვრუ-

16 აჲ რმ ფორმებში, სადაც აჲ კომპლექსი თანხმოვანთა შორის ექცევა, გადაღოს ჰ-ში (CაჲC > CჲC).

ლია სიტყვის მორფოლოგიური ფორმით (მაგ., წამყოში მახვილი არას-
 ღროს ბოლო მარცვალზე არაა, ინფინიტივში კი პირიქით — მუდამ ბოლო
 მარცვალზეა). მახვილი მოძრავია. ნიმუში (ხუმტ.):

მრ. რ.

მრ. რ.

სახ. სარ „მელა“

სარა || სარაბი

ერგ. სარარ

სარარ || სარაბარ

ნათ. სარალ'ა

სარალ'ა || სარაბალ'ა

§ 5. ხმოვანთა მაგარი შემართვა. ხმოვანი სიტყვის თავში ყოველ-
 თვის მაგარი შემართვით გამოითქმის. შემართვის ამ თავისებურებას ფო-
 ნემატური მნიშვნელობა არა აქვს (თუმცა გამოთქმის ნორმას წარმოად-
 გენს). ჩანაწერებში მაგარ შემართვას სპეციალურად არ აღვნიშნავთ.

თ ა ნ ხ მ ო ვ ე ნ ე ბ ი

§ 6. წარმოვადგენთ თანხმოვანთა სისტემის ზოგად ფონეტიკურ
 ლახასიათებას (სქემაში შეტანილია ყველა კილოკავის მონაცემები)¹⁶.

წარმოების ბეარობა წარმოების ადგილი	ხ შ უ ლ ი			აფრიკატი		ს პ ი რ ა ნ ტ ი			სონორი
	მჟღერი	ყ რ უ		ყ რ უ		მჟღერი	ყ რ უ		
		ფშინე.	მკეთორი	ფშინე.	მკეთორი		ძლიერი	ფშინე.	
მაგისმიერი	ბ	ფ				ვ			მ
წინაენის- მიერი	ენაკბილ.	ღ	თ	ტ					ნ
	სინინა				ჩ	ქ	ც	ძ	ჭ
	შიშინა				ჩ	ქ	ც	ძ	ჭ
შუაენისმიერი	გ	ქ	კ			ღ			
უკანაენის- მიერი	წინა რიგი	გ	ქ	კ				ხ	
	უკანა რიგი						ღ	ხ	ხ
ჭარინგალური				ჭ	ყ	ჭ	ლა	ქა	
ღარინგალური				ც				ქ	
ლატერალური				ტ					ლ

¹⁶ აქლია თლისურის ც, ცხ, ჩა, ლ, ლ' (იხ. ქვემოთ ცალკე სქემა).

§ 7. მკვეთრად გამოირჩევა თანხმოვანთა სისტემის ორი ძირითადი ტიპი, კილოკავების მიხედვით ერთმანეთისაგან განსხვავებული. ერთ ჯგუფში შედის თლონდოდურ-ხუმტადური და კვანადურ-ჰემერსოული კილოკავები (პირობით—კილოკავთა დასავლური ჯგუფი), მეორეში კი თლისურ-თლიბიშოური კილოკავი (პირობით—კილოკავთა აღმოსავლური ჯგუფი). ამ ორ ჯგუფს შორის სხვაობა იმდენად მნიშვნელოვანია, რომ მათი განხილვა ცალ-ცალკე უფრო მოსახერხებელია.

პირველ ჯგუფში შემავალ აულთა (თლონდოდა, ხუმტადა, კვანადა, ჰემერსო) თანხმოვანთსისტემა არსებითად ერთგვარია:

წარმოდგენთ თანხმოვანი ფონემების სქემას კვანადის, ჰემერსოს, თლონდოდისა და ხუმტადის მეტყველების მიხედვით:

ხშული	{	მელერი	ბ	ღ	გ	გ		
		ფშინვიერი	ფ	თ	ჩ	ქ	ქ	ჯ
		მკვეთრი	ტ	წ	ჭ	ჯ	კ	ტ ^ა ყ ^ა ლ ^ა
სპირანტი	{	მელერი		ზ	ჟ	ლ	ჭ	
		ფშინვი.	{ ძლიერი	{ ს ^ა შ ^ა }	ხ	{ ხ ^ა }	ლ ^ა ჰ ^ა ჰ ^ა	
		{ სუსტი	{ ს ^ა შ ^ა }		{ ხ ^ა }			
მკვეთრი		წ ^ა ჰ ^ა						

სონანტები: ვ, ა, რ, ლ, მ, ნ.

წარმოდგენილი სისტემა საკმაოდ მარტივია: ხშულებს აკლია რიგე წვერი, რის გამოც სამეულებს სახით წარმოდგენილია მხოლოდ დ, თ, ტ; ზ, ჰ, კ; გ, ქ, ჯ. ბაგისმიერებს აკლია მკვეთრი, სისინა აფრიკატთაგან მხოლოდ წ გვაქვს (აკლია მელერი და ფშინვიერი), ხოლო შიშინა აფრიკატებს აკლია მელერი, ისევე, როგორც ფარინგალურებს. საერთოდ მელერი აფრიკატები არა გვაქვს. ცალეულებით (მკვეთრით) არის წარმოდგენილი ლატერალური და ლარინგალური ხშული.

სპირანტთა რიგში აღსანიშნავია მკვეთრი სპირანტების წ^ა-სა და ჰ^ა-ს არსებობა.

სპეციფიკური ლატერალური თანხმოვანი მხოლოდ ორია: აფრიკატი ტ^ა და სპირანტი ლ^ა (გამოთქმაში ორივე ძლიერია, თუმცა დაპირისპირების არ არსებობის გამო ნეიტრალურებს წარმოადგენენ). იხ. აგრეთვე § 18.

აღსანიშნავია პალატალიზებულ უკანაენისმიერთა რიგის გ, ქ, ჯ არსებობა. ეს რიგი (რომელიც ისტორიულად მეორეულია, იხ. § 16), ამჟამად ფონემატურობას იძენს, რამდენადაც სათანადო უკანაენისმიერ.

რიგთან (გ, ქ, კ) იდენტურ პოზიციაში შეიძლება შეგვხვდეს (ისტორიულად ეს გამორიცხული იყო მათ შორის დამატებითი დისტრიბუციის არსებობის გამო).

ჟ და განსაკუთრებით ჰჰ საკმაოდ იშვიათია. ეს ფარინგალური სპირანტები მეტწილად (მაგრამ არა მხოლოდ) ნასესხებ სიტყვებში იჩენენ თავს.

იმ ბგერათაგან, რომლებიც სისტემის მიხედვით იყო მოსალოდნელი, მაგრამ გვაკლია, ცალკე უნდა აღინიშნოს ც-ს საკითხი. ც როგორც ფონემა არა გვაქვს, მაგრამ ც შეიძლება ნასესხებ სიტყვებში შეგვხვდეს¹⁷ ამრიგად ეს ბგერა კვლავ შემოდის. ასევე, ფშვინვიერი აფრიკატი ლ¹⁸ შეიძლება შეგვხვდეს ნასესხებ სიტყვებში.

ცალკეულ რიგთა და ბგერათა გამოთქმის შესახებ შემდეგი უნდა აღინიშნოს:

პალატალიზებული თანხმოვნები (გ[~], ქ[~], კ[~]) გამოითქმის ძლიერი პალატალიზაციით. სარტიკულაციო ადგილი იმდენად წინაა წამოწეული, რომ გამოთქმაში იგი სათანადო აპიკალესა და შიშინა აფრიკატებს უახლოვდება (გ[~] უახლოვდება ღ[~]/გ-ს, ქ[~]—თ[~]/ჩ-ს, კ[~]—ტ[~]/ჭ-ს).

მკვეთი სპირანტები წჰ და ჰჰ გამოითქმის როგორც ძლიერი თანხმოვნები (ისტორიულად ისინი ძლიერი აფრიკატებია). გამოთქმაში წჰ და ჰჰ წმინდა სპირანტებია.

ნეიტრალური აფრიკატები და სპირანტები რეალიზებულია როგორც ძლიერები, მაგ., აფრიკატები ტჰ, ჯ, ყ, სპირანტები ზ[~], ლ[~] (ეს ისტორიულად აიხსნება: წარმოშობით ისინი ძლიერები არიან, მათი განეიტრალურება გამოიწვია შესაბამის სუსტთა დაკარგვამ). რაც შეეხება ნეიტრალურ წ-სა და ჰ-ს, ისინი ხშირად (მაგრამ ფაქულტატურად) გამოითქმიან როგორც ძლიერი აფრიკატები (წჰ და ჰჰ)¹⁷.

ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი თავისებურება ბაგვალური კონსონანტიზმისა (განსახილველ აულთა მეტყველებაში) ისაა, რომ დაპირისპირება ძლიერ და სუსტ თანხმოვანთა შორის (ესოდენ დამახასიათებელი ხუნძურ-ანდიური ენებისათვის) გამოხატულია ძალზე მკრთალად. სულ სამიოდე წყვილი დასტურდება ამ კორელაციის მქონე: ხჰ—ს, შჰ—შ და ხჰ—ხ. ამ წყვილულეშიც კორელაცია სუსტადაა დატვირთული. ისტორიული წყვილები წჰ—წ, ჰჰ—ჰ დაიშალა ძლიერ კორელატთა გასპირანტების გამო, ლ[~]ა—ლ[~] მოიშალა სუსტი კორელატის გაქრობის გამო და სხვ. (იხ. ქვემოთ ბგერითი ცვლილებების შესახებ). ხსენებული

¹⁷ წ-სა და ჰ-ს ამგვარსა თუ იმგვარს რეალიზაციას ფონოლოგიური ღირებულება არა აქვს. მაგ. წაჰ || წაჰა „ცეცხლი“ (< წაჰ), წულ || წაჰულ „ქოხი“ (< წულ), ბეწი || ბეწი „გაძლა“ (< ბეწი)... მაგალითები ხუშტადურია.

კორელაციის მოშლითაა გამოწვეული ის საყურადღებო თვისება, რაც განსახილველ სისტემას აქვს ამჟამად: ყველა მკვეთრი ნეიტრალურია (ტ, წ, ჰ, კ, კ; უ, ტფ, ხ, წფ, ქფ). თუ გავითვალისწინებთ, რომ ნეიტრალურია ყველა ფშვინვიერი ხშულიც (და, ცხადია, ყველა მქლერიც, რომელიც ნეიტრალურია ხუნძურ-ანდიურ ენებში საერთოდ). ირკვევა, რომ კორელაცია ძლიერი—სუსტი მხოლოდ ფშვინვიერ სპირანტებშია შესაძლებელი.

§ 8. თლისურ-თლიბიშოური კონსონანტიზმი. თლისურ-თლიბიშოური კილოკავის კონსონანტიზმი საგრძნობლად განსხვავდება სხვა კილოკავთა კონსონანტიზმისაგან თავისი სისრულითა და სირთულით.

თანხმოვანი ფონემების სქემა თლისისა და თლიბიშოს მეტყველების მიხედვით:

სშული	ფშვინგ.	მქლერი	ბ	ღ				
		{ ძლიერი სუსტი }	ფ	თ	{ ც ^ფ ჩ ^ფ (ქ ^ფ) ც ჩ ქ }	ლ'	ჯ	
	მკვეთრი	მქლერი	ტ					
		{ ძლიერი სუსტი }	ტ	{ წ ^ფ ქ ^ფ (კ ^ფ) წ ქ კ }		ტ ^ფ	ყ	ხ
სპირანტი	ფშვინგ.	მქლერი		ზ	ჟ	ღ		ჭ
		ძლიერი		{ ს ^ფ შ ^ფ ხ ^ფ }	ხ'	{ ლ ^ფ }		ჭ ^ფ
		სუსტი		{ ს (შ) ხ }	ხ'	{ ლ ^ფ }		ჭ ^ფ ჰ

სონანტები: ვ; ა; რ, ლ, მ, ნ

ძირითადი, რითაც ეს სქემა ზემოთ განხილულისაგან განსხვავდება, ისაა, რომ აქ მკაფიოდაა წარმოდგენილი დაპირისპირება ძლიერ და სუსტ თანხმოვნებს შორის. ნაცვლად კილოკავთა დასავლური ჯგუფის სამი წყვილისა, აქ ათი წყვილი გვაქვს (ც—ც^ფ, ჩ—ჩ^ფ, ქ—ქ^ფ, კ—კ^ფ, წ—წ^ფ, ჰ—ჰ^ფ, ს—ს^ფ, შ—შ^ფ, ხ—ხ^ფ; ლ'—ლ'^ფ). წყვილთა ამ სიმრავლეს აპირობებს ისეთი ბგერების არსებობა (განსხვავებით დასავლური ჯგუფის კილოკავებისაგან), როგორცაა: ც, ც^ფ, ჩ^ფ ქ^ფ, კ^ფ, ლ'. თლისურში უკეთაა წარმოდგენილი ლატერალთა რიგი: ნაცვლად, მაგ., თლონდოდურის ორი ლატერალისა (ტ^ფ და ლ'^ფ) თლისურში ოთხი ლატერალია: ლ', ტ^ფ, ლ'^ფ, და ლ'.

თლისურში არა გვაქვს პალატალიზებული უკანაენისმიერები (გ', ქ', კ'), რამდენადაც ისინი შიშინა თანხმოვნებში (სათანადოდ ფ, ჩ, ჰ-ში) გადავიდნენ (იხ. § 16).

ცალკეულ ბგერათა გამოთქმა თლისურში ისეთივეა, როგორც, მაგალითად, თლონდოდურში (წჁ და კჁ, აქაც აბრუპტივი სპირანტებია, მაგრამ საერთო სქემაში მათი მოთაქება ხშულებთან უფრო გამართლებული ჩანს).

რიგ ფონემას (ქჁ, კჁ, შ) სუსტი ფონოლოგიური დატვირთვა აქვს (იშვიათად გვხვდებიან და სათანადო კორელატთან შერწყმის ტენდენციას ავლენენ).

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს თლისურ-თლიბიშოურისათვის დამახასიათებელი ერთი მოვლენა: სუსტი სიბილანტები (განსაკუთრებით წ, ჰ, ს, შ) იმდენად ძლიერად გამოითქმიან, რომ ზოგჯერ მათი გარჩევა ჭირს სათანადო ძლიერისაგან (წ/წჁ, ჰ/ჰჁ, ს/სჁ, შ/შჁ). სუსტი შ, მაგალითად, თითქმის არც კი დასტურდება (შ > შჁ).

სხვაობა დასავლურ (მაგ. თლონდოდურ) და აღმოსავლურ (მაგ., თლისურ) კილოკავთა შორის ისტორიულად ადვილი ასახსნელია: თლისური სქემა არქაულია, ხოლო თლონდოდური—ახალი და ძლიერ გამარტივებული (ერთ-ერთი ყველაზე გამარტივებული ხუნძურ-ანდიურ ენებში!). ეს გამარტივება შეპირობებულია ისტორიულად მოქმედი რიგი ფონეტიკური პროცესით. უმთავრესია: აფრიკატთა სპირანტიზაცია (იხ. § 17), ლატერალთა ცვლადობა (იხ. § 18), ქჁ და კჁ თანხმოვანთა გაქრობა (იხ. § 19, 20).

§ 9. ცალკეულ თანხმოვანთა შესახებ. ფარინგალური მკლერი სპირანტი ჯ ანდიურ ენებში (თუ ნასესხებ სიტყვებს არ მივიღებთ მხედველობაში—ხუნძურიდან, არაბულიდან) საერთოდ იშვიათია, თუმცა ასეთ შემთხვევაშიც შეიძლება შეიცვალოს ც-თი (როგორც ფაქულტატური ვარიანტი). ბაგვალურში, განსაკუთრებით თლისურში, ჯ შედარებით მკვიდრად გრძნობს თავს (ოლონდ მისი ისტორიული რაობაა გაურკვეველი). მაგ.: ჭუჭუჩა, „ქათამი“, ჭამი „ვირი“, ჭასა „თრთვილი“, ჭაჩობ „მწვანე“, ჭეჩ „ვაშლი“, ჩვაჭა „თევზი“, ჭარა „თავთავი“, მიჭარ „ცხვირი“, ბაჭა „სახე“ (შდრ. თლონდ. ბაჭა „სახე“, მეჭელ „ცხვირი“)..¹⁸ ამ მაგალითებშიც ძნელია გამოვრიცხოთ ხუნძურის გავლენა (შდრ. ხუნძ. ჭეჩ „ვაშლი“, ჭურჩინაბ „მწვანე“, ჩაუჭა „თევზი“, მეჭერ „ცხვირი“)¹⁹ ან ხმაბაძვის ელემენტები (ჭამი „ვირი“, ჭუჭუჩა „ქათამი“). არაბულ-ხუნძურიდან შემოსული სიტყვები ჯ-ს ჩვეულებრივად ინახავს (ყაჭიდა „ყაიდა“, საჭათ „საათი“, მუტეჭაბ „დამჭერე“)..

ანალოგიურ მდგომარეობაშია ჯ-ს ყრუ შესატყვისი ჰჁ. ანდიური

¹⁸ თლიბიშოურში ბაჰა „სახე“. ცხვირის აღმნიშვნელი სიტყვა ყველგან ჯ-ს ავლენს (თლონდ. მეჭელ, ხუმტ. მეჭერ, კეან., თლის., თლიბ. მიჭარ).

ენებისათვის **ჰ** არაა ნიშნული (თუმცა მაგალითები მისი ხმარებისა— განსაკუთრებით ნასესხებ სიტყვებში.— ჩვეულებრივი მოვლენაა). ბაგვალურში (განსაკუთრებით თლისურში) **ჰ** საკმაოდ გვედრია: ჰოქელ „ორთქლი“, ჰადურ „ზა“, ჰელექო „მამალი“, ჰაეათაბ „საჭირო“, ჰიფაიდე „დაიხვიეინა რა“, აჰე-ჰელა „ღრიანცელი“, საჰა—საწყაოა... თითქმის ყველა ეს სიტყვა ნასესხები ჩანს (ხუნჭურიდან, არაბულიდან), მაგრამ რამდენსამე შემთხვევაში **ჰ** ვლინდება თლისურში სხვა ანდიურ ენათა ანლაუტისეული **ჰ**-ს ნაცვლად (პირველადი **ჰ** არაა): ჰერტემე „ფესვი“, ჰარწა „ჰიანკველა“, შდრ. აგრეთვე ხუშტადური ჰაჰაჰა „ძირს“. კვანადურში **ჰ** გვაქვს საკუთარი მარაგის სიტყვაში ვუჰაეო ეკვა „ღვიძაქს“.

თავდაპირველადი **ც** ბაგვალურში **ხ**-ში გადავიდა. თლისურში სპორადულად **ც** დასტურდება: არც (თლონდ. არს) „ფული“, ცეპ (თლონდ. სებ) „ერთი“. შდრ. სხვა მაგალითები: -ბასან „უამბო“ (< *ბაცან, შდრ. ხუნძ. ბიცანა), ბისან „ნახა“ (< *ბიცან, შდრ. ახვ. მიჩენი); უნსა „ხარა“ (< *უნცა, შდრ. ხუნძ. იც), სინ „დათვი“ (< *ცინ, შდრ. ხუნძ. ცი) და სხვ.

თითო-ოროლა შემთხვევაში **ც** სხვა კილოკავებშიც ჩანს: დარც „ბაჰია“ (კვან.), ფერც „გუთანი“ (თლის., შდრ. თლონდ. ფერეწა, ხუნძ. ფურეცა), ლახაეც II რახაეც „ჩაჰვი“ (ხუშტ., შდრ. ხუნძ. რახაასა)...

გვხვდება რამდენიმე გაორკეცებული თანხმოვანი, მაგ. დდ (გამოითქმის როგორც გემინატი თთ), ლლ. ორივე კომბინატორული გზითაა მიღებული, მაგ. დდ < ბდ (იხ. § 26), ხოლო ლლ < რლ (იხ. § 25) ან კიდევ ორი ლ-ს შეხვედრით. ყველა ეს ბგერა (დდ, ლლ...) მორფემათა საზღვარზე გვხვდება (მაგ. ბაზარ-ლა > ბაზალლა „ბაზარში“, ჰინწილ-ლა > ჰინწილლა „თითიც“). ზოგჯერ ორმაგ ლლ-დ ისმის ისტორიული ტ'-ს რეფლექსი ხმოვანთა შორის. ორმაგი ლლ აქვს ხუშტადურს ნამყოღროის აბსოლუტივის ფორმაში (კომბინატორულ ნიადაგზე, იხ. § 26)¹⁹.

უფრო იშვიათია ნნ (ასევე კომბინატორულად მიღებული ნლ-საგან, იხ. § 26).

ცალკე უნდა აღვნიშნოთ პალატალიზებული ნ'-ს არსებობა ხუშტადურში ეს დასტურდება არსებითად მხოლოდ ერთ ზმნისართში (და

¹⁹ ლლ ისმის ზნაში სალი „უბინა“ (კვან., ხუშტ.), კვალლი „ადლდა“ (კვან.) ასევე: ჰელა „დაწევა“ (შდრ. ჰელა „შეუყვარდება“), ლლე! „ეი“ (ხუშტ.). ლლ-ს წარმოშობა აქ უცნობია. ლლ გვხვდება სხვათა სიტყვის აფიქსში: ბეკვასა-ალლი „იქნებაო“ (ხუშტ.), ებახალი „ნეტავ რაო“ (ხუშტ.), ზოგი ინფორმატორი აზრიაუნებს ტ'-ს რეფლექსს, მაგ. ბაღილა „ყვირილი“ და ბაღილა „ჩაცმა“. ამოსავალია ორივესთვის ომონიმური *ბატ'- ფუძე (შდრ. ბოთლ. ბაგ- 1. დაძახა, 2. წაიკითხა, 3. ჩაიკვა). ზოგან ლ > ლლ ინტენსიურობისათვის ხაზგასმით შეიძლება იყოს გამოწვეული.

მისგან ნაწარმოებ სიტყვებში): უნ²⁰ „იქ“ (უნ²⁰-სა „იქიდან“)... ახ²⁰ „აქ“ (|| ახ²⁰, ახ²⁰-და „აქვე“). ნ²⁰ პალატალიზებული ჩანს მომდევნო ი-ს გავლენით (შემდგომ ი წინ გადასმულა): უნ²⁰ „იქ“ < *უნი (მეტათეზისით *უენ). ახ²⁰ „აქ“ < *ანი (მეტათეზისით აენ, რაც არსებობს კიდევ).

თლობიშოურში დასტურდება რბილი ლ, რომელიც მკაფიოდ ისმის ინტერვოკალურ პოზიციაში, როლესაც ლ-ს მომდევნო ხმოვანია ა (ალა, ელა, ოლა, ილა): წანდალ²⁰ „დაცვა“ (ინფინიტივის -ალა დაბოლოება რბილ ლ-ს შეიცავს), იმაკოლ²⁰ „მამაც კი“, ჰელ²⁰-აღუსა „უქანა“... რბილი ლ ზოგიერთის გამოთქმაში ანლაუტსა და აუსლაუტშიც გვხვდება (მულულ²⁰ „ზურგი“, უსთულ²⁰ „მაგიდა“, ლ²⁰-ამადურ „სტაფილო“, ლ²⁰-აჩა „შალაშინი“). ფონემას რბილი ლ²⁰ არ წარმოადგენს.

ფონეტიკური პროცესები

§ 10. ვიწრო ხმოვნების მოკვეცა. სიტყვის (უპირატესად სახელის) აბსოლუტურ ბოლოში უმახვილო ვიწრო ხმოვნები ი და უ იკვეცება: ი იკვეცება საესებით, ხოლო უ-მ შეიძლება კვალი დატოვოს ვ-ს სახით, რომელიც ფონეტიკურად რეალიზებულია როგორც მეტად მოკლე უ. ეს პროცესი ბაგვალურის ყველა კილოკავს ახასიათებს. ბრუნების პროცესში, ზე სახელი ისტორიულად ერთფუძიანი ბრუნებისაა, სათანადო ხმოვანი (სახელობითის ფორმაში მოკვეცილი) შენარჩუნებულია, რამდენადაც აქ ეს ხმოვანი დახურულ მარცვალში აღმოჩნდება (და არა აბსოლუტურ ბოლოში)²⁰.

ი-ს მოკვეცა (მაგალითები თლონდოდურია, ფრჩხილებში მითითებულია ირიბ ბრუნებათა ფუძე, სადაც სახელობითის ფორმაში მოკვეცილი ხმოვანი დატულია): მიწა (მიწაი-) „ენა“, მიყ (მიყი-) „გზა“, რიტა (რიტაი-) „ხორცი“, ილ²⁰ (ილ²⁰ი-) „ჩვენ“ (ინკლუზივი), ვასა „ძმა“, დასა „და“, მილპ (მილპი-) „მზე“, უნშა „მიწა“, თუფ „თოფი“, მიპ „მატყლი“, ლან „პური“, რაჟ „ნიორი“, ტუბ „ნაწილი“, ჰანტ „რწყილი“, რატა „ძვალი“, ნაწა „ტილი“.

ამავე რიგისაა მესერ „ოქრო“, მერ „ლუდი“, ჰურ „შეშა“... აქ ბოლო რ მიღებულია დ-საგან. პროცესი დ > რ ვერ მოხდებოდა, ბოლოში რომ ხმოვანი არ ყოფილიყო (იხ. § 22). ასევე: მაკ²⁰ „ბავშვი“, შეკ²⁰ „ძარღვი“ გვიჩვენებს, რომ აქაც -ი მოკვეცილია, წინააღმდეგ შე-

²⁰ ბოლო -ი და -უ დატულია ანდიურ ენათა უმეტესობაში, ზოგს ენაში კი. მაგალითად ჰამალურში (თუმცა არა ყველა კილოკავში). ხსენებულ ხმოვანთა მოკვეცა კიდევ უფრო ძლიერია, ვიდრე ბაგვალურში. მაგ.. ჰაქვარულ კილოკავში მოკვეცილია ი ნამყოს-ფორმებშიც (ბეტა-ი > ბეტა „მონა“). წყარო: *ქართული ენის ფონეტიკა* შ. 1977 წ. გვ. 107-108.

მთხვევაში კ-ს პალატალიზაცია არ მოხდებოდა (იხ. § 16). ერგატვის ფორმაში მოკვეცილია ი: ილურ „დედამ“ < ილური (< ილუ-დი), ვარან-დ „აქლემმა“ < ვარან-დი და მისთ.

რიგ შემთხვევაში ი მოკვეცილი არაა: ნამყო დროის ფორმებში (ე. წ. „ი რიგის“ ზმნებში): ბეჰი „მოიტანა“, ბელ'ი „წავიდა“ (თლონდ.). უბი „გააკეთა“, წიარი „დალია“ (თლის.). წინი „უჩხელიტა“, ბიპი „მოიტანა“ (კვან.).

ზმნისართებში: სუნი „გუშინ“, ეპელი „დღეს“, ეში „შინ“, არი „აქ“, ორი „იქ“, აპი „ზევით“, პიტჰი „ქვევით“, პინი „შიგნით“, სეერი „წინ“, პარდი „ძალიან“. ამავე რიგს მიყვება ზოგი ლოკატივი და ადგილის სახელი: ყეპენი „ტომარაში“, კაფინი „ქოთანში“, პური „ყანაში“... ირი „ტინდი“ (აულია), ჰემესი „ჰემერსო“ (აულია), ასანტი „ასანტი“ (ხუტორია), ლ'ენტი „თლენტლი“ (ხუტორია). პირის ნაცვალსახელები: ილ'ი „ჩვენ“ (ინკლუზ.), იში „ჩვენ“ (ექსკლუზ.), ბიშთი „თქვენ“.

სახელთა მრავლობითის ფორმები: ჰაკუაბი. „ცოლები“, გიზანაბი „ოჯახები“... ნასესხები სიტყვები: ყოტი „პირობა“, შაპი „შაური“, ჩინი „ფაიფური“.

ხმოვნის (ნაზალურის) მომდევნო ი არ იკვეცება (თუმცა გამოთქმაში მოკლე ი-დ ისმის) წაიი „მარილი“, ჰვაიი „სუნი“, ქუნი „მამალი ცხვარი“, კუნი „კვამლი“, ჰუნი „თესლი“.

უ-ს მოკვეცა (მაგალითები თლონდოღურია, ფრჩხილებში მითითებულია ირიბ ბრუნვათა ფუძე, სადაც სახელობითში მოკვეცილი უ. დაცულია არაბოლოკიდურ პოზიციაში): ყარ (ყარუ-) „დრო“, ყურყ (ყურყუ-) „ბაყაყი“, ილპ (ილპუ-) „ცური“, ანეთ (ანეთუ-) „ნაჯახი“, ზებ „დღე“, ბოწი „მთვარე, თვე“, ჰვებ „წისქვილი“... კათვ (კათუ-) „ცხენი“, მილპვ (მილპუ-) „ფრჩხილი“, ლაევ (ლაეუ-) „ხელი“, ლუნღვ (ლუნღუ-) „მტრედი“, ბუჰვ (ბუჰუ-) „ბუ“, ტუნტვ (ტუნტუ-) „ბუზი“, სუსუკვ (სუსუკუ-) „საკერი“, ჰათვ (ჰათუ-) „მუჭი“, ნიჰვ (ნიჰუ-) „მუხლი“, ისვ (ისუ-) „ლოჯის კბილი“, ლეწვ (ლეწუ-) „მამა“, მიეთვ (მიეთუ-) „წვერი“ (нопия), მატვ (მატუ-) „სიზმარი“, ჰილვ (ჰილუ-) „ფრთა“, „ფსკერი“, ყერვ (ყერუ-) „ხორბალი“, სინვ „წებო“, იჩვ „კაკი“, მუჩვ „ქარი“ და სხვ. მრ.

უ-ს სრულ მოკვეცასა და ვ-ში (-ჟ, ჟ) გადასვლას შორის მკაფიო ზღვარი არა ჩანს, ხშირია პარალელური ფორმები: ლუნღვ || ლუნღ „მტრედი“, ბუჰვ || ბუჰ „ბუ“, მიეთვ || მიეთ „წვერი“, მუჩვ || მუჩ „ქარი“ და მისთ. ზოგჯერ ფაქულტატურად უ ხმოვანიც დასტურდება: სალუ || სალუ || სალ „კბილი“, ყუნეუ || ყუნეუ || ყუნე „ჭიანჭველა“.

როგ შემთხვევაში ბოლოკიდური უ და ც უ ლია:

ნაშყო დროის ფორმებში (აქ უ წარმოშობით ჟ + ი-საგან მოდის, ჟ წინამავალი ფუძისეული თანხმოვნის ლაბიალიზაციის ელემენტია. ხოლო ი ნაშყოს ნიშანი „ი რიგის“ ზმნებში): ბუყუ „გაჰრა“, ბუხუ „დარჩა“, ბუჭუ „დაკლა“. ზმნისართვებში: ეკუ „მეტი“, ტეებუ „დღისით“. ნასესხებ სიტყვებში: თათუ „გემო“, მატუ „სარკე“, ჰაელექუ „მამალი“²¹.

მახვილიანი უ არ იკვეცება:

უ-ს დასუსტების შედეგად ბაგვალურში (ისევე, როგორც ჰამალურში) აუსლაუტში იქმნება ფ. ზე დაბოლოებული თანხმოვანთკომპლექსები (ქათუ „ცენი“ და მისთ.), რაც ხუნძურ-ანდიური ენებისათვის უცხოა²².

§ 11. ხმოვანთა რედუქცია ინლაუტში. შეინიშნება ხმოვანთა (ჩვეულებრივად ვიწრო ი ხმოვნის) რედუქცია ფონეტიკურად განსაზღვრულ პირობებში: 1. შუა (არათავკიდურ და არაბოლოკიდურ) მარცვალში (ინტერსილაბურ პოზიციაში). 2. ი მოქცეულია ორ თანხმოვანს შორის, ამასთან წინა თანხმოვანი სონორია 3. მორფემათა საზღვარზე. ცხადია, გვაქვს სხვა ხმოვნებისა და სხვაგვარ პირობებში დაკარგვის შემთხვევაც, მაგრამ განმსაზღვრელ პირობად ჩამოთვლილ სამ პირობათაგან ერთ-ერთი მაინც არის ხოლმე²³.

აწმყო ზოგადის -იდა (-ინდა) ნიშანი, როცა ის სონორზე დაბოლოებულ ფუძეს ერთვის, კარგავს ი-ს.

წაარ-იდა > წაარ-და „სვამს“ (თლის.)

ყამ-იდა > ყამ-და „ჭამს“ (თლის.)

შდრ. ეიპ-იდა „აეეთებს“, ბაწე-ინდა „ჰკითხულობს“, ბას-ინდა „მოუთხრობს“.

კენადურში მასდარის აფექტიური ბრუნვის ფორმაში მასდარისეული რ-ს მომდევნოდ ი იკარგება:

²¹ ბაგვალურში ი-სა უ-ს მოკვეცის ზოგი საკითხის შესახებ იხ. ჩენი: თანხმოვანთა ერთი რიგის ცვლილებები... გვ. 103, ი. ევრცეაძე, ბოლოკიდურ ხმოვანთა მოკვეცისათვის ანდიურ ენაში, სმამ. 1959, № 2, ტ. 23.

²² ხუნძურში ასეთი კომპლექსები (თავისთავად მეორეულ-ხმოვნის მოკვეცილ მიღებული) გამარტივდა: რაჟ < რაჟე (< რაჟეა) „გული“, ბაყ < ბაყე „მზე“, ბაჟ < ბაჟე „ადგილი“, სეჟ < სეჟე-„დალა“... იხ. ჩენი: „Консонантизм“. გვ. 63.

²³ ჩამოთვლილი პირობები მისაღები ჩანს ყველა ანდიური ენისათვის, სხვათა შორის ასეა შეზღილი ზმნის ფუძეს აფიქსიციული და ანდიურში (ჭვარდ- „წერა“ და მისთ. <ჭვარ-იდ- და მისთ.). იხ. აგრეთვე ჩენი Сравнительный анализ глагольных основ в аварском и аидийских языках, მაჰაჩყალა, 1959, გვ. 30 და შდრ. მარცვალ, რომელშიცაა სარედუქციო ი, მოქცეულია მარცვალთა შორის: VC^s ი CV — VC^sCV.

ბეტვირბა > ბეტვირბა „ხენას“ (შდრ. ნათ. ბეტვირილ'ა).

ხუშტადღურში კაუზატივის ნამყოს აბსოლუტივის ფორმაში კაუზატივისეული -ალ ნიშნის მომდევნოდ იკარგება აბსოლუტივის -იბო დაბოლოების ი (შემდგომ ადგილი აქვს თანხმოვანთა შერწყმას, იხ. § 27): სოორ-ალ-იბო > სოორ-ალ-ბო (>სოორალლო) „დააბრუნა რა“, ტელ-იბო > ტელ-ბო (ტელლო) „შეარქობინა რა“.

დასტურდება უ-ს რედუქციის შემთხვევები (ზემოთ მითითებულ პოზიციაში). კვან.: ჰაბუ-ბეშენ > *ჰაბბეშენ > ჰაბეშენ „სამასი“, ბუყუ-ბეშენ > ბუბეშენ „ოთხასი“, ინშთუ-ბეშენ > ინშთბეშენ „ხუთასი“, ჰატყუ-ბეშენ > ჰატბეშენ „შვიდასი“²⁴.

მრავლობითი რიცხვის მიცემით ბრუნვაში რიცხვის -ალ ნიშნის მომდევნოდ იკარგება ირიბ ფუძეთა მაწარმოებელი უ:

მაკ'-ალ-უ-ლა > მაკ'-ალ-ლა „ბაეშვებს“ (შდრ. ნათ. მაკ'-ალ-უ-ბ „ბაეშვების“). კვან. .

მითითებით-ნაცვალსახელური ფუძე უჰუ-ირიბ ბრუნვებში ფაკულტატურად კარგავს ბოლო უ-ს:

უჰუ-შაუბ > უჰ-შაუბ „იმიისი“ (ნათ. I კლ.). კვან.

უჰუ-ლ'იბა > უჰ-ლ'იბა „იმას“ (აფექტ., II—III კლ.). კვან.

უჰუ-რიბა > უჰ-რიბა „იმათ“ (აფექტ. მრ. რ.). კვან.

ლოკატივის -ლა ნიშნის წინ ხშირად იკარგება ფუძისეული ხმოვანი (არა მხოლოდ ვიწრო) სონორის მომდევნოდ:

ქილა „ხუტორი“ ქილ-ლა „ხუტორში“ (კვან.)

კამა „სახურავი“ კამ-ლა „სახურავზე“ (კვან.)

ხმოვნის რედუქცია შეიძლება გამოიწვიოს მეორე ხმოვანთან შეხვედრამ, მაგ. ტე-ალ-იბო > ტე-ლიბო > ტე-ლბო > ტელლო „შეარქობინა რა“ (კვან.), შდრ. ტე-იბო > ტებო „შეარქო რა“. მაგრამ უფრო ჩვეულებრივი ასეთ პირობებში ხმოვანთა შერწყმაა (იხ. ქვემოთ).

§ 12. ხმოვანთა ახიმილაცია და შერწყმა. ბავალური ხმოვანთა თავმოყრას გაურბის. ორი ერთმანეთის გვერდით მდგომი ხმოვნიდან ერთ-ერთი იკარგება ან მარცვლოვნობას კარგავს (უ > ვ, ი > ჯ), ან კიდევ ხდება ხმოვანთა შერწყმა, რაც ჩვეულებრივად გრძელი ხმოვნის წარმოქმნას იწვევს. ერთმანეთის გვერდით ორი ხმოვნის მოხვედრა თავისთავად მეორეული ფაქტია: ხმოვანთშუა თანხმოვნის დაკარგვაა ამგვარი მეზობლობის მთავარი მიზეზი, უფრო იშვიათად კი ხმოვნით დაბოლოებულ ფუძეზე ხმოვანი სუფიქსის დართვა.

ერთმანეთას მიყოლებით ორი ხმოვანი მაშინ შეიძლება გამოით-

²⁴ ბეშენ „ასი“ სიტყვის წინ დაკარგულია ა: ჰაჰა-ბეშენ > ჰაჰბეშენ „ცხრაასი“.

ქვას, თუ ხმოვანთა შუა გასაყარად ქ გაჩნდება (რადგონ „აოონი“, რადიკუ „რადიო“.). ხშირად ერთი და იგივე სიტყვა გამოითქმის ორი ხმოვნით (შუაში ქ-ს ჩართვით) ან შერწყმულად: ბიყირა || ბიირა || ბირა „იცი“ და სხვ. მრ.²⁵

ხმოვანთა შერწყმისას თუ ერთ-ერთი კომპონენტი ნაზალიზებულია, წარმოქმნილი ხმოვანიც ნაზალიზებული იქნება. შერწყმა გავრცელებულია დახურულ მარცვალში.

ხმოვანთა ურთიერთმოქმედების უმთავრესი შემთხვევები:

1. ილენტურ ხმოვანთა შერწყმა იძლევა იმავე რიგის გრძელ ხმოვანს ($\text{ა} + \text{ა} > \text{ა}, \text{ო} + \text{ო} > \text{ო}, \text{უ} + \text{უ} > \text{უ}$ და ა. შ.): წა-ალ > წაალ „დაალეინა“ (ხუშტ.), ვა-ალ > ვალ „მიაყვანინა“ (ხუშტ.)²⁶, ბიყირა > ბიირა > ბირა „იცი“ (თლონდ.), იპი-ილო? > იპირლო? „გააკეთა?“ (თლონდ.-ილო კითხვ. ნაწილაკია), ბუყურა > ბურა > ბურა „ოთხი“ (თლონდ.), *ჰვაყობ > ჰოყობ > ჰობ > ჰობ „კარგი“ (თლონდ.).

ასევე შეიძლება იყოს წარმომდგარი ინფინიტივის ვ დაბოლოება კვანადურში (კვარს „წერა“, ბასან „თბრობა“...): $\text{ვ} < \text{ა} < \text{აპ} < \text{ალ}^{\cdot} \text{ა.ლ}^{\cdot} \text{ა}$ ინფინიტივის ნიშანია ტინდიურში, ისტორიული ლ^{\cdot} კი ხმოვანთა შორის კვანადურში ჰ-ს იძლევა, რომელიც შემდგომ დაკარგულა.

2. $\text{ე} + \text{ა} > \text{ა}, \text{კ}^{\cdot} \text{ე} + \text{ჰაწა} > \text{კ}^{\cdot} \text{აწა} > \text{კ}^{\cdot} \text{აწა}$ „ოცი“ (კვან.).

აქ ჯერ ჰ დაკარგულია (იხ. § 29); შემდეგ კი ხმოვანთა შერწყმა მომხდარი. შდრ. კერა „ორი“, ჰაწარა „ათი“. ეგვე სიტყვა („ოცი“) თლისურში ჰაჰაწადა-დ იხმის (< ქე-ჰაწადა ასიმილაციით).

3. $\text{უ} + \text{ა} > \text{ვა}$. ა-ს წინ უ მარცვლოვნობას კარგავს. კომპლექსი უ-ა ხშირად იქმნება სახელთა ბრუნების დროს, როდესაც ირიბ ფუძეთა ერთ-ერთ მაწარმოებელ უ ხმოვანს (ან შაუ ელემენტს მხ. რ. I კლასში) დაერთვის მიცემითის -ა ნიშანი (სხვა ბრუნებებში უ დაცულია): ბეჭერ-შაუ-ა > ბეჭერ-შავ-ა „შავს“, იმა-შაუ-ა > იმა-შავ-ა „მამას“. ინ-შაუ-ა > ინ-შავ-ა „თვით“ (მხ. რ.), ინდ-უ-ა > ინდ-ვა „თვით“ (მრ. რ.) ასევე: ინშთუ-ქაწა > ინშთვ-აწა „ორმოცდაათი“ (ინშთურა¹ + ჰაწა[რა]).

ანალოგიური ფორმები ახასიათებს კვანადურს, თლისურს. ამ უკანასკნელში ვ-ც იკარგება (როცა წინა მარცვალში უ მონაწილეობს): ჰუ-შაუ-ა > ჰუ-შავ-ა > ჰუ-შა-ა „მას“ (I კლ.).

მეტად იშვიათია, მაგრამ, როგორც ჩანს, ასევე იცვლება ოა კომპ-

²⁵ აბსოლუტურ ბოლოში ძლებს ნაზალური ხმოვნის მომდევნო ი ორმარცვიან სიტყვაში (თამცა ი ძალზე მოკლედ იხმის): წაიდი „მარდი“, კედი „კვამლი“ და ბისთ. (იხ. ზემოთ).

²⁶ მაგრამ $\text{ქვა-ალ-იზო} > \text{ქვალლო}$ „დააწერინა რა“ (თანხმოვანთკომპლექსის წინ გრძელი ხმოვანი არ გვხვდება?).

ლექსიც: ჰულდ-ო-ა > ჰულდ-ა „მათ“ (მიც. ბრ., თლის. ირიბ ბრუნვა-თა ფუძეა ჰულდ-ო-, რაც სხვა ბრუნვებში დაცულია).

4. ი + ა > ა. ა-ს წინ ი იკარგება. პროცესი გავრცელებულია კვანადურსა და თლისურში. კომპლექსი ია ხშირად იქმნება მიცემითის ფორმაში, როცა ირიბ ბრუნვათა ფუძე ნაწარმოებია ი ხმოვნით (ან ლ'ი ელემენტით მხ. რ. II და III კლასებში) და მას მიცემითის ა დაერთვის (სხვა ბრუნვებში ფუძისეული ი დაცულია): ილ'ი-ა > ილ'ი-ა „ჩვენ“ (ინკლუზ.), ილ'ი-ა > ილ'ა „ჩვენ“ (ინკლუზ.) თლის., იში-ა > იში-ა „ჩვენ“ (ექსკლ.), ინლ'ი-ა > ინლ'ი-ა „თვით“ (მიც. II—III კლ.), ბექერ-ლ'ი-ა > ბექერ-ლ'ი-ა „შავს“ (II—III კლ.), ჰული-ლ'ი-ა > ჰული-ლ'ი-ა „მას“ (I—III კლ.). ასევე: ბიტჟი-ქაწა > ბიტჟაწა „ოთხმოცი“ (ბიტჟი-რა] + ჰაწა[რა]).

5. ა + ი > ე || ე. აი კომპლექსი შერწყმით ე-ს იძლევა (ე შემდგომ ე-დაც შეიძლება შეიცვალოს). ამავე შედეგს იძლევა აჟ კომპლექსიც. შერწყმის ეს სახეობა ხშირია (განსაკუთრებით თლონოდურში). მაგ. ა ხმოვნით დაბოლოებული ზმნურ ფუძეებში ი ხმოვნით დაწყებულ სუფიქსთა დართვის შემთხვევაში აი-ს შერწყმით ე წარმოიქმნება (მაგ. ნამყოს ფორმებში, სადაც ერთ-ერთი ნიშანია ი, კითხვით ფორმებში -ილო სუფიქსის დართვისას, ნამყოს აბსოლუტივის ფორმებში -იზო სუფიქსის დართვისას, ინჟინტივის -ილა სუფიქსის დართვისას და სხვ.):

გვა-ი > გვე „დაწერა“, კვა-იბო > კვებო „დაწერა რა“, კვა-ილა > კველა „წერა“. კვა-ილა > კველა || კველა „კვლა“, ყა-ინა > ყენა „ჰამა“, იპია-ილო? იპიჟლო? „აკეთებს“, გვარა-ილო? > გვარლო? „წერს“, ბასინა-ილო? > ბასინლო? „ამბობს“, ვიჰა-ილო? > ვიჰლო? „მოკვდა“, ბასა-ილო? > ბასნლო? „უამბობს“, იპ-ა[ლ]-ილა > იჰლა „გაკეთებინება“, იპილა + ირა > იპილორა || იპილორა „გაკეთებს“ (ინფინიტივი + მეშველი ზმნა ირა „არის“), ჰაყა.ილოლა > ჰაყელოლა „უნახავს“ (თლის.).

ამავე რიგისაა: ჩენიქ (< ჩაინიქ) „ჩაიდან“, შეტან (< შაეტან) „ეშმაკი“ ჩელ'ი (< ჩაილ'ი) „ჩაის“ (ნათ. ბრ.), კელ'ი (< ჯა-ილ'ი) „ლურჯი“ (წარმოშობით ნათ. ბრ. ფორმაა), ჰიკ'ელა (< ჰიკ'ა „დილი“ + ილა „დედა“) „ბებია“, ჰიკ'ემა (< ჰიკ'ა „დილი“ + იმა „მამა“) „ბაბუა“, წელ'ი (< წა-ილ'ი) „ცეცხლის“ (ნათ. ბრ.).

ხუშტადურში აი > აჟ ნამყოს ფორმებში: წა-ი > წაჟ „დალია“ (შდრ. თლონდ. წაჟ), გვა-ი > გვაჟ „დაწერა“ (შდრ. თლონდ. გვე), იპა[ლ]ილა > იპაჟლა „გაკეთებინა“ (შდრ. თლონდ. იჰლა), ბუყა[ლ]-ილა > ბუყაჟლა „გაჭრევიება“ (შდრ. თლონდ. ბუყლა), კვა-იბო > კვა-ებო „დაწერა რა“ (შდრ. თლონდ. კვებო).

მაგრამ აი > ე გვაქვს მაგალითებში: ვა-ილ > ველ „მოსვლამდე“,

დარაილ'ის > დარელ'ის „აბრეშუმის“, პაჯაიბისა > პაჯებისა „საოცარი“. კენადურში აი/აჲ > ა: კეა (< კეა-ი) „მოკლა“, თა (< თაჲ) „კეიცი“, ყა (< ყაჲ) „ნიეთები“, „შინ“, ჭაბ (< ჭაჲბ) „ბრალ“, თაჲა (< თა-ჲა) „გური“, ყარა (< ყაჲრა) „მზაღება“, ყანა (< ყაჲნა) „ქამა“. ჳაღ'ის (< ჳაიღ'ის) „ლურჯი“, ჳანან (< ჳაჲანან) „ტაფა“.

6. $o + e > \bar{e}$. ბუკვებო ეკვა > ბუკვაბეკვა „ყოფილა“ (კვან., ნამყოს აბსოლუტივი + ეკვა „არის“. პროცესი სისტემატურია).

7. $o + i > \bar{e} \parallel e$. ნამყოს აბსოლუტივი (რომელიც -იბო დაბოლოებით იწარმოება) + ირა „არის“ თლონდოდურში სისტემატურად $\bar{e} \parallel e$ ხმოვანს ქმნის: იპიბო ირა > იპიბერა \parallel იპიბერა „გაუკეთებია“.

ხუმტადურში ანალოგიურ ფორმებში $oi > i$ (ე. ი. o იკარგება): ეუკვაგო იდა > ეუკვავიდა „ყოფილა“, ვიქავო იდა > ვიქავიდა „მომკვლარა“.

8. $o + o > ao$. მეტად იშვიათაა: ველ'ეიდ-ოლა > \parallel ველ'ეიდოლა „წასულა“ (თლას.).

9. $e + i > \bar{e}$. ტე-იბო > ტეზო „შეარქო რა“ (ხუმტ.).

10. $e + a > \bar{e}$. ე-ს მომდევნო ა იკარგება (იხ. ზემოთ).

ხმოვანთა სხვადასხვაგვარი კომპლექსი სხვადასხვაგვარად იცვლება, ამიტომაცაა, რომ ერთი და იგივე ზმნა პარადიგმაში სხვადასხვა იმოვანს ავლენს ხოლმე: ტელა „შერქობა“ < ტე-ილა, ტე „შეერქო“ < ტე-ი. ტელილა „შერქობინება“ < ტე-ალ-ილა...

11. ვი > უ. სისტემატური ხასიათისაა ვი კომპლექსის გადასვლა უ-ში (შერწყმა) განსაკუთრებით (მაგრამ არა მხოლოდ) ზმნებში. ამ პროცესის შედეგია ნამყოს უ-ს არსებობა ბაგვალურში (და რიგ სხვა ანდიურ ენაში) ლაბიალურ ვ-ზე დაბოლოებულ ფუძეებთან მოსალოდნელო (ვა სხვა ფუძეებთან დაცული) ი-ს ნაცვლად. თუ ზმნა ნ თემის ნიშნაინა, უ-ს ნაცვლად ნაზალიზებულ უფ-ს ვიღებთ²⁷. მაგ. (თლონდ.):

ბუხაუ „ღარჩა“ < ბუხავ-ი, ბუშაუ „იძრო“ < ბუშავ-ი, ბუყუ „გაქრა“ < ბუყვ-ი, რეშაუ „გაალო“ < რეშავი, ბუქუ „დაკლა“ < ბუქვ-ი, ბუკუ „ჩაყლაპა“ < ბუკვ-ი.

თლისური მაგალითები (დამატებით): რაჰუ „გაალო“ (< რაჰვ-ი), ბუჩუ „დაიბანა“ (< ბუჩვ-ი), ბუტუ „გაწყდა“ (< ბუტვ-ი), ვულუ „განდევნა“ (< ვულვ-ი), რექუ „აინთა“ (< რექვ-ი), ბეყუ „გახმა“ (< ბეყვ-ი).

აღნიშნული პროცესი ხდება სხვა შემთხვევებშიც (ყველგან, სადაც

²⁷ საკითხის შესახებ იხ. ჩენი: К изменению лабиализованных согласных в аварско-андийских языках. იკე. VIII, 1956. Сравнительный анализ глагольных основ в аварском и андийских языках. შაპჩაყა, 1959.

კი ვ-თი დაბოლოებულ ფუძეს დაერთვას ი-თ დაწყებული სუფიქსი. მოგვეყავს საორიენტაციო მაგალითები)²⁶:

ბაკურ „იყენენ“ < ბაკე-ირ (თლონდ.), ბახაურო „დარჩნენ რა“ < ბახე-ირო (ხუშტ.), ეხ²უბი „მწყემსები“ < ეხ²ე-ი-ბი (შდრ. მხ. რ. ეხ²ვა, თლონდ.), ბუყულა „ქრა“ < ბუყე-ილა (თლონდ.), ბუკულა „ყოფნა“ < ბუკე-ილა (თლონდ.), ბუშაუნა „ჩაქრობა“ < ბუშე-ინა (თლონდ.), რეკუნა „შეჯდომა“ < რეკე-ინა (თლონდ.), ბუქუნა „ანთება“ < ბუქე-ინა (თლონდ.).

შდრ. სათანადო ფორმები არალაბიალიზებული ფუძის მქონე ზმნე-ბისა: ჰიტე-ი „თქვა“ (ნამყო), ბიქ-ირ „მოკვდნენ“ (მრ. რ., აღამ. კლასი), ჰიტე-ილა „თქმა“ (ინფინიტივი).

ლაბიალიზებული ფუძე ინარჩუნებს ვ-ს სხვა ხმოვნის (მაგ. ა-ს) წინ: ბუყე-ა „იყო“, ექე-აჲ „შექამა“, ბეყე-ა „გახმა“ (თლისურში კი ბეყუ, რომელიც ბეყე-ი-საგან მოდის, რამდენადაც თლონდოდურში ეს ზმნა „ა რიგს“ მიყვება, თლისურში კი „ი რიგს“. ასეთი შემთხვევა სხვაც არის).

12. ვა > ო. კომპლექსი ვა ინლაუტში თანხმოვანთა შორის ხშირად მონაცვლეობს ო-სთან (ვა > ო შერწყმით). პროცესი დასტურდება ყველა კილოკავში (ყველაზე ხშირად თლიბიშოურში), თუმცა სისტემატურ-არ არის. ზოგჯერ ვა > ო ფაქულტატურია. მაგალითები: ჰეკოჩა (თლონდ.) „თაგვი“ (შდრ. კვან. ჰეკეჩა), ეკე-აღი || ეკოღი. (კვან.) „არისო“, ჰაქოღა (თლიბ.) „ცხრა“, შდრ. თლის, ჰაქეაღა, წაორა (თლიბ.) „ვარსკვლავი“ (შდრ. თლონდ. წავარა), ჰოშა (თლიბ.) „ფეხი“ (შდრ. თლონდ. ქვანშა), ბაკოღ (თლიბ.) „მუცელი“ (შდრ. თლის. ბაკეაღ), გოღა || გეაღა (თლიბ.) „ო“ (სხვათა სიტყვის ნაწილაკი), მაქეას- || მაქოს-(თლიბ.) „შიშშილი“, კეაბიგო || კობიგო (თლიბ.), „მოკლა“, ქენკოღა || ქენკეაღა (თლიბ.), „ყლაპვა“. ამავე პროცესის შედეგაა თლონდ. ჰორტა (< ქვარტა) „ჩაქუჩი“, ყოლ²ანი || ყ²ვ²ალ²ანი (< ყვარლ²ანი) „დროს“; სხო-რალღ || < სხვარალღ „მოაბრუნა“ (ხუშტ.).

§ 13. სანდჰის მოვლენები. ხმოვანთა კონტაქტური ცვლილებები, რომლებიც ჩვეულებრივად (მაგრამ არა მხოლოდ) მორფემათა საზღვარზე გვაქვს, ხშირად სიტყვათა შესაყარზეც იჩენს თავს (გარეგანი სანდჰი), განსაკუთრებით სწრაფ მეტყველებაში:

ჰარიღა იჰივო > ჰარიღეჰივო „თხოვა რა“ (ზედმიწ. „თხოვნაც გააკეთა რა“), ბახა იქ²ე! > ბახეიქ²ე! „უკან მომეცი“! (ა-ი > ე). მაღო-

²⁶ ზოგჯერ უ აღმოჩნდება იჰაც. სადაც ამჟამად ვ არა ჩანს, მაგრამ ისტორიულად კი იყო. მაგ. ბუქუ „მოხვდა“ < ბუქე-ი, მაგრამ ინფინიტივია ბუქ² და არა ბუქ²ენ (კვან.), როგორც წინათ უნდა ყოფილიყო.

პალ'ი ირავ > მადოპალ'იირავ „მეზობლად მყოფი“ (ი-ი > ო). ვწვო ირა > ვწვერა „მოსულა“, ზედმიწ. „მოვიდა რა არის“ (ო-ი > ე).

სიტყვის თავში მოქცეული ჰ, ვ ამგვარ პროცესს ვერ აკავენს (როდესაც მომდევნო სიტყვა ხშირი ხმაოებისაა): კველა ჰიტეივო > კველეთეივო „მოვკლავო“, ირა ჰიტეივო > ირეთეივო „არისო“ (ა-ჰი > ე)... იპილა ვოქე > იპილწქე „არ გააკეთებს“ (ავო > წ). იპიბო ვაქე იპიბწქე „გაკეთებული არაა“, ზედმიწ. „გააკეთა რა არაა“ (ო-ვა > წ), ეკ'ავო ვუხაუ > ეკ'ონხაუ „მაყურებლად დარჩა“ და მისთ.

§ 14. დისტანციური ასიმილაცია. ბავალურისათვის (ისევე, როგორც რიგი სხვა ანდიური ენისათვის) ნიშნეულია არალაბიალური ხმოვნის (ჩვეულებრივად ი-ს) შეცვალა სათანადო ლაბიალური ხმოვნით (ჟ-თი) მომდევნო თანხმოვნის ლაბიალიზაციის გავლენით (იცვ > უც): ბუყუ „გაქრა“ < ბიყე-ი (კვან.), ბუყუ „ჩაყლაპა“ < ბიყე-ო (კვან.), ბუქუ „მოხვდა“ < ბიქე-ი (კვან.), ბუკვა „იყო“ < ბიკე-ა (კვან.), ბუწუ „დაკლა“ < ბიწე-ი (კვან.), ბუხაუ „დარჩა“ < ბიხა-ვ-ი (კვან.), ბუჩუ „დაიბანა“ < ბიჩე-ის (კვან.), ბუტუ „გაწყვიტა“ < ბიტე-ი (თლის.), ვუ-ლუ „განდევნა“ < ვიღე-ი (თლის.).

ორიოდე ზმნას ხმოვანთა სრული რეგრესული ასიმილაცია ახასიათებს: ფუძისეული ხმოვანი ემსგავსება სუფიქსისეულს: კვან. ბაჰ „მოტანა“, ბიპი „მოიტანა“; თლის.: ბიპი „მოიტანა“, ბაჰა! „მოიტანე“! ეჰა! „აკეთე!“ ეიპი „გააკეთა“, ეჰე „გააკეთა რა“, ეოჰობ „გაკეთებული“. ყველა შემთხვევაში ხმოვანთა შორის ჰ თანხმოვანთა მოქცეული, რომელიც ასიმილაციას ვერ აკავენს.

§ 15. რამდენსამე შემთხვევაში დასტურდება სახელობითის ფორმაში ბოლო დახურული მარცვლის უ-ს ნაცვლად -ვა- ირობ ბრუნვებში (მაგალითები კვანალურია):

სახ.	ერგატ.
ბესუნ „დანა“	ბესუნ-დ
რექუნ „ძაფი“	რექვან-დ
ბეწაურ „ფარა“	ბეწავარ-დ

ხსენებულ მაგალითთა ანალოგიური ჩანს

სახ.	ერგატ.
ჰინწილ „თითი“	ჰინწალ-დ
ჰარყიმ „ურდული“	ჰარყამ-დ

შესაძლებელია აქ საქმე გვექონდეს სონორი ბგერის მეტათეზისთან: ბუსუნ-ა-დ (ა ირიბ ფუძეთა მაწარმოებელია ბრუნებაში!) > ბესუნ-დ > ბესუნ-დ; რექუნ-ა-დ > რექუნ-დ > რექუნ-დ; ბეწურ-ა-დ > ბეწურ-დ > ბეწურ-დ, პინწილ-ა-დ > პინწილ-დ > პინწილ-დ; პარყამ-ა-დ > პარყამ-დ > პარყამ-დ. სხვა ბაგვალურ თქმებში ამოსავლად სავარაუდებელი ფორმები ირიბ ბრუნვათა ფუძისა დაცულია (ბუსუნ-ა-, რექუნ-ა-, პინწილ-ა- და მისთ.).

§ 16. პალატალიზაცია. ბაგვალურისათვის დამახასიათებელია უკანაენისმიერ ხშულთა პალატალიზაცია. პალატალიზაციას განიცდის გ, ქ, კ (როგორც პირველადი, ისე მეორეული, მიღებული ქმ-სა და კმ-საგან). პალატალიზაცია პოზიციურია: არალაბიალური ხმოვანი ა, ე და ი (აგრეთვე მათი გრძელი და ნაზალიზებული სახეობები) იწვევს წინამავალი უკანაენისმიერი ხშულის გაპალატალურებას. ლაბიალურ ო და უ ხმოვანთა წინ პალატალიზაცია არ ხდება.

ბაგვალურ კილოკეთა შორის მნიშვნელოვანი სხვაობაა პალატალიზაციის ხარისხის (resp. სიძლიერის) მხრივ³⁰. ყველა ბაგვალურ კილოკავს ძლიერი პალატალიზაცია ახასიათებს: გ, ქ, კ გამოთქმაში იძლევა არა შუაენისმიერ გ, ქ, კ-ს, არამედ არტიკულაციურად კიდევ უფრო წინ წამოწეულ თანხმოვნებს. აკუსტიკურად გ-ს აქვს ელფერი რალაც საშუალო ბგერისა პალატალიზებულ დ-სა და ჯ-ს შორის (ასევე ქ-ს აქვს საშუალო ელფერი თ-სა და ჩ-ს შორის, კ-ს ტ-სა და ჭ-ს შორის)³¹. თანხმოვანთა პალატალიზაციის მეტსა თუ ნაკლებ ხარისხს ფონემატური მნიშვნელობა არა აქვს (ეს გამოთქმის ნორმას განეკუთვნება), მაგრამ თვითონ პალატალიზებული თანხმოვნები კი, განურჩევლად პალატალიზაციის ხარისხისა, ფონემატურ მნიშვნელობას იძენენ (თუმცა მათი ფონემატური დატვირთულობა მეტად მცირეა. დაწვრილებით იხ. ქვემოთ).

პალატალიზებული თანხმოვნები კვანადურ-ჰემერსოულსა და თლონდოდურ-ხუშტადურ კილოკავებში გვაქვს, თლისურ-თლიბიშოურში კი ისინი სათანადო შიშინა აფრიკატებში გადავიდნენ და დაემთხვენენ მათ: პალატალიზაცია დამთავრდა სრული აფრიკატიზაციით. აფრიკატიზაციის შედეგად გ > ჯ, ქ > ჩ, კ > ჭ, ოღონდ ჯ, რომელიც ბაგვა-

³⁰ ანდიურ ენებში პალატალიზაციის სხვადასხვა ხარისხის შესახებ იხ. ჩვენი: ტინდ. ფონეტიკური მიმოხილვა, იკვ. V. 1953.

³¹ ერთი ხუშტადელი ინფორმატორის (მუხთარის) მეტყველებაში პალატალიზებული გ, ქ, კ სისტემატურად მესმოდა როგორც ჯ, ჩ, ჭ (სათანადოდ). ჩაკთხვისას მისწორებდა ჯ, ჩ, ჭ კი არა, გ, ქ, კ უნდაო. მეორე ინფორმატორი (აბდულა) მკაფიოდ გამოთქამდა პალატალიზებულ უკანაენისმიერებს.

ლერს როგორც ფონემა არ მოეპოვება, თავის მხრავ შეიცვალა სპირანტი ფ-თ. სქემატურად:

კვანადღური, თლონდოდღური თლისური

გ	→	გ̄	→	*ჯ	→	ქ
ქ	→	ქ̄	→			ჩ
კ	→	კ̄	→			ჭ

გ-ს პალატალიზაცია: გ^ექე „გააკეთა“ (კვან.)³², გ^ალა „კეთება“ (კვან.), გ^ანზა „სულა“ (კვან.), გ^ანი „მოსწია“ (კვან., ხუშტ.), გ^არდი „აგორა“ (კვან.), გ^ა „მარცვალი“ (ხუშტ.), გ^აწლ „აქნეინა“ (ხუშტ.), გ^არე „კისერი“ (ხუშტ.).

თლისურში გ-მ ჯერ ჯ მოგვცა, რომელიც შემდგომ ფ-ში გადავიდა: უანდი „მოსწია“ < განდი, უარ „კისერი“ < გარ, უიპი „გააკეთა“ < გიპი, უიფა „შესძლო“ < გიფა, ჰაიბ „ეს“ (ქვევით) < ჰაიბ.

ამავე ნაცვალსახელურ ფ (< გ) ძირს შეიცავს ჰუე „იქ“ (ქვევით). ჰეელა „რატომ“, ჰუეუბ „ის“ (ქვევით).

თლისურში ხშირად სიტყვის თავში გვაქვს ფ სხვა ანდიურ ენაკლოთა ჰ-ს ნაცვალად³³: ჰელა „ზევით“ (შდრ. ბოთლ. ჰეფა, კარ. ჰეტ'), ჰეტა „ქვევით“ (შდრ. ბოთლ. ჰიტეი, კარ. ჰეტეი), ჰერკუტ „გადაყლაპა“ (შდრ. ახვ. იფკვორი, კარ. ბეკუფე). აქ ფ შეიძლება მიღებული იყოს გ-საგან (რომელიც თავის მხრივ მეორეულია!) ან კიდევ ჰ-საგან.

ქ-ს პალატალიზაცია: იქი „მისცა“ < იქი (კვან., ხუშტ.), ქ^აქა „ძღღღ“ (კვან., ხუშტ.), ქ^ილა „ნაკელი“ (კვან.), ქ^ილა „ხუტორი“ (კვან.), ქ^იბქ^აგ^ა „ლოცვა“ (კვან.), შაქიბ „ბელურა“ (კვან., ხუშტ.), ბექა „გველა“ (ხუშტ.).

თლისურში ქ-მ ჩ მოგვცა: ბელჩა „გველი“ < ბერქა, ტუჩა „მამალი თხა“ < ტუქა, ჩეთ „კატა“ < ქეთ. ასევე, ძლიერი ჰა > ჩა (ბიჩაი „მისცა“ < ბიქი)³⁴.

კ-ს პალატალიზაცია: კ^ერა „ორი“ (კვან., ხუშტ.), ჰიკ^აბ „დიდი“ (კვან.), ხინკ^ა „ხინკალი“ (კვან., ხუშტ.). შეკ^ა „ძარღვი“ (მრ. შეკ^ა-აბი) (კვან.), კ^ეშეგ „ასკილი“ (კვან.), წაუნკ^ალ „წაწვეტილი“ (კვან.), ჰანკ^ერტა „ყური“ (კვან., ხუშტ.), კ^ათე „ცხენი“ (ხუშტ.), ტაენკ^ელ

³² შესაპირისპირებელი მასალა მეზობელი ენებიდან არ მოგვეყვას. მივუთითებთ. რომ ყველა მაგალითი პოულობს შესადარებელ ერთეულს სხვა ანდიურ ენებში, სადაც გ. ქ. კ დაცულია (პალატალიზაციის გარეშე).

³³ უფრო ზუსტად: ანდიურ ენებში ზოგი სიტყვის ანლატში შეინიშნება „დაღდეგარი მონაცვლეობა“ ჰ/ქ/გ/ღ, რომლის მექანიზმი ცალკე შესწავლას მოითხოვს.

³⁴ შდრ. ქა > ჩა > შა: ბიჩი > ბიქი > ბიში „დაიჭირა“ (იხ. სპირანტიზაციის შესახებ).

„კურდღელი“ (ხუმტ.), კილა „ლოყა“ (ხუმტ.), ჰაკა „თვალი“ (ხუმტ.),
-კანა „-თან“ (ხუმტ.).

თლისურში კ-მ ჰ მოგვცა: ქელა „ორი“ < ქელა, ჰაპაწეებ „ოცდა-
ერთი“ < კაპაწეებ, ჰარქან „კვერცხი“ < კარქან, ჰეჭაფე „დიდი“ < ჰე-
კაფე, ჰაჭა „თვალი“ < ჰაკა, ჰანჭიტა „ყური“ < ჰანჭიტა, ხინჭა „ხინჯა-
ლი“ < ხინჯა.

გამონაკლისების შესახებ. პალატალიზაციის მკაცრი პო-
ზიციური შეპირობებულობა ამჟამად უკვე შერყეულია, რამდენადაც ის
არღარაა მექანიკურად მიმდინარე პროცესი, რომელიც ყოველ შესაფე-
რის გარემოცვაში უნდა განხორციელდეს. სწორედ ეს აპირობებს პალა-
ტალიზებულ თანხმოვანთა მიერ ფონოლოგიური ღირებულების შექენას.

ამჟამად სრულებით ერთგვარ პოზიციაში შეიძლება აღმოჩნდეს
როგორც პალატალიზებული, ისე არაპალატალიზებული თანხმოვანი (მაგ.
როგორც -კა-, ისე -კა-). პალატალიზაციის დარღვევის ყველა შემთხვე-
ვის ახსნა ჭერ არ ხერხდება, მაგრამ შეიძლება მივუთითოთ დარღვევა-
თა ტიპიურ შემთხვევებზე და სათანადო ახსნაც მოვეუძებნოთ მას.

A. პალატალიზაცია უნდა მომხდარიყო და არ მო-
მხდარა:

1. სხვა ენიდან შედარებით გვიან ნასესხები სიტყვები პალატალი-
ზაციას არ ემორჩილება: ბანქა „ქილა“ (< რუს.), ხაე || ხაგი „ქვაბი“
(< ხუნდ.), გიგო (< ხუნდ.) „გუგული“, ქეფ (< ხუნდ. გზით) „სია-
მოვნება“, ქუთაქაბ (< ხუნდ. გზით), „ძალიანი“, ბარქალა-ქირი „მად-
ლობა“ (< ხუნდ. გზით), ისთაქან (< რუს.) „ქიქა“, ჰაუქელ (< ხუნდ.)
„ორთქლი“, „სუნთქვა“, კალ || კალ (< ხუნდ.) „ხეობა“, კარა || კარა
„კოლო“ (< ხუნდ.), ტანჯალ (< ?) „კურდღელი“, კაზ „თავსაფარი“
(< ხუნდ.), კანწული „გადახტა“ (< ხუნდ.).

შდრ. ასევე ნასესხები სიტყვები, რომელთაც პალატალიზაცია გა-
ნიცადეს: ჩეთ (თლის.) „კატა“ (შდრ. ხუნდ. ქეთო), ხინჭა (თლის.) „ხინ-
ჯალი“ (შდრ. ხუნდ. ხინჯ).

ნასესხებ სიტყვათა პალატალიზაციაში რყევა ხშირია (მაგ. თლის.
ჩეთ „კატა“, მაგრამ ხუმტ. ქითვ.).

2. პალატალიზაციას არ განიცდის ის უკანაენისმირი ხშული, რო-
მელიც ლაბიალიზებული კომპლექსის დელაბიალიზაციითაა მიღებული: მა-
კა „ადგილი“ < მაკვა (დაცულია ანდიურ ენათა უმეტესობაში), რაკა
„გული“ < რაკვა (დაცულია ანდიურ ენათა უმეტესობაში). მოსალოდ-
ნელი იყო მაკა || მაქა, რაკა || რაქა, მაგრამ, როგორც ჩანს, ამ სიტყ-
ვებში კვ კომპლექსის დელაბიალიზაცია მას შემდეგ მოხდა, როცა პალა-
ტალიზაციის პროცესი შესუსტდა. არ არის გამორიცხული შესაძლებ-

ლობა, რომ ენამ საჭირო დაინახა პირვანდელი მაკა და მაკვა ერთმანეთისაგან პროპორციულად გაერჩია რეფლექსებითაც (მაკა და მაკა—სათანადოდ).

3. პალატალიზაციას არ განიცდის ზმნის ფუძის უკანასკნელი თანხმოვანი, რომელიც დრო-კილოთა მაწარმოებელ სუფიქსს უძღვის წინ: ბუკ-ილა „ყოფნა“³⁵ (შდრ. ზმნის არაბოლოკიდური თანხმოვანი: განდი > ეანდი „წევა“). ასევე, პალატალიზაციას არ განიცდის სახელის ბოლოკიდური თანხმოვანი, რომელსაც ირიბ ბრუნვებში მაპალატალებელი ხმოვანი აღმოაჩნდება მომდევნოდ. ზოგადად: აფიქსისეული ხმოვანი პალატალიზაციას ვერ ახდენს (სახელში, ზმნაში). ეს ალბათ იმიტომ, რომ ერთი სიტყვის პარადიგმაში სხვადასხვა შემთხვევაში სხვადასხვა ხმოვანი შეიძლება აღმოაჩნდეს, რაც გამოიწვევდა სათანადო ფუძის წარმოდგენას ხან პალატალიზებული, ხანაც არაპალატალიზებული თანხმოვნით, მომხდარა უნიფიკაცია.

B. პალატალიზაცია არ უნდა მომხდარიყო, მაგრამ მომხდარა.

ასეთ შემთხვევაში ორი მთავარი მიზეზი მოქმედებს:

1. ის, რაც ამჟამად არასაპალატალო პოზიციას, ისტორიულად საპალატალო იყო, მაგ. შეკ „ძარღვი“ (კვან.), მაკ „ბავშვი“ (თლის.). ამოსავალი თანხმოვანია (როგორც სხვა ანდიური ენები ადასტურებენ) კ და არა კ ან ჭ. აბსოლიტურ ბოლოში კ > ჭ არ უნდა მომხდარიყო, მაგრამ მაკ სიტყვის ძველი ფორმაა მაკი (შდრ. ტინდ. მაკი, ბოთლიხ. მაკი)³⁶, რომელმაც ჯერ მაჭი მოგვცა (მაკი-ის გავლით), შემდეგ კი ბოლო ი დაიკარგა (თანახმად კანონზომიერებისა, იხ. § 10):

მაკი → მაკი → მაჭი → მაჭ (თლის.) „ბავშვი“

↙
მაკ (ხუშტ., თლონდ.)

ამგვარ სიტყვათა პარადიგმაში, თუნდაც რომ ჭ-ს შემდეგ არამაპალატალებელი ხმოვანი (ო ან უ) აღმოჩნდეს, ჭ მაინც უცვლელად დარჩება. სახელებში გადამწყვეტია სახელობითისეული ფორმის ჩვენება: თუ აქ სათანადო პირობა იყო და ამის გამო პალატალიზაცია მოხდა, ის შენარჩუნებული იქნება ნიველირების გამო ირიბ ბრუნვებშიც. საორიენტაციო მაგალითი:

³⁵ გამონაკლისია ბიჩი < ბიჭი „მისცა“ (თლის.), იქი < იჭი „მისცა“ (თლონდ., ხუშტ.).

³⁶ ასევე შეკ < შეკი „ძარღვი“.

პალატალიზაციამდე უნდა ყოფილიყო	პალატალიზაციის პერიოდში	უნიფიკაციის შემდეგ არის
სახ. მაკი „ბავშვი“ ერგ. მაკ-უ-რ	მაკი მაკ-უ-რ	მაკ მაკ-უ-რ
სახ. ბელქა „გველი“ ერგ. ბელქ-უ-რ	ბელჩა ბელქ-უ-რ	ბელჩა ბელჩ-უ-რ

ასევე გვაქვს თლის. ჰუე „იქ“ (დაბლა), რომელიც მომდინარეობს ჰუგი-საგან, აქაც მოკვეცილია მაპალატალებელი ხმოვანი: ჰუგი > ჰუ-გ-ი > ჰუჯი > ჰუჟი > ჰუე.

2. ანალოგიის შედეგად მომხდარია უნიფიკაცია. ამის მაგალითია ზემოთ განხილულ მაკ „ბავშვი“ და ბელჩა „გველი“. ასევე გვაქვს ჰუჟუბ (< ჰუგუბ) „ის“ (დაბლა). აქ უ იმიტომ გვაქვს, რომ ეს ნაცვალსახელური ძირი (გ) ჩვეულებრივად საპალატალო პოზიციაში გვხვდება ხოლმე (ი-ს ან ა-ს წინ): აქ უ კანონზომიერია, შემდგომში ის გავრცელდა სხვა პოზიციაზეც (უ-ს წინ).

ასევე, თლის. ჟიპი „გაკეთებს“ (< გიპი), რომელიც ხმოვანთა სრულ ასიმილაციას განიცდის (იხ. § 14), ნამყოს აბსოლუტივში იქნება ექვე „გაკეთა“ რა“ (კანონზომიერია: გე > ეე), მაგრამ ნამყოს მიმდევობაში გვაქვს ჟოპობ „გაკეთებულ“: აქ უ აღმოჩნდა ო-ს წინ მოსალოდნელი გ-ს ნაცვლად. ცხადია, ამ შემთხვევაში უ სხვა ფორმათა (ეი-პი, ეექე) ანალოგიითაა წარმოქმნილი. უნდა ყოფილიყო: ჟიპი, ეექე, გოპობ³⁷.

ორივე ზემოთ მითითებული მიზეზი ერთნაირი ხასიათისაა, ორივე-გან საქმე გვაქვს ნიველირებასთან პარადიგმაში (პარადიგმატული გასწორება).

განხილულ გამონაკლისთა მეტი წილი თლისურიდან იყო აღებული, რადგან აქ პალატალიზაციის დარღვევის შემთხვევები მკაფიოა (სათანადო პალატალიზებულ თანხმოვანთა შიშინა სიბილანტებში გადასვლის გამო). სხვა კილოყაებში, სადაც პალატალიზაციის შედეგად პალატალიზებული თანხმოვნები წარმოიქმნა, ანალოგიურ სურათს ავლენს, ოღონდ პალატალიზაციის პოზიციური შეპირობებულობა მაინც შედარებით უკეთესადაა გატარე-

³⁷ გვაქვს გამონაკლისთა ერთი წყება, სადაც პალატალიზაციას თითქოს ხელს უშლის (?) ფუძეში შიშინა თანხმოვნის მონაწილეობა. თლის. კანჩი „სელიკი“ კანჩხვა „ჩრდილი“. კანჩა „სახეი“, შაპიბ „ჩიტი“, ქერშიხა „მოქსოვა“. პალატალიზაცია რომ მომდარაიყო. ფუძეში ორი შიშინა აღმოჩნდებოდა (ქანჩი, კანჩხვა და ა. შ.). კვანდურში შაპიბ გვაქვს („ჩიტი“).

ბული (მაგ. მაკ' „ბავშვი“, ერგ. მაკურ. თემცა ხუმტადურში გვაქვს ბუქა „გველი“ ერგ. ბუქურ!). ეს, ალბათ, იმით აიხსნება, რომ კ და ქ ერთმანეთთან მკაფიოდ დაპირისპირებული ფონემა ჯერ კიდევ არაა (გ', ქ', კ' მხოლოდ ახლა იძენს ფონემურობას), მაშინ, როცა თლისურში კ და ჭ (ასევე ჭ და ჩ, გ და ჟ) ერთმანეთს მკვეთრად უპირისპირდება როგორც სხვადასხვა ფონემა.

ამავე მიზეზით ნასესხებ სიტყვებში პალატალიზაცია თლისურში შედარებით ნაკლებად გვხვდება, სხვა კილოკავებში კი შედარებით უფრო ხშირად.

კვანადურში გამონაკლისია ქარ (< ხუნძ.) „თუთა“, ჩაქარ (< ხუნძ. გზით) „სიმინდი“, ქითვ „კატა“ (შდრ. თლის. ჩეთ), კაჩ „ზემოთ ჩასაცემელი“... პალატალიზებულ თანხმოვანი შეიძლება დარჩეს ო, უ-ს წინაც: იქ უეე „მოგვეს“ (იქი „მისცა“-სთან ანალოგიით)³⁸, მაგრამ პალატალიზაციის გარეშეა ბუქასა „უნდა, საჭირა“ (მყოფადი).

პალატალიზებული ნ-ს შესახებ ხუმტადურში იხ. § 9.

§ 17. ძლიერ აფრიკატთა სპირანტიზაცია. ძლიერი აფრიკატები (როგორც ფშინვიერები, ისე მკვეთრები) ბაგვალურში სათანადო ძლიერ სპირანტებში გადადის. პროცესი დამახასიათებელია საერთოდ ბაგვალურისათვის, ოღონდ თლისურ-თლობიშოური კილოკავის თლისური თქმა ქმნის გამონაკლისს. აქ ამოსავალი ძლიერი აფრიკატები დაცულია. პროცესის შედეგად ცხ > სხ, ლ' > ლ'ხ, წხ > წხ (-წ.); კხ > კხ (ჭ) (წ და ჭ სპირანტი მკვეთრები)³⁹.

პროცესის ბოლომდე გატარებამ გამოიწვია ის, რომ ბაგვალურმა (გარდა თლისური კილოკავისა) დაკარგა ცხ, ჩხ და ლ', რომლებიც დაემთხვენ ისტორიულ სხ, შხ, ლ'ხ-ს. თანხმოვანთა სისტემის ეს რგოლი გამარტივდა. რაც შეეხება მკვეთრებს, მათი გასპირანტება ახალ ფონემებს არა ქმნის. წ და ჭ იგივე წხ და კხ არის, ოღონდ გამოთქმული სპირანტულად (მკვეთრი სპირანტი!). გამოითქმის ამ ნორმას ბაგვალურ-

³⁸ შდრ. ხუმტ. იქ ლბ „მიცემელი“.

³⁹ აფრიკატთა სპირანტიზაციის შესახებ ბაგვალურში იხ. ჩენი: აფრიკატები ანდიურ ენებში, იკე. XI. იქვეა მითითებული ამ პროცესის ფიზიოლოგიური საფუძველი: ძლიერი მკვეთრი ხშულის გამოთქმა გაძნელებულია იმ პირის სიყვარის გამო, რაც პირის ღრუში რჩება. მის დასაძლევად ან პირის ღრუში უნდა გაჩნდეს ნაპრალი, რაც აფრიკატის გასპირანტებას იწვევს ყელხშვის შენარჩუნებით—ეს ასე მოხდა ბაგვალურში, ან კიდევ ყელხშვა უნდა მოიშალოს, როგორც ეს ლოდონბერძულსა და ტინდიურში მოხდა, რაც იწვევს დეზაბრუქტაციას. სხვათა შორის ნ. ტრუბეტკოი ვარაუდობდა, რომ ბაგვალურში ძველი ვითარება დაცული (სპირანტები). მონათესავე ენებში კი ეს სპირანტები გააფრიკატდნენო (იხ. ზითი. ნაშრ., აგრეთვე „Коицо-наицизм“... გვ. 108).

ში დისტინქციური ფუნქცია არა აქვს (რადგან ბაგვალურს სხვაგვარი წმ და კმ არ მოეპოვება)⁴⁰.

წმ > წ¹¹: თლონდ. წაფ „მარილი“, წანა „ეკალი“, წუნი „არწივი“, წეე „სტუმარი“, წერ „სახელი“, წე „დალია“, ბოწ „მთვარე“, მიწ „ენა“, ნაწ „ტილი“, ჰუნწ „თაფლი“; „კარი“, ბაწის „ჰკითხა“, მიწაბ „ტკბილი“, ბაწის „დათვალა“, ბაწაღპილა „გასუფთავება“.

ქმ > ქ: ქებ „ფიცარი“, ქობ „ტალახი“, ქვე „გაიქცა“, ქედერუბ „ვიწრო“, ქირი „შორს“, მიქა „ქინქარი“, ჰაქა „ძირს“, ბიქივო „გაიგორა“, მიჭალ „ბარძაყი“, ჰაქუ „ხმა“.

ცმ > ც¹²: მასა „და“ (< მაცმ), მასაბ „ბიძაშვილი (ქალი)“, ვას „ძმა“ (< ვაცმ), ვასაბ „ბიძაშვილი (ვაჟი)“, ბესაუბ „ბრმა“ (< ბეცა-უბ).

ჩმ > მ: შიშაუბ „წითელი“, შავაი „თევზი“; კანშეე „ხვლიკი“.

ლ¹ > ლ¹: ბელაილა „წასვლა“, ბულაჟ „1. მოხდა, 2. გათავდა“, ილ¹ი „ჩევენ“ (ხუმტ. ილ¹ი), გ¹აღლ¹ი „ყელის“ (ლ¹ი — ნათ. ბრ.), ინლ¹აირა „ექვსი“ (იხ. აგრეთვე ქვემოთ § 18).

§ 18. ლატერალურ თანხმოვნათა ცვლილებები. ლატერალურმა თანხმოვნებმა მნიშვნელოვანი ცვლილებანი განიცადეს: თავდაპირველი მდგომარეობა შედარებით უკეთაა დაცული თლისურ-თლიბიშოურ კილოკავში, რომელსაც ოთხი ლატერალი აქვს, სპირანტები ლ¹ და ლ², აფრიკატები ლ¹ და ლ² (იხ. სქემა ზემოთ).

ლ² და ლ² ყველა კილოკავში გვაქვს, კვანადურ-ჰემერსოულსა და თლონდოდურ-ხუმტადურს მხოლოდ ეს ორი ლატერალი მოეპოვება. ორივე კორელაციის გარეშეა დარჩენილი (ნეიტრალურია), თუმცა ფონეტიკურად ორივე ძლიერია. თლისურში კორელაცია დაცულია სპირანტებში ლ¹ (სუსტი) — ლ² (ძლიერი).

⁴⁰ აფრიკატი წმ და კმ ბაგვალურისათვის უცხოა. ხუნძურად მეტყველების დროსაც კი ხუნძურ წმ-სა და კმ-ს ცვლიან წ-თი და კ-თი (ესა „ბაგვალური აქცენტის“ ერთ-ერთი ნიშანი ხუნძურად მეტყველებისას).

⁴¹ შესაპირისპირებელი მასალები მონათესავე ენებიდან აგრეთვე თლისური კილოკავიდან, რომლებშიც აფრიკატები დაცულია, არ მოგვეყვას. ყველა მაგალითი საკმაოდ ცნობილია ხუნძურ-ანდიურ ენებში.

⁴² მაგალითებში სჟე-სჟე „წინა“, სჟიმ „ნაღველი“, როსჟ „უკანალი“, რომელთაც ხუნძურში ცჟ შეეფარდება (ცჟებე, ცჟინ, როცჟ), ამოსავალი ჩანს სჟ. ხუნძურში აფრიკატოზაცია უნდა იყოს მომხდარი, სჟე ანდიური ენები, რომელთაც ისტორიული ცჟ დაცული აქვთ, ამ სიტყვებში მაინც სჟ-ს ავლენენ, რაც მის თავდაპირველობაზე მიუთითებს.

არც ერთ კილოკავში არ დასტურდება სუსტი ტ' (ძლიერი ტ-ს კორელატი), მაგრამ კვანადურს მისი თავისებური რეფლექი დაუცავს პოზიციურად (იხ. ქვემოთ).

ქვემოთ განვიხილავთ იმ ლატერალებს, რომელთაც ცვლილებები განუცდიათ.

1. ლ'. ფშვინვიერი აფრიკატი (ფონეტიკურად—ძლიერი) ლ', რომელიც თლისურში დაცულია, სხვა კილოკავეებში სპირანტიზაციის შედეგად ლ'ს-ში გადადის (იხ. § 17). ერთ მაგალითში მოსალოდნელი ლ'ს რეფლექსის ნაცვლად ლ' გვაქვს (თლონდ.-ხუშტ. ილ'ი, ნაცვლად ილ'ისა „ჩვენ“, შდრ. თლის. ილ'ი). აქ ლ'ს-ს ნაცვლად ლ'-ს გამოვლინება მხოლოდ გამოითქმის ნორმა და არა სხვა ფონემა, რადგან მითითებულ კილოკავს მხოლოდ ერთი სპირანტი ლატერალი აქვს (ლ'ს).

აღსანიშნავია, რომ თლონდოდურსა და ხუშტადურში (ნაწილობრივ კვანადურშიც) თავდაპირველი ლ'-ს ლ'ს რეფლექსი საერთოდ რყევას განიცდის. ფაკულტატურად ყველგან (გარდა „ექვსის“ სახელისა ინლ'ი-რა > ინლ'ი-რა), სადაც ლ'-საგან მომდინარე ლ'ს გვაქვს, შეიძლება შეგვხვდეს ლ' (რომელიც სწორედ ამ თქმებს ისტორიულად დაკარგული აქვთ. იხ. ქვემოთ). ასეთ შემთხვევაში ლ'-ს რეფლექსი გარჩეულია ლ'ს-საგან. ამრიგად ლ' შეიძლება შეგვხვდეს ფუძეებში ბულ'-<ბულ'-, „მონდომა, გათაება“, ბელ'-<ბელ'-, „წასვლა“, ლ'ე-<ლ'ე-„გახვეტა“, ნათესაობითის ნიშნად, მყოფადის მიმღეობებში და სხვ.

2. ლ' ფშვინვიერი სუსტი სპირანტი (ძლიერი ლ'ს-ს კორელატი) ბავალურ კილოკავეებში სხვადასხვაგვარადაა წარმოდგენილი: თლისურში ლ' დაცულია, კვანადურსა და ჰემერსოულში ლ'-მ ყველა პოზიციაში ჰ მოგვცა. თლონდოდურსა და ხუშტადურში სიტყვის თავში ლ' გადავიდა ჰ-ში, ხოლო სხვა პოზიციაში—ლჰ-ში¹³.

თლისური	კვანადური	თლონდოდური
ლ'	ჰ	ჰ
ლ'აბლა	ჰაბლა	ჰაბლა „სამი“
ლ'ედერ	ჰერერ	ჰერერ „ხბო“
ლ'ირე	ჰილე	ჰილე „ფრთა“
ლ'ები	ჰერი	ჰერი „შეეშინდა“
ლ'უდა	ჰურ	ჰურ „შეშა“

¹³ ლ'-ს ამგვარი ცვლილებები გვაქვს ზოგ მონათესავე ენაშიც.

ლ'	ჰ	ლჰ
რალ'ა „ზღვა“, რელ'ა „ღამე“	რეჰა	რელჰა „1. ზღვა, 2. ღამე“
ანლ'ი	ანჰა	ანლჰა „გაიგონა“
ბილ'ად	ბიჰად	ბილჰად „მოხარმა“
ბალ'ა	ბაჰა	ბალჰა „ბარტყი“
ბილ'ი	ბიჰი	ბილჰი „დადო“
რელ'აბ	რეჰაბ	რელჰაბ „2 წლ. შამა- ლი ცხვარი“
მულ'	ნიჰვ	მილჰვ „ფრჩხილი“
მილ', მილ'	მიჰ	მილჰ „მზე“

ლ'-ს გადასვლა ჰ-სა და ლჰ-ში შესაძლებელია გარკვეულ შემდგომადობას ასახავდეს. დასაშვებია, რომ თავდაპირველად ლ' გადადიოდა ლჰ-ში ყველა პოზიციასა და კილოკავში, შემდგომ თლონდოდურში სიტყვის თავში ლჰ გამარტივდა ჰ-დ⁴⁴, ხოლო კვანადურში ეს პროცესი გამარტივებისა ბოლომდე მივიდა (სიტყვის თავშიცა და შუაშიც)⁴⁵.

გამონაკლისები. მოსალოდნელი ლჰ რეფლექსის ნაცვლად თლონდოდურში ზოგჯერ ჰ აღმოჩნდება: ექელი „დღეს“ (შდრ. კვან. ექელი, თლის. ელ'ელ), რიჰამა „საღებავი“ (შდრ. იმავე ფუძის ზმნა თლონდოდურში ბილჰად „მოხარმა“), ყეჰენ „ტომარა“ (ხუშტ. ყეჰენ), რეჰერა (ხუშტ.) „ღამით“.

ყველა ამ მაგალითში დისიმილაციასთან უნდა გვეკონდეს საქმე: სონორის შემცველ სიტყვაში დაკარგულია ლჰ რეფლექსის ლ: რილჰამა > რიჰამა. ლჰ + სონორი > ჰ + სინორი.

თლისურსა და ხუშტადურში ლ' შეცვლილია ლ-თი მითითებით ნაცვალსახელურ ფუძეში: ჰულუბ „ის“ (მალა), შდრ. ხუნძ. ლ'ობ, თლონდ. ოლჰობ. მაგრამ ლჰ გვაქვს იმავე ძირის შემცველ სიტყვაში ხუშტ. ულჰი „იქ“ (მალა). იქნებ ჰულუბ < ჰულჰუბ დისიმილაციით.

თავისებურია გარდაქცევის ლ' სუფიქსის რეფლექსები ბავალურ კილოკავებში⁴⁶.

კვანადურში ეს სუფიქსი წარმოდგენილია როგორც ლ: ჰულულ-ლირ „მეგობრობა“ (< ჰულულ-ლ'ირ), ხან-ლირ „ხანობა“, „სახანო“

⁴⁴ სიტყვის თავში თანხმოვანთა კომპლექსი უცხო ანდიურ ენებში საერთოდ.

⁴⁵ ლ'-ს ანალოგიური ხასიათის ცვლილებები ცნობილია ზნძურ დიალექტებშიც (არნ. ჩიქობავა, ილ. ტერცვაძე, შ. მიქაილოვი და სხვ.).

⁴⁶ სუფიქსი ლ' ხუნძურ-ანდიურ ენებში გარდაუვალი შინაარსის ნასახელარ ზმნებს აწარმოებს (მაგ. ხუნძ. ცო-ლ'-იზე „გაერთიანება“, სიტყვისაგან ცო „ერთი“...). მასდარი ამ სუფიქსით ნაწარმოები ზმნისა გამოყენებულია აბსტრაქტულ სახელად (მაგ. ცოლ'-ი „ერთობა“) ... თავისებურია ამ სუფიქსის რეფლექსები ხუნძურ დიალექტებშიც (რაც პოზიტიურად უნდა აიხსნებოდეს).

(\leftarrow ხან-ლ'ირ), ჰაკუ-ლირ „ქალობა“ (\leftarrow ჰაკუ-ლ'ირ), ქენტა-ლირ „კაცობა“ (\leftarrow ქენტა-ლ'ირ), რაზილივო „დათანხმდა რა“ (\leftarrow რაზილ'ივო), ჰაწა-ლი „გათეთრდა“ (\leftarrow ჰაწალ'ი), ვეჭეტი-ლუ „გაშავდა“ (\leftarrow ვეჭეტილ'ე)⁴⁷. ხუმტადურში ლმ დასტურდება: ბაჰა-ლჰიბო „დაბერდა რა“ (\leftarrow ბაჰა-ლ'იბო), იმალ-ლჰარ „მამობა“ (\leftarrow იმალ'არ), ზალჰი „გაიყინა“ (\leftarrow ზალ'ი), ჰიტალჰი „შესძულდა“ (\leftarrow ჰიტალ'ი), ბეჭეტი-ლჰი „გაშავდა“ (\leftarrow ბეჭეტი-ლ'ი). ჰოლჰარ „სიკეთე“ (\leftarrow ჰოლ'არ). რეყენ-ლჰარ „ნახევარი“ (\leftarrow რეყენლ'არ)...

თლონდოდურში ეგვეე ლ' აფიქსი წარმოდგენილია სხვადასხვაგვარად (ლმ, ჰ, ლ):

1. ლმ: ბეჩე-ლჰილა „გამდიდრება“ (\leftarrow ბეჩედლილ'ილა), რაზი-ლჰოვო „დათანხმდა რა“ (\leftarrow რაზილ'ივო), ჰო-ლჰარ „სიკეთე“ (\leftarrow ჰოლ'არ), ბისქინლჰარ „სიღარიბე“ (\leftarrow ბისქინ-ლ'არ).

2. ჰ: ჰაწა-ჰარ „სითეთრე“ (\leftarrow ჰაწა-ლ'არ), ბეჭეტი-ჰარ „სიშავე“ (\leftarrow ბეჭეტილ'არ), ჰამ-ჰარ „ნაკლული“ (\leftarrow ჰამ-ლ'არუბ).

3. ლ: ინჯით-ლირ (\leftarrow ინჯით-ლ'ირ) „ჩიუტობა“.

იქნებ ასევე ლ'-ს რეფლექსებთან გეჰონდეს საქმე მიცემითი ბრუნვის აფიქსებში (შდრ. კვან. -ჰა, ჰემერს. -ჰა, თლონდ. ლა. ლოდ., ტინდ. -ლ'ა).

გადაქცევის ლ' სუფიქსის რეფლექსთა თავისებურებანი ალბათ მისი პოზიციით აიხსნება⁴⁸. მაგ. რეფლექსი ლ თავდაპირველად შესაძლებელია წარმოქმნილიყო თანხმოვნის მომდევნოდ და შემდეგ ანალოგიით გავრცელებულიყო სხვა შემთხვევებზედაც, მაგ. კვან. ხანლ'არ > ხანლჰარ > ხან-ლირ „ხანობა“, ამის ანალოგიით ჰაწალ'არ > ჰაწალირ „სითეთრე“.

3. ტ'. მკვეთრი სუსტი აფრიკატის ტ'-ს საკითხი ბაგვალურში სხვა ენებთან შედარების გარეშე არც კი დაისმებოდა, რომ კვანადურში ამ ბგერას სხვა კილოკავებისაგან განსხვავებული რეფლექსი არ მოეცა.

ტ' ყველა კილოკავში გადაშენდა: სიტყვის თავში მან ც მოგვცა⁴⁹. სიტყვის შუაში კი ლ⁵⁰. ერთადერთი გამონაკლისია აულ კვანადის თქმა, რომელსაც სიტყვის თავში ტ'-ს ადგილას კ' რეფლექსი აქვს (ამ მხრივ უპირისპირდება ყველა დანარჩენი აულის მეტყველებას, მათ შორის ჰემერსოულსაც).

⁴⁷ ჰემერსოულში ჰ ჩანს: რაზი-ჰივო „დათანხმდა რა“.

⁴⁸ ეს სუფიქსი დაერთვის როგორც ხმოვნით, ისე თანხმოვნით დაბოლოებულ ფუძეებს, რაც საფუძველს იძლევა სხვადასხვა შემთხვევაში სხვადასხვა რეფლექსი მოგვცეს.

⁴⁹ სიტყვის თავში ეს ც არაერთი არ განიჩნება ბაგვალურისათვის დამახასიათებელ ხმოვანთა მაგარი შემართვისაგან, რომელიც არც ერთი ისტორიული თანხმოვნის რეფლექსი არაა. ამრიგად, აქ ტ'-ს ც-ში გადასვლა ფაქტობრივად ტ'-ს, გაქრობას უდრის.

⁵⁰ ტ'-ს რეფლექსი ლ ფაქულტატურად ლლ-დაც გამოითქმის (იხ. ზემოთ).

თლისური	თლონდოდური	კვანადური	
ქ	ქ	ქ	
ქიხ	ქიხ	ქიხ	„ალაო“
ჭარა (< ქარა)	—	ქარა	„თავთავი“
ხეკობ	ხეკუ	ქეკუბ	„ზედმეტი“
ხალ	ხალ	ქალ	„ფურცელი“
ხამ	ხამა	ქამა	„სახურავი“
—	ხაჩ	ქაჩ	„ნალი“
--	ხუბურ	ქუბურ	„საბძელი“
ხემობ	—	ქიმუბ	„განიერი“
—	ხაპი	ქაპი	„ზევით“
ლ	ლ	ლ	
ბელარაბ	ბელაბ	ბელაბ	„წვრილი“
ბ-ალი	ბ-ალი	ბ-ალი	„1 დაუძახა, 2. ჩა- იკვა“
რელა	რელა	ლელა	„ხელი“
რელელ'	ლელელ'ხ	ლელელ'ხ	„ღვიძლი“

კვანადურის კ რეფლექსი ეხმაურება ხუნძური ენის ქარული დიალექტის კ რეფლექსს, რომელიც ყველა პოზიციაში გვაქვს.

ბაგვალურში არა ჩანს ზოგ ანდიურ ენაში გავრცელებული ლხ რეფლექსი ტ' თანხმოვნისა (ლხ ინლაუტში გვაქვს ხოლმე, მაგ. კარატულის რიგ კილოკავში). ისე, როგორც ლ'-ს რეფლექსთა (ლჰ, ჰ, ლ) შემდგომადობა ვივარაუდეთ, აქაც ტ'-მ სათანადო ენებში, ალბათ, ჯერ ლხ მოგვცა, რომელიც შემდეგში სიტყვის თავში ლ-დ გამარტივდა, სიტყვის შუაში კი ლხ-დ დარჩა ან აქაც გამარტივდა ლ-დ.

§ 19. კჷ > კ. ძლიერი კჷ ბაგვალურის ყველა კილოკავში კარგავს სიძლიერეს და კ-ს ემთხვევა. ზოგჯერ თითქოს მაინც იგრძნობა ოდნავი სიძლიერე კჷ-საგან მიღებული კ ბგერისა.

მაგალითები⁵¹ კუხი „კვამლი“, ჰეკოჩა (თლის. ჰერკვა) „თავი“, კარა, ქარა „კოლო“, კალ „ხეობა“, ჰაკუჟ (თლის. ჰარკოჟ) „ცოლი“, ბუკუჟ (თლის. ჟერკუჟ) „გადაყლაპა“, კეჟ (თლის. კობი) „მოკლა“, ჰარკინ „დედალი ცხვარი“.

შდრ. ხუნძ. (ან ბოთლიხური) სათანადო სიტყვები, რომელთაც კჷ დატული აქვთ: კჷჟ „კვამლი“, ჰუნკჷ „თავი“, კარა „კოლო“, კვალ

⁵¹ ფრჩხილებს გარეთ მოცემულია თლონდოდური და კვანადური საზიარო ფორმები.

„ხეობა“, (ბოთლ. პარკი „ცოლი“), კუნა „გადაყლაპა“ (ბოთლ. კვანდუ „მოკლა“), ზორკენ „ცხვარი“.

ხუშტადურში დასაშვებია კალ || კალ „ხეობა“, ბუქუნა || ბუქუნა „ყლაპვა“, „რგვა“, „ჩიტის დაჭდომა“.

§ 20. ქ-ს ცვლილებები. ძლიერი ქ-ს ისევე არაა დამახასიათებელი ბაგვალურისათვის, როგორც ძლიერი კ-ს. იქ, სადაც ძლიერი ქ-ს იყო მოსალოდნელი (მონათესავე ენათა ჩვენების მიხედვით) ბაგვალურში ვადასტურებთ მარტივ ქ-ს ან ძლიერ შ-ს (რომელიც ხშირად ისმის როგორც საშუალო ხ-სა და შ-ს შორის. ზოგიერთის გამოთქმაში, მეტწილად თლონდოდურში, თითქმის ხ-ს ემთხვევა). თავის მხრივ მარტივი ქ-ს გარკვეულს პოზიციაში (ა, ე, ი ხმოვანთა წინ) შეიძლება ქ-ში გადავიდეს (იხ. § 16 პალატალიზაციის შესახებ), რომელიც თლისურში ჩ-ს იძლევა. რეფლექსი შ-ს (|| ხ-) მიღებულია ქ-საგან სპირანტიზაცია-პალატალიზაციით (ქ-ს > ხ-ს > შ-ს), ან, შესაძლოა, ჯერ ქ-ს > ჩ-ს, შემდეგ კი ჩ-ს > შ-ს (ძლიერი აფრიკატის სპირანტიზაციით). სქემატურად (ხაზგასმულია რეალურად დადასტურებული ფორმები): ქ-ს > ქ (> ქ გარკვეულ პოზიციაში > ჩ); ქ-ს > ხ-ს > შ-ს; ქ-ს > ჩ-ს > შ-ს მაგალითები:

თლონდოდური, ხუშტადური: ქ-ს > ქ (> ქ): ბუქუ „მოხვდა, შეხვდა“, < ბუქჟუ, შდრ. ბოთლ. ბუქჟუ, ხუნძ. ქანა; იქ-ი „მისცა“ > იქი, შდრ. ბოთლ. იქჟუ, კარ. ბექჟუ.

ქ-ს > ხ-ს (ი-ს წინ, საშუალოა ხ-სა და შ-ს შორის): ხ-საგან „ობი“ < ქანა, შდრ. ხუნძ. ქანა; ბიხ-ი || ბიში „დაიჭირა“ < ბიქი, შდრ. ხუნძ. ქიუნა, ბოთლ. ბიქჟუ; მიხ-ილ-ა || მიშილ-ა რომა „მუხა“ < მიქილ-ა რომა, შდრ. ხუნძ. მიქილ ღვეტ.

თლისურში: ქ-ს > ქ (ზოგჯერ ისმის ქ-დ): ბუქჟუ || ბუქუ „მოხვდა“, „შეხვდა“. ქ-ს > ჩ-ს: ბიჩი „მისცა“ < ბიქი.

ქ-ს > (ჩ-ს >) შ-ს: ბიში (< ბიჩი < ბიქი) „დაიჭირა“, პაში (< აქი) „ყური დაუგლო“.

კვანადური: ქ-ს > ქ > ქ-ს: ბუქჟუ „დაიჭირა“, იქ-ი „მისცა“. ქ-ს > შ-ს: ბიში „მოხვდა“.

§ 21. ხ-ს ცვლილებები. თლისურში ხ-ს დატულია, კვანადურში შეინიშნება ძლიერი ტენდენცია ხ-ს შეცვლისა ხ-თი. თლონდოდურში ხ-ს ორი რეფლექსი აქვს პოზიციით განსაზღვრული: ბაგისმერი ბგერის (ო, უ, ვ) წინ ხ-ს გადადის ჰ-ში, სხვა პოზიციაში კი ხ-ს იძლევა შ-ს⁵². ბაგვალურის იმ კილოკავებში (თლონდოდა, კვანადა), რომელთაც ხ-

⁵² ხ-ს რეფლექსთა პოზიციური შეპირობებულობის შესახებ იხ. „Контрпалатизм“, გვ. 150.

თითქოს მთლიანად უნდა დაჰკარგოდათ, ხ^რ შეიძლება შეგვეხედეს ხუნძ-
რიდან ნასესხებ სიტყვებში, აგრეთვე როგორც რეფლექსი ქო-სი.

თლის.	კვან.	თლონდ.	ხუმტ.	
ხ ^რ უი	ხ ^რ უი	ჰუი	ჰუი	„თესლი“
ხ ^რ ვობ	---	ჰობ		„სამარე“
ხ ^რ ვანი	ხვანი (მრ. რ.)	ხ ^რ ვანი (მრ. რ.)	ხ ^რ ვანი (მრ. რ.)	„ცხენი“
იხ ^რ ვა	იხვა	იჰვა	იჰვა	„მწყემსი“
—	ეხვაჩა	[ხ ^რ იხ ^რ ირი]	იჰვალი	„დაიცვა“
როხ ^რ ა	როხ	როხ ^რ		„ტყე“
ხ ^რ ვაი		ჰვაი		„სუნი“
ხ ^რ აგ	ხაგ	ხ ^რ აგ	ხ ^რ აგ	„ქვაბი“
ხ ^რ ვოცობ	ჰვობ	ჰვობ	ჰვობ	„კარგი“
ბახ ^რ უე	—	—	ბიჰვაე ბიჰაე	„მიბა“
ერხ ^რ ვ		ეჰვ		„ცოცხი“

ყველაზე კრელი სურათი თლონდოლურშია. თლისურის (resp. ის-
ტორიული) ხ^რ-ს ნაცვლად აქა გვაქვს: ჰ (< ხ^რ) ბაგისმიერების წინ:
ჰუნი „თესლი“, ჰობ „კარგი“, ჰუნი „უსუნა“, იჰვა „მწყემსი“. ზ
(< ხ^რ): როშა „ხე“, ტომ „ტყვია“, ბიშილა „წასმა“ (ვიშინა „გამარჯ-
ვება“?).

ხ^რ დატულია: როხ^რ „ტყე“ (მაგრამ: როხ-ლი „ტყეში“, შდრ.
ხ^რ > ხ კვანადურში), ხ^რაგ „ქვაბი“, ხ^რვანი „ცხენები“, ხ^რვადირი „იარა“,
ხ^რიხ^რირი „დაიცვა“, იხ^რვა „ატამი“, ბებიხ^რ „დაიწყო“, ფახ^რ (|| ფაშ)
„სპილენძი“. დიდი უმეტესობა ამ სიტყვებისა ნასესხებია. იქნებ ასევე
ნასესხები იყოს როხ^რ, ხ^რვანი (შდრ. აგრეთვე ახ^რირილა < ააჰირილა,
ხუნძ. ააჰაიზე „ნახეა“).

ხუმტადურში ისეთივე სურათია, როგორც თლონდოლურში, ოლონდ
აქა-იქ ხ^რ > ზ: ფაში „სპილენძი“ (ხუნძ. ფახ^რ), ბიშა „გამარჯვა“ (შდრ.
ხუნძ. ბერჰანა < ბერხ^რანა?).

§ 22. ხ-ს ცვლილებები. თავდაპირველადი ხ ბაგვალურში (გარდა
თლისურისა) გადავიდა ჰ-ში. ამ პროცესის გამო ძლიერი ხო, რომელიც
უკორელაციოდ დარჩა, გამოთქმაში ხშირად რეალიზდება ნაკლები სიძ-
ლიერით. ეს განსაკუთრებით ხელშესახებია ნასესხებ სიტყვებში: ხეჩენ ||
ხეჩენ „ხმალი“, ხინკა || ხინკა „ხინკალი“, ხაბარ || ხაბარ „ამბავი“,
ხალიცი || ხალიცი „ნამგალი“ (შდრ. ხუნძ. ხვალჩენ, ხინკ, ხა-
ბარ, ხაჩიცილ), შდრ. აგრეთვე ხუმტ.-ხინდი „კენ“ (ხუნძ. — ხუნ).

ბ გადავიდა ჰ-ში ყველა პოზიციამ⁵³ (ამასთან ხ > ჰ შეეხო იმ ხ-საც. რომელიც ისტორიული ჳ'-საგან (მოდის)⁵⁴: ჰვაა „ძალი“, ჰვაბ „წისქვილი“, ჰვალო „ადუღდა“, ჰარი „თხოვა“ (ჰაჰაჩუ „მათხოვარი“), ვაპაროვ „მოხუცი“, აჰ „ვენახი“, აჰი „ზევით“ ბიჰი „მოიტანა“, მიჰ „მატყლი“, ჰური „ყანაში“, აჰიმ „მორი, ბოძი“, ვაჰა „დაეცა“, ეჰუნ „მკედელი“, ჰამალა „სასა“, ნიჰ „მკერდი“, ჰუნსაჰ „ხუშტდა“ (აულია), ეჰანსა „შუეძლია“, მუჰა „ზღაპარი“, რიჰა „ცხვარი“, ჰუნსაჰერ „ფილტვი“.

თლისურ კილოკავშიც ხ გადადის ჰ-ში, მაგრამ სიტყვის თავში ვ-ს წინ ხ დაცულა⁵⁵: ჰვაა „ძალი“, ხვალი „ადუღდა“, ხვაბ „წისქვილი“, მაგრამ ჰალი „თხოვა“ (ჰაჩაჩი „მათხოვარი“), ვაპაროვ „მოხუცი“, ეჰუნ „მკედელი“, „ოსტატი“, რაჰუნ „გაალო“, ტაჰჰი „დაიძინა“, ნიჰ „მკერდი“, აჰ „ვენახი“; (ჰ დაკარგული ჩანს სიტყვაში რიჰა „ცხვრის ფარა“. რიხა > რიჰა > რიჰა > რიჰა).

ნასესხებ სიტყვებში ბავალურის ყველა კილოკავი ხ-ს იცავს: ხალყ „ხალხი“, ხან „ხანი, მთავარი“, ხურმა „ხურმა“, ახირ „ბოლო“, ნიხა „ქერი“, თახ „ტახტი“, თოხამ „მღარე“, ხისიდი „ცვლა“. კვანადურში ჰ-ში გადავიდა არა მარტო ხ, არამედ ლ'-ც (იხ. ზემოთ). ამან გამოიწვია მრავალი ომონიმური სიტყვებისა და ფუძეების წარმოქმნა, მაგ. მიჰ „მატყლი“, „მზე“ (< მიხ „მატყლი“, მილ' „მზე“), შდრ. თლონდ. მიჰ „მატყლი“ < მიხ, და მილჰ „მზე“ < მილ'.

სქემატურად:

ისტორიული	თლონდ.	კვან.	თლის.
ხ	ხ	ჰ	ჰ (ხ ლაბ. წინ.)
ჳ	ჰ	ჰ	

§ 23. დ-ს გადასვლა რ-ში. ინტერვოკალური დ გადადის რ-ში ბავალურის ყველა კილოკავში (გარდა თლისურისა, რომელიც დ-ს ინახავს. ხუშტადურის შესახებ იხ. ქვემოთ): ირა „არის“, კერა „ორი“, ჰატფურა „შიდი“, ჰაწარა „ათი“, ჰერი „თხოვა“, წააროვ „მსმელი“, ტერერ (< ტედერ) „ბატკანი“, ფურილა „ქროლვა“, ჰერერ (< ჰედერ) „ხბო“, კანწირა „ორჯერ“, კანწური „გადახტა“, წააღპირი „წაიკითხა“, წუნირი „დაიცვა“, რეშტირი „ჩამოხტა (ცხენიდან)“. ასევე რიგი ნასეს-

⁵³ თავდაპირველი ხ დაცული აქვს ანდიურ ენათა უმეტესობას (მაგ. ბოთლი-ხ-ტრს, ანდიურს, ახვახურს... აქ სათანადო ნიმუშები ამ ენებიდან არ მოგვეყვს).

⁵⁴ ჳ' სა და მისი რეფლექსების შესახებ იხ. ჩვენი: „ფარინგ“. იყ. IX—X.

⁵⁵ შდრ. ლაბიალური არტიკულაციის წინ ზ-ს შემონახვა ბოთლიხურსა და კარატულში (ჩვენი: Κοινοσημωτισμ. გვ. 149 და შმდ.).

ხები სიტყვა: არამ „ადამიანი“, ბეჩერავ „მდიდარი“ (< ხუნძ. ბეჩე-
დავ), ბაწაარაბ „სუფთა“ (< ხუნძ. ბაწადაბ). მაგალითები თლონდო-
დური, შდრ. თლისური: იდე „არის“, ქედა „ორი“, ჰატეუდა „შვილი“,
ჰაწადა „ათი“, ჰადი „თხოვა“, ტედეერ „ბატკანი“, ფუდი „იქროლა“,
ურლიდი „იფიქრა“, ადამ „ადამიანი“ და სხვ. მრ.

აქა-იქ $\text{დ} > \text{რ}$ თითქოს აუსლაუტში მომხდარა, მაგრამ ასეთ შე-
მთხვევებში დაკარგულია ბოლოციდური ვიწრო ხმოვანი (იხ. ზემოთ
(§ 10). როგორც ჩანს, ქრონოლოგიურად პროცესი დ-ს რ-ში გადასვლი-
სა წინ უსწრებდა ბოლოციდური ვიწრო ხმოვნების მოკვეცას. მაგალი-
თები (თლონდოდურიდან, ფრჩხილებში თლისური): ქალარ „ქალალი“ <
< ქალადი (თლის. ქალათ), ჰურ „შეშა“ < ჰური < ჰუდი (ბოთლ. ჰუდი),
მერ „ლუდი“ < მერი < მედი (ხუნძ. მედ), ტოორ „კლდე“ < ტოორი <
ტოოდი (თლის. ტეუდა), მესერ „ოქრო“ < მესერი < მესედი (შდრ.
თლის. მესედ, ბოთლ. მისიდი). ასევე აიხსნება ერგატივის ნიშნად რ-ს
გამოვლინება ხმოვანფუძიან სახელებში (თანხმოვანფუძიანებთან დ და-
ცულია): სარა-რ „მელამ“, იმუ-რ „მამამ“, მილი-რ „კუდმა“. ხსენებუ-
ლი ფორმები მიღებულია ასე: სარ-ადი „მელამ“ > სარა-რი > სარ-არ
და ა. შ., შდრ. დ-ს შემონახვა, ოლონდ ბოლოციდური ი-ს მოკვეცი-
თ, თანხმოვანფუძიან სახელებთან: მესერ-დ < მესერ-დი „ოქრომ“, რე-
შენ-დ < რეშენ-დი „ცამ“, სიმ-დ < სიმ-დი „ბაგემ“, მეჭელ-დ < მეჭელ-
დი „ცხვირმა“⁵⁶.

არაინტერვოკალური დ დაცულია: დე „მე“, დუბ „შენი“, დან
„ნივთი“, ეჰუნდარი „მჭედლები“, ნიდ „მაზეგ“, ლურდილა „განადგუ-
რება“, ბელ-დ „ბარმა“, ჩარალანდუ „მერცხალი“, დარვ (< დადვ, შდრ.
დად) „დიდი ქოთანი“; „სადღვებელი“ (ანლაუტის დ არ შეცვლილა.
ინტერვოკალური კი რ-ში გადავიდა კანონზომიერების თანახმად). ერთი
და იგივე მორფემა პოზიციის-და მიხედვით სხვადასხვაგვარად შეიძლება
წარმოგვიდგეს: მაგ., კე-რა < კე-და „ორი“ მაგრამ ჰაბ-და „სამი“.
ასევე შეპირობებულია ზმნური სუფიქსის ხმარება -ირ და -დ, ერგატი-
ვის -რ და -დ.

აქა-იქ დაცულია ინტერვოკალური დ-ც, ესაა შედარებით ახალი
(უპირატესად ხუნძურიდან ან ხუნძური გზით) შემოსული სიტყვები
(გულდურ „მახე“, ლადარუ „თეფში“, ზეჟდან „ტაფა“, წოდორ „ჰკვიანი“,
ქედერუბ „ვეწრო“, ჰუდულ „მეგობარი“, (ჭ)ადალუვ „სულელი“, ჰადა-

⁵⁶ დ > რ პროცესს შესახებ იხ. ჩვენი: თანხმოვანთა ერთი რიგის ცვლილებე-
ბი ხუნძურ-ანდიურ ენებში. ს მ ა მ ტ. 22, კვანდლურშიც ერგატივის ნიშნად ხმოვან-
ფუძიან სახელებში რ გვაქვს. მაგრამ ფაქულტატურად დასაშვებია დ-ც: როში-რ || რო-
ში-დ „ხემ“, მუჩ-რ || მუჩე-დ „ქარმა“ და მისთ.

და „ამაოდ“) ან კიდევ ანალოგიის გზით 'მემორჩენილი ზოგა მორფემა (მაგ. ნაწილაკი -და უკუქცევით ნაცვალსახელებში: ებ-და „თეთონ“ III კლ., ერ-და-მრ. რ. ნიეთთა კლასი და ასევე ება-და მრ. რ. ადამიანის კლასი, ნაცვლად მოსალოდნელი ერადა-სი). ასევე ხშირად შენახულია კომპლექსის ცვლის შედეგად მიღებული დ: ილა < ინდა „როდის“, ელა < ებ-და „თეთონვე“. კითხვითი ნაწილაკი -ილო (კვანღ. -იშლო) და რამდენიმე სხვა.

ხუშტადურში დ-ს რ-ში გადასვლის მიხედვით საკმაოდ თავისებური შემთხვევა გვაქვს: დ > რ ხდება ქალთა მეტყველებაში, მაგრამ არ ხდება მამაკაცთა მეტყველებაში. ამრიგად გარჩეულია ორი „ენა“, ქალთა და მამაკაცთა. საინტერესოა, რომ გარდა ამ ერთი ფონეტიკური მოვლენისა სხვა რამ მნიშვნელოვანი სხვაობა ამ ორ „ენას“ შორის არ დასტურდება. საკმაოდ მოულოდნელია ისიც, რომ ქალთა „ენა“ ახალ ვითარებას გვიჩვენებს (დ გადასულია რ-ში), მამაკაცთა „ენა“ კი არქაიზმს ინახავს. გამოდის, რომ ხუშტადელი მამაკაცები (განსახილველი მოვლენის მიხედვით) თლისურ ნორმას ემხრობიან, ქალები კი მეზობელი აულის—თლონდოდის ნორმას⁵⁷. ქალთა და მამაკაცთა მეტყველების ეს გარჩევა საკმაოდ მკაცრია: ქალი არ იტყვის, მაგ., ჯედა „ორი“, მამაკაცი კი ჯერა-ს.

ყველაფერი, რაც ზემოთ ითქვა დ > რ-ს შესახებ თლონდოდურში, მთლიანად შეეხება ხუშტადურის ქალთა მეტყველებასაც, მამაკაცთა მეტყველებაში კი დ დაცულია:

მამაკაცთა მეტყველება

ქალთა მეტყველება

ქედა	„ორი“	ჯერა
ილა	„არის“	ირა
ადამ	„ადამიანი“	არამ
ჰადი	„თხოვა“	ჰარი
ჰადი	„იტირა“	ჰარი

მიუხედავად ამგვარი დაპირისპირებისა, არა ერთ შემთხვევაში მამაკაცთა მეტყველებაშიც დასტურდება დ-ს რ-ში გადასვლის ფაქტები, მაგ., ჭიირი (< ჭიიდი) „შორს“, ბაწაარე (< ბაწაადე) „გაწმილა“, მერ (< მედ) „ლუდი“, დარ (< დად), „სადღეებელი“. სპორადულად მამაკაცთა მეტყველებაში პალატალიზებული დ-ც შეგვხვდა: ილა „არის“ (ილა-ს გვერდით).

⁵⁷ ხუშტადელები ხუმრობით ამბობენ: თლონდოდელები ისე ლაპარაკობენ, როგორც ჩვენი ქალებიო.

ერგატევის ნიშნად ჭალთა მეტყველებაში ხან დ გვაქვს, ხანაც რ (პოზიცია-და მიხედვით, როგორც თლონდილურში, იხ. ზემოთ), მამაკაცთა მეტყველებაში მხოლოდ დ უნდა გვექონოდა, მაგრამ აქაც ისეთივე მდგომარეობაა როგორც ჭალთა „ენაში“.

§ 24. შ > ში. სუსტი შ, რომელიც სხვა აულთა მეტყველებაში უცვლელაა, თლისურში გამოითქმის როგორც ძლიერი ში: რომაა „ხე“, დაშო „ქალშვილი“, ვაშო „ვაეი“, რეშიო „ცა“; „წელიწადი“, ბოშაო „გამარჯვა“. ისტორიული ძლიერი ში ში-დვე დარჩა (უნშო „მიწა, ნიადგი“, ქერშიო „მოქსოვა“, რეშიაეა „ჩაქრა“.), როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თლისურში ასეთივე ცვლილება მოსდის ს, წ (ნაწილობრივ ჭ) თანხმოვნებსაც, რის გამოც ესენი სათანადო ძლიერ თანხმოვნებს შეიძლება დაემთხვენ.

§ 25. ყ'. ისტორიული ყ', რომელიც შემოინახა ახვახურმა და ანდიურმა, თუმცა ამ უკანასკნელში მას მელერობის ელემენტი შეეძინა²⁸, ბავალურში ც-დ იქცა, რომელიც ხმოვნის წინ დაემთხვა ამ ენისათვის საერთოდ დამატებითელ ხმოვანთა მაგარ შემართვას, ხოლო სიტყვის შუაში კი ფაქულტატურად ხმარებულ ხმოვანთგასაყარად იქცა. ეს ხმოვანთგასაყარი ხშირად იკარგება, რაც იწვევს მეზობელ ხმოვანთა შერწყმას.

ელ „პირი“ (< *ყ'ელ), უნ „თაე“ (< *ყ'უნ- < *ყ'ვან), ჰაყაო || ჰინა „ნახა“ (< ჰაყ'ად), ბუყურა || ბურა „ოთხი“ (< *ბუყ'ურა, თლის. ბუყურა), ვაყა || ვა „მოვიდა“ (< *ვაყ'ად), ბუყუნა || ბუნა „კმარება“ (< *ბუყ'უნა, ჰიყ'ვინა), ბიყა || ბია || ბიდა „იცოდა“ (< ბიყ'ად).

ორ-სამ შემთხვევაში მოსალოდნელი ნოლის ნაცვლად ჭ-ს ვადასტურებთ: მაჭა „ცემლი“ (თლონდ. კვან.). მიჭარ (კვან.), მეჭელ (თლონდ.) „ცხვირი“, ჭაბუბ (თლონდ., კვან.) „განიერი“ (შდრ. თლის. ემობ. „განიერი“). შეიძლება აქ ხუნძურის გავლენასთან გვექონდეს საქმე (ყ' > ჭ ხუნძურის ნორმა). სპორადულად გვხვდება კარატული ენის ტოქიტურ დიალექტშიც. შდრ. ხუნძ. მაჭო < *მაჭა „ცრემლი“, მეჭურ „ცხვირი“, ჭებაბ „განიერი“).

§ 26. შდ || შთ > სთ. ბავალურში (და საერთოდ ანდიურ ენებში) ისეთ თანხმოვანთკომპლექსთაგან, რომელშიც სონორი არ მონაწილეობს, ყველაზე ხშირია შდ (თუ შთ.)²⁹. თლისურში შთ წარმოდგენილია როგორც სთ (ხოლო თლიბიშოურში — სი — არასისტემატურად).

²⁸ ყ'-სა და მისი რეფლექსების შესახებ იხ. ჩენი: ფარინგალური თანხმოვნები ხუნძურ-ანდიურ ენებში. ივე IX—X. 1958.

²⁹ ამ კომპლექსს ზოგი ინდო-ბატარი გამოთქვამს როგორც შთ-ს, ზოგიც როგორც შდ-ს.

კვან., თლონ., ჰემ., ხუშტ.	თლის.	თლობ.
ინშთურა „ათა“	ინსთულა	(ინსთულა)
ბიშთი „თქვენ“	ბისთ	ბისა
ბეშთ- „გაშვება“	ბესთ-	ბესა-ი
აშთუბ „ასეთი“ ⁶⁰	ჰასთუბ	—

§ 27. ასიმილაცია და შერწყმა. 1. ნ (ან ხმოვნის ნაზალურობის ელემენტი) + რ > ნ: ბასიფ-რ > ბასინ „თხრობა“ (მასღარი) (თლის.).

ნ თემის ნიშნიან მასღარში ეს პროცესი სისტემატურია (შღრ. სხვა რიგის ზმნათა მასღარი: ჰიტფი-რ „თქმა“, ბეტფი-რ „ხენა“): ეგაფ-რ > ეგან „სველები“ (მრ. რ.) (ხუშტ.).

ანალოგიურად ნ-ს იძლევა ხმოვნის ნაზალურობის ელემენტის შერწყმა მომდევნო ლ-სთან: ბასიფ-ლ > ბასინ „თხრობამდე“ (ხუშტ.), შღრ. ბიჭი-ლ „სიკვდილამდე“.

2. ნ (ან ხმოვნის ნაზალურობის ელემენტი) + ზ > მ: ეგაზ > ეგამ „სველი“ (III კლ.), შღრ. ეგაფე (I კლ.) (ხუშტ.), ჰეჰაზ > ჰეჰამ „დიდი“ (III კლ.), შღრ. ჰეჰაფე (I კლ.) (თლის.); ბისაზ > ბისამ „ნანახი“ (III კლ.) (კვან., თლონდ.), ბაწიზბო > ბაწიზბო „ჰკითხა რა“ (ნამყ. აბსოლ. კვან., თლონდ.); ჰაზბო > ჰამო „ნახა რა“ (ნამყოს აბსოლ.) (ხუშტ.); ლაფე-ზი > ლაფენი „წყლები“ (თლონდ.); რეშენ-ზი > რეშემი „წელიწადები; ზეცანი“ (კვან.), ყეჰენ-ზი > ყეჰემი „ტომრები“ (კვან.), ბესონ-ზი > ბესომი „დანები“ (კვან.), იჰეაზე! > იჰეამე! „ჰამე!“ (თლონდ.), ბასიზბისა-ე! > ბასიზბისე! „არ უამბო!“ (თლონდ.).

პროცესი სისტემატურია, ეხება ყველა თქმას, ამის გამო: 1. გრამატიკული კლასის ნიშანი ზ, როცა მას წინ ნაზალიზებული ხმოვანი უძღვის, გადადის მ-ში (ზედსართავეებში, მიმღებებში, ნამყოს აბსოლუტივებში და სხვ.). 2. ბრძანებითის ფორმანტები -ზე და ბისაფ წარმოდგენილია როგორც მე და -მისეფ. 3. მრ. რიცხვის -ზი სუფიქსი, როცა ის დაერთვის ნ-თი დაბოლოებულ ფუძეს, შერწყმით იძლევა მ-ს. ყველა შემთხვევაში ხდება სრული შერწყმა (ნაზალიზების ელემენტი ან ნ იკარგება. ასევე იკარგება ზ-ც: მათი შერწყმა მ-იძლევა).

აქვე მივუთითებთ, რომ ხმოვნის ნაზალურობის ელემენტი, როდესაც მას არასწორი თანხმოვანი მოსდევს, ნ-ში გადადის: ბაწიზიჭირა > ბაწიზიჭირა „თუ არ ჰკითხა“ (კვან.).

⁶⁰ ამავე ფუძისაა (მითითებით-ნაცვალ-სხელური ელემენტის ცვლით) ოშობა „ისეთი“, ეშთუბ „როგორი“, ეშთა „როგორ. რატომ“.

3. ლბ > ლლ ხუმტადურში ნამყოს აბსოლუტივის ფორმაში (აწარმოებს -იბო). კაუზატივის -ალ ნიშნის მომდევნოდ იკარგება ი (იხ. ხმოვანთა რედუქცია), ხოლო ლბ კომპლექსი ლლ-ს იძლევა: საორალობო > საორალობო > საორალობო „დააბრუნა რა“, ტელიბო > ტელბო > ტელბო „ჩაარქობინა რა“ (ტებო „ჩაარქო რა“), ჳეალიბო > ჳეალბო > ჳეალბო „დააწერინა რა“, ვილალივო > ვილალვო > ვილალვო „გააჩერა რა“ (ვილავო „გააჩერდა რა“).

გრამატიკული კლასის მიხედვით კაუზატივთა ნამყოს აბსოლუტივი უკვე არ იცვლება (არაკაუზატივური კი იცვლება).

4. ლლ > ნნ. ნაზალურობის ელემენტი წინამავალი ხმოვნისა ერწყმის მომდევნო ლ-ს და იძლევა ნნ-ს (იშვიათად ნ-დაც ისმის): ბუქანლო > ბუქანლო „ანთო რა“.

ეს პროცესი სისტემატურია, მაგალითად, ნ თემიან ზმნათა კაუზატივებში (კაუზატივის ალ სუფიქსის ლ-სა და წინამავალი ხმოვნის ნაზალურობის ელემენტის შეხვედრის გამო).

5. მდ > ნდ: ყამ-და > ყან-და „კამს“ (თლიბ.), შდრ. ნამყო ყამიგო, ტამ-და > ტან-და „ყრის“ (თლიბ.), შდრ. ნამყო ტამიგო.

6. რლ > ლლ. რლ კომპლექსი მორფემათა საზღვარზე გვხვდება, მაგ., როდესაც რ-თი დაბოლოებულ ფუძეს დაერთვის ლ-თი დაწყებული მორფემა: ფურ-ლა > ფულლა „ყანაც“ (თლის.), შაპარ-ლა > შაპალლა „ქალაქში“ (თლის.), ბაზარ-ლა > ბაზალლა „ბაზარში“ (ხუმტ.), ჰუნგარლარ > ჰუნგალლარ „ფანჯარაზე“ (ხუმტ.), აულარლარ > აულალლარ „მიცემაზე“ (ხუმტ.).

7. მ-ლ > მ-ნ. ზმნის ინფინიტივის ფორმაში გვხვდება დისტანციური ასიმილაციის შემთხვევები: როცა მ-თი დაბოლოებულ ფუძეს ერთვის ინფინიტივის ა-ლა დაბოლოება, ამ უკანასკნელის ლ-იცვლება ნ-თიტამ-ა-ლა „გადაგდება“ > ტამ-ანა.

აქ შესაძლებელია წმინდა ფონეტიკურ პროცესს გარდა ანალოგიაც მოქმედებდეს. მხედველობაშია ინფინიტივის -ანა დაბოლოება, დამახასიათებელი ნ თემიან ზმნათათვის.

8. რჰ > ლბ > ლ'. დადასტურებულია ორიოდე შემთხვევა თლისურში: მალ'ო „ზღაპარი“ < მალ'ო < მარ'ო (ხუნძ. მარ'ო), თალ'ა „ტომარა“ < თარ'ა (ხუნძ. თარ'ა < თარ'ფა)⁶¹. სიტყვაში ალ'ო „ხალხი, ერი“ ლ' მიღებულია ჰლ-საგან (აპლო > ალ'ო). შესაძლებელია ვივარაუდოთ გარდამავალი საფეხური: რ + თანახმ. > ლ + თანახმ. რაც რამდენსამე მაგალითში დასტურდება (იხ. ქვემოთ).

⁶¹ თალ'ა იხმარება თლიბიშოშიც.

9. ჰ > ფ. დასტურდება რამდენიმე მაგალითი თლისურში და თლიბიშოურში. საერთო ხუნძურ-ანდიურა ხურ (< *ჰურ) „ყანა“, თლისურში წარმოდგენილი უნდა ყოფილყო როგორც ჰურ (იხ. § 22), გვაქვს კი ფურ „ყანა“. ასევე თლისური ლ' უდა „შემა“ თლიბიშოურში ჰუდა-ს სახით უნდა გვქონოდა (მდრ. თლონდ. ჰურ < ლ' უდ + ხმოვანი), გვაქვს კი ფუდა: ლ' უდა > ჰუდა > ფუდა. თლისურის ლ' ირ(ვ) „ფრთა“ თლიბიშოურში ფირ-ს იძლევა (მდრ. თლონდ. ჰილე): ლ' ირუ > ჰირუ > ფირ(ვ). ყველა მაგალითში ჰ > ფ უნდა აიხსნას ლაბიალური უ-ს გავლენით.

10. ზდ > ლ. ზდ კომპლექსის ლ—დ შერწყმის მაგალითები საკმაოდ გვხვდება: უნსაბდი „ხარები“ > უნსაღი (თლის.), რომიბდარი „ხეები“ > რომიბდარი (ხუმტ.), ჰაჰიბ-და „ეგევე“ (III კლ.) > ჰაჰილა (თლის.), ებ-და „თვითონვე“ > ელა (თლონდ., თლის.).

ანდიური ენებიდან ცხობილი ზმნის ფუძის „თემატური ნიშანი“ დ, რომლის სრული სახეა იდ (დ სონორთა და ბ-ს მომდევნოდ გვაქვს), ზმნის ფუძის დაბოლოებაში თანხმოვანთკომპლექსებს ქმნის (რდ, ნდ, მდ, ზდ, რაც კარგადაა დაცული, მაგ. ბოთლიხურში). ეს კომპლექსები ბაგვალურში გამარტივებულია, გამონაკლისია ნდ (მდ), რასაც თლისურ-თლიბიშოური იცავს (მდრ. თლის. ჟან-დ-ი, თლონდ. გან-ი, ბოთლიხ. გან-დ-უ „მოსწია“). რდ კომპლექსისაგან თლონდოლურში რჩება რ ან ნოლი (მაგ. ჯვარ-დ- „წერა“ > თლონდ. ჯვა- ნამყოში, ჯვარ- აწმყო- კონკრეტულში და სხვ., მდრ. ბოთლიხ. ჯვარ-დ-ი „წერა“). ზდ კომპლექსისაგან რჩება ასევე დ ან ნოლი (მაგრამ ინტერვოკალური დ თქმათა უმეტესობაში რ-ში გადადის, იხ. § 23. ხუმტადურში მამაკაცთა მეტყველებაში დ დაცულია). თლისურ-თლიბიშოურში ზდ კომპლექსი კარგავს დ-ს, მაგრამ დარჩენილი ბ აგრეთვე შეიძლება დაიკარგოს, მაგ. აწმყოს ფორმაში -და მორფემის წინ. ზდ-ს ცვლილების საილუსტრაციოდ განვიხილოთ ჰებ-დ- (< ლ' ებ-დ-) ფუძე (ბოთლიხ. ჰიბ-დ- < ლ' იბ-დ-), რომელიც „შიშს“, „შეშინებას“ („შეეშინდა“) ნიშნავს. თლონდ.: *ჰებდ- > ჰერ- (დ > რ ინტერვოკალურ პოზიციაში): ჰერ-ი „შეეშინდა“. ხუმტ.: ჰებ-დ- > ჰედ- (> ჰერ- ქალთა მეტყველებაში): ჰედ-ი (მამაკ. მეტყველ.), ჰერ-ი (ქალთა მეტყველ.) „შეეშინდა“. თლის.: ლ' ებდ- > ლ' ებ- (ლ' ებ-ი „შეეშინდა“), ლ' ებ > ლ' ე- (ლ' ე-და „ეშინია“. მეტყველის ცნობიერებაში აქ ბ არაა გამქრალი). თლიბ. ჰებდ- > ჰებ-, ჰე- (როგორც თლისურში).

11. ნდ > ნ: განდი > განი „მოსწია“ (კვან.), დენდ „მე“ (ერგატ.) > დენ (კვან., ხუმტ.), მენდ „შენ“ (ერგატ.) > მენ (კვან., ხუმტ.).

12. რ-ლ > ლ-ლ. როცა რ-თი დაწყებულ ფუძეს მოსდევს ხმოვ-

ნით გაშუალებული ლ. წინა რ გადადის ლ-ში (პროცესი არ ახასიათებს. თლისურს): რელელ'ა „ღვიძლი“ > ლელელ'ა (კვან.; შდრ. თლის., ხუშტ. რელელ'ა), რელა „ხელი“ > ლელა (კვან., ხუშტ., შდრ. თლის რელა)⁸².

13. -ავ > -ო: აბსოლუტურ ბოლოში -ავ გადადის -ო-ში (არა-ერთმარცვლიან სიტყვებში): ვაპარავ > ვაპაროვ „მოხუცი“ (I კლ.).

პროცესობრივ ანალოგიური მოვლენაა აუ > ო ინლაუტში: ბეგოლ (< ბეგაულ) „აულის თავი“, ჭაროლ (> ჭარაულ) „ყარაული“.

14. ვე > ვო, ვი > ვუ. პრეფიქსული კლასის ვ ნიშანი იმსგავსებს მომდევნო ე-სა და ი-ს. ცვლალება დამახასიათებელია თლიბიშოურისათვის, მაგრამ სისტემატური არ არის (პარალელურად იხმარება თავდაპირველი და მეორეული ფორმები, განსაკუთრებით ვე- (ველ'იგო || ვო-ლ'იგო „წავიდა“, ვიხაუგო || ვუხაუგო „დარჩა“).

15. ჟუ > ჟი. პრეფიქსული კლასის ჟ ნიშანი იმსგავსებს მომდევნო უ-ს (ყველა თქმაში): ჟუკვა > ჟიკვა „იყო“, ჟუტუ > ჟიტუ „დაკლა“.

§ 28. ბეგრათმონაცვლეობა. თლისურში რიგი მაგალითის მიხედვით სხვა თქმათა თანხმონენისწინა რ წარმოდგენილია როგორც ლ: აღჩა (შდრ. თლიბ. არჩა) „ფოთოლი“, ღვალჭა „ირემი“ (ასევე კვან., შდრ. თლონდ. ღვარჭა. იქნებ ღვარჭა < ღვალა + რიჭა „ურჭო ირემი“?), ბელჩა (შდრ. თლიბ. ბერჩა) „გველი“, აქვე მოხვდება ჩვენებით ნაცვალსახელთა მრ. რ-ის ირიბ ბრუნვებში გამოვლინებული ელემენტი ლდ (თლისური), რომელიც თლიბიშოურში რდ-ს სახით გვაქვს: ჰა-ლდ-ო-დ „ამათ“ (თლის.), ჰა-რდ-ო-დ (თლიბ.). იხ. ჩვენებით ნაცვალსახელთა ბრუნება.

დასტურდება ხმოვანთმონაცვლეობის ცალკეული ფაქტები თქმათა შორის, მაგრამ კანონზომიერება არა ჩანს. მაგ., ე/ი: ჰიკაბ (თლონდ.) „ღიღი“, შდრ. ჰეკამ (თლის., თლიბ.), ბიკინა (თლონდ.) „შეხედვა“, შდრ. ჰეჰინა (თლის, თლიბ.) ჰიტაილა (თლონდ.) „თქმა“, შდრ. ჰეტაილა (ხუშტ., კვან., ჰემ, თლის., თლიბ.), ჰიკი (თლის., თლიბ.), „ძალიან“, შდრ. ჰეკი (თლონდ.). ზედსართავებისა და მიმღობების დაბოლოებებში კლასის ნიშნის წინა ხმოვანი თლისურ-თლიბიშოურში ჩვეულებრივად ო-ა, სხვა თქმებში კი უ (მაგ. თლონდ. შიიშა-უ-ბ „წითელი, წინ-უ-ბ „ახალი“, შდრ. თლის ჩიიჩა-ო-ბ, წინ-ო-ბ).

§ 29. მეტათეზისი. გვხვდება ცალკეული შემთხვევები: ჰემ-ლა || > ჰელმა (თლის.) „ვინ“, იმაშავ-ჰანა > იმაშა-ჰვანა (თლიბ.) „მამასთან ერთად“ (-ლა და -ჰანა ცალკე მორფემებია), ლ'ერდორ < ლ'ედრორ (თლის.) „ხბორები“ შდრ. მხ. რ. ლ'ედერ), ტერსაჲენ < ტენსაჲერ (კვან.) „წარბი“, ბერელობ < ბელერობ (თლიბ.) „წვრილი“. მიცემითში (გარკვეული

⁸² ერთ მაგალითში ლ—ნ > ნ—ნ: ელინი > ენინი „პირში“, შდრ. ელ „პირი“.

ტიპის ბრუნებაში) ხმოვანი გადასმული ჩანს, მაგ., აშვილ^ა „ჭალი-შვილს“ < აშვილ^ა (იხ. მიცემითი ბრუნვის შესახებ § 46).

§ 30. ბგერის განვითარება. დასტურდება რ-ს განვითარების რიგი შემთხვევა, როდესაც ერთ კილოკავს რომელსაზე სიტყვაში თანხმოვნის წინ „მეტი“ რ აქვს, ხოლო მეორეს აკლია. რ განვითარებული ჩანს თლისურში (ფრჩხილებში — თლიბიმოური). ბორწა (ბოწა) „მთვარე“, ჰერწა (ჰეწა) „ვარკლი“, ჰარკაბ (ჰაკაბ) „მძიმე“, ჰერწობ (ჰეწობ) „მალალი“, ჰერშია (ჰეშია) „მოქსოვა“. ძნელია მივუთითოთ, განვითარებულია რ თუ დაკარგული ასეთ მაგალითებში: ლ^აორლ^ა (ლ^აოლ^ა) „ერბო“, ყარყა (ყაყა) „თხელი პურ“, წყერთ (წყეთ) „ტალახი“, ჰარტა (ჰატა) „ტოცხი“, ერწ (ეწ) „შრატი“, ლ^აერსა (ჰესა) „მდინარე“. რ დაკარგული უნდა იყოს: ას (თლონდ., კვან.), შდრ. თლის. არც „ვერცხლი“, ქოლ^ა (თლობ.) „სალაყბო“, შდრ. თლის. ქორლ^ა, თლაბ. ჰაზა „ბევრი“, შდრ. თლის. ჰარზა, კვან. ჰაკიმ „დედალი ცხვარი“, შდრ. თლონდ. ჰარკ^აინ.

ნ განვითარებული ჩანს: მინგვა (თლის.) „თითისტარი“ (შდრ. თლონდ. მუგა). მაგრამ ძნელია მივუთითოთ განვითარებულია ნ თუ დაკარგული ისეთ მაგალითებში, როგორიცაა: კვან. ანთა „მაწონი“ (შდრ. თლონდ. ათა), ხუშტ. მინჩაბ „ახალგაზრდა“ (შდრ. კვან. მიჩაბ), თლონდ. ქვანშა „ფეხი“ (შდრ. თლობ. ქოშა).

ჟ ჩანს განვითარებული სიტყვაში ჟარა (თლის., თლიბ.) „თავთავი“ < ყარა < ტ^აარა (შდრ. თლონდ. არა), ჟესა (თლის.) „ყველი“ < ესა, ჟასა (თლის.) „თრთვილი“ < ასა.

რამდენსაზე შემთხვევაში ანლაუტში ბ-ს მომდევნოდ განვითარებულია ჟ, რომელიც ასეთ პოზიციაში ფაკულტატური ხმარებისაა: ბჟე-ქა || ბექა (თლონდ.) „გველი“ (შდრ. თლის. ბჟელჩა), ბჟართ || < ბართ (თლონდ.) „ულაყი“, ბჟერდა || ბერდა (თლონდ.) „ჯოხი“, ბჟერა (იშვ. ბერა, კვან.) ხმამაძვითი სიტყვა. ამრიგად იქმნება საკმაოდ უჩვეულო ბჟ კომპლექსი (ისიც სიტყვის თავში)⁶³.

ვითარდება ჯ და ვ ხმოვანთგასაყარად: ინი-ჯ-ო „სად“, დი-ჯ-ა „მე“ (მიც., თლის.), დუ-ჯ-ა „შენ“ (მიც., თლის.), ლ^აო-ჯ-ა „ვის“.

§ 31. ბგერის დაკარგვა. რ > 0. თლონდოდურში -არი კომპლექს-ში იკარგება რ (რის შედეგად აი > ე || ე) ეს ხელშესახებია ზმნებში. იმავე ზმნის სხვა ფორმაში, როცა რ სხვაგვარ გარემოცვაში აღმოჩნდება, ის არ იკარგება⁶⁴.

⁶³ მსგავსი კომპლექსები ნახური ენებისთვისაა დამახასიათებელი.

⁶⁴ -არი დაბოლოება, როცა ისტორიული ი დაკარგულა, ამ პროცესს არ ემორჩილება, მაგ. სარი „მელა“ > სარ (და არა სარი > საი > სე). უნდა ვივარაუდოთ, რომ სინქრონულად არსებობდა პური „დაწერა“ და სარ „მელა“ ამ უკანასკნელში -ი ადრე

გველა „წერა“ (ინფინიტივი) < გვა-ილა < გვარ-ილა, შდრ. თლის. გვარ-ილა; გვე „დაწერა“ (ნამყო) < გვა-ი < გვარ-ი, შდრ. თლის. გვარ-ი. ამავე ზმნის სხვა ფორმაში, სადაც რ სხვა პოზიციისაში აღმოჩნდა (მაგ., -არა), რ დატულია: გვარა! „დაწერე!“ გვარახ ირა „წერს“.

ასეთივე ზმნებია: წიწ „დალია“ (< წარ-ი), ლწელა „დაგვა“.

ლ > 0. კაუზატივურ ზმნათა ინფინიტივში იკარგება კაუზატივის ნიშნისეული ლ (-აღ კაუზატივის ნიშანია, -ილა- ინფინიტივისა), ხუშტადური: ვიქ-ალ-ილა > ვიქ-ა-ილა > ვიქაჲლა „მოკვდინება“, ჰეტჲ-ალ-ილა > ჰეტჲაჲლა „თქმევინება“, ჰალტიდ-ალ-ილა > ჰალტიდ-ა-ილა > ჰალტიდაჲლა „მუშაობინება“.

შდრ. ნამყო: ვიქ-ალ-ი, ჰეტჲ-ალ-ი, ჰალტიდ-ალ-ი. აგრეთვე არა-კაუზატივური ინფინიტივები: ვიქილა, ჰეტჲილა, ჰალტიდილა.

ეგვეე პროცესი ხდება 5 თემიან ზმნებშიც, ოღონდ გადასვლათა მეტი საფეხურებია სავარაუდებელი:

რეკვ-აჲლ-ილა > რეკვა-ილა > რეკვა-იჲლა > რეკვინა > რეკვაჲნა „შესმა“ (ცხენზე).

ხმოვანფუძიან ზმნებში ლ არ იკარგება: წა-ალ-ილა > წალილა „დაღვინება“, გვ-ალ-ილა > გელილა „გაკეთებინება“.

შიიძლება ვივარაუდოთ მთელი ამ პროცესის სხვაგვარი ახსნა: ვიწრო ი-ს წინ გადმოსმა (სინორის მომდევნო პოზიციიდან): ვიქ-ალ-ილა > ვიქაილა > ვიქაჲლა. რეკვაჲლ-ილა > რეკვ-ან-ილა > რეკვანინა > რეკვინა > რეკვაჲნა. ლ იკარგება საკუთარ სახელში. ხალილ || > ხაილ, ხაჲლ (კვან.).

მ || 5 > 0. მ და 5 თანხმოვანზე დაბოლოებული ზმნური ფუძეები ინფინიტივის ფორმაში -ილა სუფიქსის ნაცვლად -ინა-ს ავლენენ (ე. ი. გარეგნულად იმ სუფიქსს, რაც 5 თემიან ზმნათათვისაა დამახასიათებელი, თუმცა ეს ზმნები არც ისტორიულად, არც ამჟამინდელი უღვლილებით 5 თემიანებს არ განეკუთვნება). ფუძის ბოლოკიდური მ და 5 იკარგება. აქ შიიძლება საქმე გვქონდეს მ/ნ-ს დაკარგვასთან მათ მიერ ინფინიტივისეული ლ-ს ასიმილაციის შემდეგ:

ყან-ილა „ქამა“ > ყან-ინა > ყა-ინა > ყაჲ-ნა (შდრ. ნამყო ყან-ი)

ტამ-ილა „ყრა“ > ტამ-ინა > ტაჲ-ნა (შდრ. ნამყო ტამ-ი).

აქ დასაშვებია სხვაგვარი ახსნაც: სონორის მომდევნო ვიწრო ხმოვანი ი, რომელიც დახურულ მარცვალშია მოქცეული ორ სონორს შორის (-ნილ-, -მილ-), წინ გადმოისმის, ხოლო შემდეგ ასიმილაცია ხდება:

დაიკარგა, სანამ ა-ი ხმოვნებს შორის რ-ს მოუღება დიფყებოდა). რ სპორადულად შეიძლება დაიკარგოს სხვა შემთხვევაშიც, მაგ. კვან. მესერლ შა > მესელ შა „ოქროსიც“.

ყან-ილა > ყა-ინ-ლა > ყა-ინა > ყაანა || ყენა

ტამ-ილა > ტა-იმ-ლა > ტაინლა > ტაინა > ტაანა || ტენა.

მ დაკარგულა თანხმოვანთკომპლექსში: ჭუმრი > ჭური „ცხოვრება“ (თლიბ.).

დ > 0. ერგატივის დ თლოსურში ფაქულტატურად შეიძლება დაიკარგოს „ცოცხალი“ ბრუნების სიტყვებში (შაუ და ლ'ში „ჩანართების“ მომდევნოდ):

სახ.	იმა „მამა“	მაშა „ქალიშვილი“
ერგ.	იმა-შაუ-დ იმა-შაუ	მაშა-ლ'ში-დ მაშა-ლ'ში
ნათ.	იმა-შაუ-ბ	მაშა-ლ'ში-ლ'

მაგრამ: სახ. დაცო „და“, ერგ. დაცო-დ (პარალელური დაცო არ იხმარება, სიტყვა „არაქული“ ბრუნებისა).

ამ პროცესის შედეგად ერგატივის ფორმა წარმოდგენილია როგორც სუფთა ფუძე ირიბი ბრუნებისა (იმაშაუ-, მაშაში-).

ჭ > 0. უჭი > უჲ „იჭ“ (კვან.), კ'ე-ჰაწადა > კ'წადა „ოცი“, ინ-შთუ-ჰაწა(და) > ინშთვაწა(და) „ორმოცდაათი“, ბიტეიჰაწა(და) > ბიტე-აწა „ოთხმოცი“, გ'შლა (კვან.) „კეთება“ < გაჰლა, ეშლა (თლიბ.) „კეთება“ < ჟაჰლა (თლის.).

§ 32. დელაბიალიზაციის შესახებ. შეინიშნება დელაბიალიზაციის თითო-ოროლა შემთხვევა:

მაკა < მაკვა „ადგილი“ (კვან., თლის.; მაგრამ თლონდ. მაკვა).

ბაკალ < ბაკვალ „მუცელი“ (კვან.), შდრ. თლონდ. ბაკვალ.

მაქალი < მაქვალი „მოშივდა“ (ხუმტ. ეს ფუძე დელაბიალიზებულია სხვა თქმებშიც).

ყველა ეს სიტყვა კარგადაა ცნობილი ანდიურ ენებში (ლაბიალიზებული კომპლექსით).

საინტერესოა, რომ ა-ს წინ ამ მაგალითებში კ და ქ გვაქვს და არა კ' ან ქ', რაც იმითაა გამოწვეული, რომ კ მომდინარეობს კვ-სა-საგან, ქ კვ-საგან. ლაბიალური კომპლექსის დელაბიალიზაციით მიღებული უკანანისმიერი ხშული პალატალიზაციას არ განიცდის: მაკვა > მაკა (და არა მაკ'ა), ბაკვა > ბაკა (და არა ბაკ'ა), მაქვალი > მაქალი (და არა მაქ'ალი)⁶⁵.

⁶⁵ თლისურში ო-ს წინ ვ ძღებს ხოლმე: ეკვობ „უცხო“, კვობი (იშვ. კობი) „მოკლა“ დელაბიალიზაციით შეიძლება იყოს მიღებული ჰემერსოული ეკა „არის“. შდრ. კვან. ეკვა „არის“.

გრამატიკული კლასი

§ 33. გრამატიკული კლასების რაოდენობა და ნიშნები. ბავალურ ენას გრამატიკული კლასების განვითარებული სისტემა აქვს. კლასებად დაყოფის საფუძველია სახელთა განაწილება გარკვეულ სემასიოლოგიურ ჯგუფებად. თითოეულ ამ ჯგუფს თავისი მორფოლოგიური აღმნიშვნელი (კლასის ნიშანი) აქვს, რომელიც, როგორც წესი, ყველაზე ნაკლებად არსებით სახელებთან იხმარება⁶⁶, ყველაზე ხშირად კი არსებით სახელთან სინტაქსურად დაკავშირებულ სიტყვებთან (განსაკუთრებით ატრიბუტულ სახელებში—ფართო გაგებით: ზედსართავი სახელი, რიგობითი რიცხვითი სახელი, ჩვენებითი ნაცვალსახელი, მიმღეობა...—და ზმნებში, თუმცა კლასის ნიშანი ყველა მეტყველების ნაწილში შეიძლება შეგვხვდეს, შორისდებულშიაც კი).

კლასების მიხედვით არსებით სახელთა დაყოფის პრინციპი საკმაოდ მარტივია, მხოლოდობით რიცხვში გამოიყოფა სამი კლასი, მრავლობითში—ორი.

მხოლოდობითი რიცხვის I გრამატიკულ კლასში შედის მამრობითი სქესის ადამიანის აღმნიშვნელი სიტყვები: იმა „მამა“, ვაშა, „ვეაი“, ვასა „ძმა“, იჭვა „მწყემსი“, ეჭუნ „მჭედელი“, დიბირ „მოსამართლე“ და მისთ. I კლასის ნიშანია ვ.

II გრამატიკულ კლასში შედის მდედრობითი სქესის ადამიანის აღმნიშვნელი სიტყვები: ილა „დედა“, ჟაშ „ქალიშვილი“, ჰაკუჟ „ცოლი“ და მისთ. II კლასის ნიშანია ჟ.

III გრამატიკულ კლასში შედის ყველა ის სახელი, რომელიც წინა ორ კლასში არ ხვდება, ე. ი. არაადამიანთა აღმნიშვნელი სახელები (ცხოველები, საგნები, მოვლენები და სხვ.): ზინ „ძროხა“, ბალჰა „ბარტყი“, ბექა „გველი“, ლუნღე „მტრედი“, მისა „სახლი“, ბექუნ ' „ოვ-ზი“, ყერვ „ხორბალი“, ჰივა „მსხალი“, რელა „ხელი“, ჰინწა „ქვა“,

⁶⁶ არსებით სახელებში გრამატიკული კლასის ნიშნის სიჭარბე ადრე უნდა გამხდარიყო ს. გრძნობი: არსებითი სახელის კლასი სემანტიკიდან ამოსვლით საკმაოდ ცხადია (ალბათ ამიტომაც, რომ გაქვევებული კლასის ნიშნები ხშირია სწორედ არსებით სახელებში). კლასის ნიშანი, რომელიც არსებითი სახელის შემადგენლობაშია, „შიგნით იყურება“—მოითითებს თვით ამ არსებითი სახელის კლასზე. სხვა სიტყვებში კი (მაგ. ზედსართავ სახელში, ზმნაში და სხვ.) კლასის ნიშანი „გარეთ იყურება“—მოითითებს მასთან დაკავშირებული არსებითი სახელის კლასზე. გრამატიკულ კლასებად დაყოფის დროს არსებით სახელთანაა გათანაბრებული ყველა ის სიტყვა, რომელიც არსებითი სახელის ფუნქციით (წვემდებარედ, დამატებად) შეიძლება იქნეს ნახმარი.

ბესა „მთა“, ლ'ვენ „წყალი“, მილპ „მზე“, ზებ „დღე“, ვასიგათ „ანდერძი“, თელ „ტელეგრაფი“, თეთრად „რვეული“, ქალწოზ. „კოლმეურნეობა“. III კლასის ნიშანია ბ.

ამრიგად, I და II კლასი ადამიანის კლასია, სქესის მიხედვით დიფერენცირებული, ხოლო III კლასი ე. წ. ნივთის კლასს წარმოადგენს⁸⁷. განაწილების ეს პრინციპი მარტივია და გაუგებრობისათვის ადგილი არა რჩება. აღნიშვნას საჭიროებს რამდენიმე შემთხვევა. ზოგი სიტყვა (მაგ. მაკ „ბავშვი“, მადოჰალ „მეზობელი“) მამაკაცსაც შეიძლება აღნიშნავდეს და ქალსაც. ასეთი სიტყვა ორივე კლასისად გაიგება რეალური კონტექსტის მიხედვით: მაკ ვნ „ბავშვი (ვაჟი) მოვიდა“, მაკ მან „ბავშვი (ქალი) მოვიდა“, ასევე მადოჰალ ვნ ან მან „მეზობელი მოვიდა“ (ვნ—მამაკაცი, მან—ქალი)⁸⁸. ღმერთი (ალლაჰ), ანგელოზი (მალაჰქ. მალქქ), დევი (ნართავ) მამრობითი სქესის არსებებადაა წარმოდგენილი (და, ცხადია, I კლასს განეკუთვნება), როკაბი (ჰართ)—მღვდრობითი სქესისაა, ეშმაკი (შაჰტან, შეტან) საშუალო სქესისა. ადამიანთა ჯგუფის აღმნიშვნელი სახელები ხალყ „ხალხი“, იპა „ჯარი“, „ერი“ მესამე კლასისაა, თუმცა ხშირად ეს სიტყვები მრავლობითად ესმით: ხალყ ბნ „ხალხი მოვიდა“ || ხალყ რან „ხალხი მოვიდნენ“⁸⁹.

მრავლობით რიცხვში გარჩეულია ორი კლასი: ადამიანის კლასი და ნივთის კლასი. პირველი მათგანი აერთიანებს მხ. რ.-ის I და II კლასში შემავალ სახელებს, მეორე კი მხ. რ.-ის III კლასის სახელებს. ადამიანთა კლასის ნიშანია ბ, ნივთის კლასისა—რ. დაპირისპირება ადამიანი—არაადამიანი (ნივთი) საერთოა მხ. და მრ. რიცხვებისათვის, განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ მხ. რ.-ში ადამიანის კლასი დამატებითაა დიფერენცირებული სქესის მიხედვით.

გრამატიკული კლასის ნიშნების სქემა

	მხ. რ.		მრ. რ.	
	I კლ. ვ	}	ადამიანის კლასი	ბ
	II კლ. მ		ნივთის კლასი	რ
	III კლ. ბ			

⁸⁷ იქ. სად.ც საჭირო ხდება მესამე კლასის სახელთა გარჩევა რეალური სქესის მიხედვით, გამოყენებულია ლექსიკური საშუალება: მღვდლისა და მამრის გასარჩევად ან სხვადასხვა სიტყვა ნახმარი, ან წინ განსაზღვრება ექნება. პირველის მაგალითია ზინ „ძროხა“, და მუსა „ხარი“, მეორისა—ჰაკუბ გამუშო „დღელი კამეჩი“ (ე. ი. ფერ-კამეჩი) და ქუნტაბ გამუშო „მამალი კამეჩი“ (ე. ი. ხარ-კამეჩი).

⁸⁸ ბრუნების დროსაც კლასთა შორის სხვაობა დანახდება: მადოჰალ-შოზ-რ პიტვი „მეზობელმა (კაცმა) თქვა“, მადოჰალ-ლიზი-რ პიტვი „მეზობელმა (ქალმა) თქვა“.

⁸⁹ სიტყვა არამ (ადამ) უპირატესად მეორე კლასისად გაიგება „ადამიანი“ („ქალი“).

მაგალითად:

ჰიკა-ვ ვასა ვ-წ „უფროსი („ლილი“) ძმა მოვიდა“
 ჰიკა-ღ მასა მ-წ „უფროსი („ლილი“) და მოვიდა“
 ჰიკა-ბ ჰვამ ბ-წ „ლილი ძალლი მოვიდა“
 ჰიკა-ბ-ა ვასაიბადი (მასაიბადი) ბ-წრ — „უფროსი ძმები (დები) მოვიდნენ“
 ჰიკა-რ ჰვარალა რ-წ „ლილი ძალები მოვიდნენ“

გრამატიკული კლასის ბ ნიშნის ნაცვლად (როგორც მხ. რ.-ში, ისე მრ.-ში) შეიძლება შეგვხვდეს შ, ხოლო რ-ს ნაცვლად — წ. ეს ხდება მაშინ, როცა კლასის ნიშნის მეზობლად ნაზალური ხმოვანია (შბ > შ, წრ > წ. იხ. ფონეტიკური ნაწილი, § 27). მაგ. ბ-ილჰა-შ „მოხარულნი“ (< ბ-ილჰა-შ (შდრ. I კლ. ვ-ილჰა-ვ, II კლ. მ-ილჰა-მ). რ-ილჰან „მოხარულნი“ (< რ-ილჰა-რ), ბ-ილჰა-შ-ა „მოხარულნი“ (< ბ-ილჰა-შ-ა), ბ-აჟუ-მ-ო „გათხრა რა“ (< ბ-აჟუ-მ-ო).

მრავლობით რიცხვში ადამიანის კლასის ნიშანი ბ, როდესაც იგი აბსოლუტურ ბოლოშია, წარმოდგენილია როგორც -ბა (მაგ. ზედსართავ სახელებში, რიცხვით სახელებში, ნაცვალსახელებში, მიმღობებში):

მხ. რ	მრ. რ.
I კლ. ვ-ეჰეტუ-ვ	} ადამ. ბ-ეჰეტუ-ბ-ა „შავი“ ნივთ. რ-ეჰეტუ-რ
II კლ. მ-ეჰეტუ-მ	
III კლ. ბ-ეჰეტუ-ბ	
I კლ. ო-ვ	} ადამ. ო-ბ-ა „ის“ ნივთ. ო-რ
II კლ. ო-მ	
III კლ. ო-ბ	

უფრო ვრცლად ამ საკითხის შესახებ იხ. მრ. რიცხვის წარმოებასთან დაკავშირებით.

გრამატიკული კლასის ნიშანი შეიძლება შეგვხვდეს როგორც სიტყვის თავში, ისე ბოლოში (სპორადულად სიტყვის შუაშიც). სიტყვას შეიძლება ერთდროულად ორი კლასის ნიშანი აღმოაჩნდეს (მაგ. ერთი თავში, ერთი ბოლოში), მაგრამ სიტყვათა დიდ ნაწილს კლასის ნიშანი სრულებით არა აქვს.

სიტყვის თავში კლასის ნიშანი ჩვეულებრივია, მაგალითად, ზმნებში (ბ-უკვა „იყო“, ბ-ეწი „აავსო“, ბ-ალი „დაუძახა“)⁷⁰, ზმნისართებში (ბ-ახა „გარეთ“, ბ-ატა „შუაში“).

⁷⁰ აქ და ქვემოთ კლასნიშნის სიტყვა (გარდა განსაკუთრებული შემთხვევებისა) მოგვყავს შესამე გრამატიკული კლასის ნიშნით. განზოგადებისათვის ბ ნიშანია ნახმარი.

თავსა და ბოლოში კლასის ნიშანი ჩვეულებრივია ზედსართავ სახელებში, მიმღეობებში, ნამყოს აბსოლუტივებში (ბ-აჩაკე-ბ „მოკლე“, ბ-ელა-ბ „წერილი“, ბ-ეკეტუ-ბ „შავი“ ბ-ესხალა-ბ, „გრძელი“, ბ-ეყუ-ბ „გამხმარი“, ბ-ა-ბ „მოსული“, ბ-ბ-ო „მოვიდა რა“, ბ-აყაშალი-ბ-ო „დამალა რა“).

ბოლოში კლასის ნიშანი ჩვეულებრივია ზედსართავ სახელებში, ჩვენებით ნაცვალსახელებში, მიმღეობებში, არსებით სახელებში (ატრიბუტული წარმოშობისა)?⁷¹ და სხვ. (ითა-ბ „დაბალი“, ბეჩერა-ბ „მდიდარი“, ბაჰარა-ვ „მეფე, მექორწილე“, ბაჰარა-ჟ „პატარძალი“, ბაჰა-ბ „ალესისლი“, იჰუ-ბ „გაკეთებელი“, ო-ბ „ის“, ირარა-ბ „ტინდიელი“, იპათუ-ბ „ობოლი“).

ინლაუტში კლასის ნიშანი იწვიათია (ა-ბ-ათითელა „რხევა“, ეო-ბ-ელა „შერევა, არევა“, ა-ბ-ე „აჰა, აი“).

კლასის ნიშანი ხშირად გვხვდება აფიქსების შემადგენლობაშიც. მაგ., კლასის მიხედვით იცვლება ნათესაობითი ბრუნვის ერთი სახეობა, მიმღეობის დაბოლოება, ნამყოს აბსოლუტივის ნიშანი.

გრამატიკული კლასის ნიშანი (ვ, ჯ, ბ, რ) რა პოზიციაშიც არ უნდა შეგვხვდეს ის, არასდროს უშუალოდ არ ემეზობლება ფუძის თანხმოვანს: კლასის ნიშნის გვერდით მუდამ ხმოვანია: თუ კლასის ნიშანი პრეფიქსულია, მას მოსდევს ხმოვანი (ბ-ე-წილა „აყება“), თუ სუფიქსურია—წინ უძღვის ხმოვანი (ირ-ა-ბ „მყოფი“), თუ ინფიქსურია—ხმოვნებითაა გარემოცული (ა-ბ-ა-თითელა „რხევა“). კლასის ნიშნის ეს თანხმლები ხმოვანი („მაკავშირებელი“, „მაერთებელი“ ხმოვანი), როგორც წესი, არაა ძირის კუთვნილება, ის აფიქსისეულია. პრეფიქსებში ეს ხმოვნები კლასის ნიშანთან (ვ, ჯ, ბ) არის მჭიდროდ დაკავშირებული. ამ ხმოვანთა ცვლა ზოგჯერ მორფოლოგიური ფუნქციის მქონეა (მაგ., გადმოსცემს რიცხვს, იხ. ქვემოთ), რაც იმაზე მიუთითებს, რომ ბ-ა, ბ-ე... გარკვეული მთლიანობებია, რომლის ელემენტები (ბ-, ა...) შეიძლება დამოუკიდებელი ფუნქციითაც იყოს აღჭურვილი?⁷²

⁷¹ არსებით სახელებში კლასის ნიშანი შედარებით იშვიათია (მხედველობაში არა გვაქვს გაქვევებული კლასის ნიშანი). იქ, ს.დაც ის გვხვდება, როგორც წესი, სუფიქსია. ყველა ასეთი სახელი წარმოშობით ატრიბუტულია: ბაჰარა-ვ „მეფე, მექორწილე“, ბაჰარა-ჟ „პატარძალი“, ეთნიკური (წარმოშობის) სახელები: მურცხა-ვ „რუსი“, გურჯიმა-ვ „ქართველი“, ყუბუტა-ვ „ებრაელი“. პრეფიქსული ნიშანი აქვთ ე.ა.ბ „ძმ.“, მას „და“, ე.ა.შ „ვაჟი“, მ.ა.შ „ქალი“... სიტყვებს, მაგრამ ფაქტობრივ კლასის ნიშანი აქ თითქმის ვ:კავებულია.

⁷² სიტყვის ფუძეთა ისტორიული ანალიზის დროს, როდესაც სხვადასხვა ენის მონაცემებს ერთმანეთს უპირისპირებენ, კლასის ნიშანს მომდევნო ხმოვანთან ერთად გამოყოფენ უშენიშნოდ, თუმცა ამგვარი ანალიზის არსი ყოველთვის როდია ს:თანადოდ გაცნობიერებული.

§ 34. გრამატიკული კლასის ასახვა არა კლასის ნიშნებით. გარდა გრამატიკული კლასის ნიშნებისა (ვ, ჰ, ბ, რ) ზოგს შემთხვევაში კლასი შეიძლება აისახოს სხვა საშუალებითაც. მაგალითად, ატრიბუტულ სახელთა (აგრეთვე ზოგ არსებით სახელთა) ბრუნებაში ირიბ ბრუნვათა ფუძის მაწარმოებელი შაუ I კლასის სახელებთან გვაქვს, ხოლო ლ'იი II და III კლასის სახელებთან. ამდენად შაუ-ს და ლ'იი-ს შეუძლია მიგვანიშნოს გარკვეულ კლასებზე. ამიტომ მაკ „ბავშვი“, რომელიც გარეგნულად კლასს არ განარჩევს, ირიბ ბრუნებებში შეიცავს ცნობას, თუ რომელი კლასისაა სათანადო სიტყვა, მაგ. მაკა-შაუ-რ „ბავშვმა—ვაქმა“, „მაკა-ლ'იი-რ „ბავშვმა—ქალმა“. ასევე: კერა „ორი“, მაგრამ კერა-შაუ-რ „ორმა მამაკაცმა“, კერა-ლ'იი-რ „ორმა ქალმა“, მადოჰალ „მეზობელი“, მაგრამ მადოჰალ-შაუ-რ „მეზობელმა კაცმა“, მადოჰალ-ლ'იი-რ „მეზობელმა ქალმა“.

ზმნაში გრამატიკული კლასის ნიშნის მომდევნო ხმოვნის ცვლა ასახავს ადამიანის კლასს (ბაკურ „იყვნენ ადამიანები“, რუკვა „იყვნენ ნივთები“). ასევე რ სუფიქსი ნამყო დროის ფორმაში მხოლოდ ადამიანის კლასში გვაქვს (იხ. რიცხვის აღნიშვნის შესახებ ზმნაში). ადამიანის და ნივთის კლასებს შორის სხვაობა ასახულია ზოგ სახელთა მრავლობითი რიცხვის წარმოებაშიც (მესამე გრამატიკული კლასის სახელებში რეალური სქესის გადმოცემის საშუალების შესახებ იხ. ზემოთ).

§ 35. გრამატიკული კლასების ისტორიიდან (ზოგ ანომალიასთან დაკავშირებით). ზოგიერთ მკვიდროდ შეკრულ გამოთქმაში მესამე გრამატიკული კლასის თითო-ორი სიტყვა აღნიშნულია რ ნიშნით (ნაცვლად მოსალოდნელი ბ ნიშნისა). მაგ., სიტყვა ზებ „დღე“ მესამე კლასის სიტყვაა (ზებ ბ-ნ „დღე მოვიდა“), მაგრამ მყარ გამოთქმაში „ერთ დღეს“ ეს სიტყვა შეიძლება აღინიშნოს ბ-თი ან რ-თი: ცე-ბ ზელ'იირ II ცე-რ ზელ'იირ „ერთ დღეს“. ცე-რ ზელ'იირ არის ანარეკლი იმ დროისა, როცა სიტყვა ზებ მეოთხე (რ) კლასისა იყო. ამ მყარ გამოთქმაში ძველი ვითარებაა შემონახული (ცე-ბ ზელ'იირ კი ახალი ნორმის მიხედვითაა გამართული). ამრიგად, წინათ ბაგვალურს მხ. რ.-ში მეოთხე კლასიც (რ კლასი) უნდა ჰქონოდა⁷³. ამრიგად, ნივთის კლასი ორი იყო ბ და რ (ბაგვალურსა და მის ახლო მონათესაე ენებში განვითარების გარკვეულ საფეხურზე ნივთის კლასი შეიძლება ორზე მეტიც ყოფილიყო)⁷⁴.

⁷³ ხუნძურ-ანდიური ენების შესახებ ასეთი ვარაუდი კარგა ხანი გამოთქმულია. იხ. არნ. ჩიქობავა, გრამატიკული კლასების ისტორიისათვის ხუნძურში. „ენიშის მოამბე“, I, 1937, A. A. Бокарев, О классных показателях в аваро-андоцезских языках, „Язык и мышление“, X, 1940.

⁷⁴ ტ. გულდავა, გრამატიკული კლასების ისტორიისათვის ტინდიურში. იყე, VI, 1954.

ზებ რომ მართლაც რ კლასისა იყო, ამას ადასტურებს დღეთა სახელებიც ბაგვალურში, მაგ. კორ „საქმებათი“ (ეტიმოლოგიურად „კარგი“), რატე „ხეთმებათი“ (ეტიმოლოგიურად „შუა“), წაბარ „კვირა“. ყველა ამ სიტყვის მომდევნოდ ზებ „დღე“ ივარაუდება (კორ ზებ და მისთ.), რომლის კლასიც ასახულია ამჟამად გაქვავებული რ-თი⁷⁵.

ასევე რ კლასისა უნდა ყოფილიყო მისა „სახლი; ოთახი“, რეპა „ღამე“. შღრ. მისა რატეილ'აი „შუა ოთახში“ (ბატე-„შუა“ კლასის მიხედვით იცვლება), რატე რეპალ'აი „შულამეს“ (კვან.). რ კლასისა უნდა ყოფილიყო „ცეცხლიც“ (მაგ. თლისურში რუშევაჲ „ჩაქრა“ რ გაქვავებულია).

რამდენადაც კლასის ნიშანი არსებითი სახელის კლასს ასახავს, პერსპექტიული ჩანს ზმნაში, ზედსართავში და სხვ. გაქვავებული კლასის ნიშნის მიხედვით აღვადგინოთ კლასი იმ სიტყვისა, რომელიც ამ ზმნასთან, ზედსართავთან... იყო სინტაქსურად მყარ კავშირში.

გაქვავებული კლასის ნიშნები მრავლად გვხვდება მეტყველების თითქმის ყველა ნაწილში, მაგრამ ამ საკითხის რკვევა ისტორიული ევლვა-ძიების საქმეა.

სასურველი ჩანს განვასხეავოთ კლასის ნიშნის გამოყენების ორი შემთხვევა. ზმნაში, მაგალითად, პრეფიქსული კლასნიშანი ქვემდებარე-დამატებას ასახავს (სახელობითში დასმულს), ზედსართავში კი იგი მხოლოდ საზღვრულთან შეთანხმების ელემენტია (ამიტომ მნიშვნელობა არა აქვს, თუ რომელ ბრუნვაშია საზღვრული). ქვემდებარე-დამატების (როგორც ასეთის) კლასის აღნიშვნა ზედსართავის კლასის ნიშანს არ აინტერესებს. ეს რელიეფურად ჩანს მიმღეობის კლასის ნიშნებზე დაკვირვებისას. მიმღეობა ნაზმნარი ზედსართავია და მისი „ორბუნებოვნობა“ დაჩნდება კლასის ნიშნებიც: პრეფიქსული კლასის ნიშანი, რომელიც მიმღეობას ზმნიდან მოჰყვება, ისევე არეკლავს ქვემდებარე-დამატების კლასს, როგორც სათანადო ზმნა, ხოლო მიმღეობის სუფიქსური კლასის ნიშანი, რომელიც მიმღეობას ზედსართავთან აერთიანებს, ისევე იქცევა, როგორც ზედსართავის კლასის ნიშანი—ეთანხმება საზღვრულის კლასს. ამიტომაც, რომ შესაძლებელი ხდება აბსოლუტური (ოდენქვემდებარეიანი, „ერთბირიანი“) ზმნისაგან ნაწარმოებ მიმღეობასაც კი ორი (პრეფიქსსა და სუფიქსში) ერთმანეთისიგან განსხვავებული კლასის ნიშანი ჰქონდეს: სხვადასხვა დანიშნულებისაა და იმიტომ. მაგ., შამილ ვ-უკვა-ბ ზამანალ'აირ „შამილის დროს“ (ზედმიწ. „შამილი ყოფილ

⁷⁵ ანალოგიით ეს რ გასჩენია შაბათის სახელსაც: შ.მ.რ.

დროს“) ვ-უყვა-ბ-ის ვ შამილის კლასს ასახავს (შდრ. შამილ ვ-უყვა „შამილი იყო“), ხოლო ზ მომდევნო ზმნისართის კლასის „ზედსართა-ული“ ასახევა (შდრ. ჰრ-ბ ზამან „კარგი დრო“, ჰრბ ზამანლ'იარ „კარგ-მა დრომ“, „კარგ დროს“). აქედან ცხადია, რომ გარდამავალი ზმნის მიმ-ლეობაც სუფიქსური კლასის ნიშნით საზღვრულის კლასს აღნიშნავს (და არა ქვემდებარისას ან დამატებისას): ბაწა ბიშაუ-ვ იმა „მამა, რომელმაც დაიჭირა მგელი“ (ზედმიწ. „მგელი დაჭერილი მამა“), იმა ვ-იშაუ-ბ ბაწა „მგელი, რომელმაც დაიჭირა მამა“ (ზედმიწ. „მამა და-ჭერილი მგელი“). აქ სუფიქსური ვ (პირველ მაგალითში) და ზ (მეორე მაგალითში) ქვემდებარეს კი არ აღნიშნავს (თუმცა სათანადო სიტყვა აქ მართლაც ქვემდებარეა), არამედ საზღვრულის კლასს. შდრ. ბაწა ბ-იშაუ-ბ ყვალ'იარ „მგელი რომ დაიჭირა“ (ზედმიწ. „მგელი დაჭერილი დროს“). ცხადია, ყვალ'იარ არაა ქვემდებარე.

ზმნური ტიპი კლასის ნიშნისა ახასიათებს ზმნას, ზმნისართს, მიმ-ლეობას (პრეფიქსში). ზედსართული—ზედსართავს, რიცხვითსა და ნა-ცვალსახელებს და სხვებს.

რიცხვი

§ 36. რიცხვი ორია: მხოლოობითი და მრავლობითი. სხვადასხვა საშუალებით რიცხვი შეიძლება აისახოს მეტყველების ყოველ ნაწილში.

გასარჩევია მრავლობითი რიცხვის წარმოების ორი სხვადასხვა სა-შუალება: 1. მრავლობითი რიცხვი ნაწარმოებია სპეციალური სუფიქსე-ბით, 2. მრავლობითი რიცხვი ნაწარმოებია კლასის ნიშნებით.

მრავლობითი რიცხვის წარმოების პირველი საშუალება დამახასია-თებელია არსებითი სახელისათვის, მეორე საშუალება კი ყველა სხვა მეტყველების ნაწილისათვის (ზედსართავი, რიცხვითი, ნაცვალსახელი, ზმნა და სხვ.). ამრიგად, მრ. რ.-ის წარმოებაში არსებითი სახელი უპი-რისპირდება სხვა სახელებს და მეტყველების სხვა ნაწილებს საერთოდ.

§ 37. მრავლობითი რიცხვის წარმოება სპეციალური სუფიქსებით (არსებით სახელებში). მრავლობითი რიცხვის საწარმოებლად არსებით სახელებში რამდენიმე სუფიქსი გვხვდება: -ბი (ვარიანტები: -ი-ბი, -ა-ბი, -მი), -ა, -ი, -დარი, -ბადი, გამონაკლისის სახით დასტურდება -ლი, -დი, -ლ'ა და ხუნძქურიდან ნასესხები -ზაბი.

ამ სუფიქსთა გამოყენება ფაქულტატური არაა: ამა თუ იმ სიტყვას მრავლობის ესა თუ ის სუფიქსი აქვს. მართალია, რიგ შემთხვევაში შეინიშნება პარალელური წარმოებაც.

-ბი (-ა-ბი, -ი-ბი, -მი):

არსებით სახელთა უდიდესი უმეტესობა მრ. რიცხვს აწარმოებს -ბი სუფიქსით, რომელიც ხმოვანდართული სახითაც გვხვდება ა-ბი, ი-ბი. -ბი სუფიქსის ფონეტიკური ვარიანტია -მი, რომელიც ხ-ზე დაბოლოებულ სახელებთან ვლინდება.

ა-ბი, ი-ბი სუფიქსთა თავიკიდური ა- და -ი ხმოვანი ირიბ ბრუნვათა ფუძის მაწარმოებელ ხმოვანს ჰკავს (იხ. ქვემოთ) და ხშირად (მაგრამ არა ყოველთვის) ემთხვევა მხ. რ-ში ბრუნვათა ფუძის მაწარმოებელ ხმოვანს (მაგ. სახ. ჭუჩა „წიგნი“, მხ. ერგ. ჭუჩი-ი-რ, მრ. რ. სახ. ჭუჩი-ი-ბი; სახ. გარ „ყელი“, მხ. ერგ. გარ-ა-რ. მრ. სახ. გარ-ა-ბი... მაგრამ სახ. ქაქა „ძუღუ“, მხ. ერგ. ქაქა-რ, მრ. სახ. ქაქ-ი-ბი).

-ბი სუფიქსი ჩვეულებრივია ხმოვანფუძიან სახელებთან.

მაგალითები (-ბი სუფიქსი): ვაშა, „ვაეი“—ვაშა-ბი, რაკვა „გული“—რაკვა-ბი, ფერა „ფუტკარი“—ფერა-ბი, შავა „თევზი“—შავა-ბი, ჰეკორა „თაგვი“—ჰეკორა-ბი, ოჩა „ქათამი“—ოჩა-ბი, კარა „კოლო“—კარა-ბი, ილა „ღედა“—ილა-ბი, იმა „მამა“—იმა-ბი, მუგა „თითისტარი“—მუგა-ბი, ნიკა „ქუსლი“—ნიკა-ბი, რელჰა „ზღვა“; „ღამე“—რელჰა-ბი, ყამჩა „ფაფარი“—ყამჩა-ბი, წიკა „ტერფი“—წიკა-ბი, ჰანკიტა „ყური“—„ჰანკიტა-ბი“, გარდო „ორმო“—გარდო-ბი, ილჰო „ტბა“, „გუბე“—ილჰო-ბი, დარუ „წამალი“—დარუ-ბი, ჰოქო „ურემი“—ჰოქო-ბი...

-ბი-ს დართვისას ბოლო აჰ კომპლექსი ე-დ გადაიქცევა: თაჰ „კვიცი“—თები (< თაჰ-ბი).

ა-ბი ჩვეულებრივად თანხმოვანფუძიან სახელებთან გვხვდება: ჭიზან „ოჯახი“—ჭიზან-აბი, ჰაკუჰ „კოლი“—ჰაკუჰ-აბი. შეეტან „ემშაკი“—შეეტან-აბი, ჩანაჯან „მონადირე“—ჩანაჯ-აბი⁷⁸, ანეით „ნაჯახი“—ანეით-აბი, ას „ვერცხლი, ფული“—ას-აბი, გარ „ყელი“—გარ-აბი. გამუშა „კამეჩი“—გამუშა-აბი, ზებ „ღღე“—ზებ-აბი, ილჰ „კური“—ილჰ-აბი, მიყ „გზა“—მიყ-აბი, მუგაშილ „კოჭი, თითისტარის წამოსაცმელი კვირისტავი“—მუგაშილ-აბი, რუტჰ „ულელი“—რუტჰ-აბი, რატჰ „ძვალი“—რატჰ-აბი, რეყელჰ „ზერგი“—რეყელჰ-აბი, სიმ „ბაგე“—სიმ-აბი, სარ „მელა“—სარ-აბი, ტანკალ „კურდღელი“—ტანკალ-აბი, ტორ „კლდე“—ტორ-აბი, უნ „თავი“—უნ-აბი, ქუბალჰ „თოხი“—ქუბალჰ-აბი, ყინ „კედელი“—ყინ-აბი, შაჰარ „ბალაქი“—შაჰარ-აბი, წიერ „სახელი“—წიერ-აბი, ჰინწილ „თითი“—ჰინწილ-აბი, ჰუჰჰა „კარი“—ჰუჰჰა-აბი.

⁷⁸ ეს სიტყვა ხუნძურიდანა შემოსული როგორც მხ. ისე მრ. რ.-ის ფორმით.

უ/ო-ზე დაბოლოებული სახელი -აბი დაბოლოების წინ ხან კარგავს ხმოვანს, ხან კი უ/ო ვიწროვლება ვ-დ: გიგო „გუგული“—გიგვაბი...

ფუძის ბოლოკიდური ვ თანხმოვნის მომდევნოდ ხან დაკარგულია, ხანაც დაცულია⁷⁷. ვ დაკარგულია: მილჰე „ფრჩხილი“—მილჰაბი, მიქათვი „წვერი“—მიქათაბი, სალვ—„კბილი“—სალაბი... ვ დაცულია: ნიქვ „მუხლო“—ნიქვაბი, ისე „ლოჯის კბილი“—ისვაბი, კანშე „ხვლიკი“—კანშევაბი, ქითე „კატა“—ქითევაბი, ლანდე „ყვავი“—ლანდევაბი, ლაქე „ხელი“—ლაქევაბი, ჰაკე „ბუქჩი“—ჰაკევაბი, ჰელეჰე „მამალი“—ჰელეჰევაბი, ჰილე „ფსკერი“; „ფრთა“—ჰილევაბი.

-ი-ბი უპარატესად ა ხმოვანფუძიან სახელებთან გვხვდება. ხმოვანფუძიანი სახელი -იბი-ს წინ კარგავს ხმოვანს: ქუნტა „ქმარი“—ქუნტიბი, ბექა „ძველა“—ბექაბი, ლელა „ხელი“—ლელიბი, ქაქა „ძუძუ“—ქაქაბი, ჰაკა „თვალი“—ჰაკაბი, ბერო „ვაცი“—ბერიბი, ბესა „მთა“—ბესაბი, კვანტა „მაკრატელი“, „სამთითი“—კვანტიბი, კილა „ლოყა“—კილიბი, კამა „რქა“—კამაბი, მილა „კული“, „დუმა“—მილიბი, როშა „ხე“—როშიბი, ქოტა „ჩაქუჩი“—ქოტიბი, ჭურჩა „წიგნი“—ჭურჩიბი, ქვანშა „ფეხი“—ქვანშიბი, ლვარქა „ირემი“—ლვარქაბი, პანკვა „ლურსმანი“—პანკვაბი⁷⁸, ჰინწა „ქვა“—ჰინწაბი, ინხა „წყარო“—ინხაბი, პან „სოფელი“—პანაბი, ჰერერ „ხბო“—ჰერერიბი.

-მი გვხვდება ნ ან ნაზალზებულ ხმოვანზე დაბოლებულ ფუძეებთან, ამასთან ფუძის ბოლოკიდური ნ იკარგება (ასევე იკარგება ნაზალიზებული ხმოვნის ნაზალობის ელემენტი). -მი წარმოადგენს -ბი სუფიქსის ფონეტიკურ ვარიანტს, მიღებულს ბ-ს შერწყმით წინამდებარე ნ-სთან (ან ხმოვნის ნაზალობის ელემენტთან. იხ. ფონეტ. ნაწილი, § 27): კაკან „კვერცხი“, „კუმპალი“—კაკამი (<კაკან-ბი) ეპუნ „მკედელი“—ეპუმბი (<ეპუნ-ბი)⁷⁹, ბეპუნ „საწოლი, ბუდე, კოვზი“—ბეპუმბი (<ბეპუნ-ბი),⁸⁰ ლაქე „წყალი“—ლაქემბი (<ლაქე-ბი), სიხ „დათვი“—სიხმბი (<სიხ-ბი).

ზოგ ამ სიტყვას მრ. რ.-ის პარალელური ფორმაც ეწარმოება, მაგ., კაკან-დარი „კვერცხები“, ეპუნ-დარი „მკედლები“, ბეპუნ-დარი „ბუდეები; კოვზები“.

⁷⁷ ასეთი ვ ისტორიულად უ ხმოვნისაგან მომდინარეობს.

⁷⁸ პანკვა < პანკვა-ბი. ასევე ქანად. ეხვა „მწყემსი“ მრ. რ. ეხუბი (<ეხვა-ბი).

⁷⁹ გამოთქმაში ხშირია ეპომბი, ბეპომბი (ო ხმოვნით).

-ა სუფიქსი უპირატესად ცხოველთა სახელებშია გავრცელებული: თუმცა სხვა შემთხვევებშიც დასტურდება: ანლ'ი „ყოჩი“—ანლ'ი-ა, ზინ „ძროხა“—ზინ-ა, ეუნჟე „ქიანქველა“—ეუნჟე-ა, ტუნტე „ბუზი“—ტუნტ-ა (|| ტუნტ-აბი), ლუნღე „მტრედი“—ლუნღ-ა, ყურყ „ბაყაყი“—ყურყ-ა (|| ყურყ-აბი), ბატე „ნაწლაყი“—ბატე-ა, გუბ „წითელი სოკოა (იჭმება)“—გუბ-ა⁸⁰.

-ი

-ი სუფიქსი გავრცელებული არაა:
 ძაშ „ქალიშვილი“—ძაშ-ი⁸¹
 მაკ „ბავშვი“—მაკ-ი
 ბოლპონ „ლორი“—ბოლპონ-ი
 ქოთ „ნაბდის ფეხსაცმელი“—ქოთ-ი⁸²

ამავე რიგის შეიძლება იყოს ხვანი „ცხენები“ (მხ. რ.-ში სხვა ფუძეა--კათე; „ცხენი“).

-დარი

სუფიქსი -დარი გვხვდება სონორ თანხმოვნებზე (რ, ლ, მ, ნ) ან ზ-ზე დაბოლოებულ სიტყვებთან:

რეტემე „მტკაველი“—რეტემე-დარი, სიმ „ბავე“—სიმ-დარი (|| სიმ-აბი), ლურწუმ „ჯორი“—ლურწუმ-დარი, კაკან „კვერცი“—კაკან-დარი (|| კაკან-ამი), ტესაენ „წარბი“—ტესაენ-დარი, ბეჰუნ „კოვზი“—ბეჰუნ-დარი (|| ბუჰნი), ეჰუნ „მკედელი“—ეჰუნ-დარი (|| ეჰუმი), ახალ „კიდე; ნაპირი“—ახალ-დარი, მეჭელ „ცხვირი“—მეჭელ-დარი, შაქ-იბ „ჩიტი“—შაქ-იბ-დარი, ზანგებ „წვესათარი“—ზანგებ-დარი, ვასაბ „ბიძაშვილი (ვაჟი)“—ვასაბ-დარი.

აქა-იქ ბოლოკიდური ხმოვანი იკვეცება: კაკ-იმა „პეპელა“—კაკ-იმ-დარი, ბუშაუნა „დიდი ხინკალი“—ბუშაუნ-დარი⁸³.

⁸⁰ შეიძლება ვიფიქროთ, რომ -ა სუფიქსს კრებიტის ხასიათი აქვს. ევანდურში ეს სუფიქსი ისმის როგორც ნ.

⁸¹ მრ. რ.-ში იხმარება აგრეთვე ძაშ-ი-ბადი. მნიშვნელობა განსხვავებულია: ძაშ-ი „კოლები“, „გათხოვილი ქალები“, ძაშ-ი-ბადი „ქალები“ (საერთოდ), „ქალიშვილები“.

⁸² ამავე რიგისაა ევან. რიპა „დედალა ცხვარი“—რიპ-ი, რეტენა „მ თვის ცხვარი“—რეტენ-ი.

⁸³ იშვიათად ორმაგი -დარ-აბი სუფიქსიც დასტურდება (სიმ-დარაბი „ბაკეები“). მაგრამ ჩაკთხვისას ინფორმატორები ასწორებენ (ერთ-ერთ სუფიქს გამოორიცხავენ).

-ბადი

ეს სუფიქსი გვხვდება ადამიანის ნათესაობის აღმნიშვნელ რამდენ-სამე სიტყვასთან, ამასთან წინ უძღვის ი (-ი-ბადი):

ვასა „ძმა“—ვასა-ი-ბადი
მასა „და“—მას-ი-ბადი
მამ „ქალიშვილი“—მამ-ი-ბადი
ნუსა „სიძე“—ნუს-ი-ბადი
-ბადი ორმაგი სუფიქსი ჩანს (-ბა-დი).

-დი (-რი)

გვხვდება ადამიანის აღმნიშვნელ ზოგ სიტყვასთან (წინ „ფუძის მაწარმოებელი“ ა ხმოვანი უძღვის): ყაჩად „ყაჩადი“—ყაჩად-ა-დი, ნართავ „ნართი, დევი“—ნართ-ა-დი⁸⁴.

გვევ სუფიქსი გვაქვს ადამიანის წარმომავლობის აღმნიშვნელ სახელებში. მაგ. კვან-ქ „კვანდა“ (სიტყვასიტყვით „კვანდაში“), კვანლა⁸⁵ „კვანადელი“ (წარმოშობით ნათ. ბრ.), მრ. რ. კვან-დი „კვანადელები“. ხმოვანთა შორის ამგვარ სახელებში დ გადასული ჩანს რ-ში (თანახმად ფონეტიკური კანონზომიერებისა): ჰინდუ-ქ „თლონდოდა“, ჰინდუ-ლ⁸⁶ „თლონდოდელი“, მრ. რ. ჰინდუ-რი (< ჰინდუ-დი) „თლონდოდელები“; ჰუსა-ქ „ხუშტადა“, ჰუსა-ლ⁸⁶ „ხუშტადელი“, მრ. რ. ჰუსა-რი „ხუშტადელები“. ასევე გვაქვს გურჯიდავ „ქართველი“, მრ. რ. გურჯიდა-დი „ქართველები“⁸⁵.

-ლი

ორიოდე სიტყვასთან ჩანს -ლი: მისა „სახლი, ოთახი, ადგილი“—მისა-ლი, იჰვა „მწყემსი“—იჰუ-ლი. ეს უკანასკნელი (იჰული) მიღებული ჩანს იჰ-ი-ლი-საგან (ეი > უ). ამ სიტყვის ერგატივის ერთ-ერთი ფორმა იჰულიბადარალურ „მწყემსებმა“ გვიჩვენებს. რომ დასაშვებია იჰული-ბადარი (მრ. რ.) ფორმაც, რაც მრავლობითის სამ ნიშანს შეიცავს (-ლი, -ბ, -დარ)⁸⁶.

⁸⁴ ნართავ I კლასის სიტყვაა. პარალელურად შეგვხვდა მრ. რ.-ში ნართაბადი-ც, რაც ინფორმატორების აზრით სწორი ფორმა არ არის.

⁸⁵ კვან-დურში -დი გვაქვს სიტყვებში: რესულ-დი „ყულები“; ჰუსა-დარ-დი „ფილტვები“, გვევე-დი (> რი) უნდა იყოს სიტყვაში ბევოლარი (< ბევოლ-ა-დი, მხ. ბევოლ „აულის უფროსი; ზოქაული“):

⁸⁶ -ალი კვან-დურშიც გვაქვს: მიწა-ლი „ენები“, წებ-ალი „სტემრები“.

ეს სუფიქსი მეტად იშვიათია: რიჰა „ცხერის ფარა“—რიჰა-ლ'აა. ჰვაჲ „ძალი“ ჰვარა-ლ'აა⁸⁷. საფიქრებელია წარმოშობით -ლ'აა მრ. რ.-ის სუფიქსი არც იყოს.

დასასრულ უნდა მოვიხსენიოთ ხუნძური სუფიქსი -ზაბი (მაგ., მალაჲქ || მალექ „ანგელოზი“ — მალაჲქ-ზაბი || მალექ-ზაბი). რომელიც ხუნძურიდან შემოსულ სიტყვებს აქვთ (სათანადო სიტყვები ხუნძურიდან ნასესხებია მრავლობითის ნიშნითურთ)⁸⁸.

§ 38. თავისებურებანი მრავლობითი რიცხვის წარმოებაში. ზოგი სიტყვა მრ. რიცხვის წარმოებისას თავისებურებას იჩენს:

1. ფუძე განიცდის მნიშვნელოვან ფონეტიკურ ცვლილებას:

ტყერერ „ბატკანი“—ტყილი

წაიკერ „თიკანი“—წაეკი

ჰუნშა „ყანა“—ჰურაბი

ჰვაჲ „ძალი“—ჰვარალ'აა

ტყილი და წაეკი შესაძლებელია მრ. რ.-ის -ის შეიცავდეს. ფუძე ჰვარა- მომდინარე ჰვად-ისაგან.

2. ფუძე მთლიანად იცვლება: კათე „ცხენი“—ხ'ვანი.

3. მხ. და მრ. ფორმები მხოლოდ მახვილით განსხვავდება: ჰქეკა „კაცი“—ჰეკვბ, აქ შესაძლებელია მრ. რ.-ის ა სუფიქსი გვექონდეს. საერთოდ ამ სიტყვის მრ. რ. იშვიათად იხმარება⁸⁹.

4. თავისებურია წაეე (I კლ.). წაეე (II კლ.) „სტუმარი“ სიტყვის მრ. რ.—წაებალი.

§ 39. შენიშვნები მრავლობითი რიცხვის სუფიქსების შესახებ. მრ. რ.-ის ორმაგი სუფიქსების გამოყენების გარდა იმ უდავო შემთხვევებისა, რაც ზემოთ ვნახეთ, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ორკეცი სუფიქსია -ბადი (და იქნებ დარი-ც). -ბადი-ს შემადგენელი ელემენტები -ბ (ირიბ ბრუნებებში -ბ-ა-) და დ-ი ცალ-ცალკეე იხმარება⁹⁰.

ბაგვალურის კილოკავებში მრ. რ.-ის წარმოების მხრივ საგრძნობი სხვაობა შეიმჩნევა.

კენადურში მრ. რ.-ის საწარმოებლად, გარდა ზემოთ მითითებული (თლონდოდური) სუფიქსებისა, გვაქვს -ე (მართალია, იშვიათად): მუსა

⁸⁷ ამ სიტყვას ფუძე ეცვლება. კენადურში -ლ'აა-ს ნაცვლად ლ'აა გვაქვს: ჰვარა-ლ'აა „ძალები“.

⁸⁸ ხუნძურში -ზაბი ადამიანის აღმნიშვნელ სიტყვებში გვაქვს.

⁸⁹ კენადურში 5 იხმის: მხ. ჰეკვა, მრ. ჰეკვ.

⁹⁰ ორკეცი სუფიქსი მრ. რ.-ისა ზოგს ანდიურ ენაში საკმაოდ გავრცელებულია (ახეახურში, ნაწილობრივ ლოლოპერიულში).

„ხარი“ — მუს-ე, ჭამა „ვირი“ — ჭამ-ე, ბატა — „ნაწლავი“ — ბატა-ე²¹.
კვანადურის გამონაკლისთა შორის (გარდა თლონდოდურთან საერთო
გამონაკლისებისა) აღვნიშნავთ: ჰერერ „ხბო“ — ჰერიბა, წაენელ'ა „თხა“ —
წაენა, ტყერერ „ბატკანი“ — ტყილა, ქვაი „კვარი“ — ქვამა (< ქვაება, აქ
თითქოს -ბა სუფიქსი ჩანს, შდრ. ზემოთ ჰერიბა).

ხუშტადურში გამონაკლისთა შორის ხვდება: ჰედერ „ხბო“ — ჰედ-
ბი. წაენელ'ა „თხა“ — წაენა, ტყედერ „ბატკანი“ — ტყილა, ჰვაჟ „ძალ-
ლი“ — ჰვადარი (და არა ჰვარალ'ა). კათე „ცხენი“ — კათეაბი (და არა
ხ'ვანი), ტენკელ „კურდღელი“ — ტენკელი || ტენკელაბი.

გვხვდება მრ. რ.-ის სუფიქსთა მონაცვლეობა ერთსა და იმავე სიტ-
ვასთან სხვადასხვა კილოკავებს შორის (ასეთი რამ, როგორც ვნახეთ,
დასაშვებია კილოკავის შიგნითაც), მაგ., თლონდ. შააქიბ „ჩიტი“ —
შააქიბ-დარი, ხუშტ. მრ. შააქიბა და სხვ.

ზოგჯერ მრ. რ.-ის სახელობითში გამოყენებული სუფიქსი ირიბ
ბრუნვებში სხვა სუფიქსითაა შეცვლილი: ხუშტ. ვასიბი „ძმები“, ერგ.
ვასიბადურ; ვაშაბი „ვაყები“, ერგ. ვაშალურ; დაშაბი „ქალები“, ერგ.
დაშალურ. აქ ერთმანეთშია არეული სხვადასხვა პარადიგმები.

მეტია თავისებურებანი თლისურში. მრავლობითის ყველაზე გა-
ვრცელებული დაბოლოებაა -დი²² (აგრეთვე -ა-დი, უპირატესად სონორ
თანხმოვანზე დაბოლოებულ ფუძებთან), მაგ. მინა „თავი“ — მინა-დი,
ჰაჰა „თვალი“ — ჰაჰა-დი, რელა „ხელი“ — რელა-დი, უნსა „ხარი“ —
უნსა-დი, ჭამი „ვირი“ — ჭამი-დი... ჰარჰან „კვერციხი“ — ჰარჰან-ა-დი, მი-
ჭარ „ცხვირი“ — მიჭარ-ა-დი, ტანკალ „კურდღელი“ — ტანკალ-ა-დი,
ესებ „გვერდი“ — ესებ-ა-დი... გვაქვს რ-ის შემცველი -არ, -ირ, -ორ სუ-
ფიქსები: ელ „პირი“ — ელ-არ, მაწა „ენა“ — მაწა-არ, ალ „ფოთოლი“ —
ალ-არ... სალ „კბილი“ — სალ-ირ, ბალ'ა „წიწილა“ — ბალ'-ირ, რომა
„ხე“ — რომ-ირ... ის „ლოჯის კბილი“ — ის-ორ, მულ' „ფრჩხილი“ — მულ'-
ორ, ჩეთ „კატა“ — ჩეთ-ორ, ლ'ირ[ვ] „ფრთა“ — ლ'ირ-ორ... (-ორ შეიძ-
ლება მიღებული იყოს ფუძისეული ვ-ს შერწყმით -არ სუფიქსთან).
ისევე, როგორც თლონდოდურში, დასტურდება ი (ი) და ა სუფიქსე-
ბიკ ჭუჭუჩა „ქათამი“ — ჭუჭუჩი-ი, ხ'ვან „ცხენი“ — ხ'ვან-ი, დაშა „ქა-
ლიშვილი“ — დაშა-ი. ზინ „ძრახა“ — ზინ-ა, სარ „მელა“ — სარ-ა, ვაშაა

²¹ აქ შესაძლებელია ე მომდინარეობდეს ფუძისეული ა-ს შერწყმით აფიქსისე-
ულ ი-სთან: მუსა-ი > მ-ეე „ხარები“. ასევე ჩანს მიღებული -ები დაბოლოება მრ.
რ.-ისა: ჰანლა „მოხუერი“ — ჰანლები (< ჰანლა-იბი). იმა „ჰამა“ — იმები (< იმა-იბი).
იმები დასტურდება ხუშტადურშიც.

²² -დი, როგორც ვნახეთ, არის თლონდოდურშიც. თლონდ გ. ვრცელებული
არაა (იხ. ზემოთ).

„ვაჟი“—ვაშა-შ, ტუნტ „ბუზი“—ტუნტ-შ, ხინკა „ხინკალი“—ხინკ-შ. ხშირია ფუძის ფონეტიკური ცვლილება: ლ'აედერ „ბბო“—ლ'აერდორ (<ლ'აედრ-ორ), შაქიბ „ჩიტი“—შაქორ (<შაქიბ-ორ), ზესუნ „დანა“—ბესორ (<ბესუნ-ორ). ორკეცი სუფიქსი ჩანს სიტყვაში მისალდი „სახლები“ (მხ. რ. მისა). ბ-ს შემცველი სუფიქსები (ბი, -ი-ბი, ა-ბი, -ბი), რაც თლონდოდურში ასე ხშირია, თლოსურში არა ჩანს, დასტურდება სუფიქსი -ლდ (უპირატესად ერთმარცვლიან ჟ-ზე დაბოლოებულ სახელებთან): ქვაჟ „კოვზი“—ქვაჟ-ლდ, ქვაჟ „ფიცარი“—ქვაჟ-ლდ, წაუჟე „არწივი“—წაუჟე-ლდ, კაუჟე „კვამლი“—კაუჟე-ლდ (ასევე: ზებუ „ღღე“—ზებუ-ლდ, ამა „სახურავი“—ამ-ო-ლდ). ნათესაური ურთიერთობის აღმნიშვნელ რამდენსამე სიტყვასთან დასტურდება -ი-ბა-დი: ვაცჟ „ძმა“—ვაცჟ-ი-ბადი, ჯაცჟ „და“—ჯაცჟ-ი-ბადი, არაიშვიათად თლოსური -არ დაბოლოება (იხ. ზემოთ) თლობიშოურში წარმოდგენილია როგორც ა (მაგ. თლის. ჰან-არ, თლიბ. ჰან-ა „სოფლები“). თავისებურია ფურ „ყანა“ სიტყვის მრავლობითი: თლის. ფურ-დარ, თლიბ. ფურ-და.

§ 40. მრავლობითი რიცხვის წარმოება გრამატიკული კლასის ნიშნებით. ყველა სიტყვა, დამოუკიდებლად იმისა, თუ მეტყველების რა ნაწილს განეკუთვნება იგი (არსებით სახელთა გამოკლებით, იხ. ზემოთ) მრავლობით რიცხვს (თუ მრ. რ.-ის წარმოებას ეს სიტყვა ანერხებს) აწარმოებს გრამატიკული კლასის ნიშნებით. აქ შემოდის როგორც სახელები (ზედსართავი, რიცხვითი, ნაცვალსახელი, მიმლეობა), ისე ზმნები, ზმნისართები და შორისდებულებიც კი. ცხადია, თუ სიტყვას გრამატიკული კლასის ნიშანი საერთოდ არ გააჩნია, ასეთი სიტყვა ვერც მრ. რ.-ს აწარმოებს, თუმცა ირიბ ბრუნვებს მრავლობითი რიცხვის ფორმები მაინც აღმოაჩნდება.

წარმოებადგენთ გრამატიკული კლასის ნიშანთა სქემას

მხ. რ.

მრ. რ.

I კლ. ვ	} ადამიანის კლ. ბ- (პრეფიქსი), -ბა (სუფიქსი)
II კლ. ჟ	
III კლ. ბ	ნივთის კლ. რ

ამრიგად, ადამიანის კლასის სახელებს მრ. რ.-ში -ბა სუფიქსი აქვს⁹³ (-სუფიქსისეული კლასის ნიშანი მხ. რ.-ისა ვ და ჟ იცვლება -ბა ნიშნით), ნივთის კლასის სახელებს კი -რ (-სუფიქსისეული კლასის ნიშანი მხ. რ.-ისა ბ იცვლება რ ნიშნით).

⁹³ თლობიშოურში ე ხმოვნია: -ბე.

ადამიანის კლასის სახელები

მხ. რ	მრ. რ.
ა) ვეჰეტუე (I კლ.) „შაეი“ აეჰეტუე (II კლ.) „შაეი“	} ბეჰეტუ-ბა
ჰაწაე (I კლ.) „თეთრი“ ჰაწაე (II კლ.) „თეთრი“	
ვეხალაე (I კლ.) „გრძელი“ აეხალაე (II კლ.) „გრძელი“	} ბეხალა-ბა
ჰრე (I კლ.) „კარგი“ ჰრე (II კლ.) „კარგი“	
ვატისა (I კლ.) „შუათანა“ აატისა (II კლ.) „შუათანა“ ქუნტაე (I კლ.) „ხვადი“	} ქუნტა-ბა
ბ) ტიეჰაე (I კლ.) „მძინარე“ ტიეჰაე (II კლ.) „მძინარე“	
წაროე (I კლ.) „მსმელი“ ჰაროე (II კლ.) „მსმელი“	} წარო-ბა
ვიოე (I კლ.) „მცოდნე“ აიოე (II კლ.) ⁸⁴ „მცოდნე“	
გ) ეე (I კლ.) „ერთი“ ეე (II კლ.) „ერთი“	} ეე-ბა
ინშთუჰილალ'აოე (I კლ.) „მეხუთე“ ინშთუჰილალ'აოე (II კლ.) „მეხუთე“	
დ) ოე (I კლ.) „ის“ ოე (II კლ.) „ის“	} ო-ბა
ეედა (I კლ.) „თვითონ“ ეედა (II კლ.) „თვითონ“	
ემო (I კლ.) „ვინ“ ემო (II კლ.) „ვინ“	} ე-მაო (< ემბაო)

⁸⁴ მიმღობის პრეფიქსული კლას-ნიშანი ასახავს გარდამავალ ზმნათა RS-ს და გარდაუვალ ზმნათა RO-ს (მათს კლასსა და რიცხვს), ასე რომ, დასაშვებია რიგოე „ნიეთების მცოდნე მამაკაცი“, აიოე „ქალის მცოდნე კაცი“ და ა. შ.

ოშთოვ (I კლ.) „ისეთი“	}	ოშთო-ბა
ოშთოვ (II კლ.) „ისეთი“		

ნივთის კლასის სახელები

მხ. რ.	მრ. რ
ა) ბეჭეტუბ (III კლ.) „შავი“	რეჭეტუ-რ
ჰაწაბ (III კლ.) „თეთრი“	ჰაწა-რ
ბეხალაბ (III კლ.) „გრძელი“	რეხალა-რ
ჰობ (III კლ.) „ქარგი“	ჰობ-რ
ბატისა (III კლ.) „შუათანა“	
ქუნტაბ (III კლ.) „ხვალი“	ქუნტა-რ
ბ) ტვიჰაბ (III კლ.) „მძინარე“	ტვიჰა-რ
წარობ (III კლ.) „მსმელი“	წარო-რ
ბიჰობ (III კლ.) „მცოდნე“	ბიჰო-რ
გ) ცებ (III კლ.) „ერთი“	ცე-რ
ინშთუჰილალ'აობ (III კლ.) „მეხუთე“	ინშთუჰილალ'აო-რ
დ) ობ (III კლ.) „ის“	ო-რ
ებდაი (III კლ.) „თვით“	ე-რდაი
ებოი (III კლ.) „რა“	ე-როი
ოშთობ (III კლ.) „ისეთი“	ოშთო-რ

ნაზალიზებული ხმოვნის შემცველი ფუძე, რომელსაც III კლასის ნიშნად მ შეიძლება ჰქონდეს (ბ-საგან მიღებული, იხ. „ფონეტ.“, § 27), მრ. რ.-ში ისევე რ-ს იყენებს, მაგ., მხ. რ. წვიჰამ (<წვიჰაბ) „მარილიანი, მლაშე“, ეტამ (<ეტაბ) „სველი“, მრ. რ. წვიჰა-რ, ეტა-რ. ამ რიგის სიტყვებს ადამიანის კლასშიც ჩვეულებრივი -ბა აქვთ (ეტაბა „სველი ადამიანები“).

ზედსართავი სახელი, რომელსაც კლასის ნიშანი არა აქვს, მრ. რ.-ის სახელობითის ფორმას ვერ აწარმოებს. თუ ზედსართავს მხოლოდ პრეფიქსული კლასის ნიშანი აქვს, ცხადია, მრ. რ.-ში მას ჩვეულებრივი პრეფიქსული კლასის ნიშანი შეეცვლის (ადამიანის კლასში ბ, ნივთის კლასში—რ), მაგრამ მრავლობითის ნიშანი—სუფიქსი მას არ ექნება.

ირიბ ბრუნვებში კი ამგვარი ზედსართავები ისევე იბრუნვიან, როგორც კლასის ნიშნის მქონენი.

მრ. რ.	ირ. ბრ. ფუძე
ბატჿსა „სხვა“	ბატე-სა-ა-ბ-ა-ლ-უ-
ჰელ'ა „ლურჯი“	ჰელ'ა-ა-ბ-ა-ლ-უ-

§ 41. ირიბ ბრუნვათა ფუძის წარმოება არაარსებით სახელთა მრ. რ.-ში. ირიბ ბრუნვათა ფუძე ადამიანის კლასის სახელებისა ისევე იწარმოება, როგორც არსებით სახელებში (იხ. § 49). სახელობითის ფორმას დაერთვის -ლ-უ (რიცხვის ნიშნის ჩათვლით ბა-ლ-უ):

სახ.	ირ. ბრ. ფუძე	ერგატივი
ბეჭეტუ-ბა „შავები“	ბეჭეტუ-ბა-ლ-უ-	ბეჭეტუ-ბა-ლ-უ-რ
წაარო-ბა „მსმელები“	წაარო-ბა-ლ-უ-	წაარო-ბა-ლ-უ-რ
ცე-ბა „ერთნი“	ცე-ბა-ლ-უ-	ცე-ბა-ლ-უ-რ
ო-ბა „ისინი“	ო-ბა-ლ-უ-	ო-ბა-ლ-უ-რ

ამრიგად, ყველა ბრუნებადი სიტყვის (არსებითის, ზედსართავის, ნაცვალსახელის, რიცხვითის, მიმღობის) ირიბ ბრუნვათა ფუძე ადამიანის კლასის სახელებში ერთნაირად იწარმოება—(ა) ლუ—ელემენტით.

ნიეთის კლასის სახელებში ირიბ ბრუნვათა ფუძე იწარმოება -ლ'ი ელემენტის დართვით სახელობითის მზა ფორმაზე (შდრ. ეგევე -ლ'ი II ბრუნების II ქვეტიპში, § 43)⁵⁵.

სახ.	ირ. ბრ. ფუძე	ერგატივი
რეჭეტუ-რ „შავები“	რეჭეტუ-რ-ლ'ი-	რეჭეტუ-რ-ლ'ი-რ
წაარო-რ „მსმელები“	წაარო-რ-ლ'ი-	წაარო-ლ'ი-რ
ცე-რ „ერთნი“	ცე-რ-ლ'ი-	ცე-რ-ლ'ი-რ

ნაცვალსახელები გამონაკლისს ქმნიან (იხმარება ირ. ბრ. ფ. ო-რ-უ- ნაცვლად მოსალოდნელი ო-რ-ლ'ი-სა „ისინი“, ე-ლ'ი-უ ნაცვლად მოსალოდნელი ე-რ-ლ'ი-სა).

ი რ ი ბ ბ რ უ ნ ვ ა თ ა ფ უ ძ ი ს წ ა რ მ ო ე ბ ი ს
ს ქ ე მ ა მ რ. რ.-ში

არსებითი სახელები		არაარსებითი სახელები
ადამ. კლ.	-(ა)ლუ	-ლუ
ნიეთ. კლ.	-ა	-ლ'ი

ბრუნებათა სრული პარადიგმები იხ. §§ 45, 49, 53, 57.

⁵⁵ -ლ-ი-ს გამოყენება მრ. რ.-ში თავისთავად საინტერესო, მაგრამ ალბათ, მეორეული ფაქტია.

არსებითი სახელი

ბ რ უ ნ ე ბ ა

§ 42. ზოგადი. ბაგვალურ ენას ბრუნების განვითარებული სისტემა აქვს. განირჩევა ბრუნვათა ორი წყება: ძირითადი ბრუნვები და ლოკატიური (ადგილობითი) ბრუნვები. ძირითადი ბრუნვები ზოგადასტრატული შინაარსისაა (მაგ. სახელობითი, ერგატივი, ნათესაობითი), ლოკატიური ბრუნვები კი გვიჩვენებს საგნის მდებარეობას ან მოძრაობას სივრცეში („ქვემ“, „ში“, „ზე“). ლოკატიური ბრუნვები გარკვეულ სერიებად ლაგდებიან (იხ. ქვემოთ).

ბრუნება აგლუტინაციური ხასიათისაა: ფუძეს დაერთვის ბრუნვის ნიშანი (მხ. რ.-ში), მრ. რ.-ში კი ფუძეს დაერთვის მრავლობითი რიცხვის ნიშანი, რომელსაც მოსდევს სათანადო ბრუნვის ნიშანი. ბრუნვის ნიშნები მხოლოდობითსა და მრავლობითში ერთნაირია.

ბაგვალურში იბრუნება ყველა სახელი (არსებითი, ზედსართავი, რიცხვითი, მასდარი, მიმღეობა) ოღონდ მსაზღვრელად გამოყენებული სახელი არ იბრუნვის (იბრუნება ის მხოლოდ მაშინ, როდესაც დამოუკიდებლად, ე. ი. არსებითი სახელის ფუნქციითაა ნახმარი).

§ 43. ბრუნების ტიპები. ბრუნება ერთია, რამდენადაც ყველა ბრუნებადი სიტყვა ერთნაირ ბრუნვის ნიშანს დაირთავს, მაგრამ გამოიყოფა ტიპები საბრუნებელი ფუძის მიხედვით. სახელთა უდიდესი უმეტესობა ბრუნების პროცესში ორ ფუძეს ავლენს: ერთი ფუძე (პირველადი ფუძე) გამოყენებულია სახელობითი ბრუნვის ფუნქციით, მეორე ფუძე კი (ნაწარმოები ფუძე) წარმოადგენს საყრდენს ყველა სხვა ბრუნვათა საწარმოებლად. მეორე ფუძე იწარმოება სახელობითში გამოყენებული ფუძისაგან სხვადასხვაგვარად, რაც აპირობებს ბრუნების სხვადასხვა ტიპების გამოყოფას. მეორე ფუძე ანუ ირიბ ბრუნვათა ფუძე (რომელსაც ემყარება ყველა ბრუნვის ფორმა, გარდა სახელობითისა, რომელსაც ბრუნვის ნიშანი არცა აქვს) იწარმოება სახელობითის ფორმაზე (resp. პირველად, „წმინდა ფუძეზე“) ამა თუ იმ ხმოვნის დართვით, ან კიდევ შიჟ და ლ'ჟი მარცვლების დამატებით. მეორე ფუძის მაწარმოებელი ხმოვნის დართვა იწვევს პირველადი ფუძის ბოლოკიდური ხმოვნის მოკვეცას (თუ სათანადო სიტყვა ხმოვნითაა დაბოლოებული), შიჟ და ლ'ჟი კი პირდაპირ დაერთვის სახელობითის ფუძეს ცვლილების გარეშე. სიტყვათა ერთი (მცირე) ნაწილი ირიბ ბრუნვათა ფუძედ იყენებს უშუალოდ სახელობითისავე ფუძეს (ირიბ ბრუნვათა ფუძის მაწარმოებელი გარეგნულად არა ჩანს). ფუძეთა წარმოებაში გვხვდება ანომალიებიც, განსაკუთრებით ნაცვალსახელებში (იხ. ქვემოთ).

ირიბ ბრუნვათა ფუძის წარმოების რაგვარობის ცმიხედვით, როგორც ირკვევა, შეიძლება ვილაპარაკოთ ორ ძირითად ბრუნებაზე.

I ბ რ უ ნ ე ბ ა: ირიბ ბრუნვათა ფუძე იწარმოება ხმოვნის მეშვეობით (ან ემთხვევა სახელობითის ფუძეს).

I ქვეტიპი. ფუძეს აწარმოებს ა ხმოვანი

II ქვეტიპი. ფუძეს აწარმოებს ი ხმოვანი

III ქვეტიპი. ფუძეს აწარმოებს უ ხმოვანი

IV ქვეტიპი. ფუძეს აწარმოებს ო ხმოვანი

V ქვეტიპი. ფუძე ემთხვევა სახელობითის ფორმას

მაგალითად:

სახ. ბრ.	ირიბ. ბრ. ფუძე	ერგატივი ⁸⁶
I ქვეტიპი. „ზარ ყინული“	ზარ-ა-	ზარ-ა-რ
II ქვეტიპი. მილზ „მზე“	მილზ-ი-	მილზ-ი-რ
III ქვეტიპი. ფერეწი „კავი“	ფერეწი-უ-	ფერეწი-უ-რ
IV ქვეტიპი. ჩალახა „თხის ბალანი“	ჩალახა-ო-	ჩალახა-ო-რ
V ქვეტიპი. რეტემ „მტკაველი“ პატია „შუბლი“	რეტემ- პატია-	რეტემ-დ პატია-რ

ზოგჯერ ერთა და იგივე სიტყვა ირბ ბრუნვათა ფუძეს ფაკულტატურად სხვადასხვა ხმოვნით აწარმოებს. ასეთა რყევა ხშირია კილოკავთა შორის.

II ბ რ უ ნ ე ბ ა: ირიბ ბრუნვათა ფუძე იწარმოება შაუ (I ქვეტიპი) და ლ'ი (II ქვეტიპი) მარცვლების დართვით. შაუ იხმარება I გრამატიკული კლასის სახელებთან, ხოლო ლ'ი—II და III კლასის სახელებთან).

I ქვეტიპი. ფუძეს აწარმოებს შაუ

II ქვეტიპი. ფუძეს აწარმოებს ლ'ი

მაგალითები:

სახ. ბრ.	ირ. ბრ. ფუძე	ერგატივი
I ქვეტიპი. იმა „მამა“	იმა-შაუ-	იმა-შაუ-რ
II ქვეტიპი. ილა „დედა“	ილა-ლ'ი-	ილა-ლ'ი-რ

ყველა ქვეტიპი ორივე ბრუნებისა (გარდა I ბრუნების V ქვეტიპისა) ორფუძიან ბრუნებას წარმოადგენს (V ქვეტიპი—ერთფუძიანია).

⁸⁶ სანიმუშოდ მოგვყავს ერგატივის ფორმა. ასევე იწარმოება ყველა სხვა ბრუნვა.

I ბრუნება

სახელობითის ფუძეზე ირიბ ბრუნვათა ფუძის მაწარმოებელი ხმოვნის დართვა იწვევს ფუძის ბოლოკიდურ ხმოვნის მოკვეცას (სახ. ჯოჩა „წიგნი“, ირ. ბრ. ფ. ჯოჩი-ი-). შედარებით იშვიათად ბოლოკიდური უ (ან ო) ა-ს წინ მარცვლოვნობას კარგავს: -უ-ა > ვა.

I ბრუნებით იბრუნვის მესამე გრამატიკული კლასის არსებით სახელთა დიდი უმეტესობა. ამავე ბრუნებას მიყვება პირის ნაცვალსახელები, ადამიანთა საკუთარი სახელები, მასდარები და ზოგი სხვა სახელები (მაგ. „ძმა“, „და“).

1. ირიბ ბრუნვათა ფუძეს აწარმოებს ა ხმოვანი

სახ.	ირ. ბრ. ფუძე	ერგატივი
ზინ „ძროხა“	ზინ-ა-	ზინ-ა-რ
ჰურ „შეშა“	ჰურ-ა-	ჰურ-ა-რ
ლ'ხილ'ხ „ერბო“	ლ'ხილ'ხ-ა-	ლ'ხილ'ხ-ა-რ
ბეჰუნ „საწოლი“, „კოვზი“	ბეჰუნ-ა-	ბეჰუნ-ა-რ

ასევე: ტაორ „კლდე“, ბოლჰონ „ლორი“, ნაწხ „ტილი“, გ'არ „ყელი“, სარ „მელა“, ჩან „ნადირი“, ელ „პირი“, შაჰჩიბ „ჩიტი“, ტანკ'ალ „კურდღელი“, ზარ „ყინული“, კანტ „რწყილი“, უნ „თავი“, ჯახ „ბატი“, გამუშხ „კამეჩი“, ბესუნ „დანა“⁹⁷, გიგო „გუგული“...

2. ირიბ ბრუნვათა ფუძეს აწარმოებს ი ხმოვანი

სახ.	ირ. ბრ. ფუძე	ერგატივი
მილჰ „მზე“	მილჰ-ი-	მილჰ-ი-რ
ინსხ „წყარო“	ინსხ-ი-	ინსხ-ი-რ
ას „ვერცხლი“	ას-ი-	ას-ი-რ
მაჰამად „მუჰამადი“	მაჰამად-ი-	მაჰამად-ი-რ
ფატიმათ „ფატიმათი“	ფატიმათ-ი-	ფატიმათ-ი-რ

ასევე: მიწხ „ენა“, ფახ „სპილენძი“, ტომ „ტყვია“, წიერ „სახელი“, მაკ „ბავშვი“, ჰობ „სათლავი“, აჰ „ყურძენი“, მიჰ „მატყლი“, ინსხ „ნიღღარი“, ჰერ „სისხლი“. ჰან „სოფელი“, უნშხ „მიწა“, ბატჰ „ნაწლაკი“, ნართ „ნავთი“, ტაერ „ნიღი“, გურ „ხალათი“, მიჰ[ე]მათ „ხილი“, ჟიმ „ბალახი“⁹⁸...

⁹⁷ შდრ. ქვემოთ ამავე სიტყვის სხვაგვარი ბრუნება.

⁹⁸ კვ. ნ. დვარაში ასევე იბრუნვის მასდარი: ვუკვარ „უოფნა“—ვუკვარ-ი-რ, ბასან „თხრობა“—ბასან-ი-რ.

ბრუნების ეს ქვეტიბი ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებულია. ნა-სესხებ სიტყვათა დიდი ნაწილიც ამ ჯგუფში ექცევა. სიტყვათა მნიშვნე-ლოვანი რაოდენობა ამ ჯგუფში მოხვდა ბოლოკიდური ი-ს ისტორიული დაკარგვის გამო (ეს ი, რომელიც აუსლაუტში დაიკარგა, დაცულია ინ-ლაუტში სუფიქსის წინ. ეგვე ეხება აუსლაუტის უ-ს)⁹⁸.

ხმოვანფუძიან სახელებზე ი-ს დართვა იწვევს ფუძისეული ხმოვ-ნის მოკვეცას: ქუბა „რკინა“ (ერგ. ქუბ-ი-რ), ქვანშა „ფეხი“ (ქვანშ-ი-რ), ბაჭა „პირისახე“ (ბაჭ-ი-რ), კვანტა „მაკრატელი“ (კვანტა-ი-რ), პინწა „ქვა“ (პინწ-ი-რ), ჯოჩა „წიგნი“ (ჯოჩ-ი-რ), კამა „რქა“ (კამ-ი-რ), ქაქა „ძუძუ“ (ქაქ-ი-რ), ჰაკა „თვალი“ (ჰაკ-ი-რ), მილა „კული“ (მილ-ი-რ), ქორტა „ჩაქუჩი“ (ქორტ-ი-რ), მიჭა „ჭინჭარი“ (მიჭა-ი-რ), ბალჰა „ბარტყი“ (ბალჰ-ი-რ).

თუ ხმოვნის მოკვეცის შემდეგ ფუძის ბოლოკიდურ ბგერად ვ აღ-მოჩნდა (თანხმოვნის მომდევნოდ), კომპლექსი ვ-ი > უ: ჰანკვა „ლურს-მანი“, ირ. ბრ. ფუძე ჰანკე-ი > ჰანკუ, ერგ. ჰანკუ-რ.

3. ირიბ ბრუნებათა ფუძეს აწარმოებს უ ხმოვანი

სახ.	ირ. ბრ. ფუძე	ერგატივი
რელა „ხელი“	რელ-უ-	რელ-უ-რ
მუსა „ხარი“	მუს-უ-	მუს-უ-რ
რიჰა „ცხვარი“	რიჰ-უ-	რიჰ-უ-რ
მუგა „თითისტარი“	მუგ-უ-	მუგ-უ-რ
რჩა „ქათამი“	რჩ-უ-	რჩ-უ-რ

ასევე: ჰამალა „სასა“, წიკა „ტერფი“, მისა „ოთახი“, ჰანკრტა „ყური“, ჰამა „ვირი“, კილა „ლოყა“...

ო-ზე დაბოლოებული სახელი: ბერო „მამალი თხა“ (ბერ-უ-, ბერ-უ-რ)...

ვ-ზე დაბოლოებული სახელები (ზოგჯერ ვ ოღნავლა ისმის):

⁹⁸ მონათესავე ენებთან შედარებით ადვილად ირკვევს, რომ მიღპ „მზე“ < მილ-ჰი, მიწა „ენა“ < მიწი, ას „ვერცხლი“ < ასი და მისთ. (ი). აქვე ფონეტიკური ნა-წილი. აგრეთვე „Консонантизм анд. яз.“, გვ. 45). ამრიგად, თანხმოვანზე დაბოლო-ებულ სიტყვათა დიდი ნაწილი, რომელიც ამჟამად ირიბ ბრუნებათა ფუძეს ი ხმოვნით აწარმოებს, წინათ სახელობითის ფორმაშივე ი ხმოვნით იყო დაბოლოებული და ერთ-ფუძიან ბრუნებას (V ქვეტიბი) განეკუთვნებოდა: სახ. *მალჰი, ერგ. მილჰი-რ... შდრ. ახლანდელი სახ. მილჰ, ერგ. მილჰ-ი-რ. აუსლაუტში ი დაიკარგა (მილჰი > მილჰ), ინლაუტში კი შემოგვრჩა (მილჰი-რ), რის გამოც ი წარმოვიდგა როგორც ფუძის მა-წარმოებელი ხმოვანი.

ქითე „კატა“ (ერგ. ქით-უ-რ), ნიქე „მუხლი“ (ნიქ-უ-რ). კანშეე „ხვლიკი“ (კანშე-უ-რ), ვათე „პეშვი“ (ვათ-უ-რ), ტუნტე „ბუზი“ (ტუნტ-უ-რ), ბუჰვი „ბუ“ (ბუჰ-უ-რ), მიეთავი „წვერი“ (მიეთ-უ-რ). ლუნღვი „მტრელი“ (ლუნღ-უ-რ), ისვი „ლოჯის კბილი“ (ის-უ-რ). ლაქე „ხელი (მთლიანი)“ (ლაქ-უ-რ), ნიჭე „ულეაში“ (ნიჭ-უ-რ), კათე „ცხენი“ (კათ-უ-რ), ლეწე „მაშა“ (ლეწ-უ-რ), მილჰე „ფრჩხილი“ (მილჰ-უ-რ), ჰილჰე „ფსკერი“, „ფრთა“ (ჰილ-უ-რ), მაჰე „წვივი“ (მაჰ-ურ), ჰინწაყე „დიღა ჩაქუჩი“ (ჰინწაყ-უ-რ)⁹⁹.

თანხმოვანზე დაბოლოებული სახელები: ვასე „ძმა“ (ერგ. ვასე-უ-რ), აასე „და“ (აასე-უ-რ), ანლ'ე „მამალი ცხვარი“ (ანლ'ე-უ-რ), ლაქურუტე „შხარი“ (ლაქურუტე-უ-რ), რუტე „ულელი“ (რუტე-უ-რ), ქუბალ'ე „თოხი“¹⁰⁰ (ქუბალ'ე-უ-რ), რეყელ'ე „ზურგი“¹⁰¹ (რეყელ'ე-უ-რ), რელელ'ე, ლელელ'ე¹⁰² „ღვიძლი“ (რელელ'ე-უ-რ), ანეით „ნაჯახი“ (ანეით-უ-რ), ყურყე „ბაყაყი“ (ყურყ-უ-რ), ბოწე „მთვარე“ (ბოწე-უ-რ), ილჰე „კური“ (ილჰ-უ-რ), როხ'ე „ტყე“ (როხ'ე-უ-რ), რუსე „ბოლო“ (რუსე-უ-რ). ჰუწეწე „კარი“ (ჰუწეწე-უ-რ), ჰუწეწე „თაფლი“ (ჰუწეწე-უ-რ), წიეყერ „თიკანი (წიეყერ-უ-რ), ჰერერ „ხბო“ (ჰერერ-უ-რ)¹⁰³.

4. ირიბ ბრუნვათა ფუძეს აწარმოებს ო ხმოვანი:

სახ.	ირ.-ბრ. ფუძე	ერგატივი
ბექა „გველი“	ბექ-ო-	ბექ-ო-რ
ღვარჰა „ირემი“	ღვარჰ-ო-	ღვარჰ-ო-რ

⁹⁹ აქ ჩამოთვლილი თითქმის ყველა სახელი ისტორიულად უ ხმოვანზე იყო დაბოლოებული (ქითე, ნიქე, კანშე და ა. შ.). ეს ადვილად მტკიცდება მონათესავე ენათა გათვალისწინებით. აუსლანტში ეიწრო ხმოვანთა რედუქციის გამო (იხ. ზემოთ) უ > უ (-ვ) ან სულ დაიკარგა, მაგრამ ირიბ ბრუნვებში (ინლანტში) ძველი ვითარება შემოგვინახა. ამრიგად, წინათ ეს სახელები ერთფედიან ბრუნვას განეკუთვნებოდნენ როგორც *მილჰა „მზე“ და მისთ. იხ. ზემოთ).

წინათ	ახლა
სახ. ქითე	ქითე „კატა“
ერგ. ქით-უ-რ	ქით-უ-რ

ამ რიგის სახელებში ირიბ ბრუნვათა ფუძის მაწარმოებლად უ-ს გამოყოფა პირობითია.

¹⁰⁰ ეტიმოლოგიურად „რკინისა“ (ნათ. ბრ. სიტყვისაგან ჰუბა „რკინა“). ამრიგად, აქ ნათესაობითარი სახელის ბრუნვა გვაქვს.

¹⁰¹ ეს სიტყვაჲ წარმოშობით ნათ. ბრუნვის ფორმაა.

¹⁰² წარმოშობით ნათ. ბრუნვის ფორმაა.

¹⁰³ ზოგ აქ ჩამოთვლილ სიტყვაში ბოლოკიდური უ დაკარგულია (შღრ. ზემოთ სქოლიო), მაგ ანეით < ანეითე „ნაჯახი“, ყურყე < ყურყუ „ბაყაყი“.

ჯარშილა „ქორი“	ჯარშილ-ო-	ჯარშილ-ო-რ
ჩალახა „თხის ბალანი“	ჩალახ-ო-	ჩალახ-ო-რ
ჰეკოჩა „თავვი“	ჰეკოჩ-ო-	ჰეკოჩ-ო-რ
კორთუ „ჩორორი“	კორთ-ო-	კორთ-ო-რ

ო ხმოვნით ფუძეთა წარმოება გავრცელებული არაა. ხშირია პარალელური ფორმა უ ხმოვნით¹⁰⁴

5. ფუძე ნაწარმოები ჩანს ე ხმოვნით:

სახ.	ირ. ბრ. ფუძე	ერგატივი
წაჲ „ცეცხლი“	წ-ე-	წ-ე-რ-
ჰვაჲ „ძალი“	ჰ-ე-	ჰ-ე-რ-
თაჲ „კვიცი“	თ-ე-	თ-ე-რ-
ჩაჲ „ჩაი“	ჩ-ე-	ჩ-ე-რ-

ამ შემთხვევებში ე ფონეტიკური პროცესის შედეგია (და არა ცალკე აფიქსი): ერთმარცვლიან სიტყვებში აჲ > ე (დახურულ მარცვალში): მაგ. წაჲ, ერგ. *წაჲ-რ > წ-ე-რ და ა. შ.¹⁰⁵

6. ირიბ. ბრუნვათა ფუძედ გამოყენებულია სახელობითის ფორმა (ერთფუძიანი ბრუნება)¹⁰⁶. გასარჩევია ორი შემთხვევა: ა) ხმოვნით დაბოლოებული სიტყვები, ბ) თანხმოვნით დაბოლოებული სიტყვები.


ა) ხმოვნით დაბოლოებული სიტყვები.

სახ.	ირ. ბრ. ფუძე	ერგატივი
ა: ბესა „მთა“	ბესა-	ბესა-რ
მაკვა „ადგილი“	მაკვა-	მაკვა-რ
ფერა „ფუტკარი“	ფერა-	ფერა-რ
რაკვა „გული“	რაკვა-	რაკვა-რ

¹⁰⁴ წარმოშობით ო ფონეტიკური (ზოგჯერ ინდივიდუალური საწარმოთქმო) ვარიანტი ჩანს -ჟ-სი.

¹⁰⁵ ამრიგად, ჩამოთვლილი სიტყვები ერთფუძიან ბრუნებს განეკუთვნებიან, ირიბ ბრუნვათა ფუძედ გამოყენებულია სახელობითის ფორმა, რომელსაც პირდაპირ დაერთვის ბრუნვის ნიშნები (ოღონდ ამისთან აჲ > ე). ხუშტადურში დაცულია თავდაპირველი ფორმები: წაჲ-რ „ცეცხლმა“ ჰვაჲ-რ „ძალმა“ (იხ. ფონეტიკური ნაწილი, § 12). კვანადურში კი აჲ > ნ, სახ. წაჲ „ცეცხლი“, ერგ. წწ-რ, ნათ. წწ-ლ-მ... სახ. ჰვაჲ „ძალი“, ერგ. ჰვნ-რ, ნათ. ჰვნ-ლ-მ და მისთ.

ამრიგად:



¹⁰⁶ როგორც ზემოთ ვნახეთ, ისტორიულად ამავე რიგს განეკუთვნება მრავალი სიტყვა, რომელსაც ამჟამად ირიბ ბრუნვათა ფუძე ე. უ (ან ა) ხმოვნით უჩანს ნაწარმოები.

ასევე: ჰუნშა „ყანა“ (ჰუნშა-რ), ნიჟა „ქესლი“ (ნიჟა-რ), ეუნა „ნიკაპი“ (ეუნა-რ), ჰატა „შუბლი“ (ჰატა-რ), ელმუჰა „წამწამი“ (ელმუჰა-რ), ყანჩა „ფაფარი“ (ყანჩა-რ), ფამფა „ბამბა“ (ფამფა-რ), მინა „ხანჯალი“ (მინა-რ), კარა „კოლო“ (კარა-რ), წანა „ეკალი“ (წანა-რ), თუწა „ლილი“ (თუწა-რ), წავარა „ვარსკვლავი“ (წავარა-რ), ჰანლა „ოფლი“ (ჰანლა-რ), რელჰა „ლამე“, „ზღვა“ (რელჰა-რ), ჰესა „მდინარე“ (ჰესა-რ), კაკიმა „პეპელა“ (კაკიმა-რ), შავა „თევზი“ (შავა-რ), ჩასა „ბაღლონჯო“ (ჩასა-რ), ყირიყვარა „წერო“ (ყირიყვარა-რ).

აქვე შემოდის ხმოვნით დაბოლოებული საკუთარი სახელები (მაგ. მუსა „მუსა“, ერგ. მუსა-რ)...

სახ.	ირ. ბრ. ფუძე	ერგატივი
ე: ზე „მინა“, „შუშა“ ლ'აჲ „წყალი“	ზე- ლ'აჲ-	ზე-რ ლ'აჲ-რ
ი: ილ'ბი „ჩვენ“ (ინკლ.) შაჰი „შაური“	ილ'ბი- შაჰი-	ილ'ბი-რ შაჰი-რ

ასევე: სიხ „დათვი“ (სიხ-, სიხ-რ), იშბი „ჩვენ“ (ექსკლ.) (იშბი-, იშბი-რ), ბიშთი „თქვენ“ (ბიშთი-, ბიშთი-რ)...

სახ.	ირ. ბრ. ფუძე	ერგატივი
ო: გარდო „ორმო“ ილჰო ¹⁰⁷ „ტბა“, „გუბე“	გარდო- ილჰო-	გარდო-რ ილჰო-რ

სახ.	ირ. ბრ. ფუძე	ერგატივი
უ: სალუ „კბილი“ ჟუნჟუ „ჭიანჭველა“	სალუ- ჟუნჟუ-რ	სალუ-რ ჟუნჟუ-რ

ასევე: დარუ „წამალი“ (დარუ- დარუ-რ) ჰელეჰუ „მამალი“ (ჰელეჰუ-, ჰელეჰუ-რ)¹⁰⁸.

ბ) თანხმოვნით დაბოლოებული სახელი. თანხმოვნით დაბოლოებული სახელები სიტყვამ შეიძლება ირიბ ბრუნვათა ფუძედ გამოიყენოს სახელო-

¹⁰⁷ შდრ. ზემოთ პარალელური ილჰუ (ილჰ-უ-).

¹⁰⁸ ა-სა და უ-ზე (აგრეთვე ო-ზე) დაბოლოებული სახელები ცოტაა (უმახვილო ა-სა და უ-ს მოკვეცასთან დაკავშირებით, იხ. § 10). ხშირად უ და ჟი (-ვ) აუსლავტ-ში ფაქულტატური ხმარებისაა (უმახვილო პოზიციაში), მაგ. სალუ || სალუ „კბილი“. იშვიათაა ო-ზე დაბოლოებული სახელიც. მაგ. ფაქულტატური ხმარებისაა ილჰო, ილჰუ და ილჰე „ტბა“, „გუბე“.

ბითის ფორმა იმ შემთხვევაში, თუ სიტყვა ბოლოდღება სონორი თან-
ხმოვნით (რ, ლ, მ, ნ) ან ბ-თი.

სახ.	ირ. ბრ. ფუძე	ერგატივი ¹⁰⁰
რ: მესერ „ოქრო“ შაპარ „ქალაქი“	მესერ- შაპარ-	მესერ-დ შაპარ-დ
ასევე: ჰუნსაერ „ფილტვი“ (ჰუნსაერ-, ჰუნსაერ-დ), ბაზარ „ბაზა- რი“ (ბაზარ-, ბაზარ-დ)...		

სახ.	ირ. ბრ. ფუძე	ერგატივი
ლ: ჰინწილ „თითა“ რაწალ „სახსარი“ ბაკვალ „მუცელი“	ჰინწილ- რაწალ- ბაკვალ-	ჰინწილ-დ რაწალ-დ ბაკვალ-დ

ასევე: ბელ „ბარი“ (ერგ. ბელ-დ), კალ „ხეობა“ (კალ-დ), მუ-
გაშილ „კოკი“ (ფეხის ნაწილი, თითისტარზე წამოსაცმელი) (მუგაშა-
ილ-დ), ჭარალ „გაშლილი ხელი (ზომა)“ (ჭარალ-დ), მეჭელ „ცხვირი“
(მეჭელ-დ), წაუნკალ „იდაყვი“ (წაუნკალ-დ), ჰაალ „მდგომარეობა“
(ჰაალ-დ)...

სახ.	ირ. ბრ. ფუძე	ერგატივი
მ: სიმ „ბაგე“ ლურწუმ „ჯორი“	სიმ- ლურწუმ-	სიმ-დ ლურწუმ-დ

ასევე: რეტემ „მტკაველი“ (რეტემ-, რეტემ-დ), აჰიმ „მორი“
(აჰიმ-, აჰიმ-დ).

სახ.	ირ. ბრ. ფუძე	ერგატივი
ნ: რეშენ „ცა“ კაკან „კვერციხე“	რეშენ- კაკან-	რეშენ-დ კაკან-დ

ასევე: ტესაენ „წარბი“ (ერგ. ტესაენ-დ), კიზან „ოჯახი“ (კი-
ზან-დ), ყუპენ „ტომარა“ (ყუპენ-დ), ვარან „აქლემი“ (ვარან-დ), შაეტან

¹⁰⁰ აქაც (ისევე როგორც ზემოთ) სანიმუშოდ მოგვეყვას ერგატივის ფორმა. ამავე
ფუძეს ემყარება სხვა ბრუნვაც (მაგ. სახ. მესერ, ერგ. მესერ-დ, ნათ. მესერ-ლ. მ.
მიც. მესერ-ლა. აფ. მესერ-ბა და ა. შ.). ერგატივის ნიშანი თანხმოვანფუძიან სახე-
ლებთან არის დ.

„ეშმაკი“ (შეეტან-დ), ჩირან „ფოლადი“ (ჩირან-დ-), ალპან „ნიეთი“ (ალპან-დ), ბედან „მოედანი“ (ბედან-დ).

სახ.	ირ. ბრ. ფუძე	ერგატივი
ბ: ესებ „ნეკნი“, „გეკრდი“	ესებ-	ესებ-დ

II ბრუნება

II ბრუნებისათვის დამახასიათებელია ირიბ ბრუნვათა ფუძის წარმოება სახელობითის ფორმისაგან (resp. „სუფთა ფუძისაგან“) შიუ და ლ'ი ელემენტების დართვით. პირველ შემთხვევაში საქმე გვაქვს პირველ ქვეტიპთან, მეორე შემთხვევაში—მეორე ქვეტიპთან.

შიუ და ლ'ი ელემენტები უშუალოდ სახელობითის ფორმას მიერთვის, მაგრამ, თუ სიტყვა სახელობითში ბოლოვდება გრამატიკული კლასის ნიშნით (ვ, ჯ, ბ), ეს ნიშანი შეიძლება მოეკვეცოს, ზოგჯერ მოკვეცილი და მოუკვეცავი ფორმები პარალელურად იხმარება, ზოგ სიტყვასთან კი ერთ-ერთი მათგანია ჩვეულებრივი. შეიმჩნევა ტენდენცია: თუ სიტყვა ირიბ ბრუნვათა ფორმით ხშირი ხმარებისაა (მაგ. არსებითი სახელები, ზედსართავთა უმეტესობა, ზოგი მიმღეობა), მას მოკვეცილი ფორმა აქვს, თუ იშვიათი ხმარებისაა—მოუკვეცავი ფორმა (მხოლოდ პარალელურად შეიძლება ასეთ შემთხვევაში მოუკვეცავი ფორმაც შეგვხვდეს¹¹⁰).

შიუ და ლ'ი ელემენტები ჩვეულებრივად მხოლოდით რიცხვში იხმარება, მაგრამ ლი მრავლობით რიცხვშიაც შეიძლება შეგვხვდეს (იხ. „რიცხვი“). შიუ მხოლოდ I გრამატიკული კლასის სიტყვებში გვაქვს, ლ'ი კი II და III კლასის სიტყვებში.

II ბრუნებით იბრუნვის ყველა ატრიბუტული სახელი (ზედსართავი, რიცხვითი, „ატრიბუტული ხმარების“ ნაცვალსახელი [მაგ. ჩვენებითი], მიმღეობა...). არსებით სახელთაგან II ბრუნვით იბრუნვის ადამიანის აღმნიშვნელი საზოგადო სახელები (მცირე გამოხატვის გარდა). ეთნიკური სახელები, ადამიანთა გვარები (რუსული -ოვ და -ოვა დაბოლოებით), III გრამატიკული კლასის არსებით სახელებში II ბრუნება მეტად იშვიათია.

¹¹⁰ შიუ და ლ'ი ისტორიულად რთული აფიქსებია: ხმოვითი ნაწილი (უ, ი) ირიბ ბრუნვათა ფუძის ისეთივე მაწარმოებლებია, როგორც I ბრუნებაში გვაქვს (იმა-შა-უ- „შამა“; ილა-ლ'ლ-ი-ი, „ლელა“; შდრ. ვასო-უ- „შა“, კურ-ი- „წიგნი“). ში და ლ'ი ხუნძ. ერგატივის ნიშნების (-ა-სა, -ა-ლ'ა) ფონეტიკური შესატყვისია. საყურადღებოა, რომ I კლასის სახელებში უ ხმოვანი გვაქვს (შა-უ). II და III კლასის სახელებში კი ი (-ლ'ი-ი).

1. მეორე ბრუნების პირველი ქვეტაპი (ირიბ ბრუნვათა ფუძეს აწარმოებს შაუ).

სახ.	ირ. ბრ.	ერგატივი
იმა „მამა“	იმა-შაუ-	იმა-შაუ-რ
იპვა „მწყემსი“	იპვა-შაუ-	იპვა-შაუ-რ
ეპუნ „მკედელი“	ეპუნ-შაუ-	ეპუნ-შაუ-რ
ვასაბ „ბიძაშვილი“	ვასაბ-შაუ-	ვასაბ-შაუ-რ
ჰუდულ „მეგობარი“	ჰუდულ-შაუ-	ჰუდულ-შაუ-რ
ჰარაჭა-ე „კუმიკი“	ჰარაჭა-ე-შაუ-	ჰარაჭა-ე-შაუ-რ
ხალიდოვ „ხალიდოვი“	ხალიდოვ-შაუ-	ხალიდოვ-შაუ-რ

ასევე: ვაშა „ვაჟი“, ჰეკვა „კაცი“, ქუნტა „ქმარი“, ნუსა „სიძე“, ჰიკემა „პაპა“, სეებაე „ბიძაშვილის შვილი“¹¹¹, ნართაე „ნართი“, „დევი“¹¹¹, წაეე „სტუმარი“ (მამაკაცი)¹¹¹, ყაჩალ „ყაჩალი“, დიბირ „მუეძინი; მოსამართლე“, ალლაპ „ღმერთი“¹¹², მალაიქ „ანგელოზი“, ჰაბიპ-ვან „მეწიწე“, ჩანაჯან „მონადირე“¹¹³, ჟუჰუტაე „ებრაელი“¹¹⁴.

ატრიბუტული სახელები

ვაჩაკუე „მოკლე“ (ერგ. ვაჩაკუ-შაუ-რ) ბესტალაე „ობოლი“ (ბესტალა-შაუ-რ), ჰოე „კარგი“ (ჰო-შაუ-რ), ჰელ'ე „ლურჯი“ (ჰელ'ე-შაუ-რ), ვატისხ „შუთანა“ (ვატისხ-შაუ-რ), ბოჟუე „მრწმენი“, „მოწამე“ (ბოჟუ-შაუ-რ), აე „ეს“ (ა-შაუ-რ), ოე „ის“ (ო-შაუ-რ), ოლჰოე „ის“ (შორს) (ოლჰო-შაუ-რ).

2. მეორე ბრუნების მეორე ქვეტაპი (ირიბ ბრუნვათა ფუძეს აწარმოებს ლ'ი).

სახ.	ირ. ბრ. ფუძე	ერგატივი
ილა „დედა“	ილა-ლ'ი-ი-	ილა-ლ'ი-რ
ჟაშ „ქალიშვილი“	ჟაშ-ლ'ი-ი-	ჟაშ-ლ'ი-რ
ჰაკუე „ცოლი“	ჰაკუ-ლ'ი-ი- ¹¹⁵	ჰაკუ-ლ'ი-რ
ჟასაბ „ბიძაშვილი“	ჟასაბ-ლ'ი-ი-	ჟასაბ-ლ'ი-რ
ჰარაჭა-ე „კუმიკი“	ჰარაჭა-ე-ლ'ი-ი-	ჰარაჭა-ე-ლ'ი-რ
ხალიდოვა „ხალიდოვა“	ხალიდოვა-ლ'ი-ი-	ხალიდოვა-ლ'ი-რ

¹¹¹ ელ. სის ნიშანი ვ ბრუნების დროს ეკვეცება.

¹¹² პარალელურად აღლაპა-შაუ- და ა. შ.

¹¹³ ასევე იბრუნვის -ჯან. -ჰან სუფიქსით ნაწარმოები (ჩვეულებრივად ხუნძურიდან შეთვისებული) სიტყვები.

¹¹⁴ წარმოშობით ზედსართავი.

¹¹⁵ გრამატიკული კლასის ნიშანი ე ბრუნების დროს ეკვეცება..

ასევე: პიკელა „დიდება“ (ერგ. პიკელა-ლ'ი-რ), სეზაჟ „ბიძა-შვილის შვილი“ (სეზაჟ-ლ'ი-რ), ყოროლაჟ „ქვრივი“ (ყოროლა-ლ'ი-რ), წიჟე „სტუმარი ქალი“ (წიჟე-ლ'ი-რ).

ატრიბუტული სახელები¹¹⁶

მაჩაკუჟ „მოკლე“ (ერგ. მაჩაკუ-ლ'ი-რ), ბესტალაჟ „ობოლი“ (ბესტალა-ლ'ი-რ), კოჟე „კარგი“ (კო-ლ'ი-რ), კეწლ'ა „ლურჯი“ (კელ'ა-ი-რ), მატისიჟ „შუათანა“ (მატისი-ლ'ი-რ), ბოჟუჟ „მრწმენი, მოწმე“ (ბოჟუ-ლ'ი-რ), აჟ „ეს“ (ა-ლ'ი-რ), ოჟ „ის“ (ო-ლ'ი-რ), ოლჰოჟ „ის“ (შორს) (ოლჰო-ლ'ი-რ).

ამაჟე ბრუნებას მიჰყვება III გრამატიკული კლასის არსებით სახელთა მცირე ნაწილი (ფრჩხილებში მოცემულია ირიბ ბრუნებათა ფუძე): ხაბარ „ამბავი; სიტყვა“ (ხაბარ-ლ'ი-რ), ზამანა „დრო“ (ზამანა-ლ'ი-რ), ზე „დღე“ (ზე-ლ'ი-რ), ყა¹¹⁷ „დრო“ (ყა-ლ'ი-რ), რეშ „წელიწადი“ (რეშ-ლ'ი-რ) დაჟბა „დავა“ (დაჟბა-ლ'ი-რ). ასევე იბრუნვის მასდარები (რომელთაგან ზოგი აბსტრაქტულ სახელადაა გაგებული): წოდოლჰირ (წოდოლჰირ-ლ'ი-რ) „ქკუა, სიფრთხილე“, უნალჰირ „ახლობლობა, ნათესაობა“ (უნალჰირ-ლ'ი-რ).

§ 44. თავისებურებანი ირიბ ბრუნებათა ფუძის წარმოებაში. ზოგი სიტყვა ირიბ ბრუნებათა ფუძეს თავისებურად აწარმოებს: მეორე ფუძე ფონეტიკურად საგრძნობლად განსხვავებულია სახელობითის ფუძისაგან ან კიდევ სრულებით სხვა ფუძეა გამოყენებული (ფუძეთა მონაცვლეობა). ეს უკანასკნელი დამახასიათებელია რიგი ნაცვალსახელისათვის (იხ. ნაცვალსახელთა ბრუნება).

1. ფუძეთა სხვაობა: სახ. ჰვაბ „წისქვილი“, ირ. ბრ. ფუძე ჰვარ- (ლოკატიურ ბრუნებებში); წიჟე „სტუმარი, ირ. ბრ. ფ. წიჟერ-უ.

რამდენსამე ერთგვარი ტიპის სიტყვას (სონორზე დაბოლოებულს) ბოლო მარცვლის უ ირიბ ბრუნებებში ვა მარცვლით ეცვლება (ახსნის ცდა იხ. ფონეტიკურ ნაწილში).

სახ.

ირ. ბრ. ფუძე

ბესუნ „დანა“
ბეჟენ „ნემსი“

ბესვან-
ბეჟვან-¹¹⁸

¹¹⁶ კლასნიშნანი სახელები მოყვანილია II კლასის ფორმით. ასევე იბრუნვის III კლასის სიტყვატ. ოლონ ბ დატულია (მაგ. ბაჩაკუბ „მოკლე“ ერგ. ბაჩაკუბ-ლ'ი-რ და ა. შ.).

¹¹⁷ ფუძეა *ყარუ.

¹¹⁸ შდრ. აგრეთვე კვან. სახ. ბეწაურ „ჯოგი“, ირ. ბრ. ფ. ბეწავარ-, ბეხუნ „ლოგინი“, ირ. ბრ. ფ. ბეხვან-, ბესუნ „დანა“, მრ. რ. ბესვამი (<ბესვან-ბი).

2. ზოგ (უმთავრესად მეტეოროლოგიური მოვლენის) აღმნიშვნელ სახელს ფუძესა და ბრუნვის ნიშანს შორის ლა მარცვლი ჩაერთვის: მუჩე „ქარი“, ერგ. მუჩუ-ლა-რ¹¹⁹.

3. ფუძეთა მონაცვლეობა: დე „მე“ სხვა ბრუნვებში (გარდა ერგატივისა) აელენს ფუძესა დი-. ასევე მე „შენ“—დი-. კითხვით ნაცვალსახელს ემ- „ვინ“ ირიბ ბრუნვაში ენაცვლება ფუძე ლ'ო-, ე „თვით“ ნაცვალსახელს კი ინ- (და ინ-დ-)¹²⁰.

§ 45. ბრუნებათა ტიპები მრავლობით რიცხვში. მრავლობით რიცხვში I ბრუნებაა გაბატონებული¹²¹. არსებითი სახელების ირიბ ბრუნვათა ფუძე ნაწარმოებია მრ. რიცხვის ნიშანზე ხმოვნის დართვით (ან დანართი ხმოვნის გარეშე). ფუძის მაწარმოებლად სულ რამდენიმე ხმოვახი გვაქვს: ა ან უ (ო), რომელთა გამოყენებაც (განსხვავებით მხ. რ.-ში ხმარებული ანალოგიური ხმოვნებისაგან) მეტწილად ცხად საფუძველს ემყარება: ამა თუ იმ ხმოვნის გამოყენება შეპირობებულია მრ. რიცხვის აფიქსით (მისი რაგვარობით) და საბრუნებელი სიტყვის გრამატიკული კლასით.

მრავლობით რიცხვში ერთმანეთს უპირისპირდება ადამიანთა და ნივთთა კლასი არა ზოგადად, არამედ ირიბ ბრუნვათა ფუძის წარმოებითაც. ადამიანთა კლასის სახელები დაირთავენ ა-ლ- (ან -ლუ) ელემენტს, ნივთთა კლასის სახელები კი (როცა მრ. რ. გრამატიკული კლასის ნიშნითაა ნაწარმოები)—ლ'ოი ელემენტს, ან (როცა მრ. რ. ნაწარმოებია მრავლობითის სპეციალური სუფიქსებით)—ა ხმოვანს.

დაწერილებით მრ. რიცხვში სახელთა ბრუნების შესახებ იხ. § 49.

§ 46. ძირითადი ბრუნვები. ბავგალურს ხუთი ძირითადი ბრუნვა აქვს: სახელობითი, ერგატივი, ნათესაობითი, მიცემითი და აფექტივი (ზოგ კილოკავს აფექტივი აკლია, იხ. ქვემოთ).

სახელობითი ბრუნვა გაუფორმებელი ფუძის სახითაა წარმოდგენილი (სახელობითს სპეციალური ნიშანი არა აქვს). ეს ფუძე ყოველ ხმოვანსა და თანხმოვანზე შეიძლება იყოს დაბოლოებული¹²².

¹¹⁹ ევანდურში გვაქვს წმ. ა. „წვიმა“. ირ. ბრ. ფ. წა-ლა-ლა- (მაგ., ერგ. წა-ლა-ლა-რ).

¹²⁰ ენ- და ინ- ისტორიულად ერთმანეთის ფონეტიკური ფარღი შეიძლება იყოს.

¹²¹ ტრიბუტული სახელები, რომელთაც მრ. რ. ნაწარმოები აქვთ გრამატიკული კლასის ნიშნით (რ), ირიბ ბრუნვათა ფუძეს აწარმოებს ლ'ოი ელემენტით (როგორც მხ. რ.-ის II ბრუნვაში).

¹²² ისტორიულად ჩქამიერ თანხმოვანზე სიტყვის დაბოლოება შეუძლებელი (ან ფრიად იშვიათი) უნდა ყოფილიყო. თანამედროვე მდგომარეობის ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვნი წვლილი მიუძღვის უმახილო უ და ი ხმოვანთა კეცეს: უსლაჯტში.

სახელობითი ბრუნვის ძირითადი ფუნქციაა ქვემდებარის აღნიშვნა გარდაუვალი შინაარსის ზმნასთან და პარაპირი დამატებისა გარდაუვალი შინაარსის ზმნასთან.

ერგატივი (ანუ მოთხრობითი ბრუნვა) იწარმოება რ და დ სუფიქსებით (რომლებიც ისევე, როგორც ყველა ბრუნვის ნიშანი, დაერთვის ირიბ ბრუნვათა ფუძეს ანუ საბრუნებელ ფუძეს). რ და დ ალომორფების განაწილება ასეთია: რ ხმოვანფუძიან სახელებთან გვაქვს, დ კი—თანხმოვანფუძიან სახელებთან¹²³. მაგ. ასი-რ „ვერცხლმა“, ბეწო-რ „მგელმა“, კათუ-რ „ცხენმა“. წე-რ „ცეცხლმა“, სარა-რ „მელიამ“, კაკან-დ „კვერცხმა“, მეჭელ-დ „ცვირმა“.

ერგატივს აქვს როგორც მოთხრობითი ბრუნვის, ისე მოქმედებითი ბრუნვის (ინსტრუმენტალისის) მნიშვნელობა. ძირითადი ფუნქციებია: გარდაუვალი ზმნის—ქვემდებარის აღნიშვნა, მოქმედების იარაღის აღნიშვნა (კითხვაზე „რით“?). ამ უკანასკნელ მნიშვნელობას უკავშირდება ერგატივის ხშირი გამოყენება ზმნისართების (დროის, ვითარების) საწარმოებლად.

ნათესაობითი იწარმოება ორგვარად: I. გრამატიკული კლასის ცვლადი ნიშნებით, II. ლ'ა სუფიქსით.

კლასნიშნაინი ნათესაობითი (ე. წ. „I ნათესაობითი“) კლასის ნიშანს უთანხმებს საზღვრულის გრამატიკულ კლასს (და რიცხვს)¹²⁴.

¹²³ პირველადი დ, ხოლო რ კი მეორეულია (დ > რ, იხ. ფონეტიკური ნაწილი). ხ უტად უ რ ში დ/რ ნიშნების განაწილება თლონდოდურისგებურია. აულ კვანადის მტკველებში I ბრუნვის ნიეთა კლასის სახელებში ხმოვნის მომდევნოდ და რ ფაქტურად იხმარება: ზინ-ა-დ || ზინა-რ „ძროხამ“, „ძროხით“, ღერ-დ || ღერუ-რ „კოვხმა“, „კოვხით“, მიჩი-დ || მიჩი-რ „ხანჯალმა“, „ხანჯლით“... I ბრუნვის აღამიანთა კლასის სახელებში. აგრეთვე II ბრუნვის სახელებში მხოლოდ რ გვაქვს: ვასე-რ „მამა“, იმაშე-რ „მამა“, ილა-ლი-რ „დედამ“... თანხმოვანფუძიან სახელებთან, ცხ-ლია, მხოლოდ დ გვაქვს (განურჩევლად გრამატიკული კლასისა).

თლი სურ ში ერგატივის ნიშანი დ: ვაცო-დ „მამ“, დაცო-დ „დედა“, ბწო-დ „მგელმა“, ჰინწა-დ „ქვეამ“, ვაცობ: დლო-დ „მეხმა“, ზინ-დ „ძროხებმა“. დ ნ: ცე-ლსახელებსა და II ბრუნვის სახელებში (ე. ი. შუ და ლ'ი ელემენტების მომდევნოდ) დ-კარგულია (და მტ დ იშვითად, როგორც ფაქტურად ვარიანტი, შეიძლება იქნეს ნახმარი): იმა-შე (|| იმა-შე-დ) „მამამ“, ვაშა-შე (|| ვაშა-შე-დ) „ვაშამ“, ილა-ლი (|| ილა-ლი-დ) „დედამ“, დაშა-ლი (|| დაშა-ლი-დ) „ქალიშვილმა“, ჰეპა-შე (|| ჰეპა-შე-დ) „დიდამ“ (I კლ.), ჰეპა-ლი (|| ჰეპა-ლი-დ) (II და III კლ.). შდრ. აგრეთვე ნაცვალსახელები (მოგვეყვს ერგატივის ფორმები): დე || დენ-დ „მე“, მე || მენ-დ „მენ“, ილი || ილი-დ „ჩვენ“ (ინკლ.), იში || იში-დ „ჩვენ“ (ექსკლ.). ბისთი || ბისთი-დ „თქვენ“, ჰე-შე || ჰე-შე-დ „მან“, ლ'იო (ლ.). ლ'იო-დ (ლა) „ვინ“ და მისთ. დ-ს დაკარგვის გამო ერგატივი გარეგნულად ემთხვევა ირიბ ბრუნვათა ფუძეს (საბ. იმა, ერგ. იმაშე, ნათ. იმაშე-ბ და ა. შ.).

¹²⁴ ამ მხრივ კლასნიშნაინი ნათესაობითი არაფრით განსხვავდება ზედსართავი სახელისაგან (ან მიმდებარებისაგან). მსგ-სება ზედსართავ სახელთან გენერტი თვლსაზრისით შემთხვევითი აო უნდა იყოს.

I კლ.	იმაშეთ-ე	ვასა	„მამის ძმა“
II კლ.	იმაშეთ-ა	მასა	„მამის და“
III კლ.	იმაშეთ-ბ	კათე	„მამის ცხენი“
აღამ. კლ.	იმაშეთ-ბა	ვასაიბალი	„მამის ძმები“
ნივთ. კლ.	იმაშეთ-რ	ხენი	„მამის ცხენები“

უკლასისნიშნო ნათესაობითი (ე. წ. „ნათესაობითი II“) საზღვრულის კლასსა და რიცხვს არ ასახავს (მაგ. ილაღ'ი-ლ'ო ვასა „დედის ძმა“, ილაღ'ი-ლ'ო მასა „დედის და“ და ა. შ.).

ნათესაობითის ორი ფორმა (კლასნიშნიანი და უკლასნიშნო) წარმოადგენს ერთ ბრუნვას ორი ალომორფით (კლასის ნიშანი და ლ'ო)¹²⁵. ყოველ მათგანს გამოყენების თავისი სფერო აქვს: კლასნიშნიანი ნათესაობითა წარმოადგენს ნათესაობითის ფორმას I გრამატიკული კლასის სახელებისათვის, ხოლო უკლასნიშნო ნათესაობითი — II და III გრამატიკული კლასის სახელებისათვის. ნაცვალსახელები, რომლებიც კლასების მიხედვით არ არიან დიფერენცირებული (მაგ. I და II პირისა: „მე, „შენ“, „ჩვენ“, „თქვენ“) — მისდევენ I კლასის სახელებს.

მაგალითად (კლასნიშნიანი ნათ. ბრ.): იმუაე-ბ¹²⁶ „მამის“, ვასაე-ბ „ძმის“, ეეკეტროშაუ-ბ „შავის“ (I კლ.), წააროშაუ-ბ „მსმელის“ (I კლ.), მამამადი-ბ „მამამედის“ (მამაკაცის სახელი), მუსა-ბ „მუსასი“ (მამაკაცის სახელია), დი-ბ „ჩემი“, დუ-ბ „შენი“, ილ'ი-ბ „ჩენი“ (ინკლ.), ჰუშაუ-ბ „მისი“ (I კლ., „მამაკაცისა“). (უკლასნიშნო ნათ. ბრ.): ილაღ'ი-ლ'ო „დედის“, მასაუ-ლ'ო „მისი“, აეკეტროლ'ი-ლ'ო „შავის“ (II კლ.), მესერ-ლ'ო „ოქროსი“, კათუ-ლ'ო „ცხენის“, რუში-ლ'ო „ხის“, ფატიმათი-ლ'ო „ფატიმათის“ (ქალის სახელია), წააროლ'ო „მსმელის“ (II კლ.) ჰული-ლ'ო „მისი“ (II ან III კლასის სახელის კუთვნილი)¹²⁷.

¹²⁵ ეს ორი ფორმა სხვადასხვა წარმოშობისა ჩანს (და ნიუანსიც ერთმანეთისაგან განსხვავებული შეიძლება ჰქონდა) სახელობარ, ლ'ო (-ლ') უნდა უკავშირდებოდეს ლოკატივი სერიის ერთ-ერთ ნიშანს, ხოლო კლასნიშნიანი ნათესაობითი — ზღვარათაგან სხვებს.

¹²⁶ მოგვყავს მესამე კლასის ნიშნით (ბ).

¹²⁷ თვისებური კლასნიშნიანი და უკლასნიშნო ნათესაობითის გადაწარმოება თლისურში: კლასნიშნიანი სახეობა (რომელიც თლისურში მხოლოდ I კლასის სახელებს აქვთ). თლისურში გამოყენებულია ადამიანთა კლასის სახელებში საერთოდ, უფრო ზუსტად: პირველი კლასის სახელი მუდამ კლასნიშნიან ნათესაობითს იყენებს, II კლასის სახელებში კი კლასნიშნიანი ნათესაობითი აქვს მეორე ბრუნვების სახელებს (ლითი ელემენტით ნაწარმოებ ფუძეებს), მაშინ როცა II კლასის სახელებს, რომლებიც I ბრუნვით იბრუნეიან, უკლასნიშნო ნათესაობითი აქვთ ისევე, როგორც III კლასის სახელებს. ნაცვალსახელებს თლისურში კლასნიშნიანი ნათ. ბრ. აქვთ, მაგალითები (კლასნიშნიანი ნათ. ბრ.): იმაშაუ-ბ „მამის“, ეაშაშაუ-ბ „შავის“ (I კლ., II ბრუნება).

ნათესაობით ბრუნვის ძირითადი ფუნქციაა მასალის, ნაწილ-ს აღნიშვნა. ვგევე ბრუნვა გამოყენებული „ქონა“, „ყოლა“ შინაარსის გადმოსაცემად („მამის არის“ = „მამას აქვს, ჰყავს“).

მიცემითი იწარმოება -ლა დაბოლოებით (ორსავე რიცხვში): იმაშუ-ლა „მამას“, ილალი-ლა „დედას“, დი-ლა „მე“, სარა-ლა „მე-ლიას“, მესერ-ლა „ოქროს“, კამიბი-ლა „რქებს“, ვასიბადი-ლა „ძმებს“.

მიცემითი ბრუნვა გამოყენებულია ირიბი დამატების ბრუნვად, აგრეთვე ზოგიერთი ზმნის („სიყვარული“, „ნდომა“) რეალური სუბიექტის ბრუნვად. აღსანიშნავია, რომ მიცემითის როლა დამატების აღნიშვნაში მნიშვნელოვნად შეზღუდულია, რამდენადაც ამ ფუნქციით მას ლოკატიური ბრუნვები ეცილებიან. მიცემითს აქვს მნიშვნელობა აგრეთვე ქართ. „თვის“ თანდებულისა.

მაცემითის -ლა ნიშანი ემთხვევა ლოკატიური ბრუნვის ვრთ-ერთ ნიშანს (მნიშვნ. „ზე“). ეს დამთხვევა სისტემატურია თლონდოდურში (მაგრამ, მაგ., კვანადურ-ჰემერსოულში სისტემატური არაა. იხ. ლოკატიური ბრუნვები).

კვანადურში მიცემითის დაბოლოებას სამი ვარიანტი აქვს: -ლა (როგორც თლონდოდურსა და ხეშტადურში) ჰა და ა. დაბოლოება -ლა გამოყენებულია I ბრუნების სახელებში (მაგ., ლელუ-ლა „ხელს“, მიჰა-ლა „მზეს“, სარა-ლა „მელიას“, რემენ-ლა „ცას“) აგრეთვე მრავ-

ვაცობ „ძის“ (I კლ., I ბრუნება); ილალიზი „დედის“. აშულიზი „ქ.ლიშვილის“. პაროლიზი „ცოლის“ (II კლ., II ბრუნება); ზღრ. აცოლ „ღის“ (II კლ., I ბრუნება). II კლასის სახელებში -ლიზის მომდევნოდ კლასის ნიშნის დართვა (ე. ი. კლასნიშნის ნათესაობითის წარმოება II კლასის სახელებში) შედარებით ახალი მოვლენა უნდა იყოს. III გრამატიკული კლასის სახელები ნათ. ბრუნვას ლ-ს მეშვეობით აწარმოებენ (ზღრ. თლონდ. ლიზ): უნსო-ლ „ხარის“, პინწა-ლ „ქვის“, ხეი-ლ „ძაღლის“. მრ. რიტხევი ნათესაობითის კლასნიშნის ფორმა გამოყენებული: ვაცობადილო-ზ „ძმების“, უნსადილო-ზ „ხარების“. უნდა აღინიშნოს, რომ ნათ. I-ის აფიქსი—გრამატიკული კლასის ნიშანი—ხშირად მოკვეცილია.

ნათ. ბრუნვის აფიქსთა განწილება თლისურში (სქემა):

	კლასნიშნის ნათ. (ნათ. I)		უკლასნიშნო ნათ. (ნათ. II)	
	I ბრ.	II ბრ.	I ბრ.	II ბრ.
I კლ.	+	+	—	—
II კლ.	—	+	+	—
III კლ.	—	—	+	+

თლიბიშოურში ისეთივე მდგომარეობაა, როგორც თლისურში, თლონდ მხ. რ.-ში III კლასის სახელებს, როცა ისინი ირიბ ბრუნვათა ფუძეს ლიზი ელემენტით აწარმოებენ, კლასნიშნის ნათესაობითი ექნებათ (მაგ. რელალიზი-ზ || რელალ „ხელს“). მრავლობითში ადამიანის კლასის სახელებს კლასნიშნი ნათესაობითი აქვთ. ნეთის კლასისას—ლ (ე.შვილი-ზ „კაყვების“, ზინწლ „ძროხების“).

ლობით რიცხვში (იხ. ქვემოთ). დაბოლოება -ჰა იხმარება ზოგ ნაცვალ-სახელთან (დი-ჰა „მე“, დუ-ჰა „შენ“, ლ'ო-ჰა „ვის“. შდრ. თლონდ. დი-ლა, დუ-ლა, ლ'ო-ლა).

II ბრუნების სახელებში, აგრეთვე ზოგ ნაცვალსახელში, მიცემითის ფორმა ნაწარმოებია -ა ნიშნით: იმაშე-ა „მამას“, ილალ'ა „დედას“, აჰშილ'ა-ა „ქალიშვილს“, ვეჭეტირ'ა-ა „შავს“ (I კლ.), აეჭეტირ'ა-ა (II კლ.), ბეჭეტირ'ა-ა (III კლ.) „შავს“, ილ'ა-ა „ჩვენ“ (ექსკლ.), ბიშთ-ა „თქვენ“.

მრავლობით რიცხვში მიცემითის ნიშანია -ლა, მაგრამ მის წინ ფუძის მაწარმოებელი უ ხმოვანი რედუცირებულია: ვაშაბალ-ლა (<ვაშაბალ-უ-ლა) „ვაეებს“, ააშალ-ლა (<ააშალ-უ-ლა) „ქალიშვილებს“, ბეჭეტუბალ-ლა (<ბეჭეტუბალ-უ-ლა) „შავებს“. ამოსავალი ფორმები დაცულია თლონდოდურში. კვანადურშივე სხვა ბრუნებში უ დაცულია მაგ. ვაშაბალ-ურ „ვაეებმა“, ვაშაბალ-უბ „ვაეების“. -ლა დაბოლოების წინ სხვა ხმოვანი (გარდა უ-სი) არ ეყვეცება: ჰვაბი-ლა „ძაღვებს“, სარაბა-ლა „მელოებს“. II ბრუნებაში ფუძის მაწარმოებელი -შაუ და -ლ'ი მიცემითის -ა ნიშნის წინ წარმოდგენილია როგორც შავ (შაუ-ა > შავ-ა) და ლ'ი (ლ'ი-ა > ლ'ა), მაგრამ ამ უკანასკნელ შემთხვევაში ი უკვალოდ არაა გამქრალი, ის „წინაა გადმოსული“, მაგ. სახ. ჰაკუჟ „ცოლი“, ერგ. ჰაკუჟ-ლ'ი-რ, მიც. ჰაკუჟ-ი-ლ'ა (<ჰაკუჟ-ლ'ი-ა), ნათ. ჰაკუჟ-ლ'ი-ლ'ი. სახ. ააშ „ქალიშვილი“, ერგ. ააშ-ლ'ი-რ, მიც. ააშ-ი-ლ'ა (<ააშ-ლ'ი-ა), ნათ. ააშ-ლ'ი-ლ'ი. სახ. ჰაწავ „თეთრი“ (I კლ.), ერგ. ჰაწა-შაუ-რ, მიც. ჰაწა-შავა || ჰაწა-ი-შავა. სახ. ჰაწაჟ „თეთრი“ (II კლ.), ერგ. ჰაწაჟ-ლ'ი-რ, მიც. ჰაწაჟ-ი-ლ'ა-ა (III კლ. მიც. ჰაწაბ-ი-ლ'ა-ა). სახ. ჰაწაბა „თეთრნი“ (ადამ. კლ.), ერგ. ჰაწაბ-ალ-ურ, მიც. ჰაწაბ-ალ-ლა (<ჰაწაბ-ალ-უ-ლა). სახ. ჰაწარ „თეთრნი“ (ნივთ. კლ.), ერგ. ჰაწარ-ლ'ი-რ, მიც. ჰაწარ-ი-ლ'ა-ა. მსგავსი ფორმა მიცემითისა (ააშ-ი-ლ'ა-ი-ლა „ქალს“, შდრ. ერგ. ააშ-ლ'ი-რ) ხუმტადურშიც გვხვდება, თლონდ აქ დაცულია როგორც ლ'ი, ისე „წინ გადასმული“ ი-ც.

ჰემერსოულში მიცემითის ნიშანია -ჰა და -ა (ზოგჯერ პარალელურად იხმარება). -ას წინ ხმოვანთადასყარად ჩაერთვის ჰ (არალაბილურ ხმოვანთა მომდევნოდ) და ვ (ლაბილურ ხმოვანთა მომდევნოდ). მაგალითები: დი-ჰა „მე“, დუ-ჰა „შენ“, ილ'ი-ჰა || ილ'ი-ჰა-ა „ჩვენ“ (ექსკლ.), ბიშთ-ჰა „თქვენ“, უჭუშაუ-ვ-ა „მას“ (I კლ.), უჭულ'ი-ჰა-ა „მას“ (II—III კლ.), ლ'ო-ჰა „ვის“, იშაუ-ჰა „თავისთვის“ (I კლ.), ილ'ი-ჰა „თავისთვის“ (II—III კლ.), ურუ-ჰა „მათ“ და სხვ.

თლისურში მიცემითის დაბოლოებაა -ა და -ლა. 1. -ა იხმარება II ბრუნების სახელებში (შაუ და ლ'ი ელემენტებით ნაწარმოებ ფუძე-

ებთან) აგრეთვე ნაცვალსახელებში. შაუ ელემენტის უ ხმოვანი მარცვლოვნობას კარგავს ან სრულებით გამჭრალია (შაუ-ა > შავ-ა || > შა-ა), ხოლო ლ'თი კარგავს ი-ს (ლ'თი-ა > ლ'თ-ა). ნაცვალსახელებში ლაბიალური ხმოვნის მომდევნოდ ვ შეიძლება ჩაერთოს, არალაბიალური ხმოვნის წინ კი ჰ (დ-უ-ვ-ა „შენ“, დი-ჟ-ა „მე“, ლ'თ-ო-ვ-ა „ვის“). მაგალითები: იმაშავ-ა (< იმაშაუ-ა) „მამას“, ვაშაშავ-ა (< ვაშაშაუ-ა) „ვაჟს“, იშაშავ-ა (< იშაშაუ-ა) „თვით“ (I კლ.), ილალ'თ-ა (< ილალ'თი-ა) „დედას“, ილო'თ-ა (< ილო'თი-ა) „თვით“ (II კლ.). რიგ შემთხვევაში ლ'თი ელემენტის წინ ი ზანს (შდრ. კვანადური): აშა-ი-ლ'თ-ა (< აშა-ლ'თი-ა) „ქალოშვილს“ (შდრ. ერგ. აშაშლ'თილ, ნათ. აშაშლ'თიბ). ეგვევ ი ზოგჯერ მრ. რ.-შ. ც. ჩანს. თლიბიშორში წინ გადაისმის შაუ ელემენტის ხმოვანიც, რომელიც წინამავალი ფუძისეული ა-ს ნაწილობრივ ასიმილაციას იწვევს: სახ. იმა „მამა“, ვაშა „ვაჟი“, ერგ. იმაშაუდ, ვაშაშაუდ, ნათ. იმაშაუბ, ვაშაშაუბ, მიც. იმოუშა (I), ვაშოუშა (I) < იმაუშა, ვაშაუშა < იმაშაუა, ვაშაშაუა. 2. -ლა იხმარება I ბრუნების სახელებში, აგრეთვე მრავლობით რიცხვში: აცაო-ლა „დას“, ვაცაო-ლა „ძმას“, ბაწო-ლა „შგელს“, ჰინწა-ლა „ქვას“, ვაციბადი-ლა „ძმებს“, ვაშ-ა-ლა „ვაჟებს“, აცობადი-ლა „დებს“, ხვადი-ლა „ძაღვებს“, ზინა-ლა „ძროხებს“.

მიცემითის ნიშნები ბაგვალურში -ლა, -ჰა, -ა შესაძლებელია მომდინარეობდეს -ლ'ა-საგან (შდრ. მიცემითის -ლ'ა ნიშანი ტინდიურში). ამჟამად დადასტურებული ვარიანტები ლ' ლატერალის გამარტივების სხვადასხვა საფეხურს უნდა ასახავდეს.

აფექტივი იწარმოება -ბა დაბოლოებით¹²⁸ (ორსავე რიცხვში): დი-ბა „მე“, ჩემდა“, დუ-ბა „შენ“, „შენდა“, იმა-შაუ-ბა „მამას“, ვეჭეტროშაუ-ბა „შავს“ (I კლ.), ილალ'თი-ბა „დედას“, ვეჭეტროლ'თ-ბა „შავს“ (II კლ.), ბეჭეტროლ'თი-ბა „შავს“ (III კლ.), სარა-ბა „მელოას“, კათუ-ბა „ცხენს“, ვასაალუ-ბა „ძმებს“, ასაბაალუ-ბა „დებს“.

მნიშვნელობით აფექტივი ახლოს დგას მიცემით—ლოკატივთან. აქა-იქ (განსაკუთრებით ადგილის სახელებთან) ის ლოკატიურ ბრუნვად შეიძლება გაეგოთ (მაგ. ჰინდუ-ბა „თლონდოლაში“, თლონდოლისკენ¹²⁹).

აფექტივი გამოყენებულია ზოგიერთი ზმნის (verba sentiendi-ს ტიპისა) რეალური ქვემდებარის გადმოსაცემად („ცოდნა“, „ნახვა“, „სმენა“, „შეძლება“), აგრეთვე ირჩები დამატების ბრუნვადაც.

¹²⁸ წარმოშობით ბ გრამატიკული კლასის ცვლადი ნიშანია აჰე მდ ბ გ. ქვავე-ბულია (უცვლელია).

¹²⁹ ქართულად აფექტივის ცალსახად თარგმნა გაძნელებულია (ჩვეულებრივად მიცემითი ეწვობა). ხუნძურში მას -და სუფიქსიანი ლოკატივი ეტოლება ფუნქციურად (დი-და „მე, ჩემდა“). ხოლო ისტორიულად ხუნძ. მიცემითი ბრუნვის შესატყვისია (შდრ. ხუნძ. ინსაუ-ჟე „მამას“ < ინსაუ-ბე ღა ბ. გვ. იმაშაუ-ბა < იმაშაუ-ბა „მამას“).

აფექტივი შეიძლება შეგვხვდეს აგრეთვე როგორც ზმნისართის მეორე მართული სახელის ფორმა¹³⁰.

§ 47. არსებითი სახელის ბრუნება მხოლოდით რიცხვში. მას შემდეგ, რაც გავეცანით ირიბ ბრუნვათა ფუძის წარმოებას (§ 43, 44) ბრუნვის ნიშნებსა და მათს გამოყენებას (§ 46), შეიძლება მაგალითებით დაკმაყოფილდეთ (სხვა მაგალითები იხ. § 43)¹³¹.

I ბრუნება

ირიბ ბრუნვათა ფუძეს აწარმოებს ა

სახ.	გარ „ყელი“	ზინ „ძროხა“	ჰურ „შეშა“
ერგ.	გარ-ა-რ	ზინ-ა-რ	ჰურ-ა-რ
ნათ.	გარ-ა-ლ'ხ	ზინ-ა-ლ'ხ	ჰურ-ა-ლ'ხ
მიც.	გარ-ა-ლა	ზინ-ა-ლა	ჰურ-ა-ლა
აფ.	გარ-ა-ბა	ზინ-ა-ბა	ჰურ-ა-ბა

ირიბ ბრუნვათა ფუძეს აწარმოებს ი

სახ.	მიწხ „ენა“	ჭოჩა „წიგნი“	როშა „ხე“
ერგ.	მიწხ-ი-რ	ჭოჩ-ი-რ	როშ-ი-რ
ნათ.	მიწხ-ი-ლ'ხ	ჭოჩ-ი-ლ'ხ	როშ-ი-ლ'ხ
მიც.	მიწხ-ი-ლა	ჭოჩ-ი-ლა	როშ-ი-ლა
აფ.	მიწხ-ი-ბა	ჭოჩ-ი-ბა	როშ-ი-ბა ¹³²

ირიბ ბრუნვათა ფუძეს აწარმოებს უ

სახ.	რელა „ხელი“	ვასხ „ძმა“	კათე „ცხენი“
ერგ.	რელ-უ-რ	ვასხ-უ-რ	კათ-უ-რ
ნათ.	რელ-უ-ლ'ხ	ვასხ-უ-ბ	კათ-უ-ლ'ხ
მიც.	რელ-უ-ლა	ვასხ-უ-ლა	კათ-უ-ლა
აფ.	რელ-უ-ბა	ვასხ-უ-ბა	კათ-უ-ბა

¹³⁰ თლისურში აფექტივი არა გვაქვს. ფუნქციით მას მიცემითი ბრუნვა ცვლის-ანალოგიური მდგომარეობაა ჰემერსოულშიც.

¹³¹ როგორც ზემოთ აღინიშნა. I კლასის სახელებს ნათესაობითის კლასნიშნიანი სახეობა აქვს. II და III კლასის სახელებს კი -ლ'ხ სუფიქსიანი.

¹³² ასევე იბრუნვის კვანდურში მასდარი: სახ. ეუკვარ „ყოფნა“, ბეტვირ „ხენა“, ბუყირ „ქრა“, ბასან „თხრობა“. ერგ. ეუკვარ-ი-რ, ბეტვირ-ი-რ, ბუყირ-ი-რ, ბასან-ი-რ. ნათ. ეუკვარ-ი-ლ'ხ, ბეტვირ-ი-ლ'ხ, ბუყირ-ი-ლ'ხ, ბასან-ი-ლ'ხ და ა. შ.

ირიბ ბრუნვათა ფუძეს აწარმოებს ო

სახ.	ჰეკოჩა „თაგვი“	კორთუ „ჩოჩორი“
ერგ.	ჰეკოჩ-ო-რ	კორთ-ო-რ
ნათ.	ჰეკოჩ-ო-ლ'ჲ	კორთ-ო-ლ'ჲ
მიც.	ჰეკოჩ-ო-ლა	კორთ-ო-ლა
აფ.	ჰეკოჩ-ო-ბა	კორთ-ო-ბა

ირიბ ბრუნვათა ფუძე ნაწარმოები ჩანს ე ხმოვნით

სახ.	ჰვაჲ „ძაღლი“	წვაჲ „ცეცხლი“
ერგ.	ჰვ-ე-რ	წ-ე-რ
ნათ.	ჰვ-ე-ლ'ჲ	წ-ე-ლ'ჲ
მიც.	ჰვ-ე-ლა	წ-ე-ლა
აფ.	ჰვ-ე-ბა	წ-ე-ბა

ირიბ ბრუნვათა ფუძე იმეორებს სახელობითის ფუძეს

ა) ხმოვანფუძიანი სახელები

სახ.	რელჰა „ზღვა“	ზე „მინა“	სიჲ „დათვი“	დარუ „წამალი“
ერგ.	რელჰა-რ	ზე-რ	სიჲ-რ	დარუ-რ
ნათ.	რელჰა-ლ'ჲ	ზე-ლ'ჲ	სიჲ-ლ'ჲ	დარუ-ლ'ჲ
მიც.	რელჰა-ლა	ზე-ლა	სიჲ-ლა	დარუ-ლა
აფ.	რელჰა-ბა	ზე-ბა	სიჲ-ბა	დარუ-ბა

ბ) თანხმოვანფუძიანი სახელები

სახ.	შაჰარ „ქალაქი“	ჰინწილ „თითი“	ლურწუმ „ჯორი“
ერგ.	შაჰარ-დ	ჰინწილ-დ	ლურწუმ-დ
ნათ.	შაჰარ-ლ'ჲ	ჰინწილ-ლ'ჲ	ლურწუმ-ლ'ჲ
მიც.	შაჰარ-ლა	ჰინწილ-ლა	ლურწუმ-ლა
აფ.	შაჰარ-ბა	ჰინწილ-ბა	ლურწუმ-ბა

სახ.	კაკან „კვერციხი“	ესებ „ნეკნი“
ერგ.	კაკან-დ	ესებ-დ
ნათ.	კაკან-ლ'ჲ	ესებ-ლ'ჲ
მიც.	კაკან-ლა	ესებ-ლა
აფ.	კაკან-ბა	ესებ-ბა

II ბრუნება

ირიბ ბრუნვათა ფუძეს აწარმოებს შაუ

სახ.	იმა „მაჲ“	ვაჲ „ვაჲ“	ეჲ „ეჲ“
ერგ.	იმა-შაუ-რ	ვაჲ-შაუ-რ	ეჲ-შაუ-რ
ნათ.	იმა-შაუ-ბ	ვაჲ-შაუ-ბ	ეჲ-შაუ-ბ
მიც.	იმა-შაუ-ლა	ვაჲ-შაუ-ლა	ეჲ-შაუ-ლა
აფ.	იმა-შაუ-ბა	ვაჲ-შაუ-ბა	ეჲ-შაუ-ბა

ირიბ ბრუნვათა ფუძეს აწარმოებს ლ'ი

სახ.	ილა „ლედა“	ლა „ლალიშვილი“	ლა „ლალი“
ერგ.	ილა-ლ'ი-რ	ლა-ლ'ი-რ	ლა-ლ'ი-რ
ნათ.	ილა-ლ'ი-ლ'ი	ლა-ლ'ი-ლ'ი	ლა-ლ'ი-ლ'ი
მიც.	ილა-ლ'ი-ლა	ლა-ლ'ი-ლა	ლა-ლ'ი-ლა
აფ.	ილა-ლ'ი-ბა	ლა-ლ'ი-ბა	ლა-ლ'ი-ბა

სახ.	ხაბარ „ამბავი; სიტყვა“	რეში „წელიწადი“	წოდოლპირ „სი- ფრთხილე“
ერგ.	ხაბარ-ლ'ი-რ	რეში-ლ'ი-რ	წოდოლპირ-ლ'ი-რ
ნათ.	ხაბარ-ლ'ი-ლ'ი	რეში-ლ'ი-ლ'ი	წოდოლპირ-ლ'ი-ლ'ი
მიც.	ხაბარ-ლ'ი-ლა	რეში-ლ'ი-ლა	წოდოლპირ-ლ'ი-ლა
აფ.	ხაბარ-ლ'ი-ბა	რეში-ლ'ი-ბა	წოდოლპირ-ლ'ი-ბა

§ 48. **ლოკატიური ბრუნვები.** გამოყოფა ლოკატიურ (ანუ ადგილობრივ, თანდებულის) ბრუნვათა შვიდი სერია. სერიათა ძირითადი მნიშვნელობებია „ზე“ (საერთოდ ზემოთ ან უშუალოდ რასამე ზედაპირზე), „ში“ (საერთოდ შიგნით ან უშუალოდ რაშიმე), „ქვეშ“, „თან“.

სერია აღნიშნავს საგნის მდებარეობას სივრცეში (მეორე საგანთან მიმართებით).

ყოველ სერიას აქვს ორი (იშვიათად სამი) ბრუნვა, რომელაც გადმოგვეცემს საგნის მდგომარეობას: მოძრაობას („კენ“, „-დან“) ან უძრაობას. ადგილობრივი (resp. უძრაო მდგომარეობა) და მიმართულებითი („კენ“) მეტწილად გარჩეულა არაა და საზარო ფორმას იყენებს (მხოლოდ აქა-იქ მათი დიფერენციაცია ხერხდება). ასევე არ განიჩევა გავლითი ბრუნვა (ტრანსლატივი), მის ფუნქციას დაშორებითი ბრუნვა კისრულობს.

დაშორებით ბრუნვა ემყარება ადგილობითა ბრუნვის ფორმას.

სერაის ნიშანი დაერთვის ირბ ბრუნვათა ფუძეს, გამონაკლისია I ანუ უნიშნო სერია, რომელიც სიტყვის ფუძისაგან იწარმოება.

ადგილობით-მიმართულებით ბრუნვას სპეციალური ნიშანი არა აქვს: ამ ბრუნვის ნიშანა სათანადო სერაის ნიშანი. დაშორებით ბრუნვა იწარმოება -სა ნიშნით.

უნიშნო სერია. უნიშნო სერაის არ გააჩნია სერაის სპეციალური ნიშანი: როგორც სერაის, ისე ადგილობით-მიმართულებით ბრუნვის აღსანიშნავად გამოყენებულა ხმოვანი ი ან ა (ერთ-ერთი მათგანი ამა თუ იმ სახელთან). ამის მიხედვით გამოყოფა ამ სერაის ორი სახეობა: „ი სახეობა“ და „ა სახეობა“. ი/ა ხმოვანი დაერთვის საბრუნებელი სიტყვის ფუძეს, რაც გარეგნულად სახელობითს ემთხვევა.

„ი სახეობას“ ორი ბრუნვა აქვს: ადგილობით-მიმართულებითი და დაშორებითი, „ა სახეობას“ კი—სამი: ადგილობითი, მიმართულებითი და დაშორებითი.

მრავლობით რიცხვში უნიშნო სერია იყენებს „ხ სერაის“ ფორმებს.

უნიშნო სერია დასტურდება I ბრუნების სახელთა მცირე ჯგუფში, II ბრუნების სახელები ამ სერაის უფრო ხშირად იყენებენ, ოღონდ გარკვეული ფუნქციით—ზოგიერთი ზმნის ირიბი დამატების ბრუნვად. სერაის მნიშვნელობაა „ში“ (ზოგადად).

„ი სახეობა“

„ი სახეობას“ ორი არაფაქულტატური ვარიანტი აქვს ი და -ინ-ი.

სახ. ჰუშმა „ყანა“¹³³ ეყჷნ „ტომარა“
ირ. ბრ. ფ. ჰუშმა-ი- ეყჷნ-

ადგ.-მიმ. ჰურ-ი „ყანაში“, „ყანისაკენ“ ეყჷნ-ი „ტომარაში“
დაშორ. ჰურ-ი-სა „ყანიდან“¹³⁴ ეყჷნ-ი-სა „ტომრიდან“¹³⁵

სახ. ბეტჷ ბეჷნ „ლოგინა“
ირ. ბრ. ფ. ბეტჷ-ი- ბეჷნ-

ადგ.-მიმ. ბეტჷ-ი „ბოსელში“, „ბოსლისაკენ“ ბეჷნ-ი „ლოგინში“, „ლოგინისაკენ“

დაშორ. ბეტჷ-ი-სა „ბოსლიდან“ ბეჷნ-ი-სა „ლოგინიდან“.

¹³³ ეს სიტყვა ფუძემონაკლეა: მხ. ჰუშმა. მრ. რ. ჰურ-
¹³⁴ შდრ. თლისური: სახ. ფურ „ყანა“, ადგ.-მიმ. ფურ-ი, დაშორ. ფურ-ი-სა.
¹³⁵ აქ და ქვემოთ თარგმანი არაა ზუსტი („ტომარაში, ტომარაში-კენ“, „ტომარაში-დან“ და ა. შ. რუს. „в мешке“, „в мешок“, „из [в] мешка“).

ამავე რიგისაა ადგილის ზმნისართთა ასეთი ფორმები: არ-ი „აქ“ (არ-ი-სა „აქედან“), ორ-ი „იქ“ (ორ-ი-სა „იქიდან“), აპ-ი „ზევით“ (აპ-ი-სა „ზევიდან“), ეშ-ი „შინ“ (ეშ-ი-სა „შინიდან“)¹³⁶. ზმნისართი საე „წინ“ (საე-სა „წინიდან“) ადგ.-მიმ. ბრუნვაში წარმოდგენილია ი-ს გარეშე.

ი ნიშნით იწარმოება სიტყვათა ერთი რიგის ლოკატიური ბრუნვებიც, ოღონდ ზემოთ განხილულ მაგალითებისაგან განსხვავებით ი ნიშანს წინ უძღვის მარცვალი ინ, ხმოვანფუძიან სახელებთან ინ მარცვლის ი იკვეცება ან ერწყმის წინამავალ ხმოვანს (მაგ. -უ+ინი>-უ+ინი, -ა+ინი>ენი)¹³⁷).

სახ.	ჭათა „ქოთანი“	ტას „ტაშტი“
ირ. ბრ. ფ.	ჭათ-ი-	ტას-ი-
ადგ.-მიმ.	ჭათ-ინ-ი „ქოთანში, ქოთნისაკენ“	ტას-ინ-ი „ტაშტი“
დაშორ.	ჭათ-ინ-ი-სა „ქოთნიდან“	ტას-ინ-ი-სა „ტაშტიდან“

სახ.	ჭეკვოშუ „საკუჭნაო“	დარვ „თუნგი“
ირ. ბრ. ფ.	ჭეკვოშ-ი-	დარუ-
ადგ.-მიმ.	ჭეკვოშ-ინ-ი „საკუჭნაოში“	დარუ-ნ-ი „თუნგში“
დაშორ.	ჭეკვოშ-ინ-ი-სა „საკუჭნაოდან“	დარუ-ნ-ი-სა „თუნგიდან“¹³⁸

სახ.	ხაე „ქვაბი“
ირ. ბრ. ფ.	ხე-
ადგ.-მიმ.	ხე-ნ-ი (<ხა-ინ-ი) „ქვაბში“, „ქვაბისაკენ“
დაშორ.	ხე-ნ-ი-სა (<ხა-ინ-ი-სა) „ქვაბიდან“¹³⁹.

¹³⁶ ვეხვდება აგრეთვე ე-ა, ეშაბა.

¹³⁷ გარჩევა ი და ინ-ი ნიშნებს შორის თანხედენილია ხუნძურში დანსტურე-ბული გარჩევისა. ხუნძ. დ.ს-ინ-ი-ბ „ზანდუკში“. ბოტრო-ნ-ი-ბ „თ.ვში“, ჩვანთ-ინი-ბ „ჩიბეში“, ლარ-ინ-ი-ბ „თფუში“. ეს ფორმები ბავალურ ჭათ-ინ-ი და მისთ. ფორმა-თა ფარდია. ხუნძურში ამავე სერიისაა (ოღონდ ინ- ელემენტების გარეშე) ურპ-ი-ბ „მუცელში“, ხურ-ი-ბ „ყანაში“, რაყ-ი-ბ „სახლში“, რაყ სტრუქტურულად შეეფარდება ბავალურ ჰურ-ი, ყუპენ-ი და მისთ. ფორმებს. საინტერესოა, რომ სიტყვათა ძირით. დი ნაწილი, რაც ლოკატივთა ამგვარ ნიშნებს იღებს, ხუნძურსა და ბავალურში თანხედენილია. დანსუეები ჩანს -ინი დანიშალს აგრეთვე როგორც -ი-ნი: -ი- ირიბ ბრუნვათა ხმოვანი იქნება, -ნი კი ლოკატივის ი-ს ფარდი.

¹³⁸ აღბათ, დარუ-ინ-ი>დარუ-ნი და ა. შ.

¹³⁹ აი > ე პროტესის შესახებ იხ. § 12. ხუნძურში დაცულია უსიმილიციო ფორმები ხაინი „ქვაბში“. ხაინისხ „ქვაბიდან“, თლისურში კი ფუძის უფრო ძველი სახე: ხა-გ-ი „ქვაბში“. ხა-გ-ი-სა „ქვაბიდან“. ანალოგიური ფორმები არის კვან-დურ-შიც (მაგ. კილ-ინი „გობში“, კა-ლ-ინი „ხეში“ და მისთ.), თლისურ-თლობიშორშიც (ხაიინი „ქვაბში“, ხაიინისხ „ქვაბიდან“—თლიბ., ხაინი, ხაინისხ იგივე მნიშვნ. —თლის.).

-ინი შეიძლება დაერთოს -ლ'ა სერის ნიშანს (იხ. ქვემოთ).
 ლ'ა-ს შემდეგაც ა-ს მომდევნოდ ი მოკვეცილია: ლ'ა-ინ-ი>ლ'ა-ნი:
 ჭაფა-ლ'ა-ნი-ი „ქოთანში“ (შდრ. ჭაფ-ინ-ი ეგ. მნიშვნ.), მაკვა-ლ'ა-ნი-ი
 „ადგილას“, ზამანა-ლ'ა-ნი „ღროს, დროში“¹⁴⁰.

ა „სახეობა“

ამ სახეობას შეუძლია მიმართულებათა და ადგილობრათა ბრუნვის
 გარჩევა.

სახ.	ამა „სახურაფი, ბანი“	ჩან „ნადარი“
ირ. ბრ. ფ.	ამა-	ჩან-
ადგ.	ამ-ა „სახურაფზე“	ჩან-ა „სანადიროზე“
მიმ.	ამ-ა-რ „სახურაფისაკენ“	ჩან-ა-რ „სანადიროდ“
დაშორ.	ამ-ა-სა „სახურაფიდან“	ჩან-ა-სა „ნადირობიდან“

ამავე ტიპს მიჰყვება ზოგიერთი ზმნისართი: ზახე-ა „გარეთ“, ეშ-
 „შინ“.

II ბრუნების სახელები იყენებენ ირობ ბრუნვათა ფუძეს, ამასთან
 ფუძის მაწარმოებელი -ლ'აი ა- წინ კარგავს ი-ს, ხოლო შაჟ-ს უ ხმო-
 ვანი ვ-ში გადადის (რაც შეიძლება სრულებით დაიკარგოს): -ლ'ა-ა
 >-ლ'ა-ა, -შაჟ-ა>შაჟ-ა || შა-ა.

სახ.	ჭუღულ „მეგობარი“	იმა „მამა“
ირ. ბრ. ფ.	ჭუღულ-შაჟ-	იმა-შაჟ-
ადგ.	ჭუღულ-შაჟ-ა „მეგობარზე“	იმა-შაჟ-ა „მამაზე“
მიმ.	ჭუღულ-შაჟ-ა-რ „მეგობრისაკენ“	იმა-შაჟ-ა-რ „მამისაკენ“
დაშორ.	ჭუღულ-შაჟ-ა-სა „მეგობრისაგან“	იმა-შაჟ-ა-სა „მამისაგან“

სახ.	მაჭიშათ „მეურნეობა“	ილა „დედა“
ირ. ბრ. ფ.	მაჭიშათ-ლ'აი-	ილა-ლ'აი-
ადგ.	მაჭიშათ-ლ'ა-ა „მეურნეობაზე“	ილა-ლ'ა-ა „დედაზე“
მიმ.	მაჭიშათ-ლ'ა-ა-რ „მეურნეობისაკენ“	ილა-ლ'ა-ა-რ „დედი- საკენ“
დაშორ.	მაჭიშათ-ლ'ა-ა-სა „მეურნეობიდან“	ილა-ლ'ა-ა-სა „დედი- საგან“

¹⁴⁰ კვანდარში -ინი შეიძლება დაერთოს აგრეთვე დაშორებითი ბრუნვის ნი-
 შანს სხვადასხვა სერიაში და გადმოსცემს მნიშვნელობას „გავლით, გამკოლ“: დიქისა-
 ინი „ჩემგან“ (სერია ჰ), დილასა-ინი „ჩემს გავლით“, ბაზ.ლლ-სა-ინი „ბაზრის გავ-
 ლით“ (სერია ლა), როშოტისა-ინი „ხის ქვეშ გავლით“ (სერია ტფ). ლ'აენლ'აისა-ინი
 „წყლის გავლით“ (სერია ლაი). შდრ. აგრეთვე ჰენშა-ინი „ყანაში“ (თლონდ. ჰურ-ი),
 ჰენშა-ინი-სა (თლონდ. ჰურისა), ჰენშაინისაინი (თლონდ. ჰურისა-ინი), ამ უკანასკ-
 ნელ შემთხვევაში (ჰენშაინისაინი) დართულია ორმაგი -ინი ნიშანი.

I ბრუნების სახელებში ა ნიშნის ნაცვლად იხმარება -ლა (რაც ემთხვევა -ლა სერას და ამასთან მრცემით ბრუნვასაც):

სახ.	ღე „მე“	ვასა „ძმა“
ირ. ბრ. ფ.	ღი-	ვასა-უ-
ადგ. (მიც.)	ღი-ლა „ჩემზე“	ვასა-უ-ლა „ძმაზე“
მიმ.	ღი-ლა-რ „ჩემსკენ“	ვასა-უ-ლა-რ „ძმისაკენ“
ღაშორ.	ღი-ლა-სა „ჩემგან“	ვასა-უ-ლა-სა „ძმისაგან“

მიმართულებითა ბრუნვა გამოყენებულია რიგი ზმნის ირიბი დამატების გადმოსაცემად, მაგ., ოშეგარ (იმ.შეგარ, ილაღარ) ჰიტვი (ბასას, ბულჰანი, ალჰანი, ბიჯალი) „მას (მამას, ღედას) უთხრა (უამბო, გააგებინა, აცნობა)“. ამავე ფორმას დაერთვის ხინდი „-კენ“.

სერია -ლა. -ლა სერიას ორა ბრუნვა აქვს: ადგილობით-მიმართულებითა და დაშორებითი. პირველს ნიშანია -ლა, მეორისა კი სა, რო-მელიც პირველს დაერთვის. ზოგჯერ (თათქოს ფაქულტატურად) ადგილობითა და მიმართულებითი გარჩეულია: ადგილობითისათვის -ლა გაგამოიყენება, მიმართულებისათვის კი რ, რომელიც ლა-ს დაერთვის.

სერიის ძირითადი მნიშვნელობაა „ზევით“, „ზე“ (რისამე მაღლა პორიზონტალურად, ჩვეულებრივად უშუალო შეხების გარეშე)¹⁴¹.

სახ.	ჰინწა „ქვა“	ლ'იფე „წყალი“
ირ. ბრ. ფ.	ჰინწი-ი-	ლ'იფე-
ადგ.-მიმ.	ჰინწი-ი-ლა „ქვაზე“	ლ'იფე-ლა „წყალზე“
(მიმ.)	ჰინწი-ი-ლა-რ „ქვისაკენ“	
ღაშორ.	ჰინწი-ი-ლა-სა „ქვიდან“	ლ'იფე-ლა-სა „წყლიდან“

სახ.	ბაჯღან „მოედანი“	როშა „ხე“
ირ. ბრ. ფ.	ბაჯღან-	როშ-ი-
ადგ.-მიმ.	ბაჯღან-ლა „მოედანზე“	როშ-ი-ლა „ხეზე“
ღაშორ.	ბაჯღან-ლა-სა მოედ-ნიდან“	როშ-ი-ლა-სა „ხიდან“

¹⁴¹ -ლა გვ. აქვს მიცემითის ნიშნაც (იხ. § 46). რაც იწვევს მიცემითის და-მთხვევას -ლა სერიის ადგ.-მიმ. ბრუნვის ფორმასთან, მაგ. ჰინწილა 1. „ქვას“ (მიც. ბრ.), 2. „ქეზე“ (ადგ. ბრ.). კვანდურში ასეთი დამთხვევა არა გვაქვს მშინ, როდესაც მიცემითს -მა აწარმოებს (იხ. § 46). მაგ. ღი-ლა „ჩემზე“, на мие (:ადგ. ბრ.) ღი-მა „მე. мие“ (მრც. ბრ.). ლოკატავის -ლა ნიშნისათვის ამოსავლად საყარაულებუ-ლია *ტა.

ასევე: ჰესა-ლა „მდინარეზე“, ილა-ლა „ტბაზე, გუბეზე“, ჰინო-ლა „კინოში“, უსთულ-ლა „მაგიდაზე“, ამ-ი-ლა „სახურავზე“, წე-ლა (<წა-ე-ლა) „ცეცხლზე“, ჯაფი-ლა „ქოთანზე“, ბესა-ლა „მთაზე“¹⁴². რ-ზე დაბოლოებული ფუძეებში რ+ლა > ლ-ლა: შაპარ-ლა > შაპალლა „ქალაქში“, ბაზარ-ლა > ბაზალლა „ბაზარში“, ჰუნგარ-ლა > ჰუნგალლა „ფანჯარაზე“.

ამ სერიას შეიძლება დაერთოს ზმნისართი აპი „ზევით“, მაგ., ჰინწი-ლა || ჰინწი-ლა აპი „ქვაზე, ქვის ზევით“, დი-ლა || დი-ლა აპი „ჩემზე, ჩემს ზევით“¹⁴³.

სერია -ჰ. სერიის ჰ ნიშანი ფაკულტატურად გამოითქმის როგორც -ჰი (ი სუსტია). დაერთვის ირიბ ბრუნვათა ფუძეს. აქვს ორი ბრუნვა: ადგილობით-მიმართულებითი (-ჰი) და დაშორებითი (-ჰი-სა). ერთ-ერთი ყველაზე ხშირი სერიაა. ძირითადი მნიშვნელობაა „რამესთან (ზედ, ზედაპირზე) მკიდროდ მიდებით ყოფნა“, აქედან „მქონებლობა“, „ყოლა“.

სახ.	ყეჰენ „ტომარა“	იმა „მამა“
ირ. ბრ. ფ.	ყეჰენ-	იმა-შაჟ-
ადგ.-მიმ.	ყეჰენ-ჰ „ტომარაზე“	იმა-შაჟ-ჰ „მამას, მამასთან“.
დაშორ.	ყეჰენ-ჰი-სა „ტომრიდან“	იმა-შაჟ-ჰი-სა „მამისაგან“, „მამი-სეული“

ასევე (მოგვეყავს მხოლოდ ადგ.-მიმ. ბრუნვის ფორმებზე): ცეშაჟ-ჰ (I კლ.), ცელ'აი-ჰ (II კლ.) „ერთს“, „ერთზე“, „ერთთან“, ილა'აი-ჰ „დედას, დედასთან, დედაზე“, დი-ჰ „ჩემთან“, დუ-ჰ „შენთან“, იშაი-ჰ „ჩვენთან“, მუკუშაჟ-ჰ „პატარასთან“ (I კლ.), მუკულ'აი-ჰ „პატარასთან“ (II კლ.), ინშაჟ-ჰ (I კლ.), ინლ'აი-ჰ (II კლ.) „თავისთან“.

ასევეა ნაწარმოები რიგი გეოგრაფიული სახელა: კვან-ჰ „კვანადა“, ჰინდუ-ჰ „თლონდოდა“, ჰესა-ჰ „ხუშტადა“.

მნიშვნელობისათვის შდრ. ყეჰენჰ კუნტ ირა „ტომარაზე ლაქა არის, ტომარას ლაქა აქვს“, ყეჰენ-ლა ჯოჩა ირა „ტომარაზე (ზევით) წოგნი არის (დევს)“, იმაშაჟჰ ას ირა „მამასთან ზედ ფულა არის“, ე. ი. „მამას ზედ ფული არის“, ე. ი. „მამას ფულა აქვს“, ვასაჟჰ კათე ირა „ძმას ცხენი ჰყავს“, დიბირშაჟურ ბაწაიანლე ჰეჰი მუკუშაჟჰ „დიბირს

¹⁴² შდრ. აგრეთვე ჰუთაჰი-ლა „ძალიან (ეტომ. „ძალზე“), რაპალ-ლა „დილით“ (ეტომ. „დილა-ზე“).

¹⁴³ სერია -ლა ამავე მნიშვნელობით არის თლისურ-თლიბიშოურშიც. ოღონდ თლიბიშოურში დაშორებით ბრუნვაში ა ხმოვანი ე-თია შეცვლილი: ბესა-ლა „მთაზე“, ბესა-ლე-სა „მთიდან“ (შდრ. თლის. ბესა-ლა, ბესა-ლა-სა).

(მოსამართლეს) უკითხავს ყველაზე უმცროსისათვის“, დენ ქლარ ჯველ: ვასაუქ „მე წერილო დავაწერინე ძმას“ (კაუზატიურა ზმნა ირიბ დამატებას ჳ სერიის ფორმაში მართავს).

სერია -ლ'ი. ამ სერიას ორა ბრუნვა აქვს: ადგილობით-მიმართულეებითი (-ლ'ი) და მისგან ნაწარმოები დაშორებითი (-ლ'ი-სა). სერის ნიშანი დაერთვის ირიბ ბრუნვათა ფუძეს. ძირითადი მნიშვნელობაა „რაიმეში (შემოზღუდულ სივრცეში, ნივთიერებაში, რაიმე სხეულში) ყოფნა“¹⁴⁴, გადატანით იხმარება საერთოდ „ში“ თანდებულის მნიშვნელობით.

სახ.	ლ'იჲს „წყალი“	შიშა „ბოთლი“
ირ. ბრ. ფ.	ლ'იჲს-	შიშა-
ადგ.-მიმ.	ლ'იჲნ-ლ'ი „წყალში“	შიშა-ლ'ი „ბოთლში“
დაშორ.	ლ'იჲნ-ლ'ი-სა „წყალიდან“	შიშა-ლ'ი-სა „ბოთლიდან“

სახ.	კამა „რქა“
ირ. ბრ. ფ.	კამ-ი-
ადგ.-მიმ.	კამ-ი-ლ'ი „რქაში“
დაშორ.	კამ-ი-ლ'ი-სა „რქიდან“

ასევე (მოგვეყავს ადგ.-მიმ. ბრუნვის ფორმები): ჩუბადან-ლ'ი „ჩემოდანში“, ბალონ-ლ'ი „ბალონში“, ისთაქან-ლ'ი „ქიქაში“, ყეჰენ-ლ'ი „ტომარაში“, ქარობქა-ლ'ი „კოლოფში“, წიანტურა-ლ'ი-ი „თეფში“, აჩა-ლ'ი „საბძელში“, ილჰვა-ლ'ი „გუბეში“, უნა-ლ'ი „თავში“, ბაკვალ-ლ'ი „მუცელში“, ბათი-ლ'ი „შარვალში“, ჩვანთა-ლ'ი „ჭიბეში“, ქეწუ-ლ'ი „მარყუქში“, როხ-ლ'ი „ტყეში“, ჰან-ლ'ი „სოფელში“, ლ'ილი-ა-ლ'ი „ერბოში“, ლაგი-ლ'ი „სხეულში“, ვედრა-ლ'ი „ვედროში“, ბადან-ლ'ი (|| ბედან-ლ'ი) „მოედანში“ (შდრ. ბადან-ლა „მოედანზე“), ქორთი-ლ'ი „საფეხვნოზე“ (ქორთი—შესაკრები ადგილი აულში).

ამ სერიის ფორმას შეიძლება დაერთოს ზმნისართი ჰინი „შიგ“.

სერია -ლ'ა. ამ სერიას ორი ბრუნვა აქვს: ადგილობით-მიმართულებითი და დაშორებითი. პირველის ნიშანია -ლ'ა, მეორესა — ლ'ა-სა.

¹⁴⁴ მნიშვნელობით ეს სერია უფრო ფართოა. ვიდრე მისი შესატყვისი ხუნძური ლ' (მაგ. „შემოზღუდულ სივრცეში ყოფნა“ ხუნძურისათვის არაა ნიშნეული). თლი-სურ-თლიბიშორში ამ სერიას უფრო არქაული სახე აქვს: ადგ.-მიმ. -ლ'ი, დაშორ. -ლ'ი-სა.

წარმოება ირიბ ბრუნვათა ფუძისაგან. ძირითადი მნიშვნელობა ჩანს „თან“ („ახლოს“), „-ში“, „-ზე“ (ზოგადად)¹⁴⁵.

სახ.	მაკვა „ადგილი“	იმა „მამა“
ირ. ბრ. ფ.	მაკვა-	იმა-შაუ-
ადგ.-მ.მ.	მაკვა-ლ'ა „ადგილას“	იმა-შაუ-ლ'ა „მამასთან“
დაშორ.	მაკვა-ლ'ა-სა „ადგი- ლოდან“	იმა-შაუ-ლ'ა-სა „მამისაგან“

ამ სერიას შეიძლება დაერთოს უნიშნო სერიის ერთ-ერთი სუფიქსი -ინი (იხ. ზემოთ), რაც ერთგვარად აკონკრეტებს მნიშვნელობას: ადგ.-მ.მ. -ლ'ა-ნი, დაშორ. -ლ'ა-ნი-სა (მაკვა-ლ'ა-ნი „ადგილას“ მაკვა-ლ'ა-ნი-სა „ადგილოდან“).

ასევე (მოგვეყავს ადგ.-მ.მ. ბრუნვის ფორმით): დი-ლ'ა „ჩემსკენ“, „ჩემთან“, „მე“, ოშაუ-ლ'ა „მასთან, მისკენ“, ბიშთი-ლ'ა „თქვენთან, თქვენსკენ“, ინშაუ-ლ'ა (I კლ.), ინლ'აი-ლ'ა (III კლ.) „თავისთან, თავისკენ“, ილა-ლ'აი-ლ'ა „დედასთან, დედისკენ, დედას“, ჰულულ-შაუ-ლ'ა „მეგობართან, მეგობრისკენ, მეგობარს“, ბოკუშაუ-ლ'ა „მორწმუნესთან, მორწმუნისკენ, მორწმუნეს“, რასადინი-ლ'ა „ნასრუდინთან, ნასრუდინზე“. საბრანია-ლ'ა „კრებისკენ“, „კრებაზე“, ფრავლენია-ლ'ა „სამმართველოსკენ“. იშაილ'ა წაეე ირა „ჩვენ სტუმარი გვეყავს“ (სიტყვასიტყვით „ჩვენთან სტუმარი არის“), იქა დი-ლ'ა! „მომაწოდე!“ (სიტყვასიტყვით „მომეცი მე!“)¹⁴⁶.

ამავე სერიას იყენებს რიგი ზმნისართი (ყნდა-ლ'ა „ყაიდაზე, ყაიდით“ (კითხვაზე „როგორ?“), ჰალ-ლ'ა „ნაირად, -გვარად“), რიგი გეოგრაფიული სახელი (მასქვა-ლ'ა „მოსკოვში“, თიფლის-ლ'ა „თბილისში“, ბაქუ-ლ'ა „ბაქოში“, გ(ო)როზნი-ლ'ა „გროზნოში“, ჭანდი-ლ'ა „ანდიში“)¹⁴⁷. მიმღობებთან, მასდართან ლ'ა პირდაპირ შეიძლება დაერთოს სახელობითის ფორმას: ბაწაინობ-ლ'ა „თვლაზე, თვლის დროს, თვლაში“ (ბაწაინობ — მიმღ.), ბიშარ-ლ'ა „სიკვდილისას“ („სიკვდილზე“), ბიჭარ — მასდ.

¹⁴⁵ ეს სერია ისტორიულად შეიძლება უკავშირდებოდეს ლ'აი (<ლ'ა) სერიას (იხ. ზემოთ.) ზუნძურად -ლ'ა სერია უპირატესად -ლა და ე სერიით ითარგმნება.

¹⁴⁶ მ.გ. იქა დი-ლ'ა „მომეცი მე!“ (იგულისხმება დროებით „მომაწოდე!“). შდრ. ზუნძ. ტყე დიქე!). მნიშვნელობა სხვა ნიუანსს იძენს. თუ ირიბი ობიექტი მიცემით ბრუნვაში დგას: იქა დი-ლა (ზუნძ. ტყე დიქე) „მომეცი მე!“ ს.მუდამო საკუთრებად).

¹⁴⁷ მაგრამ ადვალ-ლა „ადვალში“, სხენდ-ლ'აი „ხუნძახში“, ჰინდუ-ე „თლონდოლაში“. თლიბიშოურში ადგ.-მ.მ. -ლ'ა, დაშორ. -ლ'ა-სა (შდრ. სერია -ლა). თლისერში თლონდოდურივითაა.

სერია -ტში. ამ სერიას ორი ბრუნვა აქვს: ადგილობით-მიმართულ-
ლებითი (ტში) და მისგან ნაწარმოები დაშორებითი (-ტში-სა). სერიის
ნიშანი დაერთვის ირიბ ბრუნვათა ფუძეს. ძირითადი მნიშვნელობაა
„ქვეშ“.

სახ.	ჰინწა „ქვა“	აპ „ბალი“
ირ. ბრ. ფ.	ჰინწ-ი-	ა-პ-ი
ადგ.-მიმ.	ჰინწ-ი-ტში „ქვის ქვეშ“	აპ-ი-ტში „ბალში“
დაშორ.	ჰინწ-ი-ტში-სა „ქვის ქვეშოდან“	აპ-ი-ტში-სა „ბალიდან“

ასევე (მოგვყავს ადგ.-მიმ. ბრუნვის ფორმით): ჰინწაუ-ტში „კარის
ქვეშ“, ინშავა-ტში „ჩრდილოს ქვეშ, ჩრდილში“, წადა-ტში „წვიმის
ქვეშ“, მი-ტში (< მიპ-ტში) „მზეზე“ (არა ჩრდილში), რომი-ტში „ხის
ქვეშ“.

სერია ხ. სერიას ორი ბრუნვა აქვს: ადგილობით-მიმართულებითი
და დაშორებითი. დაშორებითი ბრუნვის ნიშანი სა დაერთვის ადგ.-მიმ.
ბრუნვის ნიშნის (-ხ) სრულ ფორმას (-ხი). სერია იწარმოება ირიბ ბრუნ-
ვათა ფუძისაგან. ძირითადი მნიშვნელობაა „ზე“, „თან“, მაგრამ ხში-
რია მისა გამოყენება რიგი ზმნის ირიბი დამატების გადმოსაცემად¹⁴⁸.

ლოკატიურ ბრუნვათა რიგი სერია მრავლობითი რიცხვის ფორმებს
ხ სერიის მეშვეობით აწარმოებს (იხ. ქვემოთ).

სახ.	მუსა „ხარი“	დე „მე“
ირ. ბრ. ფ.	მუს-უ-	დი-
ადგ.-მიმ.	მუს-უ-ხ „ხართან, ხარს“	დი-ხ „ჩემთან, ჩემ“
დაშორ.	მუს-უ-ხი-სა „ხარიდან“	დი-ხი-სა „ჩემგან“

მაგ. ოვ ვიკან რომიხ (დიხ, ილაღ'იხ, იმაშაუხ) „მან შეხედა
ხეს (მე, დედას, მამას)“, ჰაქა დიხ! „მისმინე მე!“ იმაშაურ ზინ
ბერხვა მუსუხ „მამამ ძროხა გაცვალა ხარზე“... ჰუნწაუ-ხ „კართან“,
ინშაუ-ხ „თავის თავზე“, მიყა-ხ „გზაზე“, ჰვარა-ხ „წისქვილზე, წისქვილ-
ში“, ჰუნგ[ვ]არ[ხ] „ფანჯარაში“...¹⁴⁹

¹⁴⁸ ხ სერია საერთოდ საკმაოდ მცირე გამოყენებისაა განსაკუთრებით მისი ხუნ-
ძური ფუნქციონალური ფარდის ე-სთან შედარებით. თლისურში ხა ისმის.

¹⁴⁹ სხელთა (მეტწილად აულის სახელთა) ერთი რიგი ავლენს -ბა სუფიქსს მი-
მართულებითი ბრუნვის მნიშვნელობით: ჰინდუ-ბა „თლონდოდისკენ“ (ადგ.-მიმ. ბრ.
ჰინდუ-ჰ), ჰუნსა-ბა „ხელტადისკენ“ (ადგ.-მიმ. ბრ. ჰუნსა-ჰ), კვან-ბა „კვანდის-
კენ“ (ადგ.-მიმ. ბრ. კვან-ჰ). -ბა ემთხვევა აფექტივის ბრუნვის ნიშანს.

ლოკატიურ ბრუნვთა წარმოებაში ზოგი თავისებურება ახასიათებს თლი-

§ 40. სახელთა ბრუნება მრავლობით რიცხვში. ბრუნების პროცესში მრავლობით რიცხვშიც ორფუძიანობის ისეთივე პრინციპი მოქმედებს, როგორც მხოლოდობითში. ირამ ბრუნვათა ფუძე მხოლოდობით რიცხვში, როგორც ვნახეთ, სხვადასხვაგვარად იწარმოება (იხ. § 43), მრავლობით რიცხვში ირამ ბრუნვათა ფუძის წარმოებაში გასათვალისწინებელია სათანადო სიტყვის გრამატიკული კლასი: ნიეთთა კლასის (resp. III კლასის) სახელები ირამ ბრუნვათა ფუძეს სხვაგვარად აწარმოებენ, ადამიანთა კლასის (resp. მხ. რ.-ის I და II კლასის) სიტყვები კი სხვაგვარად. ამრიგად მრ. რ.-ში ორი სემანტიკური კლასი გამოიყოფა, რაც ასახულია როგორც კლასის ნიშნებით (მ—ადამ. კლ., რ—ნიეთ. კლ.), ისე ირამ ბრუნვათა ფუძის წარმოების თავისებურებით.

ბრუნების ორი ტიპიდან, რაც მხ. რ.-ში გამოიყოფა. მრ. რ.-ის ნიეთთა კლასში მოქმედებს I ტიპი, ე. ი. ირამ ბრუნვათა ფუძის წარმოება ხმოვნის მეშვეობით (ან პირდაპირ სახელობითის ფორმა გაშლის ირამ ბრუნვათა ფუძედ). მხ. რ.-ში მეტწილად ძნელია მიეუთითოთ, თუ I ბრუნების რომელი ქვეტიპით იბრუნვის ესა თუ ის სიტყვა: სახელობითის ფორმა (სიტყვის ფუძე) ამაზე მითითებას არ იძლევა. მრ. რ.-ში მდგომარეობა შედარებით მარტივია: ირამ ბრუნვათა ფუძეს აწარმოებს ა ხმოვანი, რომელიც იწვევს წინამავალი სუფიქსისეული ხმოვნის კვეცას. გამონაკლისია მრ. რ.-ის სუფიქსები ი და ა, რომლებიც ირამ ბრუნვებში უცვლელად რჩებიან. სქემატურად:

მრ. რიცხვის დაბოლოება სახელობითში	მრ. რიცხვის ირამ ბრუნვა-
	თა ფუძის დაბოლოება
-ბი (-ა-ბი, -იბ-ი, -მი)	-ბ-ა- (-ა-ბ-ა, -ი-ბ-ა- მ-ა-)
-დარი	-დარ-ა-
-ა	-ა-
-ი	-ი-

მაგალითად: ბექები „გველები“ — ბექ-იბ-ა-რ „გველებმა“, შაქიბ-დარი „ჩიტები“ — შაქ-იბ-დარ-ა-რ „ჩიტებმა“, ზინა „ძროხები“ — ზინა-რ „ძროხებმა“, ბოლჰონი „ლორები“ — ბოლჰონი-რ „ლორებმა“¹⁵⁰.

სუ რს. სერიის ლა ნიშანი (თლონდ. -ლაი) წარმოდგენილია როგორც ლ'ი, თანაობა გადმოიკემა დაბოლოებით -გუ || გო (:დგ.-შიმ.). -გუ-სა || -გო-სა (ღ შორ.), რომელიც სახელობითის დაერთვის: იმნ-გუ წვევ იღე „მ.მას სტუმარი.ჰყ ეს“ (|| „მანსთან სტუმარი არის“), იღნგუ „ღედ-სთან“. დენგუ „ჩემთან“, მენგუ „შენთან“. თლონდურის -ა-რ ნიშნის ფუნქციით (მ:გ. იმაშგე-არ „მამას, მამისაკენ“) იხმარებ: -ანა-, რომელიც სხვადასხვა სერიის ნიშანს დაერთვის (ღი-ლ'ანა ბიჩა: „მე გაღმომცი!“ იმაშგე-ანა, ილა-შ-ანა ბიჩა: „მამას, ღდას გაოაეცი!“).

150 ე ვ ა ნ ა დ უ რ შ ი. განსხვავებით თლონდოდურისაგან, სუფიქსი დარი ირამ ბრუნვ.თა ფუძეში უცვლელია: ქუდილარი „მამალი ცხვრები“, ერგ.-ქუდილარი-რ.

განსხვავებული მდგომარეობა ადამიანთა კლასის სახელებში. განურჩევლად იმისა, თუ რა სუფიქსითაა ნაწარმოები მრ. რ., ირიბ ბრუნვათა ფუძეს დაერთვის. -აღუ- ნაწილა¹⁵¹, -დი-ზე დაბოლოებულ სახელებს კი მხოლოდ -ლუ- დაერთვით.

- ვაშაბი „ვაეება“—ვაშაბ-ა-ლ-უ-
- ქუტიბი „ქმრები“—ქუტიბ-ა-ლ-უ-
- ჩანაჯაბი „მონადირეები“—ჩანაჯაბ-ა-ლ-უ-
- ეპუმა „მჭედლები“—ეპუმ-ა-ლ-უ-
- ჯაში „ქალები“—ჯაშ-ა-ლ-უ-
- მაკი „ბავშვები“—მაკ-ა-ლ-უ-
- ვასაბდარი „ბიძაშვილები“—ვასაბდარ-ა-ლ-უ-
- ვასიბადი „ძმები“—ვასიბად-ა-ლ-უ-
- ნუსიბადი „სიძეები“—ნუსიბად-ა-ლ-უ-
- მალექზაბი „ანგელოსები“—მალექზაბ-ა-ლ-უ-
- ჰეკეფ „კაცები“—ჰეკეფ-ა-ლ-უ-
- ყაჩალადი „ყაჩალები“—ყაჩალადი-ლ-უ-

-აღუ შედგენილი სუფიქსია: ა იგივეა, რაც ნივთთა კლასის სახელთა ირიბ ბრუნვებში ვლინდება (სახ. ბეჭიბი „გველები“, ირ. ბრ. ფ. ბეჭიბ-ა-), -ლუ, რაც ამ ფორმას დაერთვის, აგრეთვე იშლება: უ მაწარმოებელი ხმოვანია, რაც ადამიანთა კლასისათვისაა ნიშნეული (იხ. § 53).

თუმცა შეიძლება შეგვხვდეს თლისლოდურის მსგავსი ფორმებიც. ასეთადვე თავისებურებას იჩენს -ბი (შაქიბი „ჩიტები“, ერგ. შაქიბი-რ || შაქიბ-არ). კვანდურში ხშირად მრ. რ.-ის ა სუფიქსის ნაცვლად ირიბ ბრუნვითა ფუძეში ე ვლინდება; ზინა „ძროხები“—ზინ-ერ „ძროხებმა“ ანლა „დაუყოლავი ცხვრები“—ანლა-ერ „დაუყოლავმა ცხვრებმა“, ჰერობა „ხბორები“—ჰერობ-ერ „ხბორებმა“, ლუნა „მტრელები“—ლუნდ-ერ „მტრელებმა“. ნ.წა „ტილები“—ნაწა-ერ „ტილებმა“. ვევე ე აქვთ იმ სიტყვებს, რომელთაც მრ. რ.-ე სუფიქსით ეწარმოებ. თ (იხ. ზემოთ): მესე „ხარები“—მესერ „ხარებმა“, ბატყე „ნაწლაეები“—ბატყ-ერ „ნაწლაეებმა“, ჰაკე „თვალეები“—ჰაკე-ერ „თვალეებმა“. კ:მე „რქები“—კ:მერ „რქებმა“.

თლისურ-თლიბიშოურში მრ. რ.-ის ნაშანი ირიბ ბრუნვებში არ იცვლება.

¹⁵¹ ასეთივე მდგომარეობაა კვანდურშიც. -ლი-ზე დაბოლოებული წებბალი-ს („სტუმრები“) დაერთვის -ლ-უ (წებბალი-ლ-უ-რ „სტუმრებმა“). თლისურში მრ. რ.-ის ირიბ ბრუნვითა ფუძეს აწ.რმოებს -ლ-ო, ოღონდ არა მხოლოდ ადამიანთა კლასის, არამედ ნივთთა კლასის სახელებშიც (ერგატისა და ნათესაობითში), მაგ. ვაცობადი „ძმები“—ერგ. ვაცობად-ლო-დ. მაცობადი „ღები“—ერგ. მაცობადი-ლო-დ, ე.შნ „ვაეები“—ერგ. ვაშ-ლო-დ. უნსადი „ხარები“—ერგ. უნს.დი-ლო-დ. ხვანი „ცხენები“—ერგ. ხვანი-ლო-დ (მდრ. მიც. ვაცობადი-ლა. უნსადი-ლა. ხვანი-ლა). თლიბიშოური ნივთის კლასში (მრ. რ.) -ლ-ო-ს ჩართვის გულისხმობს.

ირკვევა, რომ მრავლობითა რიცხვის ერთა და იმავე სუფიქსით ნაწარმოები ორი სიტყვა, თუ ის სხვადასხვა კლასისაა (აღამ., ნეთ.) ირიბ ბრუნვათა ფუძეს სხვადასხვანაირად აწარმოებს:

აღამ. კლ.

ნეთ. კლ.

სახ. ვაშა-ბი „ვაჟები“

ფერა-ბი „ფუტკრები“

ერგ. ვაშა-ბ-ა-ლ-უ-რ

ფერა-ბ-ა-რ

სახ. ეჭუნ-დარი „მჭედლები“

კაკამ-დარი „კვერცხები“

ერგ. ეჭუნ-დარ-ა-ლ-უ-რ

კაკ-დარ-ა-რ

მაგალითები:

ნივთთა კლასის სახელთა ბრუნება მრ. რ.-ში

სახ.	როშ-ი-ბი „ხეები“	სარ-ა-ბი „მელიები“	რელჰა-ბი „ზღვები“
ერგ.	როშ-ი-ბ-ა-რ	სარ-ა-ბ-ა-რ	რელჰა-ბ-ა-რ
ნათ.	როშ-ი-ბ-ალ'ფ	სარ-ა-ბ-ა-ლ'ფ	რელჰა-ბ-ა-ლ'ფ
მიც.	როშ-ი-ბ-ა-ლა	სარ-ა-ბ-ა-ლა	რელჰა-ბ-ა-ლა
აფ.	როშ-ი-ბ-ა-ბა	სარ-ა-ბ-ა-ბა	რელჰა-ბ-ა-ბა

სახ. ლ'ემი „წყლები“

შაქ-ი-ბ-დარი „ჩიტები“

ერგ. ლ'ემ-ა-რ

შაქ-ი-ბ-დარ-ა-რ

ნათ. ლ'ემ-ა-ლ'ფ

შაქ-ი-ბ-დარ-ა-ლ'ფ

მიც. ლ'ემ-ა-ლა

შაქ-ი-ბ-დარ-ა-ლა

აფ. ლ'ემ-ა-ბა

შაქ-ი-ბ-დარ-ა-ბა

სახ. ზინ-ა „ძროხები“

წაეკ-ი „თხები“

ერგ. ზინ-ა-რ

წაეკ-ი-რ

ნათ. ზინ-ა-ლ'ფ

წაეკ-ი-ლ'ფ

მიც. ზინ-ა-ლა

წაეკ-ი-ლა

აფ. ზინ-ა-ბა

წაეკ-ი-ბა¹⁵²

აღამიანის კლასის სახელთა ბრუნება მრ. რ.-ში

სახ. ვაშა-ბი „ვაჟები“

ქუნტ-იბი „ქმრები“

ერგ. ვაშა-ბ-ა-ლ-უ-რ

ქუნტ-ი-ბ-ა-ლ-უ-რ

ნათ. ვაშა-ბ-ა-ლ-უ-ბ

ქუნტ-ი-ბ-ა-ლ-უ-ბ

მიც. ვაშა-ბ-ა-ლ-უ-ლა

ქუნტ-ი-ბ-ა-ლ-უ-ლა

აფ. ვაშა-ბ-ა-ლ-უ-ბა

ქუნტ-ი-ბ-ა-ლ-უ-ბა

¹⁵² ლ'ფა სუფიქსით დაბოლოებული ჰვარალ'ფა „ძაღვები“, ირ-ბ ბრუნებში ავლენს ფუძეს ჰვარალ'ფა-ბ-ა (ე. ი. სახელობითისათვის ივარაუდება კ-პოპოტერა *ჰვარალ'ფაბი „ძაღვები“).

სახ.	ჩანაწა-ბი „მონადირე“	ეჭუნ-დარი „მჭედლები“
ერგ.	ჩანაწა-ბ-ა-ლ-უ-რ	ეჭუნ-დარ-ა-ლ-უ-რ
ნათ.	ჩანაწა-ბ-ა-ლ-უ-ბ	ეჭუნ-დარ-ა-ლ-უ-ბ
მიც.	ჩანაწა-ბ-ა-ლ-უ-ლა	ეჭუნ-დარ-ა-ლ-უ-ლა
აფ.	ჩანაწა-ბ-ა-ლ-უ-ბა	ეჭუნ-დარ-ა-ლ-უ-ბა

სახ.	ვასაბ-დარი „ბიძაშვილები“	ვასა-ი-ბადი „ძმები“
ერგ.	ვასაბ-დარ-ა-ლ-უ-რ	ვასა-ი-ბად-ა-ლ-უ-რ
ნათ.	ვასაბ-დარ-ა-ლ-უ-ბ	ვასა-ი-ბად-ა-ლ-უ-ბ
მიც.	ვასაბ-დარ-ა-ლ-უ-ლა	ვასა-ი-ბად-ა-ლ-უ-ლა
აფ.	ვასაბ-დარ-ა-ლ-უ-ბა	ვასა-ი-ბად-ა-ლ-უ-ბა

სახ.	მალექ-ზაბი „ანგელოზებ“	ჯაშ-ი „ქალები“
ერგ.	მალექ-ზაბ-ა-ლ-უ-რ	ჯაშ-ა-ლ-უ-რ
ნათ.	მალექ-ზაბ-ა-ლ-უ-ბ	ჯაშ-ა-ლ-უ-ბ
მიც.	მალექ-ზაბ-ა-ლ-უ-ლა	ჯაშ-ა-ლ-უ-ლა
აფ.	მალექ-ზაბ-ა-ლ-უ-ბა	ჯაშ-ა-ლ-უ-ბა

სახ.	ჭეკვა „კაცები“	ყაჩალ-ა-დი „ყაჩალები“
ერგ.	ჭეკვა-ლ-უ-რ	ყაჩალ-ა-დი-ლ-უ-რ
ნათ.	ჭეკვა-ლ-უ-ბ	ყაჩალ-ა-დი-ლ-უ-ბ
მიც.	ჭეკვა-ლ-უ-ლა	ყაჩალ-ა-დი-ლ-უ-ლა
აფ.	ჭეკვა-ლ-უ-ბა	ყაჩალ-ა-დი-ლ-უ-ბა ¹⁵³

თავისებურია ბრუნება წარმომავლობის იმ სახელებისა, რომლებიც გეოგრაფიულ სახელებისაგანაა ნაწარმოები (ნათესაობითი ბრუნვით), მაგ. კვანლ'ა „კვანადელი“ (ზედმიწ. „კვანადის“).

I კლ.

II—III კლ.

მრ. რ.

სახ.	კვანლ'ა	კვანლ'ა	კვანდი
ერგ.	კვანლ'ა-შაუ-რ	კვანლ'ა-ი-რ ¹⁵⁴	კვანდ-ა-რ
ნათ.	კვანლ'ა-შაუ-ბ	კვანლ'ა-ი-ლ'ა	კვანდ-ა-ბ...

¹⁵³ -ლი სუფიქსით დაბოლოებული იქული „მწყემსები“ ირიბ ბრუნვებში ავლენს ფქძეს იპულიბდარალუ-, რაც სახელობითისათვის ვარაუდობს ფორმას *იპულიბდარი (მრავლობის სამმაგი სუფიქსით!). მეორე მხრივ ეს სიტყვა შეიძლება იბრუნოს უცვლელი ფქძითაც (!): სახ. იპული, ერგ. იპულირ, ნათ. იპული-ბ.

¹⁵⁴ მოსალოდნელი იყო კვანლ'ა -ლ'ა-ი-რ (ერგ.), კვანლ'ა-ლ'ა-ი-ლ'ა.

§ 50. ლოკატიურ ბრუნვათა მრავლობითი რიცხვი. მრავლობითი რიცხვის ფორმებში სერიის ნიშანი დაერთვის მრ. რ.-ის ირიბ ბრუნვათა ფუძეს (ამ ფუძის წარმოების შესახებ იხ. § 41).

ლოკატიურ სერიათა მნიშვნელოვანი ნაწილი მრავლობით რიცხვს საკუთარი სერიის ნიშნით ვერ აწარმოებს, ამისთვის მრავლობით რიცხვში გამოყენებულა სერიის **ხ** ნიშანი¹⁵⁵ (რომელიც თავისთავად მხოლოდობით რიცხვში საკმაოდ მცირე გამოყენებისაა).

ლოკატიურ სერიათა ერთი რიგი მრავლობით რიცხვში სერიის იმავე ნიშანს იყენებს, რასაც მხოლოდობითში (ეს შეეხება სერიებს **ხ**, **ჟ**, **ლ'ი**, **ტი**):

	მხ. რ.	მრ. რ.
-ლ'ი ¹⁵⁶	უნალ'ი „თავში“ წიანტურა-ლ'ი „თეფშში“ აჩა-ლ'ი „საბძელში“	უნაბა-ლ'ი „თავებში“ წიანტურა-ლ'ი „თეფშებში“ აჩაბა-ლ'ი „საბძლებში“
-ტი	ანშავა-ტი „ჩრდილქვეშ“ როში-ტი „ხის ქვეშ“	ანშავაბა-ტი „ჩრდილებს ქვეშ“ როშიბა-ტი „ხეებს ქვეშ“
-ჟ	ვასა-ჟ-ჟ „ძმას“ ოშია-ჟ „მას“	ვასაიბადალუ-ჟ „ძმებს“ ორუ-ჟ „მათ“
-ხ	მუსუ-ხ „ხარზე“ ვასაუ-ხ „ძმაზე“	მუსა-ხ „ხარებზე“ ვასაიბადალუ-ხ „ძმებზე“

ლოკატიურ ბრუნვათა მეორე რიგი მხ. რ.-ის სერიის ნიშნის ნაცვლად **ხ** ნიშანს იყენებს (ეს ეხება სერიებს **-ლა**, **-ლ'ა** და უნიშნო სერიას)¹⁵⁷.

¹⁵⁵ შდრ. პრინციპულად ანალოგიური მოვლენა ხუნძურში: როყო „საღში“ (კლასნიშნინი სერია), რომელსაც მრ. რ.-ში ენაცვლება სერია ჟ: რუყხაჯ „სახლებში“.

¹⁵⁶ იშვიათად შეიძლება შევეხვედეს მხ. რ.-ის -ლ'ა-ის ნაცვლად მრ. რ.-ში -ხ სერია, მაგ. აჩაბა-ლ'ი || აჩაბა-ხ „საბძლებში“ (-ლ'ი || -ხ მონაცვლეობა მრ. რ.-ში ფაქულტატურია. მაგრამ უპირატესია -ლ'ი).

¹⁵⁷ აქ ისევე, როგორც ზემოთ. მოგვეყვას მხოლოდ ადგ.-შიმ. ბრუნვის ფორმა. დაშორებითი ბრუნვა რეგულარულად იწარმოება ადგ.-შიმ. ბრუნვისაგან, ოღონდ **ხ**, **ჟ** წარმოდგენილია სრული ფორმით (-ხი, -ჟი): ამიბა-ხი-სხ „სახურავებიდან“, ბეტხაბა-ხი-სხ „ბოსლებიდან“, საბრანიდაბახისხ „კრებებიდან“.

-ლა	ამი-ლა „სახურავზე“ შაპალ-ლა „ქალაქში“ ბაზალ-ლა „ბაზარში“	ამაბა-ხ „სახურავებზე“ შაპარაბა-ხ „ქალაქებში“ ბაზარაბა-ხ „ბაზრებში“
-ი	ბეტე-ი „ბოსელში“ ეშ-ი „სახლში“ ჰურ-ი „ყანაში“ ტასინ-ი „ტაშტში“ ხენ-ი „ქვებში“	ბეტეაბა-ხ „ბოსლებში“ ეშაბა-ხ „სახლებში“ ჰურაბა-ხ „ყანებში“ ტასაბა-ხ „ტაშტებში“ ხეაბა-ხ „ქვაბებში“
-ლ'ა	საბრანიდა-ლ'ა „კრებაზე“	საბრანიდაბა-ხ „კრებებზე“

ზედსართავი სასელი

§ 51. გრამატიკული კლასები. პირველად ზედსართავი სახელთა უმეტესობას სუფიქსური კლასის ნიშანი აქვს (ზოგ მათგანს კლასის ნიშანი აქვს პრეფიქსადაც), მცირე ნაწილი კი მოკლებულია სუფიქსურ კლასის ნიშანს. მაგ., კლასნიშნინია: ბ-ეჰეტუ-ბ „შავი“, ბ-ეხაალა-ბ „გრძელი“, ბ-აჩაკუ-ბ „მოკლე“, ბ-ელა-ბ „წვრილი“, ბ-აპარუ-ბ „ძველა“ (პრეფიქს-სუფიქსი). ტანუ-ბ „მსხვილი“, წინუ-ბ „ახალი“, ჰრ-ბ „კარგი“, ეჩუ-ბ „ცუდი“, ჰაწა-ბ „თეთრი“, შიშაუ-ბ „წითელი“, ჰაჩუ-ბ „მწვანე, ყვითელი“ (სუფიქსური), გელ'ა „ლურჯი“ (უკლასნიშნო).

კლასის ნიშანი ჩვეულებრივი წესით იცვლება, მაგ., მხ. რ. I კლ. ვ-ეჰეტუ-ვ, II კლ. ჰ-ეჰეტუ-ჰ, III კლ. ბ-ეჰეტუ-ბ; მრ. რ. ადამ. კლ. ბ-ეჰეტუ-ბა, ნივთ. კლ. რ-ეჰეტუ-რ „შავი“; მხ. რ. I კლ. ჰაწა-ვ, II კლ. ჰაწა-ჰ, III კლ. ჰაწა-ბ, მრ. რ. ადამ. კლ. ჰაწა-ბა, ნივთ. კლ. ჰაწა-რ „თეთრი“.

§ 52. წარმოების შესახებ. ზედსართავი სახელის წარმოება შეზღუდულია. ერთ-ერთი საშუალებაა სუფიქსი სხ, რომელიც ზედსართავს აწარმოებს ისევე ზედსართავისაგან ან ზმნისართისაგან. მაგ. ბატე-ბ „სხვა“ || ბატე-სხ „სხვა“, ვატე-ი-სხ „შუათანა“ (შდრ. ბ-ატე „შუაში“, „შუა“), ჰერახი-სხ „უკანა“, სან-სხ „წინა“¹⁵⁸.

სუფიქსი ხუ-ბ აწარმოებს ზედსართავებს არსებითი სახელებისაგან. მნიშვნელობა: „მქონე“, „-იანი“: წააფ-ხუ-ბ „მარილიანი“ (წააფ

¹⁵⁸ ეს სხ წარმოშობით გამოსვლითი ბრუნვის ნიშანთან ჩანს კავშირში. იშვიათად სხ არსებითი სახელისაგანაც აწარმოებს ზედსართავს: ჰანლი-სხ „სოფელი“ (ზედმწ. „სოფლიდან“, გამოსვლითი ბრუნვა).

„მარილი“), ჯირისე-ხუ-ბ „ქეტიანი“ (ჯირის „ქეტი“), მაღარა-ხუ-ბ „გვარიანი“ (მაღარ „არა უშავს რა, კარგი“).

-ელ მიერთვის სიტყვას (ჩვეულებრივად ზედსართავს) და აძლევს მნიშვნელობას „ერთი (ან რამდენიმე)-თავანი“: მუკუე-ელ „პატარათავანი“. „სხვებთან შედარებით პატარა“, მაგ. მუკუე-ელ ვასხ „პატარათავანი ძმა“, ე. ი. „უმცროსი ძმა“. ასევე, ჰუკავ-ელ „დიდთავანი“ „დიდი“, „უფროსი“, ცე-ელ „ერთთავანი“ (ზედსართავი, ცხადია, იცვლება კლასის მიხედვით: ცე-მ-ელ, ცე-ბ-ელ და ა. შ.)¹⁵⁰.

ნათესაობით ბრუნვაში დასმული არსებითი სახელი შეიძლება ზედსართავად იქნეს გამოყენებული (მესერ-ლ'თ „ოქროსი“).

ზმნისართებისაგან კლასის ნიშნების დართვით ზედსართავთა წარმოება (რაც აგრე ნიშნეულია მაგ. ხუნძურისათვის), ბაგვალურში არაა გავრცელებული (მაგ. ჰრ-ბ არის „კარგი“ და „კარგად“), თუმცა ზოგჯერ შესაძლებელია (მაგ., ქუნტა „ქმარი“—ქუნტა-ბ „მამალი, მამრა“, ტყერ „ფერი“—ტყერ-ბ „ფერიანი, ფერისა“).

§ 53. ზედსართავ სახელთა ბრუნება. ზედსართავი სახელი იბრუნვის მხოლოდ მაშინ, როდესაც ის დამოუკიდებლადაა ნახმარი (ე. ი. არსებითი სახელის ფუნქციით გვევლინება). ზედსართავი სახელები II ბრუნებით იბრუნებიან: I კლასის სახელები ირ. ბრ. ფუძეს აწარმოებენ შაუ ელემენტით (I ქვეტიპი), ხოლო II და III კლასის სახელები ლ'თი ელემენტით (II ქვეტიპი), მრ. რ.-ში ადამიანის კლასის სახელებს ბრუნვის ნიშანთა წინ -ლუ აღმოაჩნდება¹⁶⁰, ნივთს კლასის სახელებს კი ლ'თი. მხ. რ.-ში I კლასის სახელებს, აგრეთვე მრ. რ.-ში ადამიანის კლასის სახელებს, კლასნიშნის ნათ. ბრ. აქვთ. II და III კლასის სახელებს მხ. რ.-ში, აგრეთვე ნივთის კლასის სახელებს მრ. რ.-ში—უკლასნიშნო ნათ. ბრ.

სუფიქსური კლასის ნიშანი ჩვეულებრივად შენახულია ხოლმე, ოღონდ I კლასის სახელებში ის ხშირად იკარგება (II კლასის სახელებში კი იშვიათად). დაბოლოებათა სქემა:

¹⁵⁰ თლისურ-თლიბიზოურში -ალ: მუკო-ბ-ალ „პატარათავანი“, ჰუკო-ბ-ალ „დიდთავანი“.

¹⁶⁰ ლუ იშლება: ლ მრ. რ.-ის ისტორიული აფიქსია, ხოლო ფ ირ. ბრ. ფუძის მაწარმოებელი ხმოვანი, ისეთივე, როგორც მხ. რ.-ში გვეუნდა (მაგ. სახ. ვასხ „ძმა“, ერგ. ვასხ-ურ: სახ. იმა „მამა“ ერგ. იმა-შხ-ურ). საინტერესოა, რომ ადამიანის კლასის სახელებს ირ. ბრ. ფ. უ-თი ეწარმოება. ეს არქაული მდგომარეობის ანარეკლი ჩანს.

მხოლოდობითი რიცხვი

	I კლ.	II კლ.	III კლ.
სახ.	-ვ	-ა	-ბ
ერგ.	-(ვ)-შეუ-რ	-ა-ლ'ვი-რ	-ბ-ლ'ვი-რ
ნათ.	-(ვ)-შეუ-ბ	-ა-ლ'ვი-ლ'ა	-ბ-ლ'ვი-ლ'ა
მიც.	-(ვ)-შეუ-ლა	-ა-ლ'ვი-ლა	-ბ-ლ'ვი-ლა
აფ.	-(ვ)-შეუ-ბა	-ა-ლ'ვი-ბა	-ბ-ლ'ვი-ბა

მრავლობითი რიცხვი

	ადამ. კლ.	ნივთ. კლ.
სახ.	-ბა	-რ
ერგ.	-ბა-ლ-უ-რ	-რ-ლ'ვი-რ
ნათ.	-ბა-ლ-უ-ბ	-რ-ლ'ვი-ლ'ა
მიც.	-ბა-ლ-უ-ლა	-რ-ლ'ვი-ლა
აფ.	-ბა-ლ-უ-ბა	-რ-ლ'ვი-ბა ¹⁶¹

მაგალითად:

მხოლოდობითი რიცხვი

	I კლ.	II კლ.	III კლ.
სახ.	ვეჭეტუვ „შაგა“	აეჭეტუა	ბეჭეტუბ
ერგ.	ვეჭეტუ-შეუ-რ	აეჭეტუა-ლ'ვი-რ	ბეჭეტუბ-ლ'ვი-რ
ნათ.	ვეჭეტუ-შეუ-ბ	აეჭეტუა-ლ'ვი-ლ'ა	ბეჭეტუბ-ლ'ვი-ლ'ა
მიც.	ვეჭეტუ-შეუ-ლა	აეჭეტუა-ლ'ვი-ლა	ბეჭეტუბ-ლ'ვი-ლა
აფ.	ვეჭეტუ-შეუ-ბა	აეჭეტუა-ლ'ვი-ბა	ბეჭეტუბ-ლ'ვი-ბა

მრავლობითი რიცხვი

	ადამ. კლ.	ნივთ. კლ.
სახ.	ბეჭეტუ-ბა	რეჭეტუ-რ
ერგ.	ბეჭეტუ-ბა-ლ-უ-რ ¹⁶²	რეჭეტუ-რ-ლ'ვი-რ
ნათ.	ბეჭეტუ-ბა-ლ-უ-ბ	რეჭეტუ-რ-ლ'ვი-ლ'ა
მიც.	ბეჭეტუ-ბა-ლ-უ-ლა	რეჭეტუ-რ-ლ'ვი-ლა
აფ.	ბეჭეტუ-ბა-ლ-უ-ბა	რეჭეტუ-რ-ლ'ვი-ბა

¹⁶¹ ნივთის კლასის ბრუნება მრ. რ.-ში ემთხვევა მხ. რ.-ის II და III კლ. სახელთა ბრუნებას. განსხვავებას მხოლოდ კლასის ნიშანი ქმნის (მხ. რ.-ში ა და ბ გუაქვს—კლასების მიხედვით, მრ. რ.-ში კი რ).

¹⁶² გვხვდება გახშოვნების ო ვარიანტიც (ბეჭეტუბა-ლ-ო-რ და ა. შ.).

უკლასნიშნო ზედსართავი სახელი ბრუნების პროცესში ამა თუ იმ კლასისად გააზრება (კონტექსტის მიხედვით) და სათანადო იბრუნვის, მაგ.,

სახ. ტელ'ა (I კლ.) „ლურჯი“ ტელ'ა (II და III კლ.)¹⁶³
ერგ. ტელ'ა-შაჟ-რ... ტელ'ა-ლ'აი-რ¹⁶⁴

ამგვარ სახელს მრ. რ.-ის სახელობითის ფორმა არა აქვს, რადგან ამისათვის სუფიქსური კლასის ნიშნის მქონებლობაა საჭირო, მაგრამ ირიბი ბრუნვების წარმოება კი შეუძლია (მრ. რ. სახ. ტელ'ა, ერგ. ტელ'ა-ა-ლ-ჟ-რ და .. შ.).

§ 54. შედარების ხარისხები ზედსართავს არა აქვს. ხარისხის გადმოცემა აღწერით ხერხდება: შედარების ობიექტი დაისმის ჭიან ლოკატურ ბრუნვაში, მაგ. იმაშაჟ-კ ჰეწუჟ „მაშაზე მალა“, ღუ-ჰ ჰრჟ „შენზე უკეთესი“ (სიტყვისიტყვით „შენზე კარგი“). გავრცელებულა ჰეკი „ძალიან“ სიტყვას გამოყენებით ნაწარმოებო 'მესიტყვებებოც ჰეკი ჰრჟ „ყველაზე კარგი, ძალიან კარგი“ და მისთ.

რიცხვითი სახელი

§ 55. გრამატიკული კლასები. რაოდენობით რიცხვით სახელთაგან კლასნიშნინანია მხოლოდ ცე-ბ „ერთი“. რიცხობით რიცხვით სახელთაგან კი მხოლოდ ჰეკისაგან „პირველი“ არის უკლასნიშნო. გრამატიკული კლასის ნაშანი რიცხვით სახელებში ისეთივე თვისებისაა, როგორც ზედსართავებში.

§ 56. რაოდენობითი რიცხვითი სახელი. თელის სისტემა ათეულობითა. რაოდენობითი რიცხვითი სახელი (გარდა „ერთის“ სახელისა) ბოლოვდება -რა ელემენტით, რომელიც თანხმოვანფუძიანი რიცხვითი სახელის მომდევნოდ წარმოდგენილია როგორც -და¹⁶⁵. „ერთის“ სახელი იცვლება კლასის (და რიცხვის) მიხედვით.

¹⁶³ II და III კლასის ფორმები გარჩეული არაა, რადგან სუფიქსური კლასის ნიშანი ამ სიტყვას არა აქვს

¹⁶⁴ შა-სა და ლ-ა-ს წინ დასაშვებია წინამავალი ფუძისეული ლ-ა-ს დაკარგვა (მაგ. ერგ. ჯე-შაჟ-რ. ჯე-ლ'აი-რ).

¹⁶⁵ ამოსავალია -და (ინტეროკალური >რ იხ. § 23). თლისტრში -და ჯცუ-ლელია (ჰე-და „2“, ლ'აბ-და „3“, ბუჟუ-და „4“ და ა. შ.). ხუმტადურში თანხმოვნის მომდევნოდ -და გვაქვს, მაგრამ ხმოვნის მომდევნოდ დასაშვებია როგორც -რა (ჯალბი, მეტყველებაში). ისე -და (მამაკაცთა მეტყველებაში). მაგ. კე-და || კე-რა „2“ (იხ. § 23). -და ნაწილაკი ბუნძური -გო-ს ფარდია (იხმარება რაოდენობით რიცხვით სახელებში, უკუქცევით ნაცვალსახელეში, აბსოლუტურებში. ამავე ფუძისა ჩანს „არის“ ზმნა).

ცე-3 (I კლ.), ცე-2 (II კლ.), ცე-ბ (III კლ.), ცე-ბა (მრ. ადამ.), ცე-რ (მრ. ნივთი) „ერთი“, კე-რა „ორი“, ჰაბ-და „სამი“, ბჟ-რა II ბუყურა, „ოთხი“, ინშთუ-რა „ხუთი“, ინლ'ზი-რა (ინლ'ი-რა) „ექვსი“¹⁶⁵, ჰატჟუ-რა „შვიდი“ ბიტჟი-რა „რვა“, ჰაჰვა-რა „ცხრა“, ჰაწა-რა „ათი“.

11-დან 19-მდე რიცხვითი სახელი შედგენილია „ათი“ + ერთეულის აღმნიშვნელი: სიტყვა, ამასთან ათის აღმნიშვნელი სახელი (ჰაწა-რა) წარმოდგენილია როგორც ჰაწალ-¹⁶⁶:

ჰაწალ ცებ „თერთმეტი“, ჰაწალ კერა „თორმეტი“, ჰაწალ ჰაბდა „ცამეტი“, ჰაწალ ბჟრა „თოთხმეტი“, ჰაწალ ინშთურა „თხუთმეტი“, ჰაწალ ინლ'ზირა „თექვსმეტი“, ჰაწალ ჰატჟურა „ჩვიდმეტი“, ჰაწალ ბიტჟირა „თრვამეტი“, ჰაწალ ჰაჰვარა „ცხრამეტი“.

ათეულთა სახელები შედგენილია ასე: ერთეულის აღმნიშვნელი სახელს ფუძეს¹⁶⁷ ემატება აწა (რომელიც გაცვეთილი სახეა ჰაწა — „ათი“ სიტყვისა). ათეულის სახელებს ნაწილაკი -რა (-და) არ დაერთვის ხოლმე:

კაწა (< კე-აწა) „ოცი“, ჰაბ-აწა „ოცდაათი“, ბო-აწა „ორმოცა“, ინშთე-აწა (< ინშთუ-აწა) „ორმოცდაათი“, ინლ'ზ-აწა „სამოცი“, ჰატჟე-აწა (< ჰატჟუ-აწა) „სამოცდაათი“, ბიტჟე-აწა „ოთხმოცი“, ჰაჰვე-აწა „ოთხმოცდაათი“.

როდესაც ათეულის აღმნიშვნელ სიტყვას მოსდევს ერთეულის აღმნიშვნელი სიტყვა, მაშინ -აწა- ელემენტი წარმოდგენილია როგორც -აწ- (გაცვეთილი სახე -აწა-სი): კაწე ცებ (< კე-აწე ცებ) „21“, ჰაბ-აწე ბჟრა „34“, ბო-აწე ინშთურა „45“, ინშთე-აწე ინშთურა „55“, ინლ'ზ-აწე ბიტჟი-რა „68“, „ჰატჟე-აწე ჰაჰვარა „79“, ბიტჟე-აწე კერა „82“, ჰაჰვე-აწე ინლ'ზირა „96“.

„ასის“ აღსანიშნავად იხმარება ბეშენ(და), ხოლო „ათასისა“ აზარ(და) (ნასესხები სიტყვაა). ასეულები და ათასეულები იწარმოება ერთეულთა სახელების ფუძეზე ბეშენ („100“) და აზარდა („100“) სიტყვების დართვით: კე-ბეშენ „200“, ჰა-ბეშენ (< ჰაბ-ბეშენ) „300“, ბო-ბეშენ „400“, კე-აზარდა 2000, ჰაბ-აზარდა „3000“ და ა. შ.

ასისა და ათასეულის სახელები მომდევნო რიცხვით სახელებს უკავშირდებიან ელემენტით ჰეკუ(ბ): ბეშენ-ჰეკუ(ბ) ცებ „101“, კე-ბეშენ-ჰეკუ(ბ) ჰაბდა „203“, აზარ-ჰეკუ(ბ) ჰაჰვარა „1009“, აზარ-ჰეკუ(ბ) ჰაჰვებეშენ-ჰეკუ(ბ) რწმთეაწაჰაბდა „1953“.

¹⁶⁵ დასაშვებია ვარიანტი ინლ'ირა და მისთ.

¹⁶⁶ ჰაწალ. ალბათ, მომდინარეობს ჰაწა-ლა-საგან, სადაც -ლა ლოკატივის ერთ-ერთი ნიშანია („ზე“): *ჰაწა-ლა ცებ „ათზე ერთი“ ე. ი. „თერთმეტი“ (იქნებ ზუნძ. ანწი-ლა ამავე -ლა-ს შიგთავსად?).

¹⁶⁷ ი ხმოვნით დაბოლოებული ფუძეები -ოს კარგავენ: ინლ'ზი- „6“, ბიტჟი- „8“ წარმოდგენილია -ის გარეშე.

ქვეყნებ შედგენილია ჰ ლოკატვის ნიშნისა (იხ. § 48) და ეკუ-ს სიტყვისაგან, რომელიც ცალკე „მეტს“, „ზედმეტს“ ნიშნავს. ამრიგად, მაგ., ბეშენქეკუბ ცებ „101“ სიტყვისიტყვით ნიშნავს „ასზე მეტა ერთი“ (ბეშენ-ჰ ეკუბ ცებ) და ა. შ.¹⁶⁸

§ 57. რაოდენობით რიცხვით სახელთა ბრუნება. რაოდენობითი რიცხვითა სახელები იბრუნებან II ბრუნებით (როგორც ზედსართავი სახელები)¹⁶⁹.

მხოლოდობითა რიცხვი

სახ. ცევ (I კლ.)	ცუმ (II კლ.)	ცებ (III კლ.) „ერთა“
ერგ. ცევ-შაუ-რ	ცუმ-ლ'ი-რ	ცებ-ლ'ი-რ'
ნათ. ცევ-შაუ-ბ	ცუმ-ლ'ი-ლ'ა	ცებ-ლ'ი-ლ'ა
მიც. ცევ-შაუ-ლა	ც'ა-ლ'ი-ლა	ცებ-ლ'ი-ლა
აფ. ცევ-შაუ-ბა	ცუმ-ლ'ი-ბა	ცებ-ლ'ი-ბა

მრავლობითი რიცხვი

სახ. ცება (აღამ.)	ცერ (ნივთ.) „ერთნი“
ერგ. ცება-ლ-უ-რ	ცერ-ლ'ი-რ
ნათ. ცება-ლ-უ-ბ	ცერ-ლ'ი-ლ'ა
მიც. ცება-ლ-უ-ლა	ცერ-ლ'ი-ლა
აფ. ცება-ლ-უ-ბა	ცერ-ლ'ი-ბა

¹⁶⁸ კვანადურში ქვეყნებ „მეტი“ (თლონდოღური ეკუბ-ის ფარდი) პირდაპირ და-ერთვის სახელობითის ფორმას: ბეშენ-ქვეყნებ ცებ „101“ (ვდრ. თლონდ. ბეშენ-ჰ ეკუბ ცებ). თლისურში მეტი სხვაობა (არსებითად ფონეტიკურად შეპირობებული). მაგ. დ-ს შემონახვა ინტერვოკალურ პოზიციაში, კ>ჰ; შთ>სა. ლ'-სა და ლ'-ს შემონახვა. მრ.-ში აღამიანის კლასში დაბოლოება ბ (ცებ „ერთნი“). „ოცის“ სახელში ჰაწა-და „10“ დატულია სრულად. ასეულები და ათასეულები იწარმოება ლოკატვის ჰ ნიშნზე ეკობ („მეტი“) სიტყვის დართვით. ნიშნები (ფრჩხილებში—თლიბიშორი): ცევ. ცუმ. ცებ (მრ. ცებ, ცერ) „1“. ჰელა „2“, ლ'აზლა „3“. ბულა „4“, ინსედა (ინსტუდა) „5“, ინლ'იდა „6“, ჰატელა „7“, ბიტეიდა „8“, ჰაჰელა (ჰაჰოლა) „9“, ჰაწადა „10“, ჰაწალ ცებ „11“. ჰაჰაწადა (ჰიჰაწა) „20“. ჰაჰაწებ „21“. ლ'აბაწა(ა) „30“, ლ'ა-ბაწ ცებ „31“. ბულ(ე)აწა, ბულაწა (ბოლოწა) „40“, ინსეაწა (ინსტეაწა) „50“ ინლ'აწა „60“. ჰატეაწა „70“, ბიტეაწა „80“, ჰაჰეაწა (ჰაჰოწა) „90“. ბეშენიდა (ბეშენიდა) „100“, ბეშენქეკობ ცებ (ბეშენიქოლ ცებ) „101“, ჰეშეშენ „200“. ინსებეშენ „500“. აზარიდა „1000“, აზარქეკობ ჰაჰეშენიქეკობ ინლ'აწა „1960“. სხვაობა თლისურა და თლიბიშორის შორის ფონეტიკურია. მორფოლოგიურად განსხვავებულია წარმოება 100-ის შემდეგ (თლის. ჰტეკობ, თლიბ. ჰიტლოკატვის ლ').

¹⁶⁹ კვანადურში მიცემითის ფორმები განსხვავებულია: ცევიშეა (I კლ.), ცეა-ილ'ა (II კლ.), ცებილ'ა (III კლ.), ცებალა (მრ. აღამ.), ცერილ'ა (მრ. ნივთ.) იხ. § 46.

ხშირად გვხვდება I კლასის ფორმები ირიბ ბრუნვებში კლასის ნიშნის გარეშე. II კლასის სიტყვებში კლასის ნიშნის მოკვეცა შედარებით იშვიათია.

რიცხვითი სახელი, რომელსაც კლასის ნიშანი არა აქვს, იბრუნვის იმის მიხედვით, თუ რომელი კლასისადაა - ის მიჩნეული კონტექსტში (მაგ. კერა-შაჟ-რ „ორმა“—I კლ., კერა-ლ'ი-რ „ორმა“—II და III კლ.).

§ 55. რიგობითი რიცხვითი სახელი. რიგობითი რიცხვითა სახელი იწარმოება რაოდენობითი რიცხვითა სახელისაგან -ლალ'ობ ნაწილის დართვით (ბ კლასის ნიშანია). გამონაკლისია „პირველის“ აღმნიშვნელი ჰექსისაგან, რომელიც კომპოზიტია და ნიშნავს „ყველაზე წინა“-ს: ჰექი „ყველაზე, ფრად, ძალიან“, საე-სა „წინა“, -სა ზედსართავის მაწარმოებელია, საე „წინ“, საე-სა „წინა“ („передний“)¹⁷⁰. ჰექისაგან კლასების მიხედვით არ იცვლება. „პირველს“ აღსანიშნავად იშვიათად იხმარება აგრეთვე სტანდარტულად ცებ („ერთი“) სიტყვისაგან ნაწარმოები ცებ-ლალ'ობ.

მაგალითები: ჰექისაგან (II ცებლალ'ობ) „პირველი“, კერალალ'ობ¹⁷¹ (III კლ., I კლ. კერალალ'ობ, II კლ. კერალალ'ობ; მრ. ადამ. კერალალ'ობა, ნივთ. კერალალ'ობ)¹⁷² „მეორე“, ჰაბდალალ'ობ „მესამე“, ბჟრალალ'ობ „მეოთხე“¹⁷³ ინშთურალალ'ობ „მეხუთე“, ჰაწარალალ'ობ „მეათე“. გვხვდება პარალელური ფორმებიც: ჰექისაგან „პირველი“, კეჰილალ'ობ „მეორე“, ჰაბილალ'ობ „მესამე“, ბუჰილალ'ობ „მეოთხე“, ინშთუჰილალ'ობ „მეხუთე“. აქ -ლალ'ობ დაერთვის სუფთა ფუძეს (-რა, -და ნაწილაკის გარეშე), ამასთან მას წინ უძღვის ი. ხმოვნით დაბოლოებულ ფუძეებს ფუძის ხმოვანსა და ი-ს შორის ჰ აღმოაჩნდება (მაგ. კეჰილალ'ობ, ბუჰილალ'ობ), რაც განვითარებული ჩანს ხმოვანთგასაყარად.

¹⁷⁰ შტრ. ჰექ-საგან „უკანასკნელი“ (სიტყვისიტყვით „ყველაზე ბოლო“, ჰექი+ჰე-სა).

¹⁷¹ ეფრო გავრცელებულია კელალ'ობ. ჰაპლოლოგიური ფორმა, მიღებული კერალალ'ობ-ისაგან რა-ს ჩაყარდნით. ხუშტადურში გვაქვს კერალალ'ობ „მეორე“ (ორკეცა ძირით).

¹⁷² ჰეჟმით მოგვყავს მხოლოდ მესამე კლასის ფორმები.

¹⁷³ ხუშტ. ჰაბელჰილალ'ობ „მესამე“. ჰუჟულჰილალ'ობ „მეოთხე“ (-და II -რა ელემენტის გარეშე). ჰემერსოლულში -ლა ელემენტის ნაცვლად -ჰა გვაქვს (<*ლ'ა): კერა-ჰალ'ობ „მეორე“, ჰაბდა-ჰალ'ობ „მესამე“; ბუჟურაჰალ'ობ „მეოთხე“, ინშთურა-ჰალ'ობ „მეხუთე“. თლისური: ჰაჰისიჰიასა II ცელალ'ობ „I“, ჰელალ'ობ „II“, ჰალალ'ობ „III“, ჰაწალალ'ობ „X“.

§ 59. რიგობითი რიცხვითი სახელის ბრუნება. რიგობითი რიცხვითი სახელი იბრუნვის როგორც ყოველი ატრიბუტული სახელი (მათ შორის რაოდენობითი რიცხვითი სახელი) მეორე ბრუნებით:

მხოლოდობითი რიცხვი

სახ.	ჰეჰისეჰსა (I კლ.) „პირველი“	ჰეჰისეჰსა (II კლ.). ჰეჰისეჰსა (III კლ.)
ერგ.	ჰეჰისეჰსა-შაუ-რ	ჰეჰისეჰსა-ლ'ი-რ
ნათ.	ჰეჰისეჰსა-შაუ-ბ	ჰეჰისეჰსა-ლ'ი-ლ'ა
მიც.	ჰეჰისეჰსა-შაუ-ლა	ჰეჰისეჰსა-ლ'ი-ლა
აფ.	ჰეჰისეჰსა-შაუ-ბა	ჰეჰისეჰსა-ლ'ი-ბა

სახ.	ჰაბდალალ'აოვ „მესამე“	ჰაბდალალ'აოა (II კლ.)	ჰაბდალალ'აობ (III კლ.)
ერგ.	ჰაბდალალ'აო(ვ)-შაუ-რ	ჰაბდალალ'აო(ა)-ლ'ი-რ	ჰაბდალალ'აობ-ლ'ი-რ
ნათ.	ჰაბდალალ'აო(ვ)-შაუ-ბ	ჰაბდალალ'აო(ა)-ლ'ი-ლ'ა	ჰაბდალალ'აობ-ლ'ი-ლ'ა
მიც.	ჰაბდალალ'აო(ვ)-შაუ-ლა	ჰაბდალალ'აო(ა)-ლ'ი-ლა	ჰაბდალალ'აობ-ლ'ი-ლა
აფ.	ჰაბდალალ'აო(ვ)-შაუ-ბა	ჰაბდალალ'აო(ა)-ლ'ი-ბა	ჰაბდალალ'აობ-ლ'ი-ბა

მრავლობითი რიცხვი

სახ.	ჰეჰისეჰსა (ადამ.)	ჰეჰისეჰსა (ნივთ.)
ერგ.	ჰეჰისეჰსა-ალუ-რ	ჰეჰისეჰსა-ლ'ი-რ
ნათ.	ჰეჰისეჰსა-ალუ-ბ	ჰეჰისეჰსა-ლ'ი-ლ'ა
მიც.	ჰეჰისეჰსა-ალუ-ლა	ჰეჰისეჰსა-ლ'ი-ლა
აფ.	ჰეჰისეჰსა-ალუ-ბა	ჰეჰისეჰსა-ლ'ი-ბა

სახ.	ჰაბდალალ'აობა (ადამ.)	ჰაბდალალ'აორ (ნივთ.)
ერგ.	ჰაბდალალ'აობალუ-რ	ჰაბდალალ'აორ-ლ'ი-რ
ნათ.	ჰაბდალალ'აობა-ლუ-ბ	ჰაბდალალ'აორ-ლ'ი-ლ'ა
მიც.	ჰაბდალალ'აობა-ლუ-ლა	ჰაბდალალ'აორ-ლ'ი-ლა
აფ.	ჰაბდალალ'აობა-ლუ-ბა	ჰაბდალალ'აორ-ლ'ი-ბა

§ 60. წილადები. წილადების ორგანული წარმოება გავრცელებული არაა. „ნახევარი“ აღინიშნება სიტყვით ბაშთაბ (და რეყენ), „მესა-

მედი“ ჰაბილა-ბ, „მეოთხედი“ ბუელა-ბ (ბუილაბ)¹⁷⁴. როგორც ჩანს, რაოდენობითი რიცხვითი სახელის ფუძეს (ჰაბ-, ბუ-) ემატება -ილა-ბ¹⁷⁵.

აღწერითი წარმოება წილადებისა: ჰაბდა იჰუბ ცებ ტუბ „მესამედი“ (სიტყვასიტყვით: „სამი ნაქნარი ერთი წილი“, ე. ი. სამიდან ერთი ნაწილი), ბუყურა იჰუბ ცებ ტუბ „მეოთხედი“¹⁷⁶.

§ 61. ჯერობითი რიცხვითი სახელები. ჯერობითი რიცხვითი სახელები იწარმოება -წი სუფიქსით, რომელსაც მოსდევს ნაწილაკი -რა¹⁷⁷. -წი -რა დაერთვის რაოდენობითი რიცხვითი სახელის ფუძეს, ამასთან „ორი“ (კე-რა) წარმოდგენილია ფუძით კან-, ხოლო „სამი“ (ჰაბ-და) გამართივებული ჰა- ფუძით. „პირველად“ აღინიშნება სიტყვით ჰეჰისაჲერ (სიტყვასიტყვით: „ყელაზე წინათ“), ან ანშე „ჯერ, უპირველეს“. შდრ. კან-წი-რა „ორჯერ“, ჰა-წი-რა „სამჯერ“, ბო-წი-რა „ოთხჯერ“, ინშთუ-წი-რა „ხუთჯერ“, ბეშენ-წი-რა „ასჯერ“.

ჯერობა გადმოიცემა აღწერითაც: რიცხვითი სახელი + მიყარ, მიყალ'ა (სიტყვისაგან მიყ „გზა“ — ერგატივისა და ნათესაობითის ფორმა): ცებ მიყარ (მიყალ'ა) „ერთგზის“, კერა მიყარ (მიყალ'ა) „ორგზის“, ჰაბდა მიყარ (მიყალ'ა) „სამგზის“ და ა. შ.

§ 62. დაყოფითი რიცხვითი სახელები. იწარმოება რაოდენობით რიცხვით სახელთა ფუძის გაორკეცებით, ამასთან პირველი ნაწილი წარმოდგენილია ნაწილაკი -რა-ს გარეშე (ოლონდ „სამის“ სახელში შემორჩენილია დ). თანხმოვანზე დაბოლოებულ ფუძესთან მიერთებული ხმოვანია ი:

ცე-ცებ „თითო-თითო“, კე-კე „ორ-ორი“, ჰაბდ-ი-ჰაბდა „სამ-სამი“, ბუ-ბურა „ოთხ-ოთხი“, ინშთ-ი-ინშთურა „ხუთ-ხუთი“, ჰაწ-ი-ჰაწარა „ათ-ათი“, ბეშ-ი-ბეშენ-და¹⁷⁸ „ას-ასი“.

ნაცვალსახელი

§ 63. გრამატიკული კლასები. პირის ნაცვალსახელები (I და II პ. ორსავე რიცხვში) უკლასნიშნოა (მაგ. დე „მე“, მეს „შენ“, იშვი „ჩვენ“ და სხვ.). უკლასნიშნოა თითქოს კითხვითი ნაცვალსახელებიც (ემ-

¹⁷⁴ ჰაბილაბ. ბეილაბ მეტწილად იხმარება როგორც საწყაოს სათანადო ნაწილის აღნიშვნელი. ეს სიტყვები დასტურდება კლასის ნიშნების გარეშეც (ჰაბილ, ბუელ).

¹⁷⁵ შდრ. რიცხვით რიცხვით სახელთა წარმოება: ჰაბ-ილაბ „მესამედი“ და ჰაბ-ილა-ლიობ „მესამე“.

¹⁷⁶ კენადურში იჰუბ „ნაქნარი“ გადმოცემულია იმავე მნიშვნელობის გზებ მიმდევრებით.

¹⁷⁷ რა (<და). შდრ. თლიბიშოური კან-წი-და „ორჯერ“ ლა-წი-და „სამჯერ“, ბოხო-წი-და „ოთხჯერ“ (იხ. ნაწილაკები).

¹⁷⁸ აქ მოკვეცილია -ენ დაბოლოებაც.

„ეწ“ (ე-ჩა), მაგრამ ადამიანის კლასში კლასის ნიშანი ფონეტიკურ ნიადაგზე ჩანს გაუჩინარებული, მაშინ როდესაც ნიეთის კლასში მხ. და მრ. ფორმათა შეპირისპირება (მხ. ე-ბ, მრ. ე-რ) ცხადყოფს ამ ნაცვალსახელებში კლასის ნიშნების მონაწილეობას (ბ და რ)¹⁷⁹. ჩვენებითი ნაცვალსახელი (რომელიც მესამე პირის ნაცვალსახელის ფუნქციასაც ითავსებს) მუდამ კლასნიშნანია (სუფიქსური ნიშნის მქონე): ა-ბ „ეს“, ო-ბ „ის“, ალპა-ბ „ეეს“, ოლპო-ბ „ის“. ასევე კლასნიშნანია უკუქცევითი ნაცვალსახელიც (ე-ბ „თვითონ“). კუთვნილებითი ნაცვალსახელი კლასნიშნანიც შეიძლება იყოს და უკლასნიშნოც: რამდენადაც კუთვნილებითი ნაცვალსახელი პირის ნაცვალსახელის ნათესაობითის ფორმად, ცხადია, კლასნიშნანი ნათესაობითით ნაწარმოებ ნაცვალსახელს ექნება კლასის ნიშანი (დი-ბ „ჩემი“, ღუბ „შენი“, იშვი-ბ „ჩვენი“, ოშაუ-ბ „მისი“ (მამაკაცის), ხოლო უკლასნიშნო ნათესაობითით ნაწარმოებს — კლასის ნიშანი არ ექნება (მაგ. ალ'ილ'ა „ამისი (ქალის ან ნიეთისა)“, ოლ'ილ'ა „იმისი“ (ქალის ან ნიეთისა)“ და მისთ.).

§ 64. პირის ნაცვალსახელები. პირის ნაცვალსახელებია მხოლოობითში: ღე „მე“, მეფ „შენ“¹⁸⁰, მრავლობითში: ილ'აი „ჩვენ“ (ინკლუზივი), იშვი „ჩვენ“ (ექსკლუზივი)¹⁸¹, ბიშთი „თქვენ“, მესამე პირის ნაცვალსახელებად როგორც მხოლოობითში, ისე მრავლობითში გამოყენებულია ჩვენებითი ნაცვალსახელები (რომლებიც კლასისა და რიცხვის მიხედვით იცვლებიან), მაგ., ოვ (ოჰ, ობ) „ის“, აპავ (აპაჰ, აპაბ) ; „ეს“ და მისთ. (იხ. „ჩვენებითი ნაცვალსახელები“). I და II პირის ნაცვალსახელები კლასებს არ განარჩევენ.

§ 65. პირის ნაცვალსახელთა ბრუნება. მხ. რ.-ის პირის ნაცვალსახელებს სახელობითსა და ერგატივში საზიარო ფუძე აქვთ, სხვა ბრუნვებში კი ფუძე იცვლება. თავისებურებას იჩენს ერგატივის ფორმაც. ნათესაობითი ბრუნვა კლასნიშნანია (ორსავე რიცხვში).

სახ.	ღე „მე“	მეფ „შენ“
ერგ.	ღენ	მენ
ნათ.	დი-ბ	ღუ-ბ
მიც.	დი-ლა	ღუ-ლა
აფ.	დი-ბა	ღუ-ბა ¹⁸²

¹⁷⁹ სხვადასხვა ელემენტების დართვით კითხვითი ნაცვალსახელებისაგან ნაწარმოები ნაცვალსახელები ინარჩუნებენ ამოავალი ფორმების თვისებებს.

¹⁸⁰ ნაზალიზაცია ოდნავდა ისმის. ზოგჯერ ნაზალური ელემენტი (ასევე სუსტი) ახლავს მე“ ნაცვალსახელსაც — ღდენ.

¹⁸¹ გარჩეულია ინკლუზიური („ჩვენ“ — მთლიან პირის ჩართვით) და ექსკლუზიური („ჩვენ“ — მთლიან პირის გამორიცხვით) ფორმები.

¹⁸² ერგატივის ფორმები ღენ „მე“ და მენ „შენ“ მიღებულია ერგატივის რ (<ღ) ნიშნის შერწყმით წინამაველ ნაზალურებულ ხმოვანთან: *ღენ-რ (*ღენ-ღ) > ღენ, *მენ-რ

მრ. რ.-ში ნაცვალსახელთა ბრუნება სტანდარტულია:

სახ.	ილ'ი ¹⁸³	„ჩვენ“	იშვი „ჩვენ“	ბიშთი „თქვენ“
ერგ.	ილ'ი-რ		იშვი-რ	ბიშთი-რ
ნათ.	ილ'ი-ზ		იშვი-ზ	ბიშთი-ზ
მაც.	ილ'ი-ლა		იშვი-ლა	ბიშთი-ლა
აფ.	ილ'ი-ბა		იშვი-ბა	ბიშთი-ბა

ნათესაობითის ფორმები გამოყენებულია კუთვნილებით ნაცვალსახელებად.

§ 56. ჩვენებითი ნაცვალსახელები. ჩვენებითი ნაცვალსახელები ორი ფუნქციით იხმარება: როგორც ჩვენებითი და როგორც მესამე პირისა (ორივე რიცხვისათვის).

ჩვენებითი ნაცვალსახელი გრამატიკული კლასის ნიშნითაა დაბოლოებული.

ფუძის აგებულების მიხედვით გაირჩევა მარტივი და რთული ჩვენებითი ნაცვალსახელი. მარტივი ნაცვალსახელის ფუძეა ა („აქ, ახლოს“) და ი („იქ, შორს“). რთული ფუძე იწარმოება მარტივ ფუძეზე ლჰა და ლჰო ელემენტების დართვით (ლჰ-ს მომდევნო ხმოვანი იმეორებს წინა-მავალი მარტივი ნაცვალსახელის ხმოვანს)¹⁸⁴:

(მე-დ) > მენ. თავის მხრივ სახელობითის უფრო ძველ ფორმად დენ (დენვ) და მენ (მენვ) უნდა აღვადგინოთ. ასეთ პირობებში ერგატივის ფორმა იქნებოდა დენ-დ და მენ-დ.

¹⁸³ პარალელურია ილ'ი, ილ'ი და ილ'ი, რაც აიხსნება ლ' და ლ' ლატერალთა ბეღით ბავალურში. კვანადურში მიკემითის ფორმები განსხვავებულია (იხ. § 46): ღი-ჰა „მე“, ღუ-ჰა „ვენ“, ილ'ი-ა „ჩვენ“ (ინკლ.) იშვი-ა „ჩვენ“ (ექსკლ.). ჰემერსოულში მიკემითის ფორმაა ღიჰა „მე“ (იხ. § 46).

თლისური ფორმები: სახ. დენ „მე“, ერგ. დე || დენ. ნათ. დიზ. მიც. დი-ჰა (გ ჩანართია); სახ. მენ „შენ“, ერგ. მე || მენდ. ნათ. დუზ. მიც. დუ-ჰა (გ ჩანართია); სახ. ილ' „ჩვენ“ (ინკლ.), ერგ. ილ'ი || ილ'იდ. ნათ. ილ'იზ. მიც. ილ'ა; სახ. იშვი „ჩვენ“ (ექსკლ.), ერგ. იშვი || იშვიდ. ნათ. იშვიზ. მიც. იშვი; სახ. ბისთ „თქვენ“, ერგ. ბისთი || ბისთიდ. ნათ. ბისთიზ. მიც. ბისთ-ა. ერგატივში პარალელურ ფორმათა არებობა გამოწვეულია თლისურის თავისებურებით—ერგატივის დ-ს ფაკულტატიური მოკვეციტ (იხ. § 46), აფექტივი თლისურს არა აქვს (იხ. § 46). მიკემითის ფორმათა თავისებურებების შესახებ იხ. § 46 თლიბიშოური თლისურს მიყვება. ოღონდ ერგატივში დ-იანი ფორმებია (დენ-დ, მენ-დ || მენ-დ || მე-დ, იშვი-დ. „თქვენ“ ნაცვალსახელში თლონდოდურის შთ კომპლექსი. რომელიც თლისურში სთ-ს იძლევა, თლიბიშოურში სთ-ს სახითაა წარმოდგენილი: თლონდ. ბიშთიზ, თლის, ბისთიზ, თლიზ, ბისთიზ „თქვენი“).

¹⁸⁴ ლჰ იგივე ელემენტია, რაც ხუნძ. ლ' (ლოზა „იქ მაღლა“). მგრამ თლონდოდურში საგანთა ვერტიკალური დაპირისპირება არ შეინიშნება, თლისურში კი ამგვარი დაპირისპირება საგრძნობია.

ხუშტადურში, გარდა თლონდოდურისთვის მითითებული ფორმებისა, არის აგრეთვე დ-ს შემკველ რიგი: ადაზ (ადაჰ, ადაჰ; ადაბა, ადარ) და ოდოზ (ოდოჰ.

მხ. რ. ა-ვ	ა-ა	ა-ბ	მრ. რ. ა-ბა (აღამ.) ა-რ (ნიეთ.) „ეს“
მხ. რ. ო-ვ	ო-ა	ო-ბ	მრ. რ. ო-ბა (აღამ.) ო-რ (ნიეთ.) „ის“
მხ. რ. ა-ლჰა-ვ	ა-ლჰა-ა	ა-ლჰა-ბ	მრ. რ. ა-ლჰა-ბა (აღამ.) ა-ლჰა-რ (ნიეთ.) „ეს“ (მოშორებით)
მხ. რ. ო-ლჰო-ვ	ო-ლჰო-ა	ო-ლჰო-ბ	მრ. რ. ო-ლჰო-ბა (აღამ.) ო-ლჰო-რ (ნიეთ.) „ის“ (მოშორებით).

§ 67. ჩვენებითი ნაცვალსახელის ბრუნება. ჩვენებითი ნაცვალსახელები იბრუნებიან როგორც ატრიბუტული სახელები II ბრუნებით. მხ. რ.-ის ირიბ ბრუნებებში სუფიქსური კლასის ნიშანი არა ჩანს.

ყველა ჩვენებითი ნაცვალსახელი ერთნაირი ყალიბით იბრუნვის, აქ მხოლოდ რამდენიმე მაგალითს მოვიყვანთ.

I კლ.

სახ. ო-ვ „ის“
ერგ. ო-შაუ-რ
ნათ. ო-შაუ-ბ
მრც. ო-შა-უ-ლა
აფ. ო-შაუ-ბა

II კლ., III კლ.

ო-ა (II კლ.) ო-ბ (III კლ.)
ო-ლ'ი-რ
ო-ლ'ი-ლ'ა
ო-ლ'ი-ლა
ო-ლ'ი-ბა

ოდოვ; ოდობა; ოდორ). ამრიგად, სამი რიგი გვაქვს: აბ, ობ; ალჰაბ, ოლჰობ; ადაბ, ოდაბ.

კვანადურში გარდა მარტივი აბ, ობ-ისა გვაქვს უფ „ის (შორს)“, აბ-ბ „ი ე“ (შდრ. თლონდ. ალჰაბ), უკებ „აი ის (შორს)“ (შდრ. თლონდ. ოლჰობ).

თლისური სათვის დამახასიათებელია ჩვენებით ნაცვალსახელთა რთული (ორნაწილიანი) ფუძეები, თუმცა გვხვდება მარტივი ნაცვალსახელებიც (მაგ „ეს“, ჰვ „ის“).

ჰადე (ჰადიჲ, ჰადიბ; მრ. ჰადიბა, ჰადირ) „ეს“
ჰედე (ჰედჲ, ჰედებ; მრ. ჰედება, ჰედურ) „ის“
ჰალიე (ჰალიჲ, ჰალიბ; მრ. ჰალიბა ჰალირ) „ეს“ (მალა)
ჰელე (ჰელიჲ, ჰელიბ; მრ. ჰელება, ჰელურ) „ის“ (მალა);
ჰაე (ჰაეიჲ, ჰეიბ; მრ. ჰაეიბა, ჰაეირ) „ეს“ (დაბლ);
ჰეე (ჰეეიჲ, ჰეეებ; მრ. ჰეეეზა, ჰეეურ) „ის“ (დაბლა)

ჰუ- მითებითი ელემენტით დაწყებულ ნაცვალსახელთა II კლ.-ში მომდევნო ელემენტის ხმოვანი უწამოდგენილია როგორც ი (მაგ. ჰედე > ჰედჲ და მისთ. ასიმილაციით). მრ. რ.-ის ადამიანის კლასში გვხვდება როგორც ჰადიბ, ჰედებ. ისევე დართული ვარიანტებიც (ჰადიბა, ჰედება). ძირისეული და უმომდინარეობს ლ-სა და გ-საგან (სათანადოდ). აღანიშნავია, რომ თლისურში მითებით ელემენტს ჰ-სა და ჰ-საგან (მაგ. ჰე აქედან ჰადივ, ჰედუე და სხვ.), რაც სხვა ენოლოგიებში არ გვხვდება.

აღამ. კლ.

ნივთ. კლ.

სახ. ო-ბა
ერგ. ო-ბა-ლ-უ-რ
ნათ. ო-ბა-ლ-უ-ბ
მიც. ო-ბა-ლ-უ-ლა
აფ. ო-ბა-ლ-უ-ბა

ო-რ
ო-რ-უ-რ
ო-რ-უ-ბ, ო-რ-უ-ლ⁸⁵
ო-რ-უ-ლა
ო-რ-უ-ბა

როგორც ჩანს, მრ. რ-ის ნივთის კლასი I ბრუნებას მისდევს (ირიბ ბრუნვათა ფუძეს უ ხმოვნით აწარმოებს).

სრულებით ასევე იბრუნებიან სხვა ნაცვალსახელებიც (მაგ. სახ. აღჰავ, აღჰაჰ, აღჰაბ, „ეს“, ერგ. აღჰაშაურ, აღჰალაირ. მრ. რ. აღამ. კლ. სახ. აღჰაბა, ერგ. აღჰაბალურ. ნივთ. კლ. სახ. აღჰარ, ერგ. აღჰარურ¹⁸⁵).

§ 68. კითხვითი ნაცვალსახელება ემ-ოს „ვინ“ (იხმარება აღამია-ნების ე. ი. I და II კლასების მიმართ. ცალ-ცალკე კლასების მიხედვით გარჩეული არაა) და ებ-ო „რა“. ბოლოკიდული -ო მიმართებითი ნაწილა-კია, რომელიც იხმარება მაშინ, როდესაც მამაკაცს მიმართავენ კითხვით: როდესაც ქალს მიმართავენ, იხმარება ნაწილაკი -ე, ამრიგად ასეთ შემთხვე-ვაში კითხვითი ნაცვალსახელი მიიღებს ფორმას ემ-ეჲ „ვინ“ და ებ-ე „რა“¹⁸⁶.

¹⁸⁵ ე ვ ა ნ ა დ უ რ შ ი ბ რ ე ნ ე ის ნ ი შ ნ ის წ ი ნ უ ი ვ ე ე ტ ე ბ ა ; ე ჰ უ შ ა უ რ > || უ ჰ შ ა უ რ „მან“ (შდრ. თლნ. ოლჰოშაურ), უ ჰ ე ლ ა ი რ > || უ ჰ ლ ი რ „მან“ (შდრ. თლნ. ოლჰოლ-ი-რ). მიცემითი ბრუნვის დაბოლოებაა -ა (უჰუშა-ა, უჰელა-ა, უეურ-ა და მისთ).

თ ლ ი ს უ რ ს ა და თ ლ ი ბ ი შ ო უ რ შ ი ფ ე ძ ის მ წ ა რ მ ო ე ბ ე ლ შ ა უ და ლ ა ი ე ლ ე მ ე ნ ტ ა მომღვენოდ ერგატრის დ იკ რ გ ე ბ ა . მიცემითის ნიშანია ა, ამასთან წინა-მავალი ხმოვანი შაუ და ლაი ელემენტებისა მოკვეცილია. II ბრუნების სახელებს, რომლებიც II ქვეტობით იბრუნებიან (-ლაი ელემენტით) ნათესაობითის კლასნიშნის ვარიანტი აქვთ (-ლაიბ) იხ. ნათ. ბრ § 46. მაგ., სახ. ჰულდე (I კლ.), „ი“⁸⁶, ერგ. ჰულდე, ნ.თ. ჰულდე-ბ. მიც. ჰულდე-ა; სხ. ჰული (II კლ.), ჰულბ (III კლ.) „ის“, ერგ. ჰულიაი, ნათ. ჰულიაი-ბ, მიც. ჰულია-ა. მრ. რ. ირიბ ბრუნებში ფუძისეული დ ი ც ე ლ ე ბ ა რ დ (თლიბიზოურში) და ლ დ (თლისურში) კომპლექსებით (ამასთან აღამიანისა და ნივთის კლასი გაურჩევლია). თუ ნაცვალსახელის ფუძე ერთ-შედგენილიანია (მაგ. ჰა-), ირიბ ბრუნებში მანც რ დ (ლდ) გამოჩნდება. მაგ. (ფრჩხილებში თლიბიზოური): ს.ხ. ჰა-ბა (ჰა-ბე) „ესენი“ აღამ. კლ., ჰა-რ ნივთ. კლ., ერგ. ჰა-ლ-ო-ლ (ჰა-რდო-ლ), ნ.თ. ჰა-ლ-ო-ბ (ჰა-რდ-ო-ბ) მიც. ჰა-ლ-ა (ჰა-რდ-ე-ა).

¹⁸⁶ ამრიგად, კითხვითი ნაცვალსახელების ფუძეა ემ- „ვინ“ და ე- „რა“. ემ-ფუძეც აღამით იშლება ე და მ ელემენტებად (შდრ. ბოთლიური ეჲ „ვინ“ და ე-ბ „რა“). ებ „რა“ ნაცვალსახელებში ბ, ცხ:დია, კლასის ნიშანია.

ემ-ო-ს „ვინ“ ირიბ ბრუნვებში იყენებს ლ'ა-ო- ფუძეს, ე-ბ-ო კი უცვლელია (გამოიყენება ე ფუძე, კლასის ნიშანი ზ ბრუნებისას არ გაყვება). ე-ბ-ო იბრუნვის II ბრუნების II ქვეტიპით (ე. ი. ლ'აი ელემენტით), ემ-ო-ს კი, რომელიც ლ'აო ფუძეს იყენებს, როგორც ჩანს, I ბრუნების სიტყვა იყო (ლ'ა ფუძე და ო ფუძის მაწარმოებელი). საყურადღებოა, რომ ე-ბ-ო ირიბ ბრუნვებში ლ'ა-ს იღებს, მაგრამ ლ'ა-ს მომდევნოდ აქვს უ და არა ი. სხვაგვარად, საბრუნებელი ფუძის მაწარმოებელი ლ'აი (წარმოშობით ლ'ა+ფუძის მაწარმოებელი ხმოვანი ი) ¹⁸⁷ აქ წარმოდგენილია როგორც ლ'აუ, ე. ი. ფუძის მაწარმოებელ ხმოვნად ლ'ა-ს მომდევნოდ უ გამოდის ¹⁸⁸ (მოსალოდნელი ე-ლ'აი ნაცვლად ე-ლ'აუ-სი დასტურდება იშვიათად).

მრავლობითი რიცხვის ფორმებია ემა-გ-ო „ვინები“ ¹⁸⁹ და ე-რ-ო „რანი“ ¹⁹⁰. მრავლობითი რიცხვის ირიბ ბრუნვათა ფორმები ემთხვევა სათანადო ნაცვალსახელის მხოლოლობითი რიცხვის ირიბ ბრუნვათა ფორმებს.

მხ. რ

მრ. რ.

სახ.	ემ(-ო) „ვინ“	ე-ბ(-ო) „რა“	ემა (გო) „ვინები“	ე-რ(ო) „რანი“
ერგ.	ლ'აო-რ(-ო)	ე-ლ'ა-უ-რ(ო)	ლ'აო-რ(-ო)	ე-ლ'ა-უ-რ(-ო)
ნათ.	ლაო-ბ(-ო)	ელ'ა-უ-ლ'ა(-ო)	ლ'აო-ბ(-ო)	ე-ლ'ა-უ-ლ'ა(-ო)
მიც.	ლ'აო-ლა (-გ-ო)	ე-ლ'აუ-ლა(-გ-ო) და ა. შ.		და ა. შ.
აფ.	ლ'ა-ო-ბა (-გ-ო)	ე-ლ'ა-უ-ბა (-გ-ო)		

ხ უ შ ტ ა დ უ რ შ ი (ოლონდოღურისაგან განსხვავებით) „ვინ“ ნაცვალსახელის ფუძეა (სახელობითში) იმ- „რა“ ნაცვალსახელის მხ. რ. იწარმოება ლ'აი (და არა ლაუ) „ჩანართით“. მრ. რ.-ში „რა“ ნაცვალსახელი ინარჩუნებს მრავლობითის რ-ს, ხოლო ფუძეს აწარმოებს უ. მიმართვის ნაწილაკია მუდამ ა:

სახ. იმ(-ა) „ვინ“, ერგ. ლ'აო-რ(ა), ნათ. ლ'აო-ბ(ა). სახ. ე-ბ (ა) „რა“, ერგ. ე-ლ'აი-რ(ა), ნათ. ე-ლ'აი-ლ'ა(ა). მრ. რ. სახ. იმ(ა) „ვინები“

¹⁸⁷ ეს ი იქითვე მაწარმოებელია ფუძისა, როგორც ი I ბრუნების სახელებში (მაგ. სახ. ჯოჩა „წიგნი“, ირიბ ბრ. ფუძე ჯოჩ-ი).

¹⁸⁸ რაც უჩვეულოა ანდიურ ენათათვის, მაგრამ წესია ხუნძურისათვის (მაგ., ხუნძ. ებელ-ა-ლ'ა-უ-ლ „დღის“).

¹⁸⁹ ემა-გ-ო-ში გ ხმოვანთგანაყარია, მრ. რიცხვის ფუძეა ემა-, რომელიც ემ-ბა (ან ეგ-ბა) ფორმისაგანაა მიღებული. -ბა მრ. რ.-ის ნიშანია არაარსებით სახელებში (იხ. ზემოთ § 40).

¹⁹⁰ ე-რ-ო კანონზომიერ პარადიგმატულ ურთიერთობაშია ე-ბ-ო-სთან: რ ნიშნის კლასის ნიშანია მრავლობით რიცხვში (ცვლის მხ. რ.-ის ბ-ს), ხოლო ო, როგორც ვთქვით, მიმართვითი ნაწილაკია.

(როგორც მხ. რ.), ერგ. ლ'ო-რ(ა) (როგორც მხ. რ.). სახ. ე-რ(ა) „რა-ნი“, ერგ. ე-რ-უ-რ(ა), ნათ. ე-რ-უ-ლ'ა(ა). აქ კლასის რ ნიშანი დაცუ-ლია.

კვანადღურში „ვინ“ და „რა“ ნაცვალსახელის ფუძეს წინ ჰ უძღვის: ჰემ(ი) „ვინ“, ჰებ(ი) „რა“, ჰემა(ა-ი) „ვინები“, ჰერ(ი) „რანი“ (-ი მიმართებითი ნაწილაკია). „რა“ ნაცვალსახელს ირიბ ბრუნვებში ი აღმოაჩნდება. მიცემითი იწარმოება კვანადღურისათვის დამახასიათებელი -ჰა ფორმანტით:

სახ. ჰემ(ი) „ვინ“	ჰე-ბ(ი) „რა“
ერგ. ლ'ო-ო-რ(ი)	ჰე-ლ'ო-რ(-ი)
ნათ. ლ'ო-ბ(ი)	ჰე-ლ'ო-ლ'ა(ი)
მიც. ლ'ო-ჰა(-ა-ი)	ჰე-ლ'ო-ჰა(-ა-ი) > ჰელ'ა(-აი)
აფ. ლ'ო-ბა(-ა-ი)	ჰე-ლ'ო-ბა(-აი)

მრ. რ. ჰემა(-აი) „ვინები“, ჰერ(-ი) „რაები“ ირიბ ბრუნვებში იმეორებს მხ. რ.-ის „ვინ“ და „რა“ ნაცვალსახელებს (სათანადოდ).

თლისურში „ვინ“ ნაცვალსახელის ფუძეა ჰემ-, „რა“ ნაცვალსახელისა —ჰე-(< ჰებ). პირველ მათგანს ირიბ ბრუნვებში ლ'ოო ფუძე ენაცვლება, მეორეს —ჰინ-ლ'ო-ი. ყველა ფორმას ბოლოში -ლა ნაწილაკი დაერთვის:

სახ. ჰემ(ლა) „ვინ“	ჰე(ლა) „რა“
ერგ. ლ'ოო(-დ)(-ლა)	ჰინ-ლ'ოი(ლა)
ნათ. ლ'ოო-ბ(-ლა)	ჰინ-ლ'ოი-ლ'(ლა)
მიც. ლ'ოო-გა(-ლა)	ჰინ-ლ'ო-ა(ლა) < *ჰინ-ლ'ოი-ა(-ლა)

ლ'ოოვალა-ში ვ ფონეტიკური ჩანართია. მიცემითის, აგრეთვე ერგატივის ფორმათა თავისებურებების შესახებ იხ. § 46. სახელობითში ხშირია ჰელმა „ვინ“ (< ჰემ-ლა მეტათეზისით). ნათესაობითში ლა-ს წინ კლასის ნიშანი შეიძლება დაიკარგოს, თუმცა მაშინ ლ ორ ლლ-დ ისმის (ლ'ო-ო-ბ-ლა || ლ'ო-ო-ლ-ლა „ვისი“).

თლიბიშოურში „რა“ ნაცვალსახელს სახელობითში ი ხმოვანი აქვს (ჰილა „რა“).

კითხვითი ნაცვალსახელებისაგანაა ნაწარმოები „ყველა“, „არავინ“: ემი-დ-ლა „არავინ“, ები-და-ლა „არაფერი“ (იხმარება ზმნის უარყოფით ფორმასთან). ემ-ჭაგი-ლა-და „ყველა“ (აღამ.), ებ-ჭაგი-ლა-და „ყველა“ (ნიეთ.)¹⁰¹.

¹⁰¹ ვ -გი ხუნძურია (მღრ. ხუნძ. დუნ-მა-გი „მე მაინც, თუნდაც მე“ შიბ-მა-გი „ნეტავ რა, მაინც რა“).

კითხვითი სიტყვებია ეშთუბ „როგორი“¹⁰², ეშთობ, „რამდენი რა-ზომი“.

§ 69. უკუქცევითი ნაცვალსახელებია: ე-ვ (I კლ.)¹⁰³, ე-ა (II კლ.), ე-ბ (III კლ.) „თვითონ“, მრ. რ. ე-ბა (აღამ.), ე-რ (ნივთ.), ჩვეულებ-რივად. უკუქცევით ნაცვალსახელს დაერთვის ნაწილაკი -და.

ბრუნებისას ფუძე იცვლება: მარტივი ფუძეა ინ-, რომელსაც და-ერთვის I კლასში შაუ, II და III კლასებში—ლ'აი (ე. ი. საქმე გვაქვს II ბრუნებასთან). მრ. რ.-ში ინ- ფუძეს დაერთვის დ და ფუძის მწარ-მოებელი უ. ადამიანისა და ნივთის კლასების მრ. რ.-ის ირიბი ბრუნვე-ბი საზიაროა.

მხოლოდობითი რიცხვი

სახ.	ე-ვ(-და) (I კლ.) „თვითონ“	ე-ა(-და) (II კლ.), ე-ბ(-და) (III კლ.)
ერგ.	ინ-შაუ-რ (-და)	ინ-ლ'აი-რ (-და)
ნათ.	ინ-შაუ-ბ (-და)	ინ-ლ'აი-ლ'ა(-და)
მიც.	ინ-შაუ-ლა (-და)	ინ-ლ'აი-ლა(-და)
აფ.	ინ-შაუ-ბა (-და)	ინ-ლ'აი-ბა(-და)

მრავლობითი რიცხვი

სახ.	ე-ბა(-და) (აღამ.) ე-რ(-და) (ნივთ.)
ერგ.	ინ-დ-უ-რ (-და)
ნათ.	ინ-დ-უ-ბ (-და)
მიც.	ინ-დ-უ-ლა(-და)
აფ.	ინ-დ-უ-ბა(-და) ¹⁰⁴

¹⁰² კვანად. ჰეშთუ-ე, ჰეშთუ-მ, ჰეშთუ-ბ; ჰეშთუ-ბა, ჰეშთუ-რ.

¹⁰³ ზოგჯერ ისმის ოდნავი ნაზალიზაცია: ეშ-ე.

¹⁰⁴ კ ვ ა ნ ა დ უ რ შ ი მიც, ბრ. თავისებურია (იხ. § 46): ინ-შაუ (თლონდ. ინ-შაულა), ინ-ლ'აი (თლონდ. ინ-ლ'აილა), ინ-დუ (თლონდ. ინ-დულა). მრ. რ.-ის ნივთის კლასში გვაქვს პარალელური ფორმები: სახ. ე-რ (-და) „თვითონ“, ერგ. ირ-ი-რ (და) || ინდ-ირ (და), ნათ. ირ-ი-ლ'ა (და) || ინდ-ი-ბ(და), მიც. ირ-ი-ლა(და) || ინდ-ი-ლა(და), აფ. ირ-ი-ბა(და) || ინდ-ი-ბა(და).

თ ლ ი ს უ რ შ ი ც სხვაობა დღი არაა. თანაბმად ამ კლოკავი-ათვის დამახა-სიათებელი თავისებურებისა ერატივის დ მოკვეცილა. მიცემითს ა აწარმოებს; ხოლო ნათ. კლასნიშნინია;

სახ.	ეუ-და, ევ-ი-და (I კლ.) ეა-ი-და (II კლ.), ებ-ი-და (III კლ.)	ება-და (აღამ.) ერ-და (ნივთ.)
ერგ.	ინშაუ-და	ინლ'აი-და ინდ-უ-და
ნათ.	ინშა-უ-ბ-და	ინლ'აი-ბ-და ინდ-ო-ბ
მიც.	ინშაუ-ნ-და	ინლ'აი-ნ-და ინდუ-ა-და

თლიბიშოური თლისურს მიყვება (ოლონდ მრ. სახ. იქნება ებე-და, ერე-და).

§ 70. დანარჩენი ნაცვალსახელები: ემჭაგილა, ებჭაგილა „ყვე-
ლა“¹⁸⁵, ნაწარმოებია კითხვითი ნაცვალსახელისაგან ემ „ვინ“, ე-ბ „რა“,
რომელთაც ერთვის ხუნძქური ნაწილაკი ჭა-გი და ბაგვალური ნაწილაკი
-ლა (იმავე ხუნძქური გი ნაწილაკის ფარდი).

ზმნა

§ 71. ზოგადი. ორგანული წარმოების ზმნური ფორმებით ბაგვა-
ლური არ არის მდიდარი. თუ ნაწარმოებ და აღწერით ფორმებსაც მი-
ვიღებთ მხედველობაში, წარმოგვიდგება ზმნურ ფორმათა საკმაოდ რთუ-
ლი სისტემა, რომლის ყოველი წევრი გამჭვირვალე აგებულებისაა.

ზმნა იცვლება კლასისა, რიცხვისა და დრო-კილოთა მიხედვით. პი-
რის კატეგორია უცხოა. ყველა ზმნური აფიქსი სუფიქსს წარმოადგენს.
გამონაკლისს კლასის ნიშანი ქმნის, რომელიც პრეფიქსის სახით გვევლი-
ნება (მხოლოდ ნაწარმოებ ფორმებში გვაქვს სუფიქსური კლას-ნიშნები).

§ 72. გრამატიკული კლასი. ზმნათა მნიშვნელოვანი ნაწილი კლას-
ნიშნიანია (კლასის ნიშანი პრეფიქსია, გარდა რამდენიმე შემთხვევისა,
სადაც კლასის ნიშანი ინფიქსს წარმოადგენს). მაგ. კლასნიშნიანი ზმნე-
ბია: ბ-ალილა „ძახილი“, ბ-ასინა „თხრობა“, ბ-აყაშილა „დამალვა“,
ბ-აწილა „მიღწევა“, ბ-ეთილა „დატოვება“, ბ-ელჰილა „წაყვანა“, ბ-ე-
თილა „შეწვა“, ბ-ეწილა „აესება“, ბ-ილჰინა „ხარშვა“, ბ-იშილა „და-
კერა“, ბ-იჰილა „კედომა“, ბ-უჟულა „ყოფნა“, ბ-ულჰუნა „გაგება“, ბ-
ულილა „გაგზავნა“, ა-ბ-ათითელა „რხევა“ და სხვ. მრ. უკლასნიშნოა:
აჰილა „ფქვა“, ეშილა „დაკეტვა“, იჰილა „კეთება“, ყენა „ჭამა“, ჯა-
რილა „ტირილი“, ჯენლა „წერა“, ჰერილა „შეშინება“, ჰიტილა
„თქმა“ და სხვა.

ზმნის კლასის ნიშანი ასახავს გრამატიკულ კლასს ზმნასთან და-
კავშირებული იმ არსებითი სახელისა, რომელიც სახელობით ბრუნვაშია
დასმული. ამრიგად, ზმნაში აისახება ქვემდებარის კლასი—როცა ზმნა
გარდაუვალია, ან პირდაპირი დამატების კლასი—როცა ზმნა გარდა-
მაგალია¹⁸⁶.

გ ა რ დ ა უ ვ ა ლ ი ზ მ ნ ა (აისახება კლასი ქვემდებარისა, რომელიც
სახელობით ბრუნვაშია):

I კლ. ეჰუნ	ვ-იჰა	„მჭედელი მოკვდა“
II კლ. მაშ	ჟ-იჰა	„ქალი მოკვდა“
III კლ. ზინ	ბ-იჰა	„ძროხა მოკვდა“

¹⁸⁵ კენადური ქემჭაგილა. ქემჭაგილა.

¹⁸⁶ ზმნები, რომელთაც რეალური ქვემდებარე არა-სახელობითში აქვთ (ერგა-
ტუში, მიცემითში, აფექტივი...), ცხადია, ამ ქვემდებარის კლასს ბრ ასახვენ.

მრ. ადამ. ეპომი (მაშობადი) ბ-იქირ „მქედლები (ქალები) მოკედნენ“
მრ. ნივთ. ზინა რ-იქა „ძროხები მოკედნენ“.

გარდაამავალი ზმნა (აისახება კლასი პირდაპირი დამატებისა, რომელიც სახელობით ბრუნვამია)¹⁶⁷:

- | | |
|--------------------------|--------------------------|
| I კლ. ბაწურ ვ-იხ-ი ეჰუნ | „მგელმა დაიქირა მქედელი“ |
| II კლ. ბაწურ ჟ-იხ-ი მაშ | „მგელმა დაიქირა ქალი“ |
| III კლ. ბაწურ ბ-იხ-ი ზინ | „მგელმა დაიქირა ძროხა“ |

მრ. ადამ. ბაწურ ბ-იხ-ი ეპომი (მაშობადი) „მგელმა დაიქირა მქედ-
ლები (ქალები)“

მრ. ნივთ. ბაწურ რ-იხ-ი ზინა „მგელმა დაიქირა ძროხები“

ქვემდებარის კლასისა და რიცხვის ცვლა გარდამავალ ზმნასთან კლასზე გავლენას ვერ ახდენს (ბაწირბარ ვ-იხ-ი ეჰუნ „მგლებმა დაიქირ-
არეს მქედელი“, მაშლ'იხ-ი ვ-იხ-ი ეჰუნ „ქალმა დაიქირა მქედელი“, მაშ-
ბადალურ ვ-იხ-ი ეჰუნ „ქალებმა დაიქირეს მქედელი“)¹⁶⁸.

კლასის ის ნიშანი, რომელსაც ზემოთ შევეხეთ, კლასნიშნიან ზმნას ყველა ფორმაში აქვს (განურჩევლად დროისა, კილოსი და სხვ.), მაგრამ ზმნას შეიძლება აღმოაჩნდეს კლასის ნიშანი გარკვეულ ნაკვეთთა წარ-
მოებისას (მაგ. ნამყოს აბსოლუტივში, მიმღობაში), რამდენადაც ამ ნაკვეთთა მაწარმოებელი მორფემა კლასნიშნიანია. ასეთ შემთხვევაში კლასნიშნიან ზმნას ორი კლასის ნიშანი ექნება: ერთი პრეფიქსული (იმთავითვე არსებული, ზმნის ფუძეს მიკედლებული), ერთი სუფიქსუ-
რი (სათანადო ნაკეთის მაწარმოებელი), მაგ. ვ-იქა-ვ-ო „მოკედა რა“. უკლასნიშნო ზმნას ასეთ შემთხვევაში მხოლოდ სუფიქსური კლასის ნიშანი (სათანადო ნაკეთის მაწარმოებელი) ექნება, მაგ. პიტვი-ვ-ო „თქვა რა“ (ასეთი კლასის ნიშნები განხილულია სათანადო ნაკვეთების წარმოებასთან დაკავშირებით).

§ 78. ზმნის ფუძეთა კლასიფიკაცია და უღვლილების ტიპები¹⁶⁹.
ზმნის დრო-კილოთა და წარმოქმნილ ფორმათა წარმოება საკმაოდ ერთ-
გვაროვანია, მაგრამ ურის რიგი ფაქტორი, რაც იწვევს ერთი და იმავე კატეგორიის წარმოებას სხვადასხვა ზმნასთან განსხვავებული სუფიქსე-

¹⁶⁷ „პირდაპირი დამატება“, „ქვემდებარე“, „გარდამავალი ზმნა“ აქ პირობი-
თ. და ნახმარი, რამდენადაც სინტაქსურ კონსტრუქციასთან დაკავშირებით ქვემდებარე-
დამატების საკითხი ბავალურში (და მონათესავე ენებში) თავისებურად დგას.

¹⁶⁸ მრავლობით რიცხვში კლასის შესახებ იხ. ჭეშოთ.

¹⁶⁹ ანდიურ ენათა ზმნური ფუძეების კლასიფიკაციის შესახებ იხ. ჩუენი Сравни-
тельные анализ глагольных основ в аварском и андийских языках. Махачкала,
19 Է9. „ბოთლიხური ენა“, თბილისი, 1962.

ბით. პირველ რიგში გასათვალისწინებელია ფონეტიკური ხასიათის ცვლილებები, რაც ხდება ზმნის ფუძეზე სუფიქსების დართვისას. ზმნის ფუძის ფონეტიკური რაგვარობა განსაზღვრავს სუფიქსის სახეს. ამრიგად, აუცილებელია გავითვალისწინოთ ზმნის ფუძეთა ფონეტიკური კლასიფიკაცია.

არის სხვა ფაქტორებიც. ზმნები, თუ ინიფინიტივის დაბოლოების მიხედვით ვიმსჯელებთ, ქმნიან ორ რიგს: ლ რიგს და ნ რიგს. სხვაობა ამ ორ რიგს შორის აისახება დრო-კილოთა და ნაწარმოებ ფორმათა სუფიქსების უმეტესობაში, ამასთან ნ რიგის ზმნებისათვის სპეციფიკურია ნ-ს (ან ნახალტრობის ელემენტის) მონაწილეობა სუფიქსში.

არაფონეტიკური ხასიათისაა რამდენიმე ფაქტორი, რაც სუფიქსთა სხვაობას იწვევს. აქ გასათვალისწინებელია ზმნის გარდამავლობა და გარდაუვლობა, რაც აისახება ბრძანებითის ფორმაში (სხვადასხვა სუფიქსის გამოყენებით). ასევე გასათვალისწინებელია, რომ ნამყოს წარმოებაში გამოიყოფა ზმნათა ორი ჯგუფი, რასაც პირობით ვეძახით „ი ჯგუფს“ და „ა ჯგუფს“ — ნამყოს ძირითადი ნიშნების მიხედვით.

1. ზმნის ფუძის დაბოლოების მიხედვით გამოიყოფა შემდეგი ჯგუფები:

1. თ ა ნ ხ მ ო ვ ა ნ ფ უ ძ ი ა ნ ი ზ მ ნ ე ბ ი. ზმნის ფუძე დაბოლოებულია ნებისმიერ თანხმოვანზე (გარდა კომპლექსისა თანხმ. + ვ და ნ-სი, ნაწილობრივ რ-სი. იხ. ქვ.). მაგ., ჰიტა- „თქმა“, ბეშა- „ქსოვა“, ვიქ- „კვლევა“, ბილ- „დგომა“, იპ- „კეთება“, ბაწა- „შეკითხვა“. ეს ჯგუფი ყველაზე მრავალრიცხოვანია. ზმნური სუფიქსები ფუძეს დაერთვის ფონეტიკური ცვლილებების გარეშე (მაგ., ინფინ. ჰიტა-ილა „თქმა“, ნამყ. ჰიტა-ი „თქვა“).

2. ლ ა ბ ი ა ლ უ რ ფ უ ძ ი ა ნ ი ზ მ ნ ე ბ ი. ასე აღენიშნავეთ ზმნურ ფუძეს, რომელიც ბოლოვდება კომპლექსით თანხ. + ვ., მაგ. ბუყვ- „ჭრა“, ექვ- „ჭამა“, ბუტვ- „დაკვლა“. სუფიქსური ი ხმოვნის (ან ი-თ დაწყებული სუფიქსის) დართვისას ფუძისეული ვ და მომდევნო ი ერთმანეთს ერწყმის, შედეგად ვიღებთ უ ხმოვანს (მაგ. ინფინ. ბუყულა „ჭრა“ < ბუყვ-ილა, ნამყ. ბუყუ „გაჭრა“ < ბუყვ-ი, შდრ. ბუყვ-აი „გაჭერა!“).

3. ხ მ ო ვ ა ნ ფ უ ძ ი ა ნ ი ზ მ ნ ე ბ ი. ხმოვანფუძიანი ზმნები შედარებით მცირერიცხოვანია: ბ-ი- „ცოდნა, ცნობა“ (ზ კლასის ნიშანია), ბ-ა- „მოსვლა“ (ზ კლასის ნიშანია), ჰა- „ნახვა“²⁰⁰. ამგვარ ფუძეზე ხმოვანი

²⁰⁰ ამგვარ ზმნათა უმეტესობა მეორეულია: ისტორიულად დაკარგულია ფუძის ბოლო თანხმოვანი. მაგ. ბი „ცოდნა“ < *ბიყ-ი-ჰა-„ნახვა“ < *ჰაყ-ი (ისტორიული ყ- ბა- გველურში იძლევა ე. შ-ს იხ. ფონეტიკური ნაწილი). თლისურში ხმოვანფუძიანი ზმნები თითქმის არც გვხვდება.

(ან ხმოვნით დაწყებული) აფიქსის დართვა იწვევს რიგ ფონეტიკურ ცვლილებებს. მაგ. ინფინ. *ბი-ილა „ცოდნა“ > ბნლა, *ჰა-ინა „ნახვა“ > პნა (ეს ზმნა ნ-ს რივისაა). ნამყ. ბი-ჲ-ა „იკლდა“ (ა ფონეტიკური ჩანართია, ხმოვანთგასაყარი), პნ < *ჰა-აჲ „ნახა“.

4. მე რ ყ ე ე ი რ, ნ თ ა ნ ხ მ ო ვ ნ ე ბ ი თ და ბ ო ლ ო ე ბ ო ლ ი ზ მ ნ ე ბ ი. ზმნათა ერთი რიგი ზოგ ფორმაში ხმოვანფუძიანია, ზოგში— თანხმოვანფუძიანია, ესაა რ და ნ თანხმოვნებით დაბოლოებული ზმნური ფუძეები, რომლებიც ზოგ ფორმაში ხმოვნის მომდევნო რ, ნ-ს კარგავენ. მაგ. რ და ნ იკარგება ინფინიტივში, რ (მაგრამ არა ნ) იკარგება ნამყოში. აწმყოში, ბრძანებითში რ, ნ დაცულია. იქ, სადაც თანხმოვანი დაკარგულია, ფუძე ხმოვანზე დამთავრებული გამოდის, რაც გზას უხსნის ფონეტიკურ პროცესებს (უპირატესად შერწყმას მომდევნო სუფიქსისეულ ხმოვანთან). მაგ. ჰვარ-/ჰვა- „წერა“, ინფინ. ჰვა-ილა > გნვლა, ნამყ. ჰვა-ი > გნვ „დაწერა“, შდრ. ბრძან. ჰვარ-ა! „დაწერე!“ ასევე: წვარ-/წვა- „სმა“, „დალევა“, ინფინ. წვა-ილა > წვალა, ნამყ. წვა-ი > წვ „დალია“, ბრძან. წვარ-ა! „დალიე!“ შდრ. ნ თანხმოვნით დაბოლოებული ფუძე: ყან-/ყა- „ჭამა“ (გარდამავალი ზმნა): ინფინ ყა-ინა > ყნა, ნამყ. ყან-ი „შეჭამა“. ბრძან. ყან-ა! „ჭამე!“ ასევე: ტან-/ტი- „დასხმა“ (წყლისა და მისთ.): ინფინ. ტი-ინა > ტნა, ნამყ. ტან-ი „დაასხა“, ბრძან. ტინ-ი! „დაასხა!“

მიზეზი ზმნის ფუძისეული რ/ნ-ს რყევისა ფონეტიკური პოზიციისა: ის ზმნური ფუძეები, რომლებიც ისტორიულად რ-ზე ბოლოვდებიან, პოზიციაში -არი- (-vრი) კარგავენ რ-ს და ამის შედეგად აღგილი აქვს ხმოვანთა შერწყმას. მაგ. „წერა“ ზმნის ფუძეა ჰვარ-, რომელიც თლონდოლურში ინფინიტივში მოგვეცემდა ჰვარ-ილა-ს, მაგრამ რ ჩავარდა და ჰვარ-ილა > გვა-ილა > გნვ-ლა. შდრ. ნამყო გნვ (< ჰვარ-ი). სხვა პოზიციაში ჰვარ- დაცულია (გვარახ ირა „წერს“), კილოკავებში კი შეიცვალა თანახმად წვისისა (ნამყო: ხუშტ. გვაჲ < გვა-ი < გვარ-ი; კვან. გვჲ < გვა-ი < გვარ-ი. იხ. ფონეტიკური ნაწილი, § 12). ამავე ტიპის ფუძეებია ყარ- „მზადება“, ტარ- „რბენა“, ტარ- „წველა“. მეორეული რ (მაგ. დსაგან მიღებული, იხ. § 23) ამ პროცესს არ ემორჩილება: ჰარ-ილა „ტირილი“, ჰარ-ი „იტირა“ (ფუძე ჰარ- < *ჰად-, შდრ. ბოთლიხ. ჰად-, თლის.-თლაბ. ჰად-). თლისურ-თლიბიშოურში ფუძისეული რ/ნ არ იკარგება.

ნ-ზე დაბოლოებული ფუძეები დისიმილაციურად კარგავენ ნ-ს (მომდევნო ნ-ს გაელენით ინფინიტივში), რაც გზას უხსნის ხმოვანთა შერწყმას: „ყან-ინა „ჭამა“ (ინფინიტივი) > *ყა-ინა > ყნა (თლონდ.), ყანა (ხუშტ.), ყნა (კვან.). ნამყო კი ყველგან ერთნაირია: ყან-ი. ასევე:

*გან-ინა „წევა“ (<*გან-ილა) >გან-ინა >გნა (თლონდ.), განა (ხუშტ.), გნა (კვან.), შდრ. ნამყო გან-ი.

II. გამოიყოფა ზმნათა ორი რიგი, რომელსაც პირობით (ინფინიტივის დაბოლოების მიხედვით) ვეძახით „ლ რიგს“ და „ნ რიგს“²⁰¹. ლ რიგისათვის დამახასიათებელია ინფინიტივის -ი-ლა დაბოლოება, ხოლო ნ რიგისათვის—ი-ნა. ზმნათა დიდი უმეტესობა ლ რიგისაა. მაგ. (ლ რიგი): იპ-ილა „კეთება“, პიტ-ილა „თქმა“, ბეშ-ილა „ქსოვა“, ბიკ-ილა „კვდომა“, ჰველა „წერა“, ბუყულა „ქრა“, (ნ რიგი): ბას-ინა „თხრობა“, ბაწ-ინა „შეკითხვა“, ექუნა „ჭამა“.

ღრო-კლოთა წარმოებისას ლ რიგს ნ რიგი უპირისპირდება იმით, რომ ეს უკანასკნელი ნ-ს (ან ნაზალზებული ხმოვნის) შემცველ სუფიქსებს დაირთავს:

ლ რიგი	ნ რიგი
ინფინ. იპ-ილა „კეთება“	ბას-ინა „თხრობა“
ნამყ. იპ-ი	ბას-აჲ
ბრძან. იპ-ა!	ბას-აჲ!
მსდ. იპ-ი-რ	ბას-ან

III. გარდამავლობა-გარდაუვალობა ზმნისა მორფოლოგიურად ასახულია ბრძანებითის წარმოებაში (სინტაქსურად მას წინადადების კონსტრუქცია ასახავს—გარდამავალ ზმნასთან ერგატიული კონსტრუქცია გვაქვს, გარდაუვალთან—ნომინატიური. არსებითად სინტაქსური ხერხია კლასის ნიშნების აღნიშვნაც ზმნაში: გარდამავალ ზმნაში აღნიშნულია რეალური ობიექტის, ხოლო გარდაუვალ ზმნაში რეალური სუბიექტის კლასი). გარდამავალ ზმნათა ბრძანებითში გამოყენებულა სუფიქსი ა (ნ რიგის ზმნებში აჲ), გარდაუვალ ზმნებში—ა-ბე (ნ რიგის ზმნებში ა-მე < აჲ-ბე). მაგ. (გარდამავალი ზმნები): იპ-ა! „გააკეთე!“ ჰარ-ა! „თხოვე!“ წაარ-ა „დალიე!“ პიტ-ა! „თქვი!“ ბაწ-აჲ! „ჰკითხე!“ ბას-აჲ! „უამბე!“ (გარდაუვალი ზმნები): ენ-ბე! „მოდი!“ ვიკ-აბე! „მოკვდი!“ სქე-ამე! „ჭამე!“²⁰²

²⁰¹ ლ და ნ რიგების დაპირისპირება საერთო მოვლენაა ხუნძურ-ანდიურ ენებში. ისტორიულად ლ რიგი დ რიგს წარმოადგენს.

²⁰² „ჭამა“ გარდამავალი შინაარსით ყან- ფუძით ვადმოიცემა. გარდაუვალი შინაარსით კი ექვ- ფუძით. „წაღება“, „მოსვლა“ გარდამავალი შინაარსითაც შეიძლება იქნეს ნახმარი. მაშინ ქვემდებარე ერგატივში დაისმის, კლასის ნიშანი ობიექტს აღნიშნავს, ხოლო მნიშვნელობა ზმნებისა იქნება „წაღება, მოტანა“ (სათანადოდ).

IV. ნამყო ღროის წარმოებაში ზმნები ორ ჯგუფს ქმნის, ერთა მათგანის დაბოლოებაა ი (და მისა ვარაანტები ე. უ, იე), მეორისა—ა (ნ რიგის ზმნებში--აფ)²⁰⁰. ზმნათა უმრავლესობა ი ჯგუფს განეკუთვნება²⁰¹. მაგ. (ი ჯგუფი): იპ-ი „გააკეთა“, პიტე-ი „თქვა“, ვილ-ი „გაჩერდა“, ბუყუ (< ბუყვი) „გაქრა“, ჰეჰ (< ჰევა-ი) „დაწერა“, ბაწე-ი „ჰკითხა“ (ა ჯგუფი): ვიქ-ა „მოკვდა“, ბას-აფ „უამბო“, ექე-აფ „შექადა“.

ზემოთ განხილული ოთხი ძირითადი ჰირობა, რამაც ზმნური სუფიქსის სახე შეიძლება განსაზღვროს, ამა თუ იმ ფუძესთან სხვადასხვაგვარი კომბინაციით გვხვდება: ლ (ან ნ) რიგის ზმნა შეიძლება იყოს თანხმოვანფუძიანიცა და ხმოვანფუძიანიც, გარდამავალიცა და გარდაუვალაც, ი ჯგუფისაც და ა ჯგუფისაც. მაგ. იპ-ილა „კეთება“ ლ რიგისაა, თანხმოვანფუძიანი, გარდამავალი, ი ჯგუფისა. ბას-ინა „თხრობა“ ნ რიგისაა, თანხმოვანფუძიანი, გარდამავალი, ა ჯგუფისა. ბუყულა „ქრა“ ლ რიგისაა, ლაბიალურფუძიანი, გარდამავალი, ი ჯგუფისა და ა. შ. ზმნათა ამგვარი დახასიათება ტაბულის სახით შეიძლება წარმოვიდგინოთ (სანამუშოდ მოგვყავს რამდენიმე ზმნა, ერთმანეთისაგან რაიმე ნიშნით განსხვავებული. პლუს-ით აღნიშნულა ის ნიშანი, რაც ამ ზმნას ახასიათებს).

	ფუძის ფონეტ. სახე				რიგი		ჯგ. უ		გარდამავ.	
	თანხმ.	ხმოვ	ლაბ.	ნ/რ	ლ	ნ	ი	ა	გარდამ.	გარდამ.
იპილა „კეთება“	+				+		+		+	
ბუყულა „ქრა“			+		+		+		-	
ბიქილა „კვდომა“	+				+			+		+
ბასინა „თხრობა“	+					+		+		+
ბაწეინა „ჰკითხვა“	+					+	+			+
ჰენა „ნახვა“		+				+		+		+
ჰეჰლა „წერა“				+	+			+		+

²⁰⁰ განსხვავება ამ ორ ჯგუფს შორის შეიძლება აღმოჩნდეს არა მხოლოდ ნამყოს წარმოებაში. ზმნათა ეს ორი ჯგუფი გამოიყოფა სხვა ანალიურ ენაშიც (იხ. ჩვენი „ბოთლიხური ენა“, გვ. 108).

²⁰¹ ამჟამად ძველა მიეუთითოთ, თუ რა ფორმალური ან შინაარსეული საფუძველი აქვს ამგვარ დაყოფას. შეინიშნება, რომ ა (აფ) დაბოლოება უპირატესად გარ-

§ 74. ზმნის ფუძეთა წარმოების შესახებ. ზმნის ფუძეთა წარმოება არაა მრავალფეროვანი. ყველაზე გავრცელებულია გარდაუვალი შინაარსის ნასახელარ ზმნათა წარმოება ლპ, ჰ სუფიქსით²⁰⁵: ლპ უპირატესად თანხმონის მომდევნოდ გვაქვს (თუმცა, როგორც წესი, ეს თანხმონი სუფიქსშია გაუჩინარებული), ხოლო ჰ—უპირატესად ხმონის მომდევნოდ: ჰაწა-ჰ-ი „გათეთრდა“ (შდრ. ჰაწა-ბ „თეთრი“), ზალ-ლპ-ი „გაცივდა“ (შდრ. ზარ „ყინული“, ზალპი < ზარ-ლპ-ი), ბეჩე-ლპ-ი „გამდიდრდა“ (შდრ. ბეჩე-ბ „მდიდარი“, ბეჩელპი < ბეჩე-ლპ-ი), ზაჰამა-ლპ-ი „გაძნელდა“ (< ზაჰამათ-ლპ-ი), წოდო-ლპ-ი „დატკვიანდა“ (< წოდო-ლპ-ი).

ამგვარად ნაწარმოები ზმნები იუღელან როგორც ჩვეულებრივი გარდაუვალი ზმნები („ლ რივისა, ი ჯგუფისა“). ამ ზმნებისაგან ნაწარმოებ მასდარს აბსტრაქტული სახელის გაგება აქვს; ჰო-ლპ-ირ „სიკეთე“, ბეჩე-ლპ-ირ „სიმდიდრე“, წოდო-ლპ-ირ „სიბრძნე“, ჰაწა-ჰ-ირ „სითეთრე“. (იხ. მასდარის წარმოება)²⁰⁶.

საკმაოდ გავრცელებულია ზმნის ფუძის რედუბლიკაცია, რაც გადმოსცემს მოქმედების შესრულების მრავალჯერობას (ეს ზოგჯერ გაიზრება როგორც სიმრავლე სამოქმედო ობიექტისა—გარდამავალ ზმნებთან, ან ქვემდებარისა—გარდაუვალ ზმნებთან).

ფუძის გაორკეცების დროს კლასის ნიშანი (მომდევნო ხმონერთურთ) არ მეორდება, ნ-ზე დამთავრებულ ზმნებს პირველ ნაწილში ნ ჩამოსცილდება: ჰვა-ჰვან. „გადაბმა“ (მაგ. რამდენიმე თოკისა), კარ-კარ-„ჩამოკიდება“, ხაბ-ხარ-„დაგლეჯა“.

ნასესხები ზმნური ფუძეები დართავენ ირ ელემენტს, რომელსაც მოსდევს დრო-კილოთა აფიქსები. მაგ. ქანტ-ირ- „მიხვედრა“ (ხუნძ.

დაუვალ ზმნებში გვხვდება. ნ რივის ზმნები იშვიათ გამონაკლისს გარდა ა ჯგუფში შედის. საკუთრადღეობა, რომ კახუბატური ზმნები (განურჩევლად იმისა, თუ რა რიგისა და რა ჯგუფის ზმნისაგანაა კახუბატური ნაწარმოები) მდამ ი ჯგუფს განეკუთვნება. იქნებ შორეულ წარ-ულში ი გარდამავალ ზმნათა ნამყოფი ნიშანი ყოფილიყო, ა კი გარდაუვლებისა. საკითხი შესაწავლია.

²⁰⁵ ეს ლპ, ჰ ხენძერ-ანდურ ენებში კარგად ცნობილი ლ სუფიქსია ბავალურში ფონეტიკურად ცვლილი.

²⁰⁶ ხუბატდურში ეს აფიქსი წარმოდგენილია როგორც ლპ, კვანადურში -ლ (ხან-ლი „ხანად იქცა“, ბიტ-ლი „გასწორდა“. ჩი-ლიეო „კაცად იქცა რა“, ზა-ლი „გაიყინა, გაცივდა“). თლისურ-თლიზიზორში დაცულია ლ (ზა-ლი-იდა „იყინება“, მიყი ბიტლი-ი! „გზა (წორი გექნეს!“). ეს სუფიქსი ნამყოფი აბსოლუტივის დაბოლოებით შეიძლება დართონ უკვე გაფორმებულ სახელს (მნიშვნელობით „გამო, მეოხებით. შემწეობით“): ხუბტ. ალლაჰამუღლა-ლპ-ი-ბ-ო „ღვთის შემწეობით, გამო“, კვან. ოლ-შალი-ბ-ო „იმის მეოხებით, გამო“.

ქანტ-), ურდ-ირ- „დაფიქრება“ (ხუნძ. ურდ-), ხ-იხ-ირ- „დაცვა, მოვლა“ (ხუნძ. ხ-იხ-), ბეპ-ირ- „შეძლება“ (ხუნძ. ბეპ-) და სხვ. მრ.²⁰⁷

§ 75. რიცხვი. მრავლობითი რიცხვის გადმოცემა ზმნაში როგორც გადმოცემის (აღნიშვნის) ზოგადი პრინციპების, ისე მეტწილად გადმოცემის საშუალებითაც გრამატიკული კლასის კატეგორიას უკავშირდება²⁰⁸.

მრავლობითი რიცხვის აღნიშვნა შეუძლიათ იმ ზმნებს, რომელთაც გრამატიკული კლასის ცვლადი ნიშანი აქვთ. ამრიგად, ზმნათა მნიშვნელოვანი ნაწილი (უკლასნიშნო ზმნები) მხოლოდობითა და მრავლობით რიცხვს არ განარჩევს²⁰⁹.

მრავლობითი რიცხვის გადმოსაცემად გამოყენებულია სამი საშუალება:

1. გრამატიკული კლასის ნიშნის (პრეფიქსის) ცვლა.
2. გრამატიკული კლასის ნიშნის მომდევნო ხმოვნის ცვლა.
3. სპეციალური სუფიქსი.

§ 76. რიცხვის აღნიშვნა გრამატიკული კლასის ნიშნებით. ამგვარი აღნიშვნა, ცხადია, მხოლოდ ისეთ ზმნებს შეუძლიათ, რომელთაც კლასის ცვლადი ნიშანი აქვთ (ე. ი. ზმნათა საერთო რაოდენობის დაახლოებით ნახევარს). რიცხვი გადმოიცემა კლასის ნიშნით, აღნიშვნის პრინციპიც კლასურია: აღნიშვნება სიმრავლე ზმნასთან დაკავშირებული იმ სახელისა, რომლის გრამატიკული კლასიცაა ზმნაში წარმოდგენილი (გარდამავალი ზმნის RO, გარდაუვალის RS, ორსავე შემთხვევაში საქმე გვაქვს სახელობით ბრუნვაში დასმულ სახელთან).

²⁰⁷ ხეშტადერში. თლისურში. თლიბიშოურში -ილ გვაქვს (რაც უფრო ძველი სახეა). ურდ-ილ- „დაფიქრება“, წაალ-ილ- „წაითხვა“, ქეატ-ილ- „დაგვიანება“. ბეპ-ილ- „შეძლება“. ანალოგიური მოყენა გავრცელებულია სხვა ანდიურ ენებშიც. -ილ ე. წ. ზმნის ფუძის ნიშანია, რომელიც სონორ (და ზ) თანამოვანთა მომდევნოდ უხმოვნოდ გამოდის (ღ).

²⁰⁸ დაწვრილებით იხ. ჩუენი „რიცხვის კატეგორიისათვის ანდიურ ენათა ზმნაში“, ენათმეცნ. ინტ. XVIII სამეცნ. სესიის თეზისები. თბილისი, 1959.

²⁰⁹ ბაგვალურში (და ხუნძურ-ანდიურ ენებში საერთოდ) რიცხვის კატეგორია არაა ენივერსალური. ის კლასის ნიშნებითაა შეპირობებული: რიცხვის კატეგორია ზმნაში წარმოდგენს კლასის ნიშნის ერთ-ერთ ფუნქციას. ისტორიულად ზმნას რიცხვი საერთოდ არ უნდა ჰქონოდა, მისი გადმოცემა მოგვიანებით დაეკისრა კლასის ნიშანს, რომელსაც თავისი საკუთარი ფუნქცია ჰქონდა.

ანდიურ ენებში რიცხვის კატეგორია არაა აბსტრაქტული (ზოგადი)—ეს კატეგორია კლასურია: რიცხვი დიფერენცირებულია კლასის მიხედვით (აღამიანის კლასის მრ. რ. და არა საერთოდ მრ. რ.). ეს კონკრეტულ-კლასური რიცხვი ანდიურ ენათა სპეციფიკაა (განსხვავებული ხუნძურისაგან, რომელსაც გამოუმუშავდა აბსტრაქტული რიცხვის ნიშანი რ, საერთო ყველა კლასისათვის).

რიცხვის აღნიშვნის ეს წესი ზმნის ყველა ფორმას აქვს (დრო, კილო, მასდარი, ინფინიტივი, მიმღეობა), რამდენადაც კლასნიშნიან ზმნას კლასის ნიშანი არსად სცილდება.

ამგვარი აღნიშვნის ფორმალურ საფუძველს წარმოადგენს სხვადასხვა კლასის ნიშნის გამოყენება მხოლოობითსა და მრავლობითში.

მხოლოობითი რიცხვის სამ კლასს მრავლობითში უპირისპირდება ორი კლასი: ადამიანის კლასი (რომელიც აერთიანებს მხ. რ.-ის I და II კლასებს) და ნივთის კლასი (მხ. რ.-ის III კლასი). მრ. რ.-ში კლასის ნიშნებია ბ (ადამ. კლ.) და რ (ნივთ. კლ.). სქემატურად:

მხ. რ.	მრ. რ.
I კლ. ვ } II კლ. ა }	ადამ. კლ. ბ
III კლ. ბ	ნივთ. კლ. რ

გ ა რ დ ა უ ვ ა ლ ი ზ მ ნ ა (აღნიშვნება RS-ის კლასი და სიმრავლე):

ვ-შა	ვ-იქა	„ვაეი მოკვდა“
ა-შ	ა-იქა	„ქალიშვილი მოკვდა“
ჰეკოჩა	ბ-იქა	„თაგვი მოკვდა“

ვაშაბი	ბ-იჭირ	„ვაეები მოკვდნენ“
ა-შაბადი	ბ-იჭირ	„ქალიშვილები მოკვდნენ“
ჰეკოჩაბი	რ-იქა	„თაგვები მოკვდნენ“

ვ-ილილა „გაჩერება“ (მამაკაცისა), ა-ილილა „გაჩერება“ (ქალისა),
ბ-ილილა „გაჩერება“ (ცხოველისა, ნივთისა), ბ-ილილა „გაჩერება“
(ადამიანებისა), რ-ილილა „გაჩერება“ (ცხოველებისა, ნივთებისა).

გ ა რ დ ა მ ა ვ ა ლ ი ზ მ ნ ა (აღნიშვნება RO-ის კლასი და სიმრავლე):

იმაშაურ	ვ-ეთა	ვაშა	„მამამ დატოვა ვაეი“
იმაშაურ	ა-ეთა	ა-შ	„მამამ დატოვა ქალიშვილი“
იმაშაურ	ბ-ეთა	ჰან	„მამამ დატოვა სოფელი“

იმაშაურ	ბ-ეთირ	ვაშაბი	„მამამ დატოვა ვაეები“
იმაშაურ	ბ-ეთირ	ა-შაბადი	„მამამ დატოვა ქალიშვილები“
იმაშაურ	რ-ეთა	ჰანიბი	„მამამ დატოვა სოფლები“

ვ-ეშთილა „გაშეება (მამაკაცისა), დ-ეშთილა „გაშეება“ (ქალისა), ბ-ეშთილა „გაშეება“ (ცხოველისა, ნიეთისა); ბ-ეშთილა „გაშეება“ (აღამიანებისა), რ-ეშთილა „გაშეება“ (ცხოველებისა, ნიეთებისა).

მრავლობითში გამოყენებული ბ და რ ნიშნებიდან რ ნიშანი მხოლოდ მრავლობითში გვაქვს და მესამე კლასის სახელთა სიმრავლეს გადმოსცემს²¹⁰. ამ მხრივ რ ნიშანი განსხვავდება ბ ნიშნისაგან, რომელიც მხოლოდობითშიც გვაქვს და მრავლობითშიც, ოღონდ სხვადასხვა ფუნქციით: მხ. რ.-ში ბ III კლასის ნიშანია, მრ. რ.-ში კი ადამიანის კლასისა.

ბ და რ ნიშნები ერთდროულად აღნიშნავენ კლასსაც და რიცხვსაც²¹¹. მრ. რიცხვი კლასების მიხედვით დიფერენცირებული რიცხვია, კონკრეტულ-კლასურია.

§ 77. რიცხვის აღნიშვნა კლასის ნიშნის მომდევნო ხმოვნის ცვლით. გრამატიკული კლასის ნიშანი ძირეულ ელემენტს ხმოვნის შესეგობით უკავშირდება (ეს ხმოვანი ნებისმიერი შეიძლება იყოს, თუმცა ყველა ხმოვანი ერთნაირი სიხშირით არ გვხვდება). ყოველ კლასნიშნიან ზმნას ესა თუ ის გარკვეული ხმოვანი აქვს კლასის ნიშნის მომდევნოდ. ზმნაში კლასის ნიშანი, როგორც წესი, მხოლოდ პრეფიქსულია, ამრიგად, საქმე ეხება მრავლობითი რიცხვის აღნიშვნას პრეფიქსული ხმოვნით²¹².

კლასნიშნიან ზმნათა ერთი ნაწილი კლასის ნიშნის მომდევნო უ ხმოვანს მრავლობითი რიცხვის ადამიანის კლასში ა ხმოვნით ცვლის. ნიეთის კლასში ხმოვანი უცვლელია (იმეორებს მხ. რ.-ში არსებულ ხმოვანს)²¹³. სიმრავლას აღნიშვნის პრინციპი კლასურია: ა ხმოვანი გადმოსცემს გარდამავალი ზმნის RS-ის და გარდამავალი ზმნის RO-ის სიმრავლეს, ამასთან აღსანიშნი სიტყვა ადამიანის კლასისაა²¹⁴.

²¹⁰ ცნობილია, რომ ისტორიულად რ მხ. რ.-ის IV კლასის ნიშანი იყო.

²¹¹ ასევე მხ. რ.-ში ვ, დ, ბ კლასსაც აღნიშნავენ და რიცხვსაც (მხ. რ.).

²¹² გრამატიკული კლასის ნიშანი და მისი მომდევნო ხმოვანი ისტორიულად სხვადასხვა ფუნქციისა შეიძლება ყოფილიყო, მაგრამ ერთად აღებული გარკვეულს მთლიანობასაც ჰქმნის (მონათესავე ენების ურთიერთშედარება ამას ადვილად ცხადყოფს), რაც ზმნის ფუძის სხვა ელემენტებს შეიძლება დაუპირისპირდეს როგორც ნაწილი ნაწილს. ცხადია, კლასის ნიშანიც და მისი მომდევნო ხმოვანიც ზმნის ფუძის (მაგრამ არა ძირის) კუთვნილებაა.

²¹³ ხმოვნის აეთი ცვლით სიმრავლის აღნიშვნა მხოლოდ ზმნებში დასტურდება. დაჩნდება იგი ზმნისაგან ნაწარმოებ ფორმებშიც (ინფინიტივი, მა!დარი, მიმღობა).

²¹⁴ საშუალება გვქონდა აღვენიშნა, რომ ანტიურ ენებში კლასის ნიშნის მომდევნო ხმოვნის ცვლით მრავლობითობის გადმოსცემა სხვადასხვა ენაში სხვადასხვაგვარად ხდება: ანტიურა და ჰამალურში ხმოვანი იცვლება მრ. რ.-ის ყველა კლასში

მხოლოდობითის უ ხმოვნის ა ხმოვნით შეცვლა არც ერთ შემთხვევაში არაა ერთადერთი და დამოუკიდებელი საშუალება სიმრავლის გადმოსაცემად. ხმოვნის ცვლასთან ერთად იცვლება მის წინ მდგომი კლასის ნიშანიც თანახმად საერთო წესისა (აღამ. კლ. -ბ, ნივთ. კლ. -რ. იხ. ზემოთ). მეტიც: ადამიანის კლასის სიტყვების სიმრავლე, როგორც ქვემოთ ვნახავთ, აღინიშნება სპეციალური სუფიქსითაც. ამდენად მრ. რ.-ში ხმოვნის ცვლა რიცხვის აღნიშვნის დამხმარე (დამატებითი) საშუალება გამოდის.

მივუთითებთ, რომ ის უ, რომელიც მრ. რ.-ში ა ხმოვნით იცვლება, ხშირ შემთხვევაში მეორეულია (მიღებულია ი-საგან მომღვეწოლაბიალიზებული კომპლექსის გავლენით).

მხ. რ.

მრ. რ.

I კლ. ვ-უ-კვა „იყო“	} ადამ. კლ. ბ-ა-ქურ
II კლ. ჰ-ი-კვა ²¹⁵	
III კლ. ბ-ფ-კვა	

I კლ. ვ-უ-ქულა „ყოფნა“	} ადამ. კლ. ბ-ა-ქულა ²¹⁶
II კლ. ჰ-ი-ქულა	
III კლ. ბ-უ-ქულა	

§ 78. რიცხვის აღნიშვნა სპეციალური სუფიქსით. ბავალური ზმნა მრავლობით რიცხვს აღნიშნავს არა მარტო კლასის ნიშნით და მისი მკაცრად შემოღებული ხმოვნით, არამედ სპეციალური -ირ სუფიქსითაც. ეს სუფიქსი (ისევე, როგორც ზემოთ განხილული ა ხმოვანი) გამოიყენება მხოლოდ ადამიანის კლასში. აღნიშვნის პრინციპი აქაც კლასურია: გადმოიცემა გარდაუვალი ზმნის RS და გარდამავალი ზმნის RO. არის განსხვავება: თუ უ—ა ცვლილება მხოლოდ კლასნიშნის ზმნებს (ისიც

(როგორც ადამიანის, ისე ნივთის კლასებში ერთნაირად). ენათა უმეტესობაში ხმოვანი იცვლება მხოლოდ ადამიანის კლასში (ტინდიური, ბავალური, ლოდოზურიული, ახვა-ბური, კარტული). ერთადერთი ენაა ბოთლიხური, რომელსაც ხმოვნის ამგვარი ცვლა საერთოდ არ ახასიათებს. ბავალურის თლისურ-თლიბიშოურ კილოკავს (სხვა კილოკავებისაგან განსხვავებით) ხსენებული ხმოვნის ცვლა აგრეთვე არ ახასიათებს. არ ახასიათებს მას რიცხვის აღნიშვნა ე. წ. სპეციალური სუფიქსითაც (იხ. ქვემოთ). ამ კილოკავეში ზმნა მრავლობას მხოლოდ პრეფიქსული კლასის ნიშნით ასახავს (რაც ზემოთ განვიხილეთ).

²¹⁵ ბიკვა < ბუკვა?.

²¹⁶ ბაკულა < ბაკვილა, „ყოფნა“ ზმნის ისტორიული ფუძეა ბიკვ-ი > უ მიეწერება ვ-ს (რომელიც შეიძლება დაიკარგოს).

ამგვარ ზმნათა ერთ ნაწილს) ახასიათებს, სუფიქსური -ირ ნიშანი ყველა ზმნასთან იხმარება (რაც ბუნებრივია—მისი გამოყენება არაა შეპირობებული კლასის ნიშნის არსებობით სათანადო ზმნაში).

სუფიქსი ირ-ის გამოყენება სხვაგვარადაა განსაზღვრული—ის არსებითად მხოლოდ ნამყოს ფორმაში გვაქვს (და მისგან ნაწარმოებ ნაკვებში).

გ ა რ დ ა უ ე ა ლ ი ზ მ ნ ა

მხ. რ.

- I კლ. იმა ვ-უ-კვა „მამა იყო“
- II კლ. ილა ჟ-ი-კვა „დედა იყო“
- III კლ. ჰეკოჩა (კოჩა) ბ-უ-კვა „თაგვი (წიგნი) იყო“

მრ. რ.

ადამ. კლ. იმაბი (ილაბი) ბ-ა-კურ (< ბაკვირ) „მამები (დედები) იყვნენ“
 ნივთ. კლ. ჰეკოჩაბი (კოჩიბი) რ-უ-კვა „თაგვები (წიგნები) იყვნენ“

ასევე:

- I კლ. ვ-ჲ „მოვიდა“
- II კლ. ჟ-ჲ
- III კლ. ბ-ჲ
- ადამ. კლ. ბ-ნირ (< ბჲ-ირ)
- ნივთ. კლ. რ-ჲ

- | | | |
|-----------|-----------------|-----------------|
| I კლ. | ვ-ელ'ი „წავიდა“ | ვ-აწა „მიალწია“ |
| II კლ. | ჟ-ელ'ი | ჟ-აწა |
| III კლ. | ბ-ელ'ი | ბ-აწა |
| ადამ. კლ. | ბ-ელ'-ირ | ბ-აწ-ირ |
| ნივთ. კლ. | რ-ელ'ი | რ-აწა |

ადამიანის კლასის სიმრავლე გადმოცემულია ირ სუფიქსით (ბაკვირ > ბაკურ, ბჲ-ირ > ბჲ-რ), ნივთის კლასში -ირ არა გვაქვს (რუკვა, რჲ). ბაკურ (< ბაკვირ) ფორმაში ერთი და იმავე სიტყვის მრავლობითობა სამი სხვადასხვა საშუალებითაა ერთდროულად გადმოცემული: ბ ნიშნით (ბ-აკურ), ა ნიშნით (ბ-აკურ), ირ ნიშნით (ბაკურ < ბაკვირ). ბნირ ფორმაში ორი ნიშანია გამოყენებული (ბ და ირ). უკლასნიშნო ზმნა რომ აგველო, მრავლობის გადმოსაცემად მარტო ირ-იც იკმარებდა. მაგ. ჰელი „დაწვა“ განურჩევლად კლასისა, ჰელ-ირ „დაწვენენ“ (ადამიანები), ჰელი „დაწვენენ“ (ცხოველები).

გარდამავალი ზმნა

მხ. რ.

- I კლ. დენ მაკ ვ-იხ^{ნი} „მე ბიჭი დავიჭირე“
 II კლ. დენ მაკ მ-იხ^{ნი} „მე გოგო დავიჭირე“
 III კლ. დენ კათვ ბ-იხ^{ნი} „მე ცხენი დავიჭირე“

მრ. რ

- აღამ. კლ. დენ მაკილ ბ-იხ^{ნი-ირ} „მე ბავშვები დავიჭირე“
 ნივთ. კლ. დენ ხ^{ნი}ვანი რ-იხ^{ნი} „მე ცხენები დავიჭირე“

ასევე:

- I კლ. ვ-უჭ^{ნი} (< ვ-უჭ-ა-ი) „აირჩია“²¹⁷
 II კლ. მ-ი-ჭ^{ნი} (< მ-ი-ჭ-ა-ი)
 III კლ. ბ-უ-ჭ^{ნი} (< ბ-უ-ჭ-ა-ი)
 აღამ. კლ. ბ-ა-ჭ-ე-რ (< ბ-ა-ჭ-ე-ა-ი-რ)
 ნივთ. კლ. რ-უ-ჭ-ე (< რ-უ-ჭ-ე-ა-ი).

პრეფიქსული კლასის ნიშანი ყველგან რეალურ ობიექტზე მიუთითებს (რამდენადაც ზმნა გარდამავალია). მრ. რ-ში კანონზომიერადაა წარმოდგენილი ბ (აღამ. კლ.) და რ (ნივთ. კლ.). ასევე კანონზომიერია აღამ. კლასში უ-ს შეცვლა ა-დ (ბაჭყერ „აირჩია აღამიანები“). აღამიანის კლასს სპეციალური ირ სუფიქსიც აქვს (ბიხ^{ნი-ირ}, ბაჭვა-ირ > ბაჭერ)²¹⁸.

ნ რიგის ზმნებში -ირ ნიშნის ნაცვლად -ინ გვაქვს:

- I კლ. ვ-ისაჲ „ნახა ის“ (I კლ.) აღამ. კლ. ბ-ის-ინ „ნახა ისინი“
 II კლ. მ-ისაჲ „ნახა ის“ (II კლ.) (აღამ.-)“
 III კლ. ბ-ისაჲ „ნახა ის“ (III კლ.) ნივთ. კლ. რ-ისაჲ „ნახა ისინი“
 (ნივთ.)“

- I კლ. ვ-უქ^{ნი} (< ვ-უქ-ა-ი) აღამ. კლ. ბ-ა-ქ-ენ (< ბ-ა-ქ-ე-ა-ი-ინ)
 „დასწვა“²¹⁹
 II კლ. მ-ი-ქ^{ნი} (< მ-ი-ქ-ა-ი)
 III კლ. ბ-უ-ქ^{ნი} (< ბ-ი-ქ-ა-ი) ნივთ. კლ. რ-უ-ქ^{ნი} (< რ-უ-ქ-ა-ი)

²¹⁷ კაუზატიური ზმნაა. ა კაუზატივის ნიშანია, ი—ნამყოსა. პარალელურად იხმა-რება კაუზატივის აღ-იანი ფორმაც.

²¹⁹ როგორც ვხედავთ, -ირ სუფიქსის წინ კაუზატივის ა არ იკვეცება (ის ერწყ-მის ი-ს, ნამყოს ა ნიშანი კი ირ-ის წინ არ ჩანს. შღრ. ბამქერ < ბამქე-ა-ირ „აირჩია“ და ბაწ-ირ „მოაღწეს“. ეს უკანასკნელი „ა გჯუფის“ ზმნაა (ბაწა „მოაღწია“).

²¹⁸ კაუზატიური ზმნა ნ რიგისა.

-ინ მიღებული ჩანს -ირ-ისაგან.

-ირ (-ინ) გადაჰყვება ნამყოსაგან ნაწარმოებ ფორმებსაც (მაგ. ბაკურ-კი „არ იყვნენ ადამიანები“, ბისინ-კი „არ ნახა ადამიანები“, ბაკურ-ილო? „იყვნენ ადამიანები?“ და სხვ.)²²⁰.

§ 79. დრო. ზოგადი. ორგანული წარმოების დროის ფორმებით ბავალური ღარიბია. ძირითადი დროული ფორმებია ნამყო და მყოფადი. აწმყო (ზოგადი) წარმოადგენს მიმღობას (ხოლო აწმყო-კონკრეტული — აღწერით ფორმას).

§ 80. ნამყო. ნამყოს წარმოების მიხედვით ზმნები ორ ჯგუფად იყოფა: ზმნათა ერთი ჯგუფი ნამყოს აწარმოებს ი დაბოლოებით („ი ჯგუფი), მეორე კი — ა დაბოლოებით („ა ჯგუფი“)²²¹.

იმის მიხედვით, თუ როგორია ფუძის დაბოლოება, ი და ა სხვადასხვაგვარ სახეს იღებს. ლაბიალიზებულ ფუძეებთან ი-ს ნაცვლად უგვექნება (-ვ-ი > უ), ა ხმოვანზე დაბოლოებულ ფუძეებთან — ე (ა-ი > ე)²²². „ი ჯგუფის“ ზმნებს, თუ ისინი „ნ რიგს“ განეკუთვნებიან, ის დაბოლოება ექნებათ (ამგვარი ზმნები საერთოდ მეტად იშვიათია), ლაბიალიზებულ ფუძეებთან უფ გვევლინება (-ვ-ის > უფ). ა დაბოლოება ნაკლებ ცვლილებას განიცდის (მაგ. ა ხმოვანფუძიან ზმნას თუ ა დაერთო, გრძელი ჯ წარმოიქმნება), ნ რიგის ზმნებში აფ გვაქვს.

ლ რ ი გ ი

„ი ჯგუფი“

თანხმოვანფუძიანი ზმნები: იპ-ი „გააკეთა“, ჰიტ-ი „თქვა“, ბეტ-ი „მოხნა“, ვილ-ი „გაჩერდა“, „დადგა“, ჰარ-ი „თხოვა“, ბეშ-ი „მოქსოვა“, ჰერ-ი „შეშინდა“, ბინ-ი „დაიჭირა“.

„მერყევი“ ნ-ს მქონე ზმნები: ყან-ი „შეკამა“, ტინ-ი „დაასხა“, ტან-ი „დაავლო“.

ლაბიალურფუძიანი ზმნები: ბუყუ (< ბუყ-ი) „გაქრა“, ბუჭუ (< ბუჭ-ი) „დაკლა“, ბუჭუ (< ბუჭ-ი) „მოხვდა“, ბუხიუ (< ბუხ-ი) „დარჩა“.

